

K 181609  
3

თ. ჩხიტიანი

ქართულთა უორის წერა-კითხვის  
გამაგრებელი საგონადობის  
საბიბლიოთეკო და საგამომცემლო მოღვაწეობა

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია  
ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკა



თ. ჩხიტიანი

ქართულთა უორის წერა-კითხვის  
გამავრსელაბელი საგობადოების  
საბიბლიოთეკო და საგაგომსაგლო გოღვაწეობა

სკვ-2000  
შემოწმებულია



გამომცემლობა „მეცნიერება“  
თბილისი  
1980

76.1(2Γ) Γ  
655-0081 (47.922) (09)  
ნ 987

ნაშრომში საარქივო მასალებისა და პერიოდული პრესის მიმოხილვის საფუძველზე განხილულია ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მოღვაწეობა საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ, ბიბლიოთეკების გახსნისა და მოსახლეობაში განათლების დონის ამაღლების საკითხი. განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი საზოგადოების მიერ წიგნსაცავ-მუზეუმის შექმნას, სადაც თავი მოიყარა როგორც დაბეჭდილმა, ასევე ხელნაწერმა წიგნებმა და ქართველ საზოგადო მოღვაწეთა პირადმა ბიბლიოთეკებმა. სათანადო ადგილი აქვს დათმობილი საზოგადოების საგამომცემლო მოღვაწეობასა და წველილს წიგნების შედგენის, თარგმნისა და გამოცემის საქმეში.

ნ 181,60

61004  
ნ M 607(06)--80 263--80

© გამომცემლობა „მეცნიერება“, 1980

დ. შატაშვილის სან. სან.  
სსრ სსხელმწიფო  
რესპუბლიკური  
ბ ი ბ ლ ი ბ ტ ი მ ე ბ

90

## შ ე ს ა ვ ა ლ ი

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსება დაკავშირებულია საქართველოში საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და კულტურულ-ლიტერატურულ ასპარეზზე მე-19 საუკუნის სამოციან წლებში ახალი პროგრესული თაობის — „თერგდალეულთა“ გამოსვლასთან. თერგდალეულებს განათლება მიღებული ჰქონდათ რუსეთის კულტურულ ცენტრებში, რომლებმაც რუსი რევოლუციონერ-დემოკრატების გავლენა განიცადეს.

თერგდალეულთა მოღვაწეობის ძირითად მოტივებს წარმოადგენდა ეროვნული ჩაგვრისა და სოციალური უკუღმართობის წინააღმდეგ ბრძოლა: ერთი მხრივ, ისინი იბრძოდნენ მეფის თვითმპყრობელობისა და მისი კოლონიური პოლიტიკის, ხოლო, მეორე მხრივ, ბატონყმური უკუღმართობისა და სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ.

ქართველი ხალხის მოწინავე ადამიანებს კარგად ესმოდათ, რომ მეფის თვითმპყრობელობა დიდ უბედურებას წარმოადგენდა რუსეთის იმპერიაში შემავალი მცირე ერებისათვის. არარუს ხალხთა ეროვნული კულტურა იღვევებოდა. ბევრ ხალხს ეკრძალებოდა დედაენაზე გაზეთებისა და წიგნების გამოცემა და ბავშვების სწავლება. მთავრობა არარუს ხალხებს ოფიციალურად „სხვა ტომეულებს“ უწოდებდა, ცდილობდა დაენერგა რუსებში მათდამი ზიზღი. მეფის ხელისუფლება ერთ ხალხს მეორის წინააღმდეგ ამხედრებდა<sup>1</sup>.

ასეთ პირობებში საკირო გახდა შექმნილიყო საქართველოში ისეთი ორგანიზაცია, რომელიც ქართული კულტურის წინსვლისა და განმტკიცებისათვის იბრძოლებდა, ხელს შეუწყობდა ქართველი ხალხის გათვითცნობიერების საქმეს და ხელს შეუშლიდა ცარიზმს თავისი მიზნების განხორციელებაში.

ჯერ კიდევ 1862 წელს თერგდალეულები შეეცადნენ დაეარსე-

<sup>1</sup> სკკპ ისტორია, თბ., 1973, გვ. 15.

ბინათ ლიტერატურული საზოგადოება, რომლის მიზანი იქნებოდა ხალხში წერა-კითხვისა და ცოდნის გავრცელება, მაგრამ ამის შემდეგ 15 წელი გავიდა, ქართველ მოღვაწეებს კი თავიანთი მიზანი განუხორციელებელი დარჩათ. მხოლოდ 70-იან წლებში შეიქმნა შედარებით ხელსაყრელი პირობები ამ საკითხის უფრო რადიკალურად გადაჭრისათვის.

ამ დიდ ეროვნულ საქმეს მეთაურობდნენ დ. ყიფიანი, ი. ჭავჭავაძე, ი. გოგებაშვილი, ბეს. ლოლობერიძე და ვ. თულაშვილი. მათ შეძლეს 70-იანი წლებისათვის დამფუძნებელთა ბირთვის შექმნა.

საქმის ინიციატორები იკრიბებოდნენ დ. ყიფიანისა და ნ. ცხვედაძის ოჯახებში, იქ დამუშავდა მომავალი საზოგადოების წესდება. ხოლო 1878 წლის 30 იანვარს შედგა საზოგადოების დამფუძნებელთა საერთო კრება, რომელმაც მიიღო წესდება და დაავალა ილ. ჭავჭავაძეს, დ. ყიფიანს და ბეს. ლოლობერიძეს წარედგინათ ის მთავრობისათვის დასამტკიცებლად. იმავე წლის 20 ივნისს დასახელებულმა პირებმა მართლაც წარუდგინეს მეფისნაცვლის მთავარმართველობის უფროსს — სტაროსელსკის საზოგადოების წესდების პროექტი, მაგრამ ამის შემდეგაც თითქმის წელიწადი დასჭირდა წესდების დამტკიცებას. მთავრობამ მოითხოვა შეეცვალათ პროექტის მესამე მუხლი, რომელიც ამბობდა: „საზოგადოება თავის საგანს მიადწევს იმით, რომ სახალხო სკოლებში დაწყებით სწავლებას შემოიღებს ბავშვებისათვის გასაგებ ენაზე“.

დემიტრი ყიფიანმა ვრცელი განმარტება წარუდგინა მთავრობას ამ მუხლის შესახებ, კერძოდ, მოიშველია ალექსანდრე მეორის 1861 წლის 30 აგვისტოს რესკრიპტი, რომელიც დედაენაზე სწავლებას აკანონებდა. 1879 წლის 31 მარტს წესდება დამტკიცებულ იქნა მთავრობის მიერ. იმავე წლის 15 მაისს თბილისის გუბერნიის საადგილმამულო ბანკის შენობაში დ. ყიფიანის თავმჯდომარეობით და 45 დამფუძნებელი წევრის დასწრებით შედგა საერთო კრება, რომელმაც აირჩია საზოგადოების პირველი გამგეობა 7 წევრის შემადგენლობით: დ. ყიფიანი (თავმჯდომარე), ი. ჭავჭავაძე (თავმჯდომარის ამხანაგი), ი. გოგებაშვილი, რ. ერისთავი, ნ. ცხვედაძე, ი. მაჩაბელი და ა. სარაჯიშვილი.

ამგვარად, 1879 წლის 15 მაისი ითვლება ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსების თარიღად და ამ დღიდან იწყება კიდევ მისი მოღვაწეობა. საზოგადოებამ იმუშავა თითქმის 50 წელიწადი და ფრიად ნაყოფიერადაც.

ახლად დაარსებულ საზოგადოებას ოფიციალურად ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება ეწოდებოდა. მაგრამ მისი მიზნები და დანიშნულება წერა-კითხვის გავრცელებით როდი განისაზღვრებოდა, იგი გაცილებით ფართო იყო. „თუმცა ჩვენი საზოგადოება იწოდება წერა-კითხვის გამავრცელებლად, — აღნიშნავდა თავის საანგარიშო მოხსენებაში გამგეობა, — მაგრამ დიდი შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, ვითომ მის დამაარსებლებს სახეში ჰქონებოდათ მხოლოდ წერა-კითხვის სწავლება. დამფუძნებელთა გულითადი სურვილი იყო უპირველესად შექმნა სკოლისა, როგორც კულტურის კერისა. კულტურა კი არის ქვეყნის სულიერი და ნივთიერი ფართო განვითარება, აი, ეს კულტურა იყო სანატრელი საგანი წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა“.

თავის არსებობის ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება დასახული მიზნის განსახორციელებლად, იკრებდა რა თავის გარშემო ჩვენი ქვეყნის საუკეთესო ძალებს, იყენებდა ყოველგვარ საშუალებას, რათა ხელი შეეწყო ქართული კულტურის განვითარებისა და განმტკიცებისათვის.

საზოგადოება ზრუნავდა მდაბიო ხალხში ცოდნისა და სწავლავანათლების გავრცელებისათვის, ეროვნული თვითშეგნების შეტანისათვის, მოწინავე პროგრესული იდეების დანერგვისათვის, ეროვნული კადრების გამოზრდისათვის. ამ მიზნით იგი ხსნიდა სახალხო სკოლებს და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებს: მუზეუმებს, ბიბლიოთეკებს, სამკითხველოებს, სიძველეთსაცავებს, სტამბას, წიგნის მაღაზიებს; კრებდა და იცავდა ქართველი ხალხის სულიერი და მატერიალური კულტურის ძეგლებს — ხელნაწერებს, სიგელ-გუჯრებს, ისტორიულ და მხატვრულ ნაწარმოებებს, ხუროთმოძღვრების ნაშთებს, ძველ ქართულ მონეტებს, ფოლკლორულ მასალებს; სცემდა და ავრცელებდა სახელმძღვანელოებს, მეცნიერულ-პოპულარულ წიგნებს, ხალხურ სიმღერებს, ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებებს; საზოგადოება დახმარებას უწევდა ქართველ მწერლებსა და საზოგადო მოღვაწეებს, მოსწავლე ახალგაზრდობას და ქართულ კულტურულ დაწესებულებებს. განსაკუთრებით დიდია საზოგადოების ღვაწლი სკოლებისა და ბიბლიოთეკების გახსნის საქმეში.

თავისი არსებობის მანძილზე საზოგადოებამ გახსნა 33 სკოლა საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ, რომელსაც თავისი ხარჯით ინახავდა და დახმარებას უწევდა სასკოლო ინვენტარითა და სახელ-

მძღვანელობით. საზოგადოებას სასკოლო მოღვაწეობასთან  
ევალებოდა წიგნსაცავ-ბიბლიოთეკებისა და სამკითხველოების  
მოწყობა როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გა-  
რეთაც. ამ საქმეს საზოგადოებამ განსაკუთრებით ხელი მოჰკიდა  
90-იანი წლებიდან და მეტად ნაყოფიერი მუშაობა ჩაატარა.

საზოგადოება ერთ-ერთ მთავარ მიზნად ისახავდა ქართველი  
ხალხის მატერიალური ძეგლების შეგროვებას, დაცვა-შენახვას და  
პატრონობას. ამ მიზნით იგი ხსნიდა სიძველეთა საცავებს და მუზე-  
უმებს, რომლებშიც თავს უყრიდა ხელნაწერებსა და საბუთებს, ხე-  
ლოვნებისა და კულტურის ძეგლებს. ოფიციალური ანგარიშით  
1914 წლისათვის საზოგადოების სიძველეთა მუზეუმში აღრიცხული  
იყო 12 ათასამდე ასეთი ძეგლი. საზოგადოებას გადაწყვეტილი  
ჰქონდა აეგო მუზეუმისათვის სპეციალური შენობა. ამ მიზნით  
კიდევაც შეიძინა ადგილი თბილისში ფიქრის გორაზე და შეუდგა  
თანხების შეგროვებას, მაგრამ ამ ღირსშესანიშნავი საქმის წამოწყე-  
ბა მან ვერ მოასწრო.

საზოგადოებას დიდი ღვაწლი მიუძღვის ქართული წიგნების  
(სახელმძღვანელოების, საბავშვო ლიტერატურის, სამეცნიერო-პო-  
პულარული წიგნების, მხატვრული ნაწარმოებების) გამოცემა-გავ-  
რცელების საქმეში. თავისი არსებობის განმავლობაში საზოგადოე-  
ბამ გამოსცა 250-ზე მეტი დასახელების წიგნი, რაც არც თუ ისე  
მცირე იყო იმ პერიოდისათვის.

საზოგადოების გამგეობა დიდ ყურადღებას აქცევდა მწერალ-  
თა და საზოგადო მოღვაწეთა საიუბილეო დღესასწაულებს (ა.კ. წე-  
რეთლის, რ. ერისთავის), თაოსნობდა განსვენებულ ქართველ მოღ-  
ვაწეთა დაკრძალვის ცერემონიებს (რ. ერისთავის, ილიას, აკაკის,  
ვაჟას და სხვების), დააარსა ქართველ მოღვაწეთა სავანე-პანთეონი.  
ამ მიზნით დიდუბეში შეიძინა მიწა 5 ათას მანეთად.

საზოგადოებას თავისი საქმიანობის გასაშლელად ესაჭიროე-  
ბოდა სახსრები. ამ სახსრებს შეადგენდა: საწევრო გადასახადები, შე-  
მოწირულებანი და შემოსავალი საღამო-კონცერტებიდან, საჯარო  
ლექციებიდან, წიგნის მალაზიებიდან და სხვ.

საზოგადოების მუშაობა განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო 1909  
წლიდან, როდესაც შეიქმნა განყოფილებები (ფილიალები). განყო-  
ფილებების შექმნამ ხელი შეუწყო საზოგადოების ნივთიერად გაძ-  
ლიერებას და მოსახლეობაში სკოლებისა და ბიბლიოთეკების გა-  
სახსნელად ნიადაგის მომზადებას.

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მუშაობას ხელს უშლიდა მეფის თვითმპყრობელობის მკაცრი პოლიციური რეჟიმი, რუსიფიკატორული პოლიტიკა და ასევე საზოგადოების სოციალური შემადგენლობა, რომელსაც არაფერი ჰქონდა საერთო მის მოღვაწეობასთან.

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მოღვაწეობა სათანადოდაა გაშუქებული ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში და პერიოდულ პრესაში. ამ მხრივ დიდი მუშაობა აქვს ჩატარებული პროფ. ტ. ხუნდაძეს, რომელსაც ისტორიულ ასპექტში გამოკვლეული აქვს ამ საზოგადოების მოღვაწეობა.

საზოგადოების მოღვაწეობის საქმიანობას შეეხება დოცენტ ფ. ყურაშვილის, ლ. კვიციანიშვილის, ა. ლორიას და ნ. გურგენიძის შრომები, რომლებშიც გაშუქებულია ქართული საბიბლიოთეკო საქმის ისტორია. არ შეიძლება არ აღინიშნოს პროფ. შ. ჩხეტიასა და ა. იოვიძის დიდი ღვაწლი, რომელთა რედაქციითა და წინასიტყვაობით გამოცემულია ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ფონდების აღწერილობა.

ჩვენი შრომა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საბიბლიოთეკო და საგამომცემლო საქმიანობას შეეხება. საარქივო მასალებისა და იმდროინდელი პერიოდული პრესის მიმოხილვის შედეგად განხილულია საზოგადოების მოღვაწეობა ამ მიმართებით.

შრომაში ნაჩვენებია ქართველ მოღვაწეთა ზრუნვა ხელნაწერი და ნაბეჭდი წიგნების შეგროვება-დაცვისა და მოვლა-პატრონობის საქმეში, შრომის მე-3 თავში აღწერილია იაფფასიანი ბიბლიოთეკა-სამკითხველოების გახსნა როგორც თბილისში, ასევე რაიონებში. იმ ბიბლიოთეკებიდან, რომელიც საზოგადოების მოღვაწეობასთანაა დაკავშირებული, ჩვენ ვიხილავთ თბილისის, ქუთაისის, ახალციხისა და უდის ბიბლიოთეკებს, რომლებმაც გარკვეული მუშაობა ჩაატარეს მოსახლეობაში წიგნების პროპაგანდა-გავრცელების საქმეში; ნაწილობრივ ვეხებით არალეგალურ ბიბლიოთეკებსა და სკოლის ბიბლიოთეკებს, შემდეგ ვიხილავთ საზოგადოების როლს წიგნების შედგენა-გამოცემასა და ქართული კულტურის წინსვლის საქმეში.



## საზოგადოების ბიბლიოთეკა-წიგნსაცავი

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობა დაარსებიდანვე, გარდა სკოლების გახსნისა და პედაგოგიური მუშაობის წარმართვისა, შეუდგა საშვილიშვილო და ეროვნული მნიშვნელობის საქმეს. საზოგადოებამ განიზრახა კავკასიისა და საქართველოს შესახებ მოსახლეობაში და ეკლესია-მონასტრებში გაფანტული ლიტერატურის (როგორც დაბეჭდილის, ისე ხელნაწერის) შეგროვება და მისი გადაცემა შთამომავლობისათვის. საზოგადოების მესვეურთ კარგად ესმოდათ ბიბლიოთეკის მნიშვნელობა თვით საზოგადოების შემოქმედებითი მუშაობის გაშლისათვის. წიგნებისა და ქართული კულტურული ძეგლების ერთად თავმოყრა, ქართული კულტურული სიმდიდრის დაცვა, გამოვლენა, შესწავლა და მისი გადაცემა მომავალი თაობისათვის შეადგენდა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მოღვაწეობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მხარეს. შემთხვევითი არ იყო, რომ საზოგადოებამ თავის წესდებაში სპეციალური მუხლი შეიტანა „საზოგადოებამ უნდა შეადგინოს თავის სამწიგნობრო როგორც თავის წევრებისათვის, ისე ხალხისათვის საკითხავად“<sup>1</sup>.

საზოგადოებასთან ბიბლიოთეკის დაარსების ინიციატორი იონა მეუნარგია იყო, 1880 წლის 3 აპრილს საზოგადოებისადმი წარდგენილ წერილში აღნიშნულია ბიბლიოთეკის დაარსების აუცილებლობა. „ბიბლიოთეკა შემდგარი უნდა იყოს უმეტეს ნაწილად ქართული წიგნებისაგან და ქართული წიგნები კი უმეტესად დაბეჭდილი არ არიან, ამისათვის მე ვთხოვ საზოგადოებას წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიასთან ბიბლიოთეკის დაარსებას“<sup>2</sup>.

1880 წლის 5 აპრილს საზოგადოების სხდომაზე მოსმენილ იქნა საზოგადოების წევრის ი. მეუნარგიას მოხსენება, სადაც ის ბიბლი-

<sup>1</sup> საქ. სსრ ისტორიული არქივი, ფ. 481, საქ. № 2, ფ. 47—48.

<sup>2</sup> იგივე ფონდი, საქ. № 17, ფ. 48.

ოთეკის გამართვისა და მისი მოწყობისათვის ითხოვდა წელიწადში 500 მანეთს. ბიბლიოთეკა, მისი აზრით, იქნებოდა ერთ-ერთი წიგნსაცავი, სადაც თავს მოიყრიდა როგორც დაბეჭდილი, ასევე ხელნაწერი წიგნები. ქართველი საზოგადოება, შეიტყობდა რა პრესის საშუალებით ასეთი კეთილშობილური საქმის განხორციელებას, დიდ ნზრუნველობას აღმოუჩენდა ბიბლიოთეკას, მოამარაგებდა წიგნებით, მატერიალურადაც დაეხმარებოდა მას. საზოგადოების კრების დადგენილებაში აღნიშნულია (მოგვყავს მთლიანად დადგენილების ტექსტი): „ბიბლიოთეკა გაიმართოს. პირველ ხანში ბიბლიოთეკას კანცელარიაში ჰქონდეს ადგილი და წიგნების შესანახად ორი დიდი შკაფი შეუკვეთდეს ღურგალსა; ბიბლიოთეკისათვის რაც შესაძლებელია და ახლად დაბეჭდილიცა, რომელთა სია ცალ-ცალკე უნდა იქნეს შედგენილი. მიენდოს სეკრეტარს წიგნების მოსაგროვებლად მეცადინეობა იხმაროს და საზოგადოების სახელით მიწერ-მოწერა გაიმართოს ჩვენს ქველის მწიგნობრობის მცოდნეებთან და წინათვე ფულის გადადებაზე უარი ეთქვას“<sup>3</sup>.

საზოგადოების გამგეობის გადაწყვეტილება გამართლებული იყო იმით, რომ მას არ შეეძლო პირველ ხანებში ბიბლიოთეკის გამართვისათვის 500 მანეთის გადადება, რადგან ახლად დაარსებული იყო და ფინანსურ სივიწროვეს განიცდიდა.

საზოგადოების კრებაზე ბიბლიოთეკის გამართვის წინააღმდეგ გამოვიდნენ გ. ყიფშიძე და გ. თუმანიშვილი. მათი აზრით, საზოგადოების მიზანს არ შეადგენდა ხელნაწერი და ნაბეჭდი წიგნების ერთ ადგილზე მოგროვება, საზოგადოების მთავარი ყურადღება საყმაწვილო და სახელმძღვანელო წიგნების გამოცემას უნდა მიქცეოდა, ხოლო ბიბლიოთეკა უნდა გამართულიყო კანცელარიასთან. ამ წინადადებას მხარი დაუჭირა რ. ერისთავმაც. საზოგადოების შემდგომმა კრებამ დაამტკიცა—1881 წლისათვის მიეცათ ბიბლიოთეკისათვის 500 მანეთი, ხოლო საზოგადოების მდივნისათვის გამოიყო კანცელარიასთან ერთი ოთახი, რომელიც ბიბლიოთეკასაც უნდა მომსახურებოდა წელიწადში 480 მანეთად.

ი. მეუნარგიას მიერ შედგენილ იქნა ბიბლიოთეკის ინსტრუქცია, რომელიც გაზეთ „ღროებაში“ დაიბეჭდა 1880 წლის ნოემბრის № 124-ში.

<sup>3</sup> დასახ. ფონდი, საქ. № 2, ფ. 47—48.



„1. საზოგადოების ბიბლიოთეკა იხსნება როგორც წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრთათვის, ისე ხალხისათვის საკითხავად.

2. ბიბლიოთეკა შესდგება უმეტეს ნაწილად ქართულის წიგნებიდან. სხვა ენაზე შედგენილი წიგნებიდან შექმნილი იქნებიან მხოლოდ ის წიგნები, რომელშიაც რაიმე ცნობა იქნება საქართველოზე და კავკასიაზე.

3. ბიბლიოთეკის შესადგენად საზოგადოება:

ა) შეიძენს ყოველწლიურს ქართულ ხელნაწერს წიგნებს, კარტებს, გუჯრებს, ქრონოგრაფებს და სხვა ამგვარს;

ბ) შეისყიდის ორ-ორ ეგზემპლიარს ყოველგვარ ქართულ ენაზე დაბეჭდილ წიგნებს;

გ) თუ სადმე აღმოჩნდება შესანიშნავი და იშვიათი წიგნი, რომელსაც ვერც ფასით და ვერც შემოწირულობით ვერ დაისაკუთრებს ბიბლიოთეკა, ეცდება გადაწეროს ამისთანა წიგნები.

4. ბიბლიოთეკის შესანახავად და გასამართავად საზოგადოების მმართველობა არ დაზოგავს არც რაიმე ხარჯს წიგნების მოსაპოვებლად იმ სახით და ზომით როგორც გადაწყვეტს ცალკე ამისათვის შედგენილი კომისია.

ა) მიიღებს შემოწირულობას ფულით და წიგნებით;

ბ) აირჩევს ბიბლიოთეკარს.

5. ბიბლიოთეკარის ვალია:

ა) ჩაწეროს დავთარში ყოველგვარი წიგნი, რომელიც სასყიდლად ან შემოწირულებით შემოუვა საზოგადოებას;

ბ) შეადგინოს კატალოგი ბიბლიოთეკისა;

დ) დანიშნულ დროზე იყოს ბიბლიოთეკაში და მკითხველებს მოთხოვნილებისამებრ მისცეს წიგნები ბიბლიოთეკაშივე წასაკითხავად;

6. არავითარი სახით და არავის არ მიეცემა ბიბლიოთეკიდან წიგნები შინ წასაღებად.

7. იმ შემთხვევაში თუ საზოგადოება დაიშალა, ეს ბიბლიოთეკა უნდა გადაეცეს სხვა საზოგადოებას უეჭველად მმართველობისაგან დამტკიცებულს, იმ პირობით, რომ საუკუნოდ და სამუდამოდ დარჩეს ქალაქს თბილისში და არასოდეს კერძო პირს არ გადაეცემოდეს.

8. ყოველს გადაცემაზე სხვა საზოგადოებისადმი შეუცვლელად და სამუდამოდ დარჩეს.

9. ბიბლიოთეკის სახალხო გამართვის დღე და საათი იქნება თავის დროზე გამოცხადებული გაზეთებში“.

როგორც ვხედავთ, ბიბლიოთეკის წესდება მეტად ორიგინალურია და მოკლედ დატულია ის პირობები, რომელსაც საზოგადოების ინტერესები მოითხოვდნენ.

ქართულმა პერიოდულმა პრესამ თავის ფურცლებზე აუწყა საზოგადოებას ეს საშვილიშვილო საქმე. გაზეთი „დროება“ აღნიშნავდა, რომ ამ ბიბლიოთეკას დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია თვითეული ადამიანისათვის და განსაკუთრებით ქართული კულტურით დაინტერესებულ პირთათვის. „ყველამ იცის, რომ ქართული ლიტერატურა და ენა ვერ წავა წინ, ვერ განვითარდება, თუ ხახდისხან მაინც გამტკრიანებულს წიგნებში არ ჩავიხედეთ და ჩვენი ძველი ცხოვრების, ჩვენი ძველი ენის ვითარება არ შევიტყუეთ“<sup>4</sup>.

შემდეგ გაზეთი აღნიშნავდა, რომ „კულტურულ ქვეყნებში ბიბლიოთეკებს ისე ინახავენ, როგორც ჩვენში წმინდანების ძვლებს ინახავენ და ძნელად მოსაპოვებელ წიგნში ასსა და ორას თუმნობით აძლევენ“<sup>5</sup>.

კორესპონდენციის ავტორი მიმართავს ქართველ საზოგადოებას, ვისაც კი აქვს ქართული წიგნები და ხელნაწერები, გადასცეს ამ ბიბლიოთეკას. ის განსაკუთრებით ხაზს უსვამს საზოგადოების ბიბლიოთეკის ინსტრუქციის იმ მუხლს, რომელიც წიგნებისა და ხელნაწერების მოვლა-პატრონობას ეხება. „ეხლა წესდების ძალით ბიბლიოთეკიდან წიგნს ველარავინ წაიღებს, ვისაც სურს „წერაკითხვის საზოგადოებისას“ თუ უცხოს, მივა და ბიბლიოთეკაში წაიკითხავს“<sup>6</sup>.

ქართველმა საზოგადოებამ როგორც კი პრესის საშუალებით საზოგადოების მიერ ხელნაწერი და დასტამბული წიგნების ერთ ადგილზე მოგროვების ამბავი გამოაქვეყნა, საზოგადოების წიგნსაცავში მაშინვე შემოსვლა იწყო ქართული კულტურის იშვიათმა კოლექციებმა. დაარსების პირველი დღიდანვე ბიბლიოთეკას თავიანთი ხელნაწერები გადასცეს: დ. ყიფიანმა 8 ხელნაწერი წიგნი, ექ-

<sup>4</sup> «დროება», 1880, № 129.

<sup>5</sup> იქვე.

<sup>6</sup> იქვე.



ვთიმე ხელაძემ 8 თუმნის წიგნები, 620 ეგზემპლარი, ალექსანდრე სარაჯიშვილმა 5 დაბეჭდილი და 18 ხელნაწერი წიგნი: როგორცაა „სახარება“, „ვეფხისტყაოსანი“, ვახტანგისეული დაბეჭდილი „სამოციქულო“, „სახარება“, დაწერილი ქართული ასოებით სპარსულენაზე, „საქართველოს ისტორია“ ვახუშტისა და სხვ. საზოგადოების კრებამ 1880 წლის 27 ნოემბრის გადაწყვეტილებით ექვთ. ხელაძესა და ა. სარაჯიშვილს მადლობა გამოუცხადა და მდივანს დაავალა ამ წიგნების ცალკე კატალოგში შეტანა.

ქართველი ხალხის მოწინავე ადამიანების ნაწილი ცხოვრობდა რუსეთის სხვადასხვა ქალაქებში. მათ ჰქონდათ საუკეთესო ბიბლიოთეკები, რომელთა ფონდში დაცული იყო იშვიათი კოლექციები. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება ყოველ ღოხეს ხმარობდა, რომ მათი კოლექციები საქართველოში მოხვედრილიყო. მაგალითად, საზოგადოებამ რუსული პრესის საშუალებით გაიგო, რომ 1880 წლის 15 სექტემბერს გარდაიცვალა პეტერბურგში მცხოვრები იოანე გრუზინსკი, რომელსაც დარჩენოდა საუკეთესო ბიბლიოთეკა. გაზეთში დახასიათებულია გრუზინსკის ვინაობა, საიდანაც ჩანს, რომ მას შეუდგენია ქართული ლექსიკონი ჩუბინაშვილის ლექსიკონზე ადრე. იგი ყოფილა შემკრები პეტერბურგში ძველი ქართული ხელნაწერებისა და ნივთებისა. მის ბიბლიოთეკაში დაცული იყო ბევრი ხელნაწერი და საბეჭდად გამზადებული წიგნი როგორც საერო, ისე სასულიერო ხასიათისა, რომელიც საქართველოს ისტორიას და კულტურას შეეხებოდა. მის ფონდში დაცული იყო ქართველი მეფეების სურათებიც. საზოგადოების მესვეურნი დიდ იმედს ამყარებდნენ მის მემკვიდრეებზე, „რომ ისინი თავიანთ ბიბლიოთეკას ჩვენს წერა-კითხვის დაარსებულს ბიბლიოთეკას შემოსწირავდნენ და მანამ ზემოხსენებულ ისტორიას მაინც გადმოგვცემდნენ“<sup>7</sup>, მაგრამ ამ იშვიათი ბიბლიოთეკის ჩამოტანა ვერ მოხერხდა საქართველოში. მისი ფონდი 1880 წელს შეისყიდა პეტერბურგის საიმპერატორო საჯარო ბიბლიოთეკამ.

ქართული კულტურული წარსულის გამომზეურებისა და შესწავლის საქმეში დიდი ღვაწლი მიუძღვის ქართული კულტურული კერების არსებობას ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ, როგორცაა, სინას მთა, ათონის ივერიის მონასტერი იერუსალიმში და სხვ. იქ ქართულ ეკლესია-მონასტრებში მოღვაწეობდნენ ადამიანები, რომ-

<sup>7</sup> «დროება», 1880, V, № 219.

ლებიც ეწეოდნენ როგორც მთარგმნელობით მუშაობას, ასევე წერდნენ და ადარებდნენ ერთმანეთს ქართულ და ბერძნულ დაძწერლობით ძეგლებს. ბუნებრივია, რომ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება დიდად იყო დაინტერესებული საზღვარგარეთ არსებულ ეკლესია-მონასტრებში დაცული ქართული კულტურული ძეგლების შესწავლითა და მათი საქართველოში მოხვედრით. სწორედ იმ დროს, როცა საზოგადოებამ თავის კანცელარიასთან ბიბლიოთეკა დააარსა და ქართველი საზოგადოებისათვის ცნობილი გახდა ამ დიდი ეროვნული საქმის წამოწყება, ერთი თვის შემდეგ 1880 წლის მაისის თვეში გაზეთ „დროების“ რედაქციის სახელზე შემოდის ათონის ივერიის მონაზვნის ბენედიქტე ბარკალაიას წერილი სათაურით „წერილი რედაქტორთან“, რომელიც ამავე წლის „დროების“ № 126-ში დაიბეჭდა. წერილის ავტორი მიმოიხილავს ქართული კულტურის კერებს საზღვარგარეთ და მათ მნიშვნელობას ქართველი ერისათვის. იგი განსაკუთრებით ყურადღებას ამახვილებს იერუსალიმის ქართული ჯვრის მონასტრის კედლებზე არსებულ ქართველ მეფეთა და მოწინავე ადამიანთა შესახებ წარწერაზე, „რომელთა შორის არის სურათი შოთა რუსთაველისა“<sup>8</sup>, და ასევე საუკეთესო წიგნსაცავს, მდიდარს ქართულ ხელნაწერებითა და წიგნებითა, „მონასტრის წიგნსაცავი სავსე მრავალგვარი ხელნაწერი პერგამენტის წიგნებითა, ხარტიებითა და გუჯრებითა ეპოვე დროთაგან გაბრწნილ წვიმისა და ნოტიოსაგან არასაკმაოდ დაცულ, რაისა გამოვადმოვიტანე წიგნი იგინი სხვა დიდსა ოთახსა შინა შემწეობითა და ბრძანებითა მონასტრისა მის არქიმანდრიტისა გერასიმესითა (ქართველი გვარად დოგრაშვილი), რომელიც მიიცვალა 1868 წელსა“<sup>9</sup>. შემდეგ აღნიშნულია, რომ მონასტრებს პატრონობენ უცხო ტომები, ბერძნები, რომლებიც სარგებლობენ მონასტრის შემოსავლით და მის მოვლა-პატრონობაზე არც ფიქრობენო. „კედლის წარწერანი იშლებიან ნოტიოსა და წვიმისაგან, გაივლის დრო და ყოველივე წარწერა ჩვენიგან მიგვეფარებიანო“. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობას ყურადღება მიუქცევია ამ წერილისათვის, შემდეგში დიდ ქართველ მეცნიერს ალექსანდრე ცაგარელს, რომელიც სამეცნიერო მივლინებით ყოფილა არაბეთში, პალესტინასა და სირიაში, შეუვლია ათონის ივერიის მონასტერში, სადაც დაუყვია სამი კვირა. ამ ხნის განმავლობაში

<sup>8</sup> გაზ. «დროება», 1880. № 126.

<sup>9</sup> იქვე.



მას ქართული ხელნაწერები და წიგნებიც გაუსინჯავს. „იმ ასრინდელ წიგნის რიცხვში, რომელიც ნახა ბატონმა ცაგარელმა, — წერდა გაზეთი დროება, — აღსანიშნავია: დაბადება, რომელიც დაწერილია მე-10 საუკუნეში, და ხელნაწერი — საქართველოს ისტორია ვახუშტისა. აქ არიან აგრეთვე წიგნები დაბეჭდილნი თბილისში (XVIII ს.) და ქუთაისში (1803 წ.). ის უძველესი და უძვირფასესი წიგნები, რომლებიც მოუვლელობისაგან გაფუჭებულნი არიან და ცალ-ცალკე არიან, არ უჩვენებს მას“<sup>10</sup>. გაზეთი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ალ. ცაგარელის მიერ შეგროვილ ისტორიულ-სამეცნიერო მასალებს, რომელთა რიცხვში ყოფილა შ. რუსთაველის სურათი გადმოღებული იერუსალიმის ქართული ჯვრის მონასტრის კედლიდან, „სადაც რუსთაველი არის გადმოხატული გრძელის წვერით და მდიდრული წითელი ხავერდის ბეწვის სარჩულიან ტანისამოსითა, მუხლ-მოდრეკილი და ხელდაპყრობათ შევედრებული“<sup>11</sup>.

ასე ზრუნავდა საზოგადოების გამგეობა საქართველოს ფარგლებს გარეთ გაფანტული კულტურული ძეგლებისათვის.

საზოგადოების წიგნსაცავში შემოსვლა იწყო არა მარტო წიგნებმა და ხელნაწერებმა, არამედ პერიოდული სახის გამოცემებმაც. ჟურნალ-გაზეთები რომ მკითხველისათვის უფრო მოსახერხებელი, ხელმისაწვდომი და უფრო დაცულიც ყოფილიყო, საზოგადოების გამგეობამ 1880 წლის 12 დეკემბრის სხდომაზე დაადგინა: „ჟურნალ-გაზეთები, რომლებიც კი მთლიანად აღმოჩნდებიან, მთელი წლისა ერთად შეიკვრას“<sup>12</sup>. ამავე კრებაზე ი. მეუნარგიამ დასვა საკითხი გამგეობის წინაშე წიგნების ყდაში ჩასმისა და არსებულ ფონდზე ქართულ და რუსულ ენებზე კატალოგის შედგენის შესახებ.

წიგნსაცავის გამდიდრებისა და ძველი წიგნების მოპოვების მიზნით, 1881 წლის 9 მაისს მოწვეულ იქნა საზოგადოების გამგეობის სხდომა. სხდომაზე ნ. ცხვედაძემ და რ. ერისთავმა გამგეობას წარუდგინეს მოხსენება, რომელაც შემდეგი მუხლებით ფორმულირდებოდა: 1) შედგეს კომისია ბიბლიოთეკისათვის ნაყიდი წიგნებისა და ნივთების უწყებაში მოსაყვანად; 2) წიგნებს გაუკეთდეს

<sup>10</sup> «დროება», 1883, № 175.  
<sup>11</sup> იქვე.  
<sup>12</sup> საქ. სსრ ისტორიული არქივი, ფ. 481, საქ. № 2, ფ. 50.



ყდები და გაიმართოს რიგიანი წიგნსაცავი; 3) მოწვეულ იქნენ ათხროვნი  
 თული ძველი წიგნების მცოდნე პირნი, შემოსწირონ ან ათხროვნი  
 საზოგადოებას რაც მათ იშვიათი წიგნები აქვთ. გამგეობის სხდო-  
 მამ ნ. ცხვედაძეს და რ. ერისთავს დაავალა ბიბლიოთეკის მოწესრი-  
 გება და მითითება მისცა მეტი ყურადღება დაეთმოთ წიგნსაცავის  
 დაკომპლექტებისათვის.

გარდა შემოსწირობისა, ბიბლიოთეკა ზ. ჭიჭინაძისაგან ნა-  
 ხევარ ფასად იძენს 145 მანეთის ქართველი მწერლების სხვადასხვა  
 დასახელების წიგნებსა და ხელნაწერებს საბინინისა და ჩარკვიანი-  
 საგან. მან შეიძინა ი. ჭავჭავაძის „კაცია ადამიანი“ 50 ც. რაოდენო-  
 ზით.

ამ მოკლე დროის განმავლობაში საზოგადოების წიგნსაცავში  
 200-ზე მეტი სტამბური და ორი ამდენი ხელნაწერი წიგნი დაგროვ-  
 და. თანდათან გააძლიერა გამგეობამ ზრუნვა ამ მიმართულებით,  
 თუ 1882 წლამდე წიგნსაცავის მოწესრიგებისათვის 350 მანეთი და-  
 იხარჯა, ერთი წლისთავზე მან 900 მანეთს გადააჭარბა.

წიგნსაცავი პოპულარული გახდა ქართველ საზოგადოებაში,  
 რაზეც შემდეგი ფაქტები ლაპარაკობს: 1883 წელს საზოგადოების  
 გამგეობას თხოვნით მიმართავენ ცნობილი ქართველი მწერლები,  
 მეცნიერები და ცალკეული პიროვნებები, რომ მათ ათხროვნი სა-  
 ზოგადოების წიგნსაცავიდან ცალკეული დასახელების წიგნები და  
 ხელნაწერები. მაგალითად, თ. ჟორდანიას, ნ. ხიზანიშვილს და ნ.  
 ყიფიანს გამგეობაში შეაქვთ წერილობითი თხოვნა ხელნაწერებსა  
 და წიგნებზე და ამასთან ვალდებულებას იღებენ „თავის დროზე,  
 პირველ მოთხოვნილებისთანავე უკან დავაბრუნოთ“<sup>13</sup>. გამგეობა  
 მთხოვნელებს აკმაყოფილებდა.

მაგრამ შემოღებული იყო წიგნსაცავში მკაცრი დისციპლინა  
 წიგნებისა და ხელნაწერების სარგებლობისათვის, რაზედაც თვით  
 წიგნსაცავის ინსტრუქცია მიუთითებს.

წიგნსაცავის გაზრდასთან დაკავშირებით, საზოგადოების ძლი-  
 ვანი ველარ უძღვებოდა კანცელარიის და ბიბლიოთეკის საქმეებს.  
 ამიტომ ი. გოგებაშვილმა და რ. ერისთავმა გამგეობას მოსთხოვეს —  
 შექმნილიყო კომისია კანცელარიის წესრიგში მოსაყვანად და განა-  
 წილებულიყო ამ კომისიის წევრებს შორის შრომითი ფუნქციები.  
 1881 წლის 12 ნოემბერს საზოგადოების გამგეობის კრებამ გამგე-  
 ობის წევრებს შორის შრომა შემდეგნაირად გაანაწილა: სახელ-

<sup>13</sup> საქ. სსრ ისტორიული არქივი, ფ. 481, საქ. № 38, ფ. 28.





მძღვანელობის გასინჯვა მიანდო ნ. ცხვედაძეს, მასწავლებლებს მოწვევა — ი. გოგებაშვილს, ი. მაჩაბელს და ნ. ცხვედაძეს, საბიბლიოთეკო საქმე კვლავ — ი. მეუნარგიას, საზოგადოების სახსრებზე ზრუნვა — ი. ჭავჭავაძეს და გ. თუმანიშვილს<sup>14</sup>.

1883 წელს საზოგადოების წიგნსაცავს ემატება შემოწირულობის სახით ალექსი მესხიშვილისაგან 55 ძველი ხელნაწერი, რომლებიც საუკეთესო მასალებს შეიცავდა საქართველოს ისტორიის მკვლევართათვის. მაგალითად, „სიკვდილი დიდი მოურავის საკაძისა“, „აღწერა წამება ქეთევან დედოფლისა“ და სხვ., ხოლო 1884 წელს ალექსი გულისაშვილისაგან საზოგადოების წიგნსაცავს 16 ხელნაწერი წიგნი შემოუვიდა.

ყველაზე ძვირფასი საჩუქარი 1885 წელს საზოგადოების წიგნსაცავს უძღვნა ნ. დადიანმა (მინგრელსკიმ). ნ. დადიანს ქ. შ. წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისადმი თავისი ბიბლიოთეკის შემოწირვის სურვილი წერილობით გაუქმლავნებია ვასილ მაჩაბლისადმი. წერილში ნ. დადიანი აღნიშნავს, რომ მას დიდი ხანია განზრახული ჰქონდა თავისი ბიბლიოთეკა, რომელიც საქართველოს ისტორიასა და გეოგრაფიას შეეხებოდა, გადაეცა წერაკითხვის საზოგადოების გამგეობისათვის, მაგრამ სხვადასხვა მიზეზების გამო სურვილი განუხორციელებელი დარჩა: „ახლა გთხოვთ, ჩემს ძაგიერ გარდასცეთ მმართველობას ზემოხსენებულის საზოგადოებისას, რომ მე მოვახდინე განკარგულება, მთელი ჩემი ბიბლიოთეკა თავაღმა კონსტანტინე ნიჟარაძემ ჩაიტანოს ქ. თბილისში „დროების“ რედაქტორთან, სადაც საზოგადოებისაგან ამორჩეულ პირთ შეუძლიან ჩაიბარონ ისეთი წიგნები, რომელთაც ისინი დაინახვენ საჭიროდ და სასარგებლოდ“<sup>15</sup>.

აღნიშნულ პერიოდში ნ. დადიანი პეტერბურგში ცხოვრობდა და თავისი ბიბლიოთეკის ნაწილი დატოვებული ჰქონდა ზუგდიდის მაზრაში, ს. გორდში. ზემოთ მოხსენებული წერილიდან ირკვევა, რომ ნ. დადიანის წიგნსაცავის კატალოგი რამდენიმე წლით ადრე „მეგრელის მინდობილობით შეუდგენია აკ. წერეთელს“<sup>16</sup>. საარქივო მასალებიდან ეს განცხადება გაზეთისა არ ჩანს, რაც შეეხება იმას, რომ ნ. დადიანის ბიბლიოთეკას მართლაც ჰქონდა კატალოგი

<sup>14</sup> დასახელებული ფონდი, საქ. № 45, ფ. 98—99.  
<sup>15</sup> „დროება“, 1885, № 60.  
<sup>16</sup> ი ქ ვ ე.

შედგენილი, ეს ირკვევა ბიბლიოთეკის მიღება-გადაბარების  
შედგენილ ოქმში, რომელიც ი. ჭავჭავაძემ ჩაიბარა.

გორდიდან დადიანისეული ბიბლიოთეკის ჩამოტანა იძღვნად  
ღირსეულ საქმედ იქნა მიჩნეული, რომ ეს საქმე თვით ი. ჭავჭავა-  
ძეს უკისრია და თვითონ გამგზავრებულა ვ. მაჩაბელთან. ი. მეუნარ-  
გისა და გ. ყიფშიძესთან ერთად.

1885 წლის 3 აპრილს აღნიშნულმა კომისიამ წიგნები ჩაიბარა  
და თბილისში ჩამოიტანა. სათანადო აქტში ვკითხულობთ: „ასსა-  
მოცდაცხრა (169) წიგნი ხელნაწერი და 10 ნაბეჭდი ჩავიბარეთ თ.  
კონსტანტინე ნიჟარაძისაგან 3 აპრილს 1885 წელსა ს. გორდში“<sup>17</sup>.  
16 აპრილს საზოგადოების საბიბლიოთეკო კომისიამ ჩამოტანილი  
ბიბლიოთეკა საქმის მწარმოებელს ჩააბარა, რომელიც ცალკე უხდა  
მოთავსებულები და წიგნებზე კი კატალოგი შედგენილიყო. საზო-  
გადოების გამგებამ თავისი პატივისცემა განათლებულ ადამიანი-  
სადმი იმით გამოხატა, რომ მას გაეგზავნა მადლობის წერილი, მისი  
სურათი ჩამოკიდებულ იქნა საზოგადოების კანცელარიაში, თვი-  
თონ კი არჩეულ იქნა საზოგადოების საპატიო წევრად.

H 181-609

ქართული პრესა არც აქ დარჩენილა ვალში. იგი სიხარულით  
აუწყებდა ქართველ საზოგადოებას მთავრის ამ საშვილიშვილო  
საქმეს, რომელსაც „მეფური შემოწირულობა“ უწოდა, ხოლო დიდ-  
მა ქართველმა ისტორიკოსმა და არქეოლოგმა დ. ბაქრაძემ ვრცელი  
სტატია მოათავსა გაზ. „დროებაში“ და ზოგიერთი საყურადღებო  
ნაშრომიც დაასახელა, როგორცაა: „ოთხთავი“, მე-10, მე-11 სა-  
უკუნის ტყავზე ნაწერი მანუსკრიპტები, „ქართლის ცხოვრება“,  
ახალი დამატებებით, „ვისრამიანი“, „ამირანდარეჯანიანი“ და სხვ.  
იქვე დასძენს დ. ბაქრაძე, რომ „ნ. დადიანის უწინდელი წიგნსაცა-  
ვის კატალოგი მომეტებულ ნომრებს უჩვენებსო“. სამწუხაროა,  
რომ აღნიშნული კატალოგი ჩვენ ხელთ არ მოხვდა. საინტერესო  
იქნებოდა გავცნობოდით არა მარტო ბიბლიოთეკის ფონდის მთლიან  
შემადგენლობას, ასევე თვით კატალოგის ნუსხას, ანდა მეცნიერება-  
თა კლასიფიკაციის რომელი სქემა გამოიყენა დიდმა მეცნიერმა კა-  
ტალოგის შედგენის დროს.

ამავე პერიოდში საზოგადოების წიგნსაცავს 9 ხელნაწერი  
წიგნი შემოსწირა ი. ჭავჭავაძემ, გრ. გურიელმა — 1000 ცალი „ქი-  
ლილა და დამანა“ იმ პირობით, რომ გაყიდული წიგნების ფასი მოხ-

17. საქ. სსრ ისტორიული არქივი, ფ. 481, საქ. № 66, ფ. 35—40.

ქ. შარტისის საზ. სამ-  
სსრ სახელმწიფო  
რესპუბლიკური  
ბ ი ბ ლ ი თ ე მ ა



მარებოდა წიგნების ბეჭდვასა და გამოცემას. გარდა ამისა, ნაბიჯები გადაიდგა კერძო გამომცემლობათანაც, რომლებიც გამოცემული წიგნების 2-2 ეგზემპლარებს უგზავნიდნენ საზოგადოების წიგნსაცავს.

საზოგადოებიდან და ცალკეული პიროვნებების მიერ შემოწირული წიგნებითა და ხელნაწერებით, ასევე ნ. დადიანის ბიბლიოთეკის გადმოტანით გამდიდრდა წიგნსაცავი. საჭირო იყო წიგნსაცავში არსებულ ფონზე შემდგარიყო მეცნიერულ პრინციპებზე დაყრდნობული კატალოგი. კატალოგის შედგენით, ჯერ ერთი, საზოგადოება წესრიგში მოიყვანდა არსებულ ფონდს, მეორე, საზოგადოების წევრებს და მკვლევარებს უფრო ნათელი წარმოდგენა ექნებოდათ წიგნსაცავში არსებულ იშვიათ გამოცემებზე.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კატალოგის შედგენის საკითხი გამგეობის წინაშე დასმულ იქნა ჯერ კიდევ 1881 წელს. ხოლო ეს საკითხი უფრო მწვავედ დააყენა ა. ჭყონიამ 1885 წლის 8 ოქტომბერს, სადაც ის წინადადებას აძლევდა გამგეობას, უშუალოდ შესდგომოდნენ კატალოგის შედგენას.

1883—1884 წლებში საზოგადოების წიგნსაცავის კატალოგი შეადგინა დ. ბაქრაძემ, ხოლო ამ კატალოგის გამოცემა იკისრა იოსებ მელიქიშვილმა<sup>18</sup>.

ა. ჭყონიას მოხსენების გამო წიგნსაცავის კატალოგის შედგენა საზოგადოების საერთო კრებამ დაავალა შემდეგ წევრებს: დ. ბაქრაძეს, თ. ჟორდანიას, პ. უმიკაშვილს და ნ. მთვარელიშვილს<sup>19</sup>.

სხვადასხვა ხელშემშლელი პირობების შედეგად კატალოგის შედგენა გაჭიანურდა. კომისიის წევრების სამსახურეობრივი მდგომარეობის გამო საზოგადოების გადაწყვეტილებით კატალოგის შედგენა დაევალა საზოგადოების საქმის მწარმოებელს ნ. მთვარელიშვილს. ნ. მთვარელიშვილი გულმოდგინებით შეუდგა მასზე დაკისრებული მოვალეობის შესრულებას. მას გადაუთვალისწინებია მის ხელთარსებული კატალოგები და 1887 წლისათვის უკვე შედგენილი ჰქონდა მოკლე სამეცნიერო კატალოგი საზოგადოების წევრებისათვის.

1887 წლის 17 მარტს ნ. მთვარელიშვილმა მოახსენა გამგეობის კრებას წიგნსაცავის კატალოგის მზადყოფნა და თუ საჭირო იქნებოდა, გაელო ფული მისი დაბეჭდვისათვის. კატალოგის რედაქტირება

<sup>18</sup> საქ. სსრ ისტორიული არქივი, ფ. 481. საქ. № 26 ფ. 33—43.

<sup>19</sup> იგივე ფონდი, საქ. № 4, ფ. 34.

დაევალა ალ. მირიანაშვილს<sup>20</sup>. იმავე წლის აპრილში კატალოგი დაიბეჭდა 600 ცალად და დაურიგდა საზოგადოების იმ წევრებს, რომლებიც საწევრო გადასახადს დროულად იხდიდნენ.

უქრნალმა „მწყემსმა“ ვრცელი სტატია მიუძღვნა წიგნსაცავის კატალოგის გამოსვლას და დაწვრილებით განიხილა. იგი წერდა: „საზოგადოების წიგნსაცავი დღეს რიგშია მოყვანილი და შედგენილია ვრცელი კატალოგი, რომელიც უკვე დაიბეჭდა კიდევ. კატალოგში ყველა წიგნია მოხსენებული, რაც ქართულ ენაზედ არის წიგნსაცავში. დიდი მადლობის ღირსია საზოგადოების მდივანი ბ-ნი მთვარელიშვილი, რომელსაც უკისრია და აუსრულებია კიდევ ეს არასაადვილო საქმე“<sup>21</sup>.

6. მთვარელიშვილის კატალოგში მოთავსებულია წიგნები და ხელნაწერები, რაც კი ქართულ ენაზე შემოსულა საზოგადოების წიგნსაცავში 1887 წლის მაისამდე. იგი შეიცავს 939 ბეჭდურ და 395 ხელნაწერი წიგნების აღწერილობას, რომელიც 7 განყოფილებისაგან შედგება:

1. ლეთისმეტყველება, ქადაგებანი, ლოცვანი.
2. ფილოსოფია, პოლიტიკური მეცნიერება, კანონმდებლობა, პუბლიცისტიკა.
3. ბუნებისმეცნიერება, ექიმობა, სასოფლო მეურნეობა, ტექნოლოგია, მათემატიკა, ხუროთმოძღვრება, ნაოსნობა.
4. გეოგრაფია, ისტორია წმინდანთა ცხოვრება, საეკლესიო ისტორია, სტატისტიკა ბიოგრაფია: ნუმისმატიკა, არქეოლოგია, აღწერა წმინდა ადგილთა.
5. სიტყვაკაზმული ლიტერატურა, პოეზია, ბიბლიოგრაფია, კრიტიკა, მჭერმეტყველება, სახალხო გამოცემა.
6. პედაგოგია, საყმაწვილო წიგნები, გრამატიკა, ლექსიკონები, ნარევი.

7. პერიოდული გამოცემანი.

მიუხედავად იმისა, რომ კატალოგის აღწერილობა თავისებურია, იგი მაინც მნიშვნელოვანი მოვლენა იყო მაშინდელი ქართული კატალოგრაფიის ისტორიაში. ნ. მთვარელიშვილს ერთად აქვს აღწერილი ხელნაწერი და ნაბეჭდი წიგნები, რომლებიც განყოფილების მიხედვით განლაგებულია ანბანური წესით. წიგნები ძირითადად

<sup>20</sup> საქ. სსრ ისტორიული არქივი, 3481, საქ. № 66, ფ. 164.

<sup>21</sup> მწყემსი, 1887, № 19, გვ. 6—7.

აღწერილია ავტორის გვარის მიხედვით. აღწერილობას აკლია გამოცემლობის, სტამბისა და კოლაციის მითითება.

ფსევდონიმით ცნობილი ავტორი აღწერილი აქვს ფსევდონიმის გვარის მიხედვით, ხოლო იქვე ფრჩხილებში აღნიშნულია გვარი. პირველი ცდა ფსევდონიმებისა და კრიპტონიმების გახსნისა მის აღწერილობაში ნ. მთვარელიშვილის მიერ წინ გადადგმული ნაბიჯია.

მნიშვნელოვანია აგრეთვე აღწერილობის დროს მთარგმნელის დასახელება ავტორის ნაცვლად.

ნ. მთვარელიშვილის კატალოგში დაცულია აღწერილობის ძირითადი ელემენტების შემდეგი თანმიმდევრობა: ავტორი, სათაური, ქვესათაური და ბეჭდილობის ცნობები, ზოგჯერ მითითებული აქვს თუ ვინაა ამა თუ იმ წიგნის მთარგმნელი.

ნ. მთვარელიშვილმა პირველმა მოგვცა ქართული კატალოგრაფიის ისტორიაში ავტორიანი და უავტორო წიგნის აღწერის შემთხვევები.

ნ. მთვარელიშვილმა აღწერა ასევე ხელნაწერი წიგნებიც, ხელნაწერების აღწერის დროს მან მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია — აღწერილობის დროს ისეთი ელემენტები შემოიტანა, როგორც წიგნების აღწერის დროს. ასევე საყურადღებოა აღწერილობის განლაგება მეცნიერებათა კლასიფიკაციის მიხედვით.

ნ. მთვარელიშვილის კატალოგს აქვს ნაკლოვანი მხარეებიც: პირველი, ის რაც მკითხველს თვალში ეცემა, კატალოგში შეტანილია ისეთი წიგნები და ხელნაწერები, რომელიც საზოგადოების წიგნად ფონდს არ გააჩნდა, ეს კი კატალოგის ხარვეზად შეიძლება ჩაითვალოს; მეორე, ერთმანეთისაგან არ არის გამოყოფილი როგორც ხელნაწერი, ისე ნაბეჭდი წიგნები, თუმცა თავისებური ნიშანი გააჩნია ხუცურ ხელნაწერს (ვარსკვლავის მსგავსი ნიშანი); ხოლო მხედრული ხელნაწერი უნიშნოდაა.

კატალოგი მაინც აღწერილობის მხრივ ინტერესს მოკლებული არ არის, რადგან მასში, გარდა ბიბლიოგრაფიული აღწერილობისა, არის თითოეული წიგნის საინვენტარო ნომერი და იმ კარადის ნომერი, რომელშიაც ესა თუ ის ხელნაწერი იყო დაცული.

ნ. მთვარელიშვილის მიერ შედგენილმა მეცნიერულმა კატალოგმა მნიშვნელოვანი სამსახური გაუწია არა მარტო საზოგადოების წევრებს, არამედ ბევრ მეცნიერს, მკვლევარს, რომლებიც საქართველოს ისტორიისა და კულტურის საკითხებით იყვნენ დაინ-

ტერესებულნი, და უფრო ახლოს გაეცნენ საზოგადოების წევრებს.

როგორც აღნიშნეთ, საზოგადოების ბიბლიოთეკის წესრიგში მოყვანისა და სხვა არქეოლოგიური და მატერიალური ძეგლების მოვლა-დაცვის მიზნით საზოგადოების გამგეობამ შექმნა საბიბლიოთეკო კომისია. 1889 წლის 24 იანვარს დიდი ქართველი არქეოლოგი და ქართული ისტორიის მკვლევარი ექ. თაყაიშვილი საბიბლიოთეკო კომისიის უკეთ მუშაობის გაშლის მიზნით საზოგადოების გამგეობის სხდომაზე გამოდის მოხსენებით, რომელიც წიგნსაცავის დაკომპლექტება-დამუშავებას, კატალოგიზაციისა და ბინის საკითხს შეეხება. მოხსენება ძირითადად 17 მუხლისაგან შედგება და ვინაიდან იგი მეტად ორიგინალურია და ცხოველმყოფელი, ამიტომ მკითხველისათვის ინტერესმოკლებული არ იქნება მთლიანად მოვიყვანოთ იგი.

„1. თვით მოვიპოვოთ სახლი ბიბლიოთეკისათვის, მივიღოთ ზომა, რომ მთელი ბიბლიოთეკა კი არა საუკეთესო წიგნები და ხელნაწერები მაინც უშიშარ ადგილას იყოს ცეცხლისაგან.

2. გადავღოთ ბიბლიოთეკისათვის რამდენიმე პროცენტი მთელი ჩვენი წლების შემოსავლისა, ან ერთხელ გადაწყვეტილი თანხა დაინიშნოს ბიბლიოთეკისათვის მოსახმარად.

3. შედგეს კომისია გამგეობის რამდენიმე წევრი მცოდნე კერძო პირისაგან, რომელმაც უნდა მიიღოს თავის თავზე თითქმის მთელი ბიბლიოთეკის საქმე და გამოიმუშაოს პროგრამა თავისი შოქმედებისა.

ა) ნება ჰქონდეს ამ კომისიას საზოგადოების სახელით მიმართოს პირთ, რომელსაც რაიმე ახალი ხელნაწერები აღმოუჩნდება და სთხოვს მას ამ წიგნების უფასოდ შემოწირვა ჩვენი ბიბლიოთეკისათვის. თუ რომელიმე ხელნაწერის უფასოდ შემოწირვა შეუძლებელი იქნება, კომისიამ მიიღოს ზომა მის სასყიდლად ან კოპიოს გადმოსაღებად;

ბ) კომისიას მიენდოს ვრცელი სამეცნიერო კატალოგის შედგენა ჩვენი ბიბლიოთეკისა;

გ) კომისიამ მიიღოს თავის თავზე წიგნების სისტემატიური დაწყობა და სხვა ამგვარი შრომა, რომელიც საჭირო იქნება ბიბლიოთეკისათვის;

დ) კომისია ეცადოს ფულის შეკრებას და შეადგინოს ცალკე საბიბლიოთეკო კომისია;

ე) როდესაც კომისია საშუალებებს მოიპოვებს, შეუდგენს უკეთესო მარაგის გამოცემას;

ვ) საზოგადოდ ამ კომისიას ჰქონდეს ხასიათი პატარა საისტორიო და საარქეოლოგიო საზოგადოებისა, რომელმაც შეიძლება ბოლოს თავისი ყურნალიც დააარსოს;

ზ) კომისიამ აძლიოს ანგარიში ყველაფერში ჩვენს საზოგადოებას;

თ) კომისია იყოს შემდგარი თავმჯდომარისა, მისი ამხანაგისა და რომელიმე წევრისაგან.

4. შემოღებულ იქნეს ბიბლიოთეკაში ე. წ. ოქროს დაფა, რომელზედაც უნდა დაიწეროს სახელი, გვარი იმ პირთა, რომელნიც დიდ სარგებლობას მოუტანენ ბიბლიოთეკას თავისი შემოწირულობით (ფული თუ წიგნები) ან ზნეობრივი დახმარებით.

5. შემოღებულ იქნეს დიდი დავთარი ლამაზი ყლით, სადაც ჩაიწეროს სახელი და გვარი ყველა მცირე შემოწირულებისა და დაწვრილებითი ცნობები შემოწირვის თაობაზე, თუ რა შემოიწირა და როდის.

6. ამასთანავე დაინიშნოს — გასამრჯელო წიგნების ყდის გასაკეთებლად და ავეჯის შესაძენად ბიბლიოთეკისათვის.

7. აეკრძალოს ხელნაწერების სარგებლობა-ხმარება, გარდა გამგობისა და კომისიის წევრებისა, მანამ ხელნაწერები არ დაიწყობა, არ შეიკვრება და ერთ ცალად არ აღიწერება.

8. მოვაცილოთ ბიბლიოთეკას სამკითხველო ან მთლად გავაუქმეთ; სასურველია წიგნის მალაზია გაცილებულ იქნეს ბიბლიოთეკისაგან.

9. მიღებულ იქნეს ზომა, რომ გარდა ხელნაწერი წიგნებისა, შეგროვილ იქნეს გუჯრები, სიგელები და სამართლის წიგნები, ისტორიული, იურიდიული აქციები და სხვ.

10. ვეცადოთ შეძლებისდაგვარად შევიძინოთ პალეოგრაფიული კოპიოები ყველა შესანიშნავი ქართული ხელნაწერებისა, რომელიც მოიპოვებიან საქართველოში ან უცხოეთში.

11. შევკრიბოთ უცხო ენებზე დაბეჭდილი ყველა წიგნი, რომელთა შინაარსი შეეხება კავკასიასა და კერძოდ საქართველოს.

12. შევიძინოთ ხელნაწერების კატალოგური და სრული აღწერილობანი, რომლებიც გაფანტულ არიან რუსეთისა და უცხოეთის სხვადასხვა ბიბლიოთეკებში.

13. ვეცადოთ, რომ შეგროვილ იქნეს სრული კოლექცია ქართული ნუმიზმატიკისა.

14. ვეცადოთ, რომ ყოველგვარი საარქეოლოგო ნივთები  
როვდეს.

15. მოვიპოვოთ ფოტოგრაფიული სურათები ძველი ეკლესიებისა, შენობებისა და აგრეთვე მათი გეგმები.

16. მივიღოთ ახლავე ზომები, რომ ჩუბინოვის ბიბლიოთეკა შევიძინოთ.

17. გამოვიწეროთ ჟურნალები, რომლებიც აღმოსავლეთის გამოსაკვლევად არის დაარსებული და შევიძინოთ ჟურნალ აზიატიკის ყველა ნომერი“.

საზოგადოების გამგეობის კრებამ ექ. თაყაიშვილის მოხსენება მიიღო სახელმძღვანელოდ და ბიბლიოთეკის დღის წესრიგში მოსაყვანად. აირჩია კომისია დ. ბაქრაძის, ექ. თაყაიშვილის, თ. ჟორდანიას, მ. მთვარელიშვილისა და ი. მანსვეტაშვილის<sup>22</sup> შემადგენლობით, რომლებსაც მიენდოთ ბიბლიოთეკის მართვა-გამგებლობა.

კომისიამ განსაკუთრებული ყურადღებით მოჰკიდა ხელი ძეცნიერული კატალოგის შედგენას, რომელიც ითავა ექ. თაყაიშვილმა. ვიდრე ექ. თაყაიშვილის კატალოგის განხილვაზე გადავიდოდეთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ პერიოდში გაზეთ ივერიის ფურცლებზე დაიბეჭდა სტატია „როგორი უნდა იყოს სამეცნიერო კატალოგი“, რომლის ავტორია თ. ჟორდანიას. ამ სტატიაში ავტორი ხაზს უსვამს გამგეობის წინადადებულ ნაბიჯს წიგნსაცავის სამეცნიერო კატალოგის შედგენის საქმეში და აღნიშნავს ხელნაწერების განსაკუთრებულ მნიშვნელობას. „არსებობს ხელნაწერების სხვადასხვა ვარიანტები — წერს იგი — რომ ისინი ისტორიის საუკეთესო ფურცლებს შეიცავს, ამიტომ ყველა ფურცლები თავისი პაგინაციით, სანტიმეტრებით ზუსტად უნდა იყოს აღწერილი“<sup>23</sup>. ავტორი ხაზს უსვამს, რომ ჯერ უნდა გადათვალიერებულ და შესწავლილ იქნეს სამეცნიერო კატალოგები ისე, რომ აღნიშნულ კატალოგში მოთავსებული ხელნაწერების ყურადღება უნდა მიიპყროს ევროპელი მეცნიერისა და მკვლევარის თვალი, ამიტომ მარტო ერთ ადაქიანს (ექ. თაყაიშვილს) არ შეუძლია ეს შრომატევადი საქმე რამდენიმე თვეში დაასრულოს.

ექ. თაყაიშვილმა ხელი მოჰკიდა წიგნებისა და ხელნაწერების აღწერას და საზოგადოების გამგეობის კრებას წარუდგინა 300 აღ-

<sup>22</sup> საქ. სსრ ისტ. არქივი, ფ. 481, საქ. № 66, ფ. 262—263.

<sup>23</sup> „ივერია“, 1891, 9/IV, № 120.



წერილი წიგნისა და ხელნაწერის ნიმუშები, ხოლო 1891 წლის  
27 თებერვალს შედგენილი კატალოგის გეგმა. გამგეობის სხდომამ  
მოიწონა და კატალოგის დაბეჭდვისათვის გამოჰყო 1200 მანეთი,  
ხოლო თვით ავტორი გაწეული შრომისათვის დასაჯილდოებლად  
წარადგინა, მაგრამ ექ. თაყაიშვილმა ჯილდოზე უარი განაცხადა და  
გამოცემული კატალოგის 30 ეგზემპლარით დაკმაყოფილდა.

დაბეჭდილი კატალოგის გამოსვლასთან დაკავშირებით ექ. თა-  
ყაიშვილი აღნიშნავდა: „მე გადავსინჯე ყველა კატალოგი, რომელ-  
ზედაც ხელი მიმიწვდებოდა, დავეკითხე სხვებს, მცოდნე პირებს  
და მეცნიერებს, რომელთაც აღუწერიათ და განზრახვა აქვთ აღწე-  
რონ სხვა ქალაქებში გაბნეული ხელნაწერები“<sup>24</sup>. ავტორი ხაზს უს-  
ვამდა ხელნაწერის აღწერის როგორც გარეგან, ისე მის შინაგან  
მხარეს — „უთარილო ხელნაწერების განმარტებას მცოდნე კაცი  
უნდაო“ — წერდა იგი.

ექ. თაყაიშვილის მიერ შედგენილი სამეცნიერო კატალოგი შემ-  
დეგი განყოფილებებისაგან შედგებოდა:

1. ღვთისმეტყველება, საეკლესიო და სასულიერო წიგნები,  
წმინდანთა ცხოვრებანი, ბიოგრაფიები, კრებულები.
2. ფილოსოფია.
3. პოლიტიკური მეცნიერება და კანონმდებლობა.
4. გეოგრაფია, ეთნოგრაფია, მოგზაურობანი და აღწერილობა-  
ნი სხვადასხვა ადგილისა.
5. ისტორია, არქეოლოგია, მითოლოგია და ცრურწმენები.
6. ბუნებისმეტყველებანი, მათემატიკა, ასტრონომია, მედიცინა.
7. ენათმეცნიერება.
8. ბელეტრისტიკა<sup>25</sup>.

ასეთია მოკლედ ექ. თაყაიშვილის მიერ შედგენილი კატალო-  
გის მეცნიერული ქარგა.

საზოგადოების გამგეობის ყურადღება მიპყრობილი იყო დ.  
ჩუბინაშვილის ბიბლიოთეკისადმი, რომლის ირგვლივ სპეციალური  
სჯა-ბაასი გაიმართა. საზოგადოების კრებაზე გამგეობა ცდილობდა  
და ყოველ ღონეს ხმარობდა, რაც შეიძლება მალე მოხვედრილიყო  
მისი წიგნსაცავი საქართველოში.

გამოჩენილ ქართველ მეცნიერს, პეტერბურგის უნივერსიტე-  
ტის პროფესორს დავით ჩუბინაშვილს დარჩა მდიდარი ბიბლიოთე-

<sup>24</sup> „ივერია“, 1891, 27 ივლისი, № 134.

<sup>25</sup> საქ. სსრ ისტორიული არქივი, ფ. 481, საქ. № 441, ფ. 38—42.

კა, ქართველი ერის ისტორიისათვის მნიშვნელოვანი ხელნაწერები და საბუთები. მისი მემკვიდრეობის ღირებულება დიდი იყო არა მარტო მეცნიერული, არამედ მატერიალური თვალსაზრისითაც. დავითის მემკვიდრეებს არ უზრუნიათ, რომ ეს ფასეულობანი საქართველოში ჩამოეტანათ. შეიქმნა საშიშროება, რომ ჩუბინაშვილის მემკვიდრეობა გადავიდოდა დაინტერესებული პირების ხელში, ამით შეშფოთებულა საზოგადოების გამგეობა და მისი ხელმძღვანელი ი. ჭავჭავაძე, რომლის შრომამ და ნებისყოფამ გადაარჩინა ჩუბინაშვილის მემკვიდრეობის საგრძნობი ნაწილი.

მკითხველისათვის ინტერესმოკლებული არ იქნება მოკლედ განვიხილოთ ი. ჭავჭავაძის წერილები მიწერილი ა. ხახანაშვილისადმი, რომელიც პროფ. დ. ჩუბინაშვილის ბიბლიოთეკის მოვლისა და დაცვის საკითხებს შეეხება.

ა. ხახანაშვილისადმი მიწერილი პირველი წერილი დათარიღებულია 1891 წლის 17 ოქტომბრით. „მოწყალეო ხელმწიფევ! გაგეგონებათ, რომ ჩუბინაშვილის მემკვიდრეებმა მამის ბიბლიოთეკა წერა-კითხვის საზოგადოებას შემოსწირეს, მაგრამ სრულებით კი არა, არამედ მარტო ის წიგნები, რომელიც ან ქართულად არის დაწერილი, ან საქართველოს შეეხება. დანარჩენი წიგნები მათ თავიანთთვის დაიტოვეს. ამიტომ იმათ მთხოვეს შემდგარიყო მთელი ბიბლიოთეკის კატალოგი, რომ დაენახათ რომელი წიგნი იყო დასატოვებელი და რომელი საზოგადოებისათვის შემოსაწირავი. პროფესორმა ცავარელმა კიდევ იკისრა ამ კატალოგის შედგენა, მაგრამ იმას მალე საზღვრის იქით მოუხდა წასვლა და კატალოგის შესადგენად ერთი სტუდენტი ბ. ქართველიშვილი დაასახელა. ამ საგანზე ქართველიშვილს კიდევ ჰქონდა ერთხელ მოლაპარაკება ილია ჭავჭავაძესთან პეტერბურგში ყოფნის დროს, აღუთქვა კიდევ კატალოგის შედგენა, მაგრამ ის იყო და ის, მას აქეთ ქართველიშვილი არც ჭავჭავაძესთან გამოცხადებულა და არც ჩუბინაშვილის სახლში მისულა. ეტყობა იმან არ ინდომა რაიმე მიზეზით ამ საქმის გაკეთება, ამნაირად ჩუბინაშვილის ბიბლიოთეკა ჯერ კიდევ განსვენებულის მეუღლესთან არის და თუ კატალოგი არ შესდგა, ჩვენს საზოგადოებას წიგნებს არ დაანებებენ. საჭიროა, რაც შეიძლება ადრე ჩაიბაროს საზოგადოებამ ჩუბინაშვილის წიგნები, რადგან საფიქრებელია, რომ არ დაგვეკარგოს. ვინ იცის, იმისთანა ძვირფას წიგნებს მუშტრები არ გამოუჩნდნენ და არ დაახარბონ მემკვიდრეები, რომლებიც ჩვენს საზოგადოებას სიტყვიერად დაპირდნენ წიგნების ჩუ-

ქებას. ამიტომ უნდა მივაშუროთ და რაც შეიძლება მალე დავერსტრონოთ. რაკი ეს კატალოგის შეუდგენლად შეუძლებელია, ამიტომ საზოგადოების გამგეობა მოგმართავს თქვენ, რომლის გულშემატკივრობა წერა-კითხვის საზოგადოებისა და ყოველის საქართველოს სიკეთისადმი მან კარგად იცის და გთხოვს, ინებოთ და თქვენს თავზე მიიღოთ შრომა ამ კატალოგის შედგენისა. თქვენ როგორც პროფესორს შეგიძლიათ ყოველთვის დრო ჩაიგდოთ ხელთ და მაშასადამე ახლავე წაბრძანდეთ პეტერბურგს და შეუდგეთ კატალოგის შედგენას. ჩვენი საზოგადოება მოგართმევს მისვლა-მოსვლის, პეტერბურგში ყოფნისა და შრომის ხარჯს, როგორც კი შეთანხმდებით, გამგეობას იმედი აქვს, რომ თქვენც ყურადღებაში მიიღებთ გარემოებას, რომელიც გვაიძულებს საქმის დაშურებას და რამდენადაც შესაძლებელი იქნება, მალე შევეუდგებით კატალოგის შედგენას, გამგეობაც დაამზადებს ინსტრუქციას და მოგვივა თუ არა თქვენი პასუხი, მაშინვე გაახლებთ მას“.

ეს წერილი ა. ხახანაშვილს მოსკოვში გაეგზავნა. როგორც ცნობილია, იგი ლაზარევის ინსტიტუტისა და მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორი იყო გარდაცვალებამდე (1912 წ.) მოსკოვში ცხოვრობდა. ა. ხახანაშვილის პასუხი, გამოგზავნილი ი. ჭავჭავაძის სახელზე, იმავე წლის 31 ოქტომბრითაა დათარიღებული.

„თუმცა პეტერბურგში ცხოვრება აკრძალული მაქვს ექიმებისაგან, მაგრამ მე მზად ვახლავართ წავიდე დავით ჩუბინაშვილის ბიბლიოთეკის კატალოგის შესადგენად, თუ პროფ. ცაგარელს და სხვებს საწყენად არ დარჩებათ. 15 დეკემბერს შემიძლია აქედან წავიდე და ამაზე ადრე კი ნებას არ მომცემენ, თუ ეს ვადა დაგვიახებულად არ მიგაჩნიათ, შემატყობინეთ და ინსტრუქციაც გაშომიგზავნეთ, ხარჯის შესახებ უნდა მოგახსენოთ, რომ შრომის ფასი არ მინდა, ხოლო წასვლა-მოსვლის და იქ ოთახის დასაჭერად დამჭირდება 60 მანეთი. ეს არის ჩემი პირობა და თქვენი პასუხიც გთხოვთ, მაცნობოთ.“

„თქვენი პატივისმცემელი ა. ხახანაშვილი“.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას 11 დეკემბერს გაუგზავნია საპასუხო წერილი და ასევე ინსტრუქცია კატალოგის აღწერისა, რომელშიაც აუწყებს, რომ ის წიგნები, რომლებიც საქართველოსა და კავკასიას შეეხებებიან, ისე უნდა იყოს შედგენილი, რომ იყოს ნაჩვენები — რით არის ეს წიგ-

ნები ჩვენთვის საინტერესო და მასში მოქცეული რომელი სტილიც  
ეხება საქართველოს. შემდეგ მითითებულია, რომ ამგვარ წიგნებში  
ჩაითვლება ისინიც, რომლებიც შინაარსით ეკუთვნიან სპარსეთის,  
ოსმალეთის, მონღოლების, საბერძნეთის, რომის, სომხეთისა და სხვა  
მოსაზღვრე ხალხების ისტორიასა და ეთნოგრაფიას. გარდა ამისა,  
წერილში ხაზგასმულია იმ ხელნაწერების სიგელ-გუჯარების, რუკე-  
ბის, ქართველ თავად-აზნაურთა და მეფეთა სურათების სიების ზუს-  
ტი აღრიცხვა, რომელიც მის ბიბლიოთეკაში მოიპოვებოდა. „სასურ-  
ველია ამგვარი წერილები და სიგელ-გუჯარები ერთად იყოს ძოგრო-  
ვილი, განცალკევებული ნომრებით შეტანილ სიაში. ყველა წიგახე  
ნომერი უნდა იყოს დასმული და გადანომრილი სია, რათა აქ გარჩე-  
ვის დროს ადვილად შეიძლებოდეს წიგნების შემოწმება.

თავდაპირველად უნდა აღინიშნოს ხელნაწერები, შემდეგ —  
ძველი ნაბეჭდი წიგნები. ნაბეჭდი წიგნების სია ისე უნდა იყოს შედ-  
გენილი, რომ ერთი და იმავე ავტორის წიგნები ერთმანეთს მისდევ-  
დნენ“<sup>26</sup>.

როდესაც პროფ. ა. ხახანაშვილი პეტერბურგში ჩავიდა, კატა-  
ლოგის შედგენაზე მართლაც მუშაობდა ა. ცაგარელის მიერ მოწვე-  
ული სტუდენტი მ. ქართველიშვილი. საზოგადოებამ ამ სტუდენტს  
ვაწეული შრომისათვის გაუგზავნა 50 მანეთი.

პროფ. ა. ხახანაშვილმა, ხელმძღვანელობდა რა საზოგადოების  
ინსტრუქციით, აღწერილი ფონდი დააზღვია 10 ათას მანეთად და  
1893 წლის ივნისის ბოლოს ბიბლიოთეკა უკვე თბილისში გადმო-  
გზავნა. ჩუბინაშვილის ბიბლიოთეკის ჩამოსატანად საზოგადოებამ  
სულ 424 მანეთი დახარჯა.

1892 წლის სექტემბერში ა. ჯყონიამ და დ. კარიჭაშვილმა სა-  
ზოგადოების კრებას დ. ჩუბინაშვილის ბიბლიოთეკის შემოწმების  
შედეგები მოახსენეს.

გაზეთი ივერია წერდა: „იგი 40 წლის განმავლობაში აგროვებ-  
და ამ საუნჯეს და აქედან შესდგა ძვირფასი წიგნსაცავი, მეცნიერე-  
ბის ფასდაუდებელი სალარო, რომელშიც დაცულია აუარებელი მ-  
სალა ჩვენი მამა-პაპათა და ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახე-  
ბო“<sup>27</sup>.

და მართლაც, დ. ჩუბინაშვილის წიგნსაცავში აღმოჩნდა საუკე-

<sup>26</sup> გაზეთი „სამშობლო“ 1972, 24 მარტი, № 6.

<sup>27</sup> „ივერია“, 1891, № 196, 14 სექტემბერი.

თესო წიგნები და ხელნაწერები, ასევე პერიოდული გამოცემები და უცხო ენებზე გამოცემული წიგნები, რომლებიც საქართველოს შეეხებოდა თავისი შინაარსით და მნიშვნელოვანი შენაძენი იყო.

მ. ქართველიშვილის მიერ შედგენილი დ. ჩუბინაშვილის ბიბლიოთეკის კატალოგი შეიცავს სულ 282 სახელწოდების წიგნს, რომელიც შემდეგ განყოფილებებადაა დაჯგუფებული:

1. ღვთისმეტყველება.
2. ფილოსოფია.
3. ისტორია, გეოგრაფია, მოგზაურობა.
4. სამართლისმცოდნეობა.
4. კაზმული ლიტერატურა.
6. ლექსიკონები და გრამატიკები.
7. ბუნებისმეტყველება და მედიცინა.
8. ხელნაწერები, რუქები.

ზოგიერთი წიგნის აღწერილობას თან ახლავს მოკლე ანოტაცია (სად, როდის, რომელი შრიფტით, ანდა ვისი განკარგულებით დაიბეჭდა, მითითებულია გვერდების რაოდენობა და ვინ შეადგინა).

წიგნების აღწერილობა ხან ქართულ, ხან რუსულ ენაზეა, ამიტომ განლაგებისას ანბანის რიგი არ არის დაცული. ასეთია მოკლედ დ. ჩუბინაშვილის ბიბლიოთეკის კატალოგის მოკლე სტრუქტურა.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ მიიღო ჩუბინაშვილის ბიბლიოთეკის მხოლოდ მცირე ნაწილი. ხელნაწერებისა და წიგნების დანარჩენი ნაწილი 1922 წელს შ. ამირანაშვილმა და ა. შანიძემ ჩამოიტანეს საქართველოში და ამჟამად დაცულია საქ. მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტში, წიგნები კი განაწილებულია სხვადასხვა სამეცნიერო ბიბლიოთეკაში.

გარდა აღნიშნულისა, 1891 წელს საზოგადოების წიგნსაცავს ემატება რ. ერისთავის პირადი ბიბლიოთეკა, რომელთა რიცხვი 1000-მდე ბიოგრაფიულ ერთეულს შეადგენდა. კახეთიდან თბილისში რ. ერისთავის ბიბლიოთეკის ჩამოტანაზე დახარჯულა 38 მანეთი<sup>28</sup>, ასევე წვრილ-წვრილი შემოწირულებანიც ემატება წიგნსაცავს, როგორცაა გ. ამირიძისაგან 21 ხელნაწერი წიგნი, პეტრე მირიანაშვილისაგან, მიხ. კერესელიძისაგან და სხვ.

საზოგადოების მთავარი გამგეობა დიდ ყურადღებას აქცევდა წიგნებისა და ხელნაწერების მოვლა-პატრონობას და დაცვას. მაგ-

<sup>28</sup> საქ. სსრ ისტორიული არქივი, ფ. 481, საქ. № 198, ფ. 121.



რამ იყო შემთხვევები, როცა მკითხველი იშვიათ წიგნებს და ხელნაწერებს დადგენილ ვადაზე არ აბრუნებდა, რაც გულისწყრომას იწვევდა მეცნიერ-მკვლევარებსა და მკითხველებში. მკითხველთა დაუდევრობას, წიგნებისა და ხელნაწერების მოვლასა და დაცვას შეეხო დიდი მგოსანი აკაკი წერეთელი, რომელმაც გაზეთ „ივერიაში“ გამოაქვეყნა სტატია სათაურით „ჩვენი დაუდევრობა“. ავტორი, აღნიშნავს რა ჩვენი ერისათვის წიგნსაცავში დაცული ფონდის მნიშვნელობას, საყვედურს გამოთქვამს ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობისა და მდივნის მიმართ იმის თაობაზე, რომ „კატალოგში აღნიშნული წიგნები ვინმეებს გაუტანიათ და უკანვე აღარ აბრუნებენო“<sup>29</sup>. იგი პირდაპირ მიმართავს გამგეობას: „მართალია თუ არა ეს ხმები? მართლა გაიტანა ვინმემ წიგნები და აღარ აბრუნებს? ვინ არიან ისინი? რა ზომები იხმარეს მმართველობის წევრებმა, ან ბატონმა მდივანმა?“<sup>30</sup> — საზოგადოების გამგეობამ ყურადღებით შეისწავლა გაზეთში გამოქვეყნებული კრიტიკული წერილი და შექმნა სარევიზიო კომისია. კომისიაში შევიდნენ ექ. თაყაიშვილი, ნ. მთვარელიშვილი და ა. ჭყონია. კომისიამ შეამოწმა წიგნსაცავ-მუზეუმი და საზოგადოების საერთო კრებას მოახსენა შემოწმების შედეგები. კომისია მოხსენებაში აღნიშნავდა სისტემატური კატალოგის შედგენის აუცილებლობას და მასში ყველა ხელნაწერი და ნაბეჭდი წიგნების შეტანას. გარდა ამისა, კომისია სთხოვდა გამგეობას, არქეოლოგიურ და სხვა შემოწირულ ნივთებზე შემდგარიყო კატალოგი და ცალკე განყოფილება შეექმნა; წიგნსაცავის დაკომპლექტების გაუმჯობესების მიზნით გამგეობას თხოვნით მიემართა მოსკოვის საარქეოლოგო საზოგადოებისათვის, უფასოდ დაეთმო თავისი გამოცემები; ყურადღება მიექცია პერიოდული პრესის სრული კომპლექტების შექენისათვის და განსაკუთრებით ეზრუნა იმ პირების მიმართ, რომლებსაც პირადი ბიბლიოთეკები ჰქონდათ, რომ გადმოეცათ შესყიდვით ან შემოწირვით საზოგადოებისათვის.

მოხსენებიდან გამომდინარე, საზოგადოების 1898 წლის კრებამ წიგნების ვაჭრობის, წიგნების ბეჭდვის, სკოლებისა და ბიბლიოთეკების კომისიების დამტკიცებასთან ერთად აირჩია წიგნსაცავ-მუზეუმის კომისია ექ. თაყაიშვილის, დ. კარიჭაშვილისა და ა. ჭყონიას შემადგენლობით<sup>31</sup>. კომისიას უფლება მიეცა გამგეობასთან შე-

<sup>29</sup> გაზ. „ივერია“, 1894, № 66.

<sup>30</sup> იქვე.

<sup>31</sup> საქ. სსრ ისტ. არქივი, ფ. 481, საქ. № 518, ფ. 192.



უთანხმებლად შეეძინა წიგნსაცავ-მუზეუმისათვის საჭირო ფუნდირება. რი, ნივთები, ხელნაწერი და ნაბეჭდი წიგნები, იმ პირობით, თუ მათი ღირებულება გამგეობის მიერ დამტკიცებულ ხარჯთაღრიცხვას არ გადასცილდებოდა. კომისიამ ამავე წლის მაისში შეიძინა ა. როინიშვილის ფოტო-მოწყობილობანი, მთელი მისი არქეოლოგიური კოლექცია და პირადი ქონება. მოაწყო საკუთარი ფოტოატელიე, გახსნა ფილიალი ქ. სიღნაღში, საიდანაც გარკვეული შემოსავალი შემოსდიოდა მთავარ გამგეობას და კიდევ უფრო ხელს უწყობდა მისი შემოქმედებითი მოღვაწეობის გაშლას.

900-იან წლებში საზოგადოების წიგნსაცავს ემატება ანასტასია თუმანიშვილი-წერეთლის მეუღლის, გ. წერეთლის ხელნაწერები „ერთი მოზრდილი სკივრის“ რაოდენობით. გამგეობამ ან. წერეთელს მადლობა მოახსენა, ხოლო ხელნაწერთა გარჩევა და დაფასება ექ. თაყაიშვილს, დ. კარიჭაშვილსა და ვლ. ლორთქიფანიძეს დასავალა<sup>32</sup>. შემოწირულთა რიცხვში აღმოჩნდა მწერლის თხზულებათა დედნის პირები და ასევე მისი მიმოწერები მეგობრებსა და ამხანაგებთან. მნიშვნელოვანი ღონისძიება იქნა გატარებული მკითხველების მომსახურების ამალგების მიზნით. 1901 წელს ა. ჯორჯაძის წინადადებით წიგნსაცავს გამოეყო თავისუფალი ადგილი ხის კედლით (სამკითხველო დარბაზი), სადაც ერთდროულად 2—3 მკითხველს შეეძლო აემაღლებინა თავისი ცოდნა, ასევე მეცნიერ მკვლევარებს წარემართათ სათანადო მუშაობა.

ყველაზე მნიშვნელოვანი ღონისძიება, რომელიც საზოგადოების გამგეობამ 1900—1903 წლებში განახორციელა, იყო ზრუნვა დ. ბაქრაძის ბიბლიოთეკის შემოწირვისათვის.

დ. ბაქრაძე გახლდათ გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსი, ბიბლიოგრაფი და დიდი მეცნიერი. მან დიდი ამაგი დასდო ქ. შ. წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას, როგორც პირადი დახმარებით, ასევე საუკეთესო მასალების შემოწირვით. როგორც საზოგადოების დიდი მოამაგე, ის ითვლებოდა მის საპატიო წევრად. დ. ბაქრაძემ ორი წელი იმუშავა საზოგადოების წიგნსაცავში კატალოგის შედგენაზე ყოველგვარი გასამრჯელოს გარეშე. მას ჰქონდა პირადი ბიბლიოთეკა, რომელიც საუკეთესო მასალებს შეიცავდა საქართველოს ისტორიის, არქეოლოგიისა და ლიტერატურის დარგში, ასევე მდიდარი იყო ატლასებითა და რუკებით.

<sup>32</sup> დასახელებული ფონდი, საქ. № 689, ფ. 23.

დ. ბაქრაძე გარდაიცვალა 1890 წელს. ბუნებრივია, რომ ბაქრაძის მემკვიდრენი, რომელთაც იცოდნენ — თუ რა დიდი თანაგრძნობით ეკიდებოდა იგი ქ. შ. წ.-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მოღვაწეობას, ბიბლიოთეკას ამ ავტორიტეტულ ორგანიზაციას გადმოსცემდნენ, მაგრამ გავიდა 10 წელი და იმედები არ გამართლდა.

დ. ბაქრაძისეული ბიბლიოთეკის შექმნის საკითხი საზოგადოების გამგეობის წინაშე 1900 წლის 18 იანვარს ა. მიქაბერიძემ დააყენა. გამგეობამ ექ. თაყაიშვილს დაავალა მოლაპარაკებოდა დ. ბაქრაძის ქვრივს, თუ რამდენად შეეძლო დაეთმო ეს ბიბლიოთეკა. ექ. თაყაიშვილმა დ. კარიჭაშვილთან ერთად დადებითად გადაწყვიტა ეს საქმე და 1903 წლისათვის შექმნილ იქნა ნაწილ-ნაწილ 1000 მანეთად. ბიბლიოთეკა შეიცავდა 367 ხელნაწერ და ნაბეჭდ წიგნს, ხოლო პერიოდულ გამოცემებს (გაზეთის კომპლექტისა და შრომების 150 ერთეულს) 720 ეგზემპლარის რაოდენობით.

დ. ბაქრაძის პირადი ბიბლიოთეკა ჩაბარდა წიგნსაცავს და ცალკე კარადაში იქნა მოთავსებული, რითაც კიდევ უფრო გამდიდრდა მისი წიგნობრივი ფონდი.

ქ.შ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წიგნსაცავის დაკომპლექტება-დამუშავების საქმეში დიდი ღვაწლი მიუძღვის დ. კარიჭაშვილს, რომელიც საზოგადოების დაარსებიდან მის არსებობამდე თავს დასტრიალებდა წიგნსაცავ-მუზეუმს, ყოველმხრივ ხელს უწყობდა წიგნობრივი ფონდისა და სხვა მატერიალური თუ არქეოლოგიური ძეგლების დამუშავებას და სისტემაში მოყვანას. განსაკუთრებით დიდია მისი წვლილი წიგნსაცავის მეცნიერული კატალოგის შედგენის საქმეში. მის მიერ შედგენილი კატალოგი წინადადგმული ნაბიჯი იყო კატალოგრაფიის ისტორიაში.

დ. კარიჭაშვილმა მეცნიერულ კატალოგზე მუშაობა დაიწყო ჯერ კიდევ 1890-იანი წლებიდან. 1904 წლის 4 მარტს დ. კარიჭაშვილმა საზოგადოების კრებას მოახსენა კატალოგის დასრულება. კატალოგის დასაბეჭდად მომზადება და გამოცემა კრებამ თვით დ. კარიჭაშვილს დაავალა, ხოლო ფონდების კატალოგების ნომრებთან შედარება-დახარისხება — მდივანს<sup>33</sup>.

კატალოგის რედაქტირებისა და შესწორების შემდეგ იგი წარდგენილ იქნა ცენზურაში იმავე წლის აგვისტოში. ცენზურისაგან ნებადართული კატალოგი სტამბაში ჩაუშვეს სექტემბერში. 1905

<sup>33</sup> საქ. ისტ. არქივი. ფ. 481, საქ. № 1941, ფ. 10.





უდიდეს ყურადღებას აქცევს როგორც სათაურს, ისე გამოყენების წელსაც. მას ერთი და იგივე ავტორის ნაწარმოებები დალაგებული აქვს ქრონოლოგიურად.

კატალოგში ხელნაწერი და ნაბეჭდი წიგნები ერთმანეთისაგან არის გამოყოფილი, მხედრულია ის თუ ხუცური.

კატალოგის ძირითად და მის 1911 წლის დამატებაში სულ 5730 აღწერილობაა. აქედან ნაბეჭდი — 2748 და ხელნაწერი — 2782. კატალოგი 19 განყოფილებისაგან შედგება.

1. სასულიერო მწერლობა.
  2. კაზმული მწერლობა.
  3. ისტორია, საისტორიო მასალა, გეოგრაფია და არქეოლოგია.
  4. ფილოსოფია, მეტაფიზიკა, რიტორიკა და საყოფაცხოვრებო სწავლა.
  5. მათემატიკა, ფიზიკა, ასტრონომია და ბუნების აღწერა.
  6. მკურნალობა.
  7. კანონმდებლობა.
  8. ბიოგრაფია და საბიბლიოთეკო მასალა.
  9. კრიტიკა, ბიბლიოგრაფია და პუბლიცისტიკა, პოლემიკა.
  10. გრამატიკა, ლექსიკონები.
  11. ანბანები და პირველდაწყებითი საკითხავი წიგნები, ქრესტომათიური ენის სასწავლო სახელმძღვანელოები, დედნები, თეორია სიტყვიერებისა და პედაგოგიური წიგნები.
  12. სამთაერო და შელოცვანი.
  13. წესდებანი, ანგარიშები, პროექტები, პროგრამები და პირობანი.
  14. მეურნეობა, ხელოსნობა და ეკონომიკა.
  15. კალენდრები.
  16. დროული გამოცემანი, ჟურნალები, გაზეთები, აღმანახები და კრებულები.
  17. საერო და სასულიერო მუსიკა, მისი ისტორია.
  18. ნარევი.
  19. კატალოგები.
- როგორც ეს ზემოთ აღინიშნა, დ. კარიჭაშვილის ბიბლიოგრაფიული კლასიფიკაციის სისტემა თავისებურია, მაგარამ, როგორც შკვლევაში ნ. სიხარულიძე<sup>34</sup> მიუთითებს, თავის ნაშრომში აქ ნ. მთვარელიშვილის კატალოგის გავლენა იგრძნობა (ე. წ. ფაკულტატიური სისტემისა).

<sup>34</sup> ნ. სიხარულიძე, ნაბეჭდი კატალოგები..., თბ., 1968.



ნიანი“, 300 ც. „ქართლის ცხოვრება“, 200 ც. „სამცხე-საათაბაგო“. ხოლო ძმებმა — იაკობ, პეტრე და ლევან ზუბალაშვილებმა საზოგადოებას 10 ათასი მანეთი შესწირეს. ამ დიდი დახმარებისათვის საზოგადოების გამგეობამ ისინი თავის წევრად აირჩია და ქართული პრესის საშუალებით მადლობაც გამოუცხადა.

1907 წელს საზოგადოების წესდებაში ნაწილობრივი ცვლილებები იქნა შეტანილი. წესდების თანახმად საზოგადოებას უფლება მიეცა, შეეძინა უძრავი ქონება, შესყიდვით იქნებოდა ის თუ საჩუქრის სახით. შემცირებულ იქნა ასევე საწევრო ფული 6 მანეთიდან 3 მანეთამდე, საზოგადოებას უფლება მიეცა გაეხსნა განყოფილებები (ფილიალები) საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, რომლებიც მთავარ გამგეობას დაექვემდებარებოდნენ და მის შესაბამისად იმოქმედებდნენ.

ფინანსური სახსრების უქონლობის გამო საზოგადოების წევრებში გაჩნდა აზრი წიგნსაცავ-მუზეუმი წ. კ. საზოგადოებას სხვა დაწესებულებისათვის გადაეცა მოსავლელად.

ამ საკითხმა განსაკუთრებით დიდი უთანხმოება გამოიწვია 1907 წლის 4 დეკემბრის საზოგადოების სხდომაზე, სადაც აღინიშნა, რომ ის 320 მანეთი, რომელიც ძველი ხელნაწერებისა და წიგნების ბეჭდვას ხმარდებოდა, სხვა საქმეს მოხმარებოდა. ფ. მახარაძე წინააღმდეგი იყო ძველი ხელნაწერი წიგნების შექმნაზე. „გამგეობა იძენს ძველ ნაშთებს, ბევრ მათგანს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, ამ საგანზე არ უნდა იხარჯებოდეს ხალხის ფული, ეს მიზნის გადახვევაა, ხალხს შრომით მოპოვებულ გროშს ვახდევინებთ და ასეთი ფული ძველი ხელნაწერების შექმნას არ უნდა მოვახმაროთ“<sup>36</sup>. ხოლო ა. წერეთელმა, რომელიც სხდომას ესწრებოდა, თავის გამოსვლაში აღნიშნა: „ნათქვამია — აწმყო შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მომავალისა, ხალხს, რომელსაც წარსული არ ჰქონია, მომავალიც არა აქვს, ის მკვდარია... განა ქართველი ამით წახდება, რომ თავის კულტურა უყვარდეს, მომავალი რომ გვიჩნდა, ამას არავინ უარყოფს, ხოლო აწმყო და მომავალი უნდა შევეუხამოთ წარსულს, წარსულს უნდა ვაფასებდეთ და ისე უნდა შევიძინოთ ძველი ხელნაწერები და ნაშთები, როგორც დღემდე ვიძენდით“. ა. წერეთელმა დიდი სამსახური გაუწია ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას თავისი მითითებებით. იგი ამ საზოგადოების

<sup>36</sup> იგივე ფონდი, საქ. № 1008, ფ. 4.

საპატიო წევრად ითვლებოდა და თავისი ნაწარმოებების ნაწილი ამ საზოგადოების სახელით განოსცა.

1908 წლის 1 მაისს ექ. თაყაიშვილი გამგეობის წინაშე აყენებს საკითხს წიგნსაცავ-მუზეუმის საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებაზე გადაცემის შესახებ, მაგრამ კრება ხმის უმრავლესობით (7—3-ს წინააღმდეგ) ლებულობს შემდეგ გადაწყვეტილებას: „საკითხის გადაწყვეტა ნაადრევია, რადგან ხსენებული საზოგადოებისაგან არავითარი წინადადება არ შემოსულა ბიბლიოთეკა-მუზეუმის მიღების შესახებ და გარდა ამისა, გამგეობას არავითარი ცნობა არა აქვს იმის შესახებ — რამდენად შესძლებს საისტორიო და საეთნოგრაფო საზოგადოება უპატრონოს ბიბლიოთეკა-მუზეუმს“<sup>37</sup>. გამგეობის კრებამ ამ საკითხზე მუშაობის გაგრძელება ა. სარაჯიშვილსა და ექ. თაყაიშვილს დაავალა, სანამ საბიბლიოთეკო სხდომას არ მოიწვევდნენ. ამავე წლის 15 მაისს მოწვეულმა საბიბლიოთეკო კომისიის სპეციალურ სხდომაზე ექ. თაყაიშვილმა კვლავ დასვა საკითხი წიგნსაცავ-მუზეუმის საისტორიო საეთნოგრაფიო-საზოგადოებაზე გადაცემის შესახებ. მისი აზრით „წიგნსაცავ-მუზეუმი არ შეეფერება წერა-კითხვის საზოგადოების მიზანსა და დანიშნულებას“, ის უნდა გადასცემოდა საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებას, მასთან ერთად — ის თანხები, რომელიც ძველი ხელნაწერი და ნაბეჭდი წიგნების შექმნაზე იხარჯებოდა, და თანხა, რომელიც გამიზნული იყო წიგნსაცავ-მუზეუმის შენობის ასაგებად. ექ. თაყაიშვილის აზრს იზიარებდნენ ა. სარაჯიშვილი და დ. კარიჭაშვილი. ექ. თაყაიშვილის გამოსვლის წინააღმდეგ გამოვიდნენ პ. სურგულაძე და გრ. რცხილაძე, ხოლო ს. ფირცხალავამ თავისი გამოსვლა შემდეგი სიტყვებით დაამთავრა: „ბიბლიოთეკა და მუზეუმი ერთსა და იმავე დროს ქ. შ. წ. კითხვის საზოგადოებისაცაა და მთელი ერისაც. ეს ბიბლიოთეკა მისი მოღვაწეობის ნაყოფია. ეს ძვირფასი ხელნაწერები მისი შრომითა და მეცადინეობითაა აქ შეგროვილი, უსაფუძვლოა ის მოსაზრებაც, რომ წ.-კითხვის საზოგადოების პირდაპირ საქმეს არ შეადგენს ხელნაწერებისა და შრომების შეგროვება. პირიქით, ეს განძი საუკეთესო ფურცელია ჩვენი საზოგადოების ისტორიაში. ეს ბიბლიოთეკა საზოგადოების სულიერი საკუთრებაა, მისი ძალაა, მისი საუკეთესო ტრადიციაა, ძვირფასი მოგონება და გამამხნეველელი იმპულსია მომავალი მოღვაწეობისათვის... ეს გასაკეთებელი საქმე ავალებს მას უპატრონოს

<sup>37</sup> იგივე ფონდი, საქ. № 1065, ფ. 18—19.

ბიბლიოთეკას და შემდეგშიც არ გადასცეს სხვას, მით უმეტეს ეს სხვა არ გვაძლევს საფუძველს, რომ უკეთესი პატრონი იქნება“. გასაგებია, რომ ამის შემდეგ სხდომამ 8 ხმის უმრავლესობით (გ. ყაზბეგი, ი. ლულაძე, ა. მდივანი, პ. სურგულაძე, ს. ფირცხალავა, ლ. ბოცვაძე, გ. ლასხიშვილი და გრ. რცხილაძე) წინააღმდეგ ოთხისა (დ. კარიჭაშვილი, ექ. თაყაიშვილი, გ. ყიფშიძე და ა. სარაჯიშვილი) მიიღო წინადადება წიგნსაცავ-მუზეუმის კვლავ წერა-კითხვის საზოგადოების განკარგულებაში დატოვების შესახებ<sup>38</sup>.

1907 წლის აგვისტოში ქართველმა ხალხმა დიდი დანაკლისი განიცადა, მეფის ობრანკის მოსყიდულმა ბერბიჭაშვილმა ავაზაკურად მოჰკლა ქართველი ხალხის სათაყვანებელი ადამიანი, სოციალური და ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ მებრძოლი, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დამაარსებელი და ორგანიზატორი ი. ჭავჭავაძე, რომელიც თითქმის 28 წლის განმავლობაში თავს დასტრიალებდა ამ საზოგადოებას და ბევრი რამ გააკეთა ამ საზოგადოების აღორძინებისა და წინსვლისათვის. საჭირო იყო ამ ორგანიზაციისათვის გამოენახათ ისეთი ხელმძღვანელი, რომელსაც არა მარტო ქართველ საზოგადოებაში დიდი ავტორიტეტი ექნებოდა, არამედ თვით მეფის მთავრობის აპარატშიც. ასეთ ადამიანად ითვლებოდა გიორგი ყაზბეგი<sup>39</sup>, რომელიც თადარიგში გენერლის ჩინით იმყოფებოდა.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების 1908 წლის 6 მარტის წლიური კრების გადაწყვეტილებით მიიწვია ეს დიდი ადამიანი. გ. ყაზბეგმა გაამართლა საზოგადოების ნდობა. ის 2 ათეული წლის განმავლობაში თავს დასტრიალებდა წ.-კ. საზოგადოებას და ბევრი რამ გააკეთა ამ საზოგადოების როგორც ნივთიერი, ისე მორალური აღორძინება-განმტკიცებისათვის. მისი მეშვეობით საზოგადოების არსებობის ისტორიაში არ ყოფილა არც ერთი გამგეობის მიერ მთავრობაში დაყენებული საკითხი, გადაუჭრელი რომ დარჩენილიყოს.

გ. ყაზბეგის მოღვაწეობის დროს განსაკუთრებით გაფართოვდა ბიბლიოთეკა-სამკითხველოს ქსელი, შესამჩნევად იმატა წიგნების ბეჭდვისა და გამოცემის საქმემ. მისი ორგანიზატორული ნიჭის წყალობით საზოგადოება კიდევ უფრო მოქნილი და ოპერატიული

<sup>38</sup> იგივე ფონდი, საქ. № 1065, ფ. 18.

<sup>39</sup> გ. ყ ა ზ ბ ე გ ი ს შესახებ იხ. «კომუნისტი», 23 იანვარი, № 19, 1971 წ.

გახდა. ამ დიდი ავტორიტეტის მეოხვობით იგი 1918 წელს საზოგადოების წლიურმა კრებამ კვლავ აირჩია საზოგადოების საპატიო წევრად და მის მთავარ თავმჯდომარედ<sup>40</sup>.

გ. ყაზბეგმა, ჩაუდგა რა სათავეში ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას, პირველ რიგში, ყურადღება მიაქცია საზოგადოების სექციებად დანაწილებას. 1908 წლის 27 ნოემბერს გამგეობას მან წარუდგინა თავისი გეგმა საზოგადოების მუშაობის გარდაქმნისა, რომლის მიხედვით იგი დაიყო 3 ძირითად სექციად: 1. ადმინისტრაციული, რომელსაც სათავეში თვით გამგეობის თავმჯდომარე ედგა, მის შემადგენლობაში შევიდნენ საქმის მწარმოებელი, მდივანი, ბუხჰალტერი, იურისკონსულტი და გამგეობის რამდენიმე წევრი.

2. სასკოლო სექცია, რომლის შემადგენლობაში კრებამ ლ. ბოცვაძე (თავ-რე), პ. სურგულაძე, ა. მდივანი, ა. ლულაძე აირჩია, მასვე დაავალა სკოლებთან ერთად ბიბლიოთეკების ხელმძღვანელობაც.

3. ისტორიულ-არქეოლოგიური სექცია: დ. კარიჭაშვილი (თავ-რე), გ. ყიფშიძე და ტ. ხშიადაშვილი, რომლის უშუალო მოვალეობას წიგნსაცავ-მუზეუმის მოვლა-პატრონობა შეადგენდა.

აღნიშნულ სექციებს მოქმედების ფართო პროგრამა ჰქონდათ. სასკოლო სექციას, გარდა სკოლებისა და ბიბლიოთეკების ხელმძღვანელობისა, უნდა შეემუშავებინა პროგრამები, გარდა ამისა უნდა ეზრუნა სკოლებისათვის სასწავლო ნივთებით და სახელმძღვანელოებით მომარაგებისათვის. საისტორიო-საარქეოლოგიო სექცია თავისი მოღვაწეობის მასშტაბით აღემატებოდა სასკოლო სექციის მუშაობას. მის ამოცანას წარმოადგენდა: 1) შედგენა და წარმოება წიგნებისა და ნივთების კატალოგისა; 2) შეკრება ისტორიული და არქეოლოგიური დოკუმენტებისა, 3) ზრუნვა ბიბლიოთეკა-მუზეუმის შენობის მოვლისათვის, 4) მომზადება, რედაქტირება და გამოცემა როგორც კატალოგებისა, ასევე ხელნაწერებისა, 5) შედგენა სექციის მოღვაწეობის წლიური ანგარიშისა და წარდგენა გამგეობის საერთო კრებისადმი.

1909 წლის 8 მარტს შედგა სამუზეუმო სექციის პირველი სხდომა, სადაც დ. კარიჭაშვილმა მკითხველთა უკეთ მომსახურეობის მიზნით მოითხოვა ბიბლიოთეკაში სამი განყოფილების შექმნა: ხელნაწერი წიგნების, სიგელ-გუჯრების და ნაბეჭდი წიგნების განყოფილება.

<sup>40</sup> საქ. სსრ ცსა, ფონდი, 481, საქ. № 1784, ფ. 13.

ფილებებისა. გარდა ამისა, ბიბლიოთეკა უნდა დაკომპლექტებულიყო ახალი წიგნებით და ყველა ნაბეჭდი ერთეულით: აფიშით, განცხადებით, პროკლამაციით, მოწოდებით და სხვ. (ე. ი. სვამდა საკითხს სავალდებულო ეგზემპლარების მიღების შესახებ).

კატალოგის დაბეჭდვის შემდეგ ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი შეივსო ახალ-ახალი გამოცემებით, მასში 1000-მდე ხელნაწერი და ნაბეჭდი წიგნი დაგროვდა. დ. კარიჭაშვილმა სექციის წინაშე დასვა საკითხი, კატალოგზე მუშაობა გაგრძელებულიყო კვლავინდებურად, რისთვისაც სექციას 300 მანეთი გასამრჯელო უნდა გაეღო.

1910 წლისათვის საზოგადოების წიგნსაცავს შეემატა ოდესის უნივერსიტეტის ქიმიის პროფესორის ვ. პეტრიაშვილის წიგნები, სულ ორი ყუთის რაოდენობით, რომელიც განსვენებულის მეუღლემ შემოსწირა<sup>41</sup>.

წიგნსაცავის ფონდის ზრდასთან ერთად მნიშვნელოვნად ამაღლდა მისი ავტორიტეტი ქართველ მეცნიერთა და მკვლევართა თვალში. არქივში დაცული მასალებიდან ირკვევა, რომ მისი ხშირი მკითხველები იყვნენ ცნობილი ქართველი მეცნიერები აკ. შანიძე, კ. კეკელიძე, გარდა ამისა წიგნსაცავის ფონდში დაცულ სხვადასხვა ხელნაწერებზე მოთხოვნებს გზავნიდნენ რუსეთის უმაღლესი სასწავლებლებისა და საარქეოლოგიო საზოგადოების მეცნიერ-მკვლევრები, რომლებიც საქართველოს ისტორიისა და კულტურის საკითხებით იყვნენ დაინტერესებულნი. პ. უმიკაშვილი საზოგადოების გამგეობას წინადადებდა აძლევდა რუსეთისა და საზღვარგარეთის ზოგიერთ სასწავლებელთან მას შეექმნა გაცოფილებები, რომელიც ხელნაწერებს, წიგნებსა და ჟურნალ-გაზეთებს მიაწოდებდა პირთ, რომლებიც აღნიშნული საკითხებით იქნებოდნენ დაინტერესებულნი<sup>42</sup>.

სარგებლობდა რა წიგნსაცავიდან ხელნაწერი თუ ნაბეჭდი წიგნებით, ბევრი მკითხველი წიგნებს უყეუებდა შენიშვნებს, სხვადასხვა ჩანაწერებს, იყო შემთხვევებიც როცა საუკეთესო უნიკუმები იკარგებოდა. მოახსენებდა რა საზოგადოების გამგეობას ს. ფირცხალავა, აღნიშნავდა, რომ საჭირო იყო უფრო მკაცრი ზომების გატარება მათ მიმართ. ვინც წიგნის სარგებლობის წესს დაარღვევდა. თვით ს. ფირცხალავას მიერ შედგენილი წიგნით სარგებლობის წესები საზოგადოების გამგეობის მიერ დამტკიცებულ იქნა.

<sup>41</sup> საქ. სსრ ცსა, ფონდი, 481, საქ. № 1182, ფ-3.

<sup>42</sup> დასახელებული ფონდი, საქ. № 643, ფ. 11.



წ. კ. საზოგადოების ბიბლიოთეკიდან წიგნებისა და ხელნაწერების ხმარების წესი

1. ქ. შ. წერა-კითხვის საზოგადოების ბიბლიოთეკის წიგნები და ხელნაწერები ყველას შეუძლიან მოითხოვოს და იშუშაოს სამეცნიერო აზრით, თვით საზოგადოების ბინაზედ.

2. ასეთი მუშაობისათვის დანიშნულია დრო დილის 9 საათიდან საღამოს 5—7 საათამდე.

3. წიგნები და ხელნაწერები მსურველმა უნდა მოსთხოვოს საზოგადოების მდივანს.

4. ყველა მოვალეა ჯეროვანის სიფრთხილით მოეციდოს როგორც დაბეჭდილს წიგნებს, ისე ხელნაწერებს, ხაზგასმა და შენიშვნების დასმა სასტიკად აკრძალულია.

5. სახლში წაღება წიგნებისა შეუძლიან მხოლოდ გამგეობის წევრს.

6. სახლში წაღება სხვასაც შეუძლიან გამგეობის ცალკე ნებართვით.

7. სახლში წაღება შეიძლება მხოლოდ იმ წიგნებისა, რომელიც ბიბლიოთეკაში ერთადერთი არ არის და არც ძნელი საშოვარია.

8. ხელნაწერისა და ძნელად მოსაპოვებელ ან ყოვლად იშვიათის წიგნის სახლში წაღება აკრძალულია.

9. სახლში წაღებული და შემდეგ უკანვე დაბრუნებული წიგნი დიდის გაფრთხილებით უნდა იქნეს ნახმარი და სრულიად დაუზიანებელი.

10. სახლში წაღება წიგნისა შეიძლება მხოლოდ ორი თვის ვადით.

11. ამ ხნის განმავლობაშიაც წამლები ვალდებულია წიგნი უკანვე დააბრუნოს გამგეობის პირველი მოთხოვნისთანავე.

12. ერთხანად 5 ტომზედ მეტის წაღება არ შეიძლება<sup>43</sup>.

აღნიშნული წესი საფუძვლად დაედო წიგნსაცავ-მუზეუმისა და წიგნებით სარგებლობას, რომელსაც საზოგადოების მდივანი გულმოდგინედ იცავდა. ბევრი მკვლევარი უკმაყოფილებას გამოთქვამდა აღნიშნული წესის გამო, გამგეობის ზოგიერთი წევრი (მაგ. ს. გორგაძე) მოითხოვდა მიღებული წესის გაუქმებას, მაგრამ იგი გამგეობის სხდომაზე კვლავ ძალაში დატოვეს.

1909 წლის ივნისში საზოგადოების წიგნსაცავს საუკეთესო ხელ-

<sup>43</sup> საქ. ფონდი, საქ. № 1182, ფ. 8.

ნაწერები შემოსწირა ყვარლის მღვდელმა გიორგი ფერაძემ — სულ 14 ხელნაწერი. ხელნაწერები შეიცავდა საქართველოში წიგნების ბეჭდვის ისტორიას ვახტანგ მე-6-ის მეფობის ხანაში.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დ. კარიჭაშვილმა გააგრძელა წიგნებისა და ხელნაწერების კატალოგზე მუშაობა, რომელიც წიგნსაცავში შემოვიდა 1905 წლის შემდეგ და 1911 წელს საზოგადოების წევრებმა მიიღეს კარგ ყდაში ჩასმული კატალოგი. ეს კატალოგი დაეგზავნათ როგორც რუსეთის უმაღლესი სასწავლებლების ბიბლიოთეკებს, ასევე პარიზის დიდ ბიბლიოთეკას, სადაც დიდი მოთხოვნა იყო ძველი ქართული მწერლობის ძეგლებზე.

1912 წელს გარდაიცვალა ქართული პედაგოგიური აზროვნების ფუძემდებელი და საზოგადოების ერთ-ერთი დამაარსებელი ი. გოგებაშვილი. ი. გოგებაშვილმა მთელი თავისი უძრავ-მოძრავი ქონება თავის ბიბლიოთეკასთან ერთად ქ. შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას უანდერძა. მისი ბიბლიოთეკის შესახებ არქივში დაცული მასალები ძუნწ ცნობებს გვაწვდიან. მხოლოდ ერთადერთი ცნობა მოგვეპოვება კანცელარიის მიერ გაცემულ თანხების აღრიცხვაში: აღნიშნულია, რომ ი. გოგებაშვილის ბიბლიოთეკის ჩამოტანისათვის შეძენილ ყუთებში საზოგადოებამ გადაიხადა 3 მან. და 20 კაპ<sup>44</sup>. უნდა ვივარაუდოთ, რომ აქ ლაპარაკია (ნაგულისხმევია) თბილისში ი. გოგებაშვილის საცხოვრებელი ბინიდან მისი ბიბლიოთეკის გაღმერთანა.

დაახლოებით ასეთი ბურჟუსითაა მოცული ი. ჭავჭავაძის პირადი ბიბლიოთეკის საკითხიც. ი. ჭავჭავაძის ბიბლიოთეკა მისივე ანდერძით საზოგადოებას მისმა მეუღლემ ოლღა თადეოზის ასულმა გადმოსცა.

ამჟამად კ. მარქსის სახელობის საქართველოს სახელმწიფო ბიბლიოთეკაში დაცული ი. ჭავჭავაძის ბიბლიოთეკა 426 ბიბლიოგრაფიულ ერთეულს შეადგენს, რომლის კატალოგი ვრცელი აღწერილობითა და განმარტებით გამოიცა ამავე ბიბლიოთეკის თანამშრომლის თ. მაჭავარიანის ავტორობით<sup>45</sup>. მიზეზი ი. ჭავჭავაძის ბიბლიოთეკის ასეთი სიმცირისა თვით საზოგადოების ფინანსურ ხელმოკლეობაში უნდა ვეძიოთ, რადგან ილიას ვალის გადაუხდელობის გამო მისი როგორც სახლის, ასევე პირადი ქონების გამოხსნა 1914

<sup>44</sup> დასახელებული ფონდი, საქ. № 1282, ფ. 72.

<sup>45</sup> თ. მაჭავარიანი, ი. ჭავჭავაძის პირადი ბიბლიოთეკის კატალოგი, თბ., 1951.

წლის ოქტომბრამდე საზოგადოებამ ვერ შესძლო. სახლი მეტწილად გაქირავებული იყო და, ბუნებრივია, მისი ფონდის დაცვა სათანადო დონეზე ვერ იდგა. წიგნობრივმა ფონდმა სხვადასხვა დაწესებულებებზე გადაცემა-ჩაბარებისას ზიანი განიცადა. საზოგადოების ლიკვიდაციის შემდეგ 1926 წ. იანვარში იგი თბილისის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას გადაეცა, ხოლო 1937 წელს — კ. მარქსის სახ. რესპუბლიკურ ბიბლიოთეკას. ილიას ბიბლიოთეკის გადმოცემა საზოგადოებისათვის მისმა მეუღლემ ოლა თადეოზის ასულმა ჭაჭავაძემ 1910 წელს მოახერხა. ბიბლიოთეკის ფონდის შესწავლა, მისი სისტემატიზაცია და მასზე სიების შედგენა საზოგადოების თავმჯდომარის გ. ყაზბეგის გადაწყვეტილებით მის წევრს ს. კაკაბაძეს დაევალა, ს. კაკაბაძეს ეს დავალება სხვადასხვა მიზეზების გამო თავის დროზე ვერ შეუსრულებია. როგორც შემდგომი მასალებიდან ირკვევა, ს. კაკაბაძეს რამდენიმე ხნის შემდეგ კატალოგისმავარი სია შეუდგენია, რაშიც გასამრჯელოდ 600 მანეთი მიუღია<sup>46</sup>.

ამგვარად, 1911 წელს ილიას ბიბლიოთეკის ფონდი საზოგადოების წიგნსაცავს შეუერთდა და ცალკე კარადაში იქნა მოთავსებული. რაც შეეხება ს. კაკაბაძის მიერ შედგენილ სიას, იგი ჩვენ ვერ მივაკვლიეთ არქივში (რომელიც დაგვეხმარებოდა მთლიანი ფონდის ზუსტი ცნობების დადგენაში).

1912 წელს საზოგადოების წიგნსაცავი გადატანილ იქნა სათავადაზნაურო გიმნაზიის შენობაში, სადაც მას სათავსოდ სამი ოთახი დაეთმო. ყოველივე ამის გამო წიგნსაცავი რამდენიმე თვით დაიკეტა და მკითხველებს ვეღარ ემსახურებოდა. წიგნსაცავის გაფართოებასთან ერთად საჭირო შეიქმნა შტატის გადიდება.

1913 წელს ბიბლიოთეკარის მოვალეობის შემსრულებლად მოწვეულ იქნა დ. კარიჭაშვილის ქალიშვილი ელ. კარიჭაშვილი თვეში 30 მანეთად. იგი აქტიურ მონაწილეობას იღებდა წიგნსაცავის დალაგება-დაწყობასა და საკატოლოგო მეურნეობის მოწესრიგებაში. გარდა ამისა, მათ აქტიურ დახმარებას უწევდა დ. კარიჭაშვილის ვაჟი გიორგი დავითის ძე კარიჭაშვილი. მამამ და შვილებმა მოკლე დროში წიგნსაცავი მოაწყვეს და ჩინებულად გაართვეს თავი მათზე დაკისრებულ მოვალეობას. ასეთი უანგარო თავდადებული შრომი-

<sup>46</sup> ი ვ ე ე ფონდი, საქ. № 1246, ფ. 30.

სათვის საზოგადოების კრებამ დავით და გიორგი კარიჭაშვილები 200 მანეთით დააჯილდოვა<sup>47</sup>.

1913 წლის ბოლოსათვის საზოგადოების გამგეობა შეუდგა საზოგადოების არსებობის 35 წლის იუბილის მზადებას, რომელიც 1914 წლის შემოდგომაზე უნდა ეზეიმათ, მაგრამ პირველმა იმპერიალისტურმა ომმა ჩაშალა ეს მზადება.

1914 წელს ქ. ლაიფციგში მოეწყო წიგნების საერთაშორისო გამოფენა: ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობამ ამ გამოფენაზე 127 დასახელების სხვადასხვა სახელწოდების წიგნი და ხელნაწერი, ხელნაწერთა ფოტოპირები გაგზავნა, როგორცაა მაგალითად: სახარება, ბიბლია გამოცემული მოსკოვში, ვახტანგისეული ვეფხისტყაოსანი, ქართული გაზეთი, ილ. ჭავჭავაძის თხულებათა ორტომეული, გამოცემული გედევანიშვილის მიერ და მრ. სხვა. ამავე საკითხთან დაკავშირებით აღსანიშნავია საზოგადოების გამგეობის ერთ-ერთი წინადადგმული ნაბიჯი გერმანიის ქ. მაინცში მსოფლიოში პირველი საბეჭდი მანქანის გამომგონებლის იოჰან გუტენბერგის 500 წლისთავის აღსანიშნავ ზეიმთან დაკავშირებით. გერმანული გაზეთები მსოფლიოს აუწყებდნენ აღნიშნულ ქალაქში წიგნის მსოფლიო გამოფენის მოწყობას. გერმანული გაზეთის მოწოდებამ თბილისში სულ მალე მოაღწია. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ თავის სხდომაზე გადაწყვიტა გუტენბერგის მსოფლიო წიგნის გამოფენაზე საქართველოს სახელით გაეგზავნა შ. რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ ქართველიშვილისეული მდიდარი გამოცემა.

ქ. მაინცის გამოფენაზე სხვა მრავალ მდიდრულად დაბეჭდილ გამოცემასთან ერთად „ვეფხისტყაოსანიც“ ბრწყინავდა. მნახველი საზოგადოება აღტაცებული დარჩა ამ სრულიად უცხო ნაბეჭდი წიგნის ნახვა-დათვალიერებით, განსაკუთრებით პოემის მხატვრულობით, შრიფტით და წიგნის გაფორმებით. წ. კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სახელზე ასეთი შინაარსის წერილი მოვიდა: „დიდად პატივცემულო ბატონებო, თქვენ თქვენი უმშვენიერესი საჩუქრით მეტად ღირსეულად პატივი ეცით გუტენბერგის დღესასწაულს და გუტენბერგის მუზეუმს. მიიღეთ უმხურვალესი მადლობა თქვენი მშვენიერი საჩუქრისათვის, რომელიც სასახელოა ქართული სტამბისათვის და რომელიც თქვენი მაღალი ხელოვნების ნიშნად დარჩება სამუდამოდ გუტენბერგის ქალაქში.“

<sup>47</sup> იგივე ფონდი, საქ. № 1363, ფ. 1.

ეს მშვენიერი ნაწარმოები ჯერ ჩვენს დიდ გამოფენას და შემდეგ ვენებს, შემდეგ იგი გახდება გუტენბერგის მუზეუმის მშვენება. ერთხელ კიდევ გიძღვნიოთ უგულითადეს მადლობას. უგულწრფელესი პატივისცემით მაინცის ქალაქის ბურგომისტრი დოქტორი ჰასნერი“<sup>48</sup>.

როგორც ლაიფციგის, ისე მაინცის გამოფენაზე მონაწილეობით საზოგადოების გამგეობამ მსოფლიოს ქვეყნებს გააცნო ქართული წიგნები და ხელნაწერები, ქართული ხელოვნებისა და კულტურის ნიმუშები, რითაც დიდი სამსახური გაუწია მათ შემდგომში უფრო დანტერესებულიყვნენ საქართველოს ისტორიისა და კულტურის საკითხებით.

საზოგადოების ზრუნვის საგანი შეიქმნა წიგნობრივი ფონდისა და სამუზეუმო ნივთების მოვლა და შენახვა მოსალოდნელი საფრთხის თავიდან აცილების მიზნით. ამ საკითხის „ომიანობის პერიოდში წიგნებისა და სამუზეუმო ნივთების დაცვის შესახებ“ 1914 წლის 22 დეკემბერს გამგეობამ სპეციალური სხდომა მოიწვია. სხდომაზე გ. ყაზბეგმა გააშუქა შექმნილი მდომარეობა და მისი მოხსენების შედეგად მიღებულ იქნა დადგენილება წიგნობრივი ფონდისა და სამუზეუმო ნივთების ყუთებში ჩალაგების შესახებ და გადატანის საჭიროების შემთხვევაში შეერჩიათ მოსახერხებელი ადგილები. ასეთ ადგილებად მიჩნეულ იქნა შიომღვიმის, ქვათახევის, სვეტიცხოვლისა და ჯვრის მონასტრები. საევაკუაციო ქონების ყუთებში ჩალაგების ორგანიზაცია სამუზეუმო სექციას დაევალა, ხოლო აღნიშნული ადგილიდან ერთ-ერთი ადგილის განსაზღვრა — თვით გამგეობას<sup>49</sup>.

შემდგომ წლებში საზოგადოების წიგნსაცავს საუკეთესო შემოწირვები წიგნებისა და ხელნაწერების სახით აღარ შემოსვლია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ 1914 წელს დ. ყიფიანის შვილის კონსტანტინე დიმიტრის ძე ყიფიანის მიერ თავისი მამის არქივის შემოწირვას (10 შეკვრა საქალაქდ).

1916 წლიდან წიგნსაცავის გამდიდრებასთან ერთად დღის წესრიგში დაისვა იმ წიგნების კატალოგის შედგენა, რომლებიც 1911 წლის შემდეგ შემოვიდა საზოგადოებაში. შედგენილი და დამზადებულ იქნა წიგნსაცავის კატალოგის მეორე დამატება<sup>50</sup>, მაგრამ სა-

<sup>48</sup> წიგნის სამყარო, 1974, № 1.

<sup>49</sup> იგივე ფონდი, საქ. № 1229, ფ. 65.

<sup>50</sup> საქ. სსრ ისტორიული არქივი, ფ. 481, საქ. № 1571. ფ. 56.

ზოგადობამ უსახსრობის გამო მისი სტაბილურად გამოცემა შეწყდა ახერხა.

1914 წელს დაიწყო I იმპერიალისტური ომი, ომი მძიმე ტვირთად დააწვა მოსახლეობის ყველა ფენას, მან მოითხოვა კოლოსალური სახსრები. მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა წ. კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებაც. ძნელი გახდა კულტურულ დაწესებულებათა შენარჩუნება. ამ მდგომარეობიდან გამოსვლის ერთ-ერთ გზად გ. ყაზბეგის მიერ იმ პერიოდისათვის საქართველოში არსებული რამდენიმე კულტურულ-საგანმანათლებლო და საქველმოქმედო საზოგადოების ერთ კავშირად გაერთიანების დადგენა იქნა მიჩნეული, რომელსაც სათავეში ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება ჩაუდგა.

გ. ყაზბეგის მიერ შედგენილი წესდება 1915 წლის ოქტომბერში თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლმა დაამტკიცა, რითაც გაფორმდა „კავკასიის სამეფისნაცვლო კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებათა კავშირი“. ეს წესდება საფუძვლად დაედო ამ კავშირის მუშაობას.

წესდების მიხედვით კავშირის მიზანს შეადგენდა: ა) „ქართველი ხალხის კულტურისა და განათლების ყოველმხრივი შესწავლა და დაკმაყოფილების მხრივ ზომების მიღება; ბ) კავკასიის სამეფისნაცვლოში მოქმედი კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებათა მოქმედების გაერთიანება“.

წესდების დამტკიცების შემდეგ კავშირის დამფუძნებელი კრების მოწვევა დებუტატთა და საზოგადოებათა გამოუცხადებლობის გამო ჩაიშალა. 1916 წლის აპრილში კავშირის დამფუძნებელი კრების მოწვევა გ. ყაზბეგის და ექ. თაყაიშვილის მიერ როგორც იქნა მოხერხდა, კავშირის გამგეობის თავმჯდომარედ კრებამ გ. ყაზბეგი დაასახელა, ხოლო მდივნად გ. ცინცაძე აირჩია, მაგრამ ომით გამოწვეული კრიზისი მან ვერ აიცდინა და მუშაობა მალე შეწყვიტა 1918 წელს.

ამავე წლის მაისში ყოფილი სრულიად რუსეთის საეროზო კავშირის კავკასიის კომიტეტის სხდომის გადაწყვეტილებით ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას გადაეცა ამ კავშირის თბილისში არსებული პატარა ფონდი იმ პირობით, რომ საზოგადოება ამ ფონდის ბაზაზე ქ. თბილისში გახსნიდა საქალაქო ტიპის ბიბლიოთეკას. საზოგადოებამ 303 სახელწოდების 314 ცალი წიგნი

მიიღო. წიგნები ჩაიბარა გამგეობის წევრმა ვ. ბურჯანაძემ<sup>51</sup> პერიოდში საზოგადოების წიგნსაცავს შეემატა ვ. თულაშვილის 105 სახელწოდების 172 ც. სამეცნიერო და სპეციალური ლიტერატურა<sup>52</sup>.

1918 წელს ქართველი ხალხის კულტურულ ცხოვრებაში დიდი მოვლენა იყო უნივერსიტეტის გახსნა. ახლად გახსნილი უნივერსიტეტის საბიბლიოთეკო კომისიამ, რომელსაც სათავეში ედგა ჩვენი სასიქადულო მეცნიერი აკ. შანიძე, თხოვნით მიმართა ქ. შ. წერაკითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას, რომ დროებით სარგებლობისათვის გადასცემოდა უნივერსიტეტს პროფ. პეტრიაშვილის, პროფ. პ. მელიქიშვილისა და ექ. მრევლიშვილის ბიბლიოთეკათა ფონდები, რომლებიც საზოგადოების წიგნსაცავში ცალკე კარადაში იყო მოთავსებული.

1919 წელს დ. კარიჭაშვილი თხოვნით მიმართავს განათლების სამინისტროს წიგნსაცავის ცენტრალიზებულ დაკომპლექტებაზე გადაყვანის შესახებ: „ჩვენი წიგნსაცავი არის უმდიდრესი ჩვენს სახელმწიფოში და დიდი ხანია ასრულებს საერთო წიგნსაცავის დანიშნულებას“<sup>53</sup>. მაგრამ მისი თხოვნა არ დააკმაყოფილეს. მენშევიკური მთავრობის ბატონობის პერიოდში საზოგადოების მოქმედებას თანდათან დაქვეითება დაეტყო. პირველ რიგში მისმა განყოფილებებმა იწყეს ლიკვიდაცია და მათში შემავალი სკოლები და ბიბლიოთეკა-სამკითხველოები ადგილობრივ თვითმართველობას გადაეცა. საზოგადოების გამგეობა ცდილობდა დაეცვა წიგნსაცავ-მუზეუმი.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება ახლოვდებოდა. მე-11 არმია, რომელსაც ს. კიროვი და ს. ორჯონიკიძე ხელმძღვანელობდნენ, თანდათან უახლოვდებოდა თბილისს. იმ მომენტში მენშევიკურმა მთავრობამ მოახდინა განკარგულება წიგნსაცავ-მუზეუმში დაცულ ძვირფას ოქრო-ვერცხლის ნივთებთან ერთად იშვიათი ხელნაწერებისა და წიგნების სასწრაფოდ ყუთებში ჩალაგება და გამზადება. ხელნაწერებისა და ნივთების შერჩევა მთავრობის განკარგულებით ექ. თაყაიშვილს დ. კარიჭაშვილისათვის გადაეცა. 1921 წლის 20 თებერვალს შერჩეული და გამზადებული სამი ყუთი ქონება თბილისიდან ქუთაისში, შემდეგ კი საფრანგეთში იქნა გატაცებული. შექმნილი მდგომარეობა დ. კარიჭაშვილმა გამგე-

<sup>51</sup> იგივე ფონდი, საქ. № 1637, ფ. 24  
<sup>52</sup> იგივე ფონდი, საქ. № 1637, ფ. 23.  
<sup>53</sup> იგივე ფონდი, საქ. № 1637, ფ. 49.

ობას მოახსენა 1921 წლის 22 თებერვალს სხდომაზე<sup>54</sup>. 1946 წელს ხელნაწერები, არქეოლოგიური ნივთები და საგანძური საქართველოში ჩამოტანილ იქნა შ. ამირანაშვილის მიერ.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ, საქართველოს სახალხო კომისარიატის განკარგულებით რესპუბლიკის ყველა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულება სახელმწიფო კუთვნილებად იქნა გამოცხადებული. განათლების სახალხო კომისარიატის 1922 წლის 22 აპრილის წესდებით ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება „წიგნის გამომცემელ და გამავრცელებელ ქართველთა საზოგადოებად იქნა გამოცხადებული“.

1922 წლისათვის წიგნსაცავის წიგნადი ფონდი შეადგენდა 13902 ერთეულს, მათ შორის 7225 ქართულს (აქედან 2169 ხელნაწერი), რუსულ და უცხო ენებზე არსებული ლიტერატურა კი 6177 ერთეულს. ამავე წელს წიგნსაცავით უსარგებლია 142 მკითხველს, რომელზეც 260 წიგნი და ხელნაწერია გაცემული.

1922 წლის იანვარში საზოგადოების გამგეობამ შუამდგომლობა აღძრა საქ. სსრ განათლების სახალხო კომისარიატის წინაშე, რომ მთავრობას, თუ მიზანშეწონილად ცნობდა წიგნსაცავ-მუზეუმის საზოგადოების ხელში დატოვებას, იგი საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებისათვის გადაეცა.

ამავე წლის ივნისში საზოგადოების კრებაზე განხილულ იქნა საკითხი თუ ვინ უნდა ყოფილიყო წიგნსაცავ-მუზეუმის ბატონ-პატრონი. ვ. ბურჯანაძის წინადადებით წამოყენებულ იქნა საკითხი, საზოგადოებას შეემუშავებინა გეგმა-პროექტი თუ ვის უნდა გადაეცემოდა წიგნსაცავ-მუზეუმი და ამ საკითხზე მოეწვიათ დაინტერესებული პირნი. გეგმა-პროექტის განხილვაში მონაწილეობის მისაღებად მიწერილობები დაეგზავნათ ი. ჯავახიშვილს, აკ. შანიძეს, გ. ახვლედიანს, კ. კეკელიძეს, დ. უზნაძეს, ვუკ. ბერიძეს და სხვებს<sup>55</sup>.

1925 წელს საზოგადოების წინაშე ი. ჯავახიშვილმა დასვა საკითხი, რომ წიგნსაცავ-მუზეუმი უნივერსიტეტს გადასცემოდა. 30 დეკემბერს საზოგადოების გამგეობამ განიხილა საკითხი და დაადგინა: „წიგნსაცავ-მუზეუმი რჩება ისევ წ. კგს საკუთრებად, ხოლო დროებით მოსავლელად და სარგებლობისათვის იგი გადაეცეს სახელმწიფო უნივერსიტეტს არსებული მოსამსახურით და შტატით“. შტა-

<sup>54</sup> საქ. სსრ ისტ. არქივი, ფ. 481, საქ. 2043, ფ. 23—25.

<sup>55</sup> ტ. ხ უ ნ დ ა ძ ე, ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, თბ., 1960, გვ. 154—155.





ტის შენახვა უნივერსიტეტს ეკისრებოდა. განათლების სახალხო-  
მისარიატის განკარგულებით იგი უნივერსიტეტს გადაეცა. გამგეო-  
ბამ დადგენილების შესასრულებლად გამოჰყო კომისია დ. კარიჭა-  
შვილისა და ვ. ბურჯანაძის შემადგენლობით, 1926 წლის თებერვალ-  
ში წიგნსაცავ-მუზეუმი და არქივი უნივერსიტეტს ჩაბარდა, სადაც  
1937 წლამდე იმყოფებოდა. ამჟამად იგი კ. მარქსის სახ. ბიბლიოთე-  
კის ხელუხლებელ ფონდშია.

როგორც ვხედავთ, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავ-  
რცელებელი საზოგადოების ცდამ, თავი მოეყარათ ქართული ხელ-  
ნაწერი და ნაბეჭდი წიგნებისათვის, ისტორიული და არქეოლოგიური  
კოლექციისათვის, თავისი ნაყოფი გამოიღო. საზოგადოების წიგნსა-  
ცავში შეგროვილი და დაცული იყო ჩვენი ერისათვის ფრიად სასარ-  
გებლო და აუცილებელი საგანძური. ვინ იცის რა ბედი ეწე-  
ოდა იმ ხელნაწერ და ნაბეჭდ წიგნებს, რომელიც გაფანტული იყო  
როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ. ქართული  
კულტურის პატრიოტებმა მასში დაინახეს დიდი ეროვნული წამო-  
წყება, გამოეხმაურნენ მას, მატერიალურად და მორალურად მხარი  
დაუჭირეს ამ საქმის ხორცშესხმასა და სრულყოფას.

საზოგადოების წიგნსაცავი წლების მანძილზე მდიდრდებოდა  
უმეტესად უფასო შემოწირულობით, მასში მოთავსებული ხელნაწე-  
რები და ნაბეჭდი წიგნები ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცა, რო-  
მელთა შესწავლამ ნათელი მოჰფინა არა მარტო მე-19 საუკუნის,  
არამედ უფრო შორეული წარსულის საქართველოს ისტორიის მრავ-  
ვალ შეუსწავლელ და ნაკლებად ცნობილ საკითხს.

ამრიგად, საზოგადოების წიგნსაცავის მნიშვნელობა ფასდაუ-  
დებელია ჩვენი ერისათვის, მასში მოთავსებული მასალები კი ქარ-  
თული კულტურითა და ისტორიით დაინტერესებულ მკვლევარ-  
თათვის.

**ზრუნვა წიგნსაცავ-მუზეუმის საკუთარი ბინისათვის**

წიგნების, ხელნაწერებისა და არქეოლოგიური ნივთების რაო-  
დენობის სწრაფმა ზრდამ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავ-  
რცელებელი საზოგადოების გამგეობის წინაშე დააყენა ამოცანა —  
მოეპოვებინათ წიგნსაცავ-მუზეუმისათვის საკუთარი ბინა.

არქივში დაცული მასალებიდან ირკვევა, რომ საზოგადოების  
გამგეობა ყოველ ღონეს ხმარობდა წიგნსაცავ-მუზეუმისათვის სა-  
კუთარი ბინის აშენებისათვის, რათა წესრიგში მოეყენა ეროვნული

კულტურის ეს ძვირფასი ნამოღვაწიარი. ჩვენ შევეცდებით მოკლულად მოგვთხროთ წიგნსაცავ-მუზეუმის ბინის ისტორია.

გამგეობის წინაშე წიგნსაცავისა და კანცელარიის შენობის საკითხი ი. ჭავჭავაძემ წამოაყენა. მან წინადადება შეიტანა, რომ გამგეობას ეზრუნა და ვერაზე მდებარე ნ. ბერძენიშვილის სახლში (სადაც იმჟამად მოთავსებული იყო სათავადაზნაურო ბანკი) თავისუფალი ოთახი<sup>56</sup> დაექირავებინა, მაგრამ ფინანსური ხელმოკლეობის გამო ეს საკითხი არ განუხილავთ.

შემდეგ წლებში წიგნსაცავ-მუზეუმი გადატანილ იქნა სათავადაზნაურო გიმნაზიის შენობის სარდაფში, მაგრამ იქ წიგნები და ხელნაწერები დანესტიანდა და აუცილებელი გახდა ბინის გამოცვლა. 1887 წელს საქმის შესრულება დაევალა საზოგადოების წევრებს პ. უმიკაშვილსა და ი. მანსვეტაშვილს. მათ გამოძებნეს ორი ოთახი — ერთი ა. სარაჯიშვილის სახლში თვეში 20 მანეთად და მეორე არწრუნისეულ ქარვასლაში, სათავადაზნაურო ბანკის მალაზიის ოთახი, რომელსაც ბანკის მმართველობა უფასოდ უთმობდა გამგეობას. იმავე წლის ზაფხულში საზოგადოების კანცელარია და მუზეუმი გადატანილ იქნა სარაჯიშვილის სახლში.

წიგნსაცავ-მუზეუმის საკუთარი შენობის აშენების საკითხი პირველად საზოგადოებაში დასმულ იქნა ი. მაჩაბლის მიერ 1889 წელს. იგი მოახსენებდა გამგეობას: „ვგონებ იმას არა ემჯობინება, რომ ამ დროისათვის საზოგადოებამ შეიძინოს ან დაიქირაოს რომელიმე შესაფერისი სახლი თავისი ძვირფასი ბიბლიოთეკისათვის“<sup>57</sup>. გარდა ამისა იგი წინადადებას იძლეოდა გამგეობას დაეწყო მოლაპარაკება ბანკის მმართველობასთან, რათა ბანკის გვერდით ცარიელი ადგილი დაეთმოთ შენობის ასაგებად.

ი. მაჩაბელთან ერთად ი. გოგებაშვილი წინადადებას იძლეოდა, გამგეობას განსაკუთრებული ყურადღება მიექცია წიგნსაცავისათვის, რათა ხანძარს არ შთაენთქა ეს ეროვნული საუნჯე. მას თხოვნით მიემართა თავადაზნაურობისათვის, რათა დაეთმო ადგილი, შეედგინა ნახაზი ბინისა, მიემართა შეძლებული ქართველებისათვის, შემოეწირათ თანხა სახლის ასაშენებლად. გამგეობამ მათი მოხსენების გამო რეზოლუციაში ჩაწერა: „რაც შეიძლება მალე გამოცხადდეს ხელის მოწერა შესაწირავად საბიბლიოთეკო სახლის ასაშენებლად.

<sup>56</sup> 1884—1885 წლის საზ.ის ანგარიში.

<sup>57</sup> საქ. სსრ ცსა, ფ 481, საქ. № 210, ფ. 25.

ამისათვის ნებართვა ვსთხოვთ ვუბერნატორს და დანარჩენი ჯერ დავიცადოთ“<sup>58</sup>.

წიგნსაცავ-მუზეუმის ბინის საკითხი გამგეობამ კვლავ მოისმინა ამავე წლის 24 იანვრის სხდომაზე. სხდომას ექ. თაყაიშვილმა წარუდგინა 18 მუხლისაგან შემდგარი მეცნიერულად ჩამოყალიბებული გეგმა, მოხსენების პირველი და მეორე მუხლი წიგნსაცავის უშიშარ ადგილზე მოთავსებას და შენობისათვის თანხების გადიდებას შეეხებოდა. გამგეობამ ექ. თაყაიშვილის პროექტი განიხილა და მოიწონა, რის გამოც მიიღო გადაწყვეტილება, წიგნსაცავი და კანცელარია გადაეტანა არწუნისეულ ქარვასლაში და წიგნის მალაზია კანცელარიისაგან განეცალკეებინა. აირჩია კომისია დ. ბაქრაძის, ექ. თაყაიშვილის, თ. ჟორდანიას, ნ. მთვარელიშვილისა და ი. მანსვეტაშვილის შემადგენლობით<sup>59</sup>.

1891 წელს ი. ჭავჭავაძის მეთაურობით გაზეთ „ივერიის“ რედაქციაში გაიმართა თათბირი, სადაც ილიამ წამოაყენა საკითხი თუ რას მოხმარებოდა გარდაცვლილ დ. ბაქრაძის მემკვიდრეთაგან შემოწირული თანხა. მისი აზრით, ეს თანხა უნდა მოხმარებოდა წიგნსაცავ-მუზეუმის აშენებას და მის უკვდავსაყოფად დ. ბაქრაძის სახელობის წიგნსაცავ-მუზეუმი ეწოდებინათ.

წიგნსაცავის ბინის საკითხი ყველაზე მტკივნეული იყო საზოგადოების არსებობის მანძილზე, რასაც გამგეობა თავის საანგარიშო მოხსენებაში ხშირად აღნიშნავდა. წიგნსაცავში შემოწირულების გადიდებასთან დაკავშირებით და განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც საზოგადოების ხელში გადმოვიდა დ. ჩუბინაშვილის პირადი ბიბლიოთეკა, გაზეთმა „ივერიამ“ ვრცლად გააშუქა ამ ბიბლიოთეკის მნიშვნელობა ჩვენი ერისათვის, მან ასევე აღნიშნა საზოგადოების განზრახვა საკუთარი ბინის მოპოვებისათვის. „როგორც შევტყვევთ, წერდა იგი, საზოგადოებას აზრად აქვს ხელის მოწერა გამართოს ბიბლიოთეკის ცეცხლისაგან მიუკარებელი საკუთარი შენობის ასაგებად. შენობა ისე უნდა იყოს აგებული, რომ მსურველს შეეძლოს შიგ მუშაობა, კვლევა და ძიება ძველის ხელნაწერებისა საქართველოს შესახებ“<sup>60</sup>, შემდეგ გაზეთი მიუთითებდა, რომ ქართველი მოწინავე საზოგადოება უნდა დაეხმაროს ამ საშვილიშვილო საქმეს და

<sup>58</sup> საქ. სსრ ცსა, ფ 481, საქ. № 66, ფ. 260.

<sup>59</sup> იქვე, გვ. 262—263.

<sup>60</sup> გაზ. «ივერია», 1899, № 196.

არ უნდა დაზოგოს თავი როგორც მატერიალურად, ისე პირადი წვლილიც უნდა შევიტანოთ ჩვენი შრომითო.

საზოგადოების გამგეობას ერთ-ერთ სხდომაზე ნ. ცხვედაძისათვის 200 მანეთი მიუცია. ეს თანხა უნდა მოხმარებოდა წიგნსაცავის ბინის დაგეგმარება-ს საქმეს, მაგრამ ნ. ცხვედაძეს ამ ფულის გადაცემა არქიტექტორზე აღარ დასჭირვებია, რადგან წიგნსაცავის ბინის გეგმა-ნახაზი კორნელი ტატიშვეს დაემზადებია და იგი ხელთ ჰქონდა გამგეობას.

გარდა ტატიშვეის გეგმა-პროექტისა საზოგადოებას ხელთ ჰქონდა კიდევ არქიტექტორ შტეინის მიერ შედგენილი პროექტი. წიგნსაცავ-მუზეუმის გეგმა-პროექტის ხელში აღების შემდეგ ი. ჰავ-ქავაძე, ი. გოგებაშვილი, ნ. ცხვედაძე და ექ. თაყაიშვილი 1895 წლის 4 იანვარს წერილს წერენ ა. ზუბალაშვილს, რომელიც საზღვარგარეთ იმყოფებოდა. ამ წერილში ისინი აუწყებდნენ საქართველოს სიძველეთა ხელნაწერებისა და წიგნების დიდ მნიშვნელობას ქართველი ერისათვის და მას, როგორც ქართველი ხალხის და სიძველთსაცავების დიდ პატრიოტს, სთხოვენ, „დაუთმოს სასტუმრო „ლონდონის“ ახლოს მდებარე ცარიელი მიწა წიგნსაცავის ბინისათვის და აგრეთვე სთხოვენ მატერიალურ დახმარებას ფულის მხრივ“. ამის საშუალებას გვაძლევს თვით თქვენი წერილი, რომელშიც საჭიროდ სთვლით საზოგადოებისათვის საჭირო დახმარებას ამ საქმეში<sup>61</sup>.

1897 წელს საზოგადოების წიგნსაცავში ცეცხლისაგან უშიშროების დაცვის მიზნით გ. ჟურულის წინადადებით აიკრძალა პაპიროსის მოწვევა და ლამპის მაგიერ გაყვანილ იქნა ელექტროგანათება.

ამავე წელს საზოგადოების გამგეობამ განიხილა საკითხი ბინის ასაშენებლად თანხების გაზრდის შესახებ, მიიღო დადგენილება „შერთდეს წიგნსაცავ-მუზეუმის ბინის ასაშენებლად ყველა ფონდი, გარდა რ. ერისთავის სახელზე ქალაქთაგან შემოწირულ სალიტერატურო ფონდისა<sup>62</sup>, და შეიქმნას ე. წ. „მუზეუმის ფონდი“.

1900 წელს საზოგადოების გამგეობამ მშენებლობის უფლების მისაღებად ზემდგომი ორგანოების წინაშე კვლავ დასვა საკითხი, მაგრამ უარი მიიღო. 1903 წელს ექ. თაყაიშვილმა განმეორებით დასვა საკითხი, წიგნსაცავის ბინის თაობაზე. მისი წინადადებით თავდაზნაურობას გადაწყვეტილი ჰქონია ფრეილინის ქუჩაზე სახლის

<sup>61</sup> საქ. სსრ ცსა, ფ. 491, საქ. № 1441, ფ. 42.

<sup>62</sup> იგივე ფონდი, საქ. № 1229, ფ. 30.

მშენებლობა. მისი აზრით, გამგეობა უნდა მოლაპარაკებოდა თავდა-  
ახნაურობას და წარედგინა მისთვის კანცელარიის, მუზეუმისა და  
ბიბლიოთეკისათვის საჭირო სათავსოების გეგმა. კრებამ საქმის წარ-  
მატებით მსვლელობისათვის აირჩია კომისია ნ. ცხვედაძის, ფ. გოგი-  
ჩაიშვილის, დ. კარიჭაშვილის შემადგენლობით და ბინის გეგმის  
შედგენაც მათ დაავალა. მიუხედავად კომისიის მიერ გაწეული მუ-  
შაობისა, წიგნსაცავი კვლავ არწრუნისეულ ქარვასლაში დარჩა.

1905 წლის რევოლუციის წლებში წიგნსაცავ-მუზეუმის ბინის  
საკითხი კვლავ დასვა საზოგადოებაში ექ. თაყაიშვილმა, რომელმაც  
27 დეკემბრის სხდომაზე ასეთი მოხსენება წარუდგინა გამგეობას:  
„ყველას მოეხსენება, რომ წ.-კ. საზოგადოების წიგნსაცავი და მუზე-  
უმი წარმოადგენს ერთ-ერთ დაწესებულებას ჩვენში, სადაც შე-  
კრებილია მთელი ქართველი ერის, ცხოვრების, ლიტერატურის, მეც-  
ნიერების ნაშთები. ეს ის განძია, რომელიც ფასით არ იყიდება და  
თუ ერთხელ დაიკარგა, აღდგენა არ შეიძლება, გაქრა ეს განძი, გაქ-  
რა ისტორია, ლიტერატურა, მეცნიერება და საზოგადოდ მთელი  
კულტურა ქართველი ერისა, ქართველმა ერმა უნდა მოუაროს ამ  
განძს. გამგეობა მოვალეა, ყოველი ღონე იხმაროს, რომ ხსენებული  
ნაშთი ჩვენს ერს არ დაეკარგოს. დღეს ჩვენში საშიშრო დრო დადგა,  
კერძოდ, სახლი და კერძო პირი დიდ განსაცდელშია, წიგნსაცავი  
საშიშარ ადგილზეა, ამიტომ ვთხოვ საზოგადოებას შეიკრიბოს და  
გამოიძებნოს ღონე წიგნსაცავისა და მუზეუმის უკეთეს დაცვისა“<sup>63</sup>.  
გამგეობამ, მოისმინა რა ეს საინტერესო მოხსენება, მიიღო გადა-  
წყვეტილება, რომ ამ საკითხზე მოწინავე ქართველ პირებთან ერთად  
იმსჯელებდა, მაგრამ მასალებიდან არ ჩანს, შედგა თუ არა სავარა-  
უდლო კრება.

1907 წელს საზოგადოების გამგეობის სხდომაზე ი. ჭავჭავაძის  
მეუღლემ ოლღა ჭავჭავაძემ მოახსენა გამგეობას მისი მეუღლის ან-  
დრეძი, რომლის ძალითაც საგურამოს მამული და ქ. თბილისში ან-  
დრევეის ქუჩაზე მდებარე ი. ჭავჭავაძის სახლი ქ. შ. წერა-კითხვის  
გამავრცელებელი საზოგადოების ხელში გადადიოდა. ამ გარემოე-  
ბამ გამგეობის წინაშე წამოჭრა საკითხი ბიბლიოთეკა და მუზეუმი  
ილიას სახლში გადაეტანათ ანდრევეის ქუჩაზე. მასთან ერთად ბი-  
ბლიოთეკის დროებით ბინისათვის დასახელებულ იქნა სიმონ კლდი-  
აშვილის (არქიტექტორი) სახლი ვერაზე და სათავადაზნაურო გიმ-  
ნაზიის შენობა.

<sup>63</sup> საქ. სსრ ცსა, ფ. 481, საქ. № 967, ფ. 1.

1908 წლის 15 მაისს საზოგადოების გამგეობის სხდომაზე ა. მდივანმა წამოაყენა წინადადება, რომ გამგეობას მიემართა დ. სარაჯიშვილისათვის თხოვნით — წყნეთის ქუჩაზე ბინის ასაშენებლად ცარიელი ნაკვეთი უფასოდ დაეთმო ან მიექირაებინა. ხოლო ექ. თაყაიშვილმა გამგეობას ურჩია მოლაპარაკებოდა თავადაზნაურთა წინამძღოლს, გადმოეცა მისთვის სათავადაზნაურო ბანკის შენობა (რომელიც იმდროისათვის თავისუფლდებოდა). კრებამ ამ საქმის განხორციელება გ. ყაზბეგს დაავალა, გ. ყაზბეგის მოლაპარაკებამ შედეგი არ გამოიღო. თავის მხრივ გ. ყაზბეგმა მოახსენა გამგეობას, რომ ბიბლიოთეკა-მუზეუმი გადაეტანათ სათავადაზნაურო გიმნაზიის შენობაში (რომლის დირექცია გამგეობას ორ ოთახს უთმობდა).

ამ საკითხის გარშემო კრება ორ ნაწილად გაიყო. კრების ერთი ნაწილი მოითხოვდა წიგნსაცავ-მუზეუმის გიმნაზიის შენობაში გადატანას, ხოლო მეორე — წიგნსაცავის ადგილზევე ქარვასლაში დატოვებას, იმ მოტივით, რომ წიგნსაცავის გიმნაზიის შენობაში გადატანა საზოგადოების მოქმედებას ორად გაყოფდა და მკითხველებს მომსახურებას ვეღარ გაუწევდა უწინდებურად. კამათის შემდეგ რ ხმით 5 წინააღმდეგ კრებამ მიიღო დადგენილება, რომ წიგნსაცავი ისევ ძველ ადგილზე დარჩენილიყო, ხოლო საქმის უკეთ წარმართვის მიზნით არჩეულ იქნა კომისია, რომელშიც შევიდნენ: ფ. გოგიჩაიშვილი, ა. ყიფშიძე, ა. ლულაძე, დ. კარიჭაშვილი და პ. სურგულაძე. ამ კომისიას დაევალა ბიბლიოთეკა-მუზეუმის ბინის კონკრეტული ღონისძიებების შემუშავება, შენობის ტიპიური პროექტის შედგენა და გამგეობაში წარდგენა. კომისიამ გარკვეული მუშაობის ჩატარების შემდეგ გამგეობას წარუდგინა ა. ქურდიანის მიერ შედგენილი წიგნსაცავის ბინის გეგმა, რომლის თანახმად შენობა 22 ათასი მანეთი უნდა დამჯდარიყო. პროექტის მიხედვით წიგნსაცავის ბინა ორი შენობისაგან შედგებოდა, ერთ შენობაში უნდა მოთავსებულიყო წიგნსაცავ-მუზეუმი, მეორეში — გამგეობა და კანცელარია, ა. სარაჯიშვილის წინადადებით შენობის პროექტში შეტანილ იქნა ცვლილება, რომლის ძალით ბიბლიოთეკა-მუზეუმის შენობის ერთი ოთახი ე. წ. „პედაგოგიურ მუზეუმს“ უნდა დათმობოდა.

ი. ჭავჭავაძის სახლის საზოგადოებისათვის გადაცემასთან დაკავშირებით 1909 წ. გამგეობის სხდომაზე გამოითქვა მოსაზრება, რომ წიგნსაცავ-მუზეუმი გადატანილიყო ანდრეევის ქუჩაზე დროებით, სანამ ახალ შენობას ააგებდნენ. ამავე სხდომაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, ა. ზუბალაშვილის თანხა დამატებოდა მუზეუმის თანხას და დაწყებულიყო მშენებლობა.

ილიას სახლში ბიბლიოთეკა-მუზეუმის დროებით გადატანის დროს გამგეობა ვარაუდობდა, გაეფართოებინა ილიას სახლი დაშენების გზით. ბიბლიოთეკის ბინის ამშენებელმა კომისიამ ილიას სახლის გადაკეთება მიანდო არქიტექტორ სიმონ კლდიაშვილს, რომელმაც თავის მხრივ მოკლე დროში შეიმუშავა ილიას სახლის გადაკეთების პროექტი-გეგმა და წარუდგინა კომისიას, რომლის ხარჯთაღრიცხვა 10065 მანეთს ითვალისწინებდა. პროექტის ავტორთან ერთად მოწვეული იყვნენ ინჟინრები ქურდიანი და მამრადე. სექციის სხდომაზე გამოიჩინა, რომ წიგნსაცავ-მუზეუმის ასაშენებლად საჭირო იყო ი. ჭავჭავაძის სახლის მთელი ძველი შენობა დანგრეულიყო და დარჩენილიყო თვით ი. ჭავჭავაძის მიერ აშენებული ორი ოთახი. მთლად ძველი შენობის დანგრევამ და აგრეთვე გეგმის ზოგადერთმა სხვა ცვლილებამ, თანახმად ქურდიანის და მამრადის შენიშვნებისა, აიძულეს ს. კლდიაშვილი ხარჯთაღრიცხვა აეყვანა 16416 მანეთამდე. ს. კლდიაშვილის გეგმა-პროექტი, რომელიც ი. ჭავჭავაძის სახლის დაშენება-გადაკეთებას ითვალისწინებდა, დეტალურად განხილულ იქნა 1909 წლის 11 დეკემბრის სხდომაზე. ამავე სხდომას ი. გოგებაშვილმა მოახსენა, რომ იგი წინააღმდეგი იყო ი. ჭავჭავაძის სახლში ბიბლიოთეკისა და მუზეუმის გადატანისა. ეს მოსაზრება მას მოჰყავდა იმისათვის, რომ სახლის გადაკეთება მოითხოვს 12 ათას მანეთზე მეტს, მეორე მხრივ, სახლი მოშორებული იყო ცენტრს და იქ ბიბლიოთეკის მოთავსება მას საზოგადოების მკვდარ დაწესებულებად აქცევდა. ანდრეევის ქუჩაზე ილიას სახლი გარშემორტყმულია მაცხოვრებლებით და ცეცხლის გაჩენა ადვილად შეიძლება, ამიტომ იგი წინადადებას იძლევა საზოგადოებამ თავი დაანებოს ილიას სახლის გადაკეთებას და იზრუნოს საკუთარი შენობის მოპოვებისათვის. „მომავალ წიგნსაცავ-მუზეუმის შენობაში ერთ დიდ ოთახს დაერქმევა ილიას ოთახი და მასში მოთავსდება მისი კაბინეტი იმ წესზე და რიგზე, როგორც იგი დარჩა მისი მოკვლის შემდეგ — აღნიშნავდა ი. გოგებაშვილი“<sup>64</sup>.

კრებამ სარევიზიო კომისიის (რომელშიც შედიოდნენ ა. ლულაძე, შ. დედაბრიშვილი, ალ. მიქელაძე) გადაწყვეტილებით მიზანშეუწონლად სცნო ბიბლიოთეკის ილიას სახლში გადატანა და გამგეობაში შეიტანა წინადადება, ილიას სახელობის ფონდიც მუზეუმის მშენებლობას მოხმარებოდა და აგებულ მუზეუმს ილიას სახელი მიკუთვნებოდა. კრების გადაწყვეტილებით მშენებლობა სწრაფად უნ-

<sup>64</sup> საქ. სსრ ცსა, ფ. 431, საქ. № 1142, ფ. 21.

და დაწყებულიყო და მშენებელ კომისიაში 3 წევრი წ.-კ. საზოგადოებისაგან შევიდოდა, ამდენივე — საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებისაგან და 5 წევრი თვით საერთო კრებას უნდა აერჩია. კომისიაში კენჭის ყრის არჩევით შეყვანილი იყვნენ: ნ. ელიავა, ს. კლდიაშვილი, დ. ჯორჯაძე, იბ. ვართაგავა, ვ. მუსხელიშვილი. კანდიდატებად აირჩიეს ვ. ლამბაშიძე, ქრისტ. ციციშვილი, ნიკ. ჭიჭინაძე და დ. დავითაშვილი. ასევე კომისიაში შეყვანილი იყვნენ დ. კარიჭაშვილი, ალ. ყიფშიძე და პ. სურგულაძე. საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებიდან შევიდნენ ექ. თაყაიშვილი, ალ. სარაჯიშვილი და მღვდელი კალ. ცინცაძე. კომისიის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ექ. თაყაიშვილი. კომისიამ რამდენიმე დღის შემდეგ მოახსენა გამგეობას, რომ წიგნსაცავის სახლის აშენება თავისი ხარჯით დ. სარაჯიშვილმა იკისრა, იმ პირობით, თუ სახლის ასაშენებელ ადგილს გამგეობა გამონახავდა.

ადგილის შოვნის მიზნით გამგეობამ თხოვნით მიმართა სათავადაზნაურო დეპუტატთა საკრებულოს, დაეთმო თავისუფალი ადგილი ფრეილინის ქუჩაზე, მაგრამ უარი მიიღო, სამაგიეროდ, თავადაზნაურობა დაეხმარა გამგეობას 50 ათასი მანეთით ხუთ წელიწადში (წელიწადში 10 ათასი მანეთი). ამ იმედით სამუზეუმო ნივთები გადატანილ იქნა ყუთებით გიმნაზიის შენობაში და წიგნსაცავი კი დარჩა ისევ ძველ ადგილზე. საზოგადოების გამგეობა მაინც განაგრძობდა თავისუფალი ადგილის გამონახვას წიგნსაცავის ბინისათვის. 1911 წელს ორი თავისუფალი ადგილი იქნა შერჩეული: ერთი წყნეთის ქუჩაზე და მეორე „ფიქრის გორაზე“.

წყნეთის ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთი, რომელიც ბინის აშენებელმა კომისიამ შეარჩია, სამ მეპატრონეს ეკუთვნოდა: წილოსანს, ცისკარიშვილსა და მალინოვსკის ქვრივ ქალს. კომისიამ შეძლო ამ ადგილის გაფორმება 1912 წელს საზოგადოების სახელზე, რომელშიც 35554 მანეთი გადაიხადა.

დაბოლოს, არ შეიძლება გვერდი ავუაროთ პროფ. ა. ცაგარელის წერილს, რომელიც წიგნსაცავ-მუზეუმის ბინის საკითხს ეხება. წერილი თარიღდება 1910 წელს გამოგზავნილი ექ. თაყაიშვილისადმი. წერილში ლაპარაკია თუ სად უნდა აშენდეს მუზეუმი, როგორი გეგმით და რა საშუალებით.

ვერაზე მუზეუმის აშენება არ შეიძლება, აღნიშნავს წერილის ავტორი. მუზეუმის ბინა „უნდა აშენდეს შუაგულ ქალაქში, რომ გაუადვილოს ყველას სარგებლობა იქ დაკული საუნჯითა“. მუზეუმის ასაშენებელ ადგილად ის ასახელებს ანჩისხატის უბანს, სადაც იმ



დროს მოედანი იყო. მუზეუმი უნდა აშენდეს ქართულ სტილზე. ამისათვის უნდა გამოცხადდეს კონკურსი. გეგმის შემდგენლებმა უნდა გადასინჯონ დიუბუას მოგზაურობის ატლასი, სადაც ჩვენი ძველი შენობის ნიმუშებია აღწერილი, პროფ. გრიმის აღწერა ჩვენი ძველი ეკლესიებისა, გაგარინის ალბომი გამოცემული პარიზში, აგრეთვე „ვეფხისტყაოსანი“ ქართველიშვილის გამოცემა და სხვ.

რაც შეეხება მშენებლობის ხარჯებს ა. ცაგარელი დიდ იმედებს ამყარებდა თვით საზოგადოების გამგეობაზე, რომელსაც მოეპოვებოდა გარკვეული თანხა, და შემდეგ დ. და ა. სარაჯიშვილებზე, რომლებმაც აღუთქვეს საზოგადოებას დახმარება<sup>65</sup>, და სთხოვდა კომიტეტს დაეჩქარებინა საშვილიშვილო საქმე.

მაგრამ მიუხედავად ასეთი ყურადღებისა და მზრუნველობისა, ადგილის შერჩევისა და გაფორმებისა, დ. სარაჯიშვილის გარდაცვალების შემდეგ მისი ანდერძით დატოვებული უძრავი ქონების რეალიზაცია არც ისე სწრაფად მოხდა. 1914 წლის იმპერიალისტური ომის დაწყებამ ხელი შეუშალა ბინის მშენებლობის დაწყებას.

1912 წლის ივლის-აგვისტოს საზოგადოების წიგნობრივი ფონდი გადატანილ იქნა ქართული გიმნაზიის შენობაში (რომლის ხელმძღვანელობამ ორი ოთახი დაუთმო გამგეობას მეორე სართულზე). ბიბლიოთეკის წესრიგში მოყვანა და სამუზეუმო ნივთების აღრიცხვა დაევალა დ. კარიჭაშვილს, რომელსაც ის ხელმძღვანელობდა ვიდრე უნივერსიტეტს გადასცემდნენ.

1914 წელს, მიუხედავად მრავალგვარი ღონისძიებების გატარებისა, რაც დაკავშირებული იყო წიგნსაცავის მოვლა-პატრონობასთან, მოულოდნელად თავადაზნაურთა შენობაში გაჩნდა ხანძარი, რომელმაც წ.-კითხვის საზოგადოებას საგრძნობი ზარალი მიაყენა როგორც წიგნებისა და ხელნაწერებისა, ასევე საკანცელარიო ნივთების მხრივ. საწყობში დაიწვა 24388 მან. 86 კაპ. ღირებული წიგნები და საკანცელარიო ნივთები. დიდი ზარალი ნახა ქართულმა თეატრმაც.

ამრიგად, სხვადასხვა მიზეზებმა ხელი შეუშალა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობას, განხორციელებინა თავისი მიზნები, აშენებინა წიგნსაცავ-მუზეუმისათვის ბინა, სისტემაში მოეყვანა წიგნები, ხელნაწერები და სამუზეუმო ნივთები, შეექმნა ეროვნული მუზეუმი და გადაეცა იგი შთამომავლობისათვის.

<sup>65</sup> კ. კ ი ნ წ უ რ ა შ ვ ი ლ ი ა. ცაგარელი, თბ., 1974, გვ. 197—200.

## ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სასკოლო ბიბლიოთეკები

მოსწავლეთა იდეური დონის ამაღლებაში ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა სასკოლო ბიბლიოთეკებს, როგორც მოსწავლეთა თვითგანათლებისა და წიგნზე დამოუკიდებელ ჩვევათა გამომუშავების საუკეთესო საშუალებას. სკოლის ბიბლიოთეკა მნიშვნელოვან სამსახურს გაუწევდა მასწავლებლებსაც როგორც სახელმძღვანელოების, ასევე დამხმარე ლიტერატურის უზრუნველყოფის საქმეში.

სოფლის სკოლებთან ბიბლიოთეკების დაარსების აუცილებლობაზე თავის აზრს გამოთქვამდა სოფლის გლეხობაც. გაზეთი „ივერია“ თავის ფურცლებზე ხშირად ათავსებდა სტატიებს საქართველოს სოფლებში სასწავლებლების ქსელის ზრდის შესახებ და კმაყოფილებას გამოთქვამდა, რომ მოსახლეობა კეთილად იყო განწყობილი სკოლების მიმართ. განსაკუთრებით ხაზს უსვამდა სასწავლებლებთან ბიბლიოთეკების დაარსების აუცილებლობას. „იმ სოფლებში, სადაც სასწავლებელია, წიგნსაცავიც უნდა იყოს დაფუძნებული ამ სასწავლებელში წერა-კითხვაში გავარჯიშებულ მოსწავლეთათვის“<sup>1</sup>.

საზოგადოების გამგეობამ, ვიდრე უშუალოდ შეუდგებოდა სკოლებთან ბიბლიოთეკების გახსნას, შეიმუშავა სკოლებთან ბიბლიოთეკების გახსნის წესდება. წესდება მოცულობით პატარაა და ვინაიდან იგი შინაარსით ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს, საჭიროდ მიგვაჩნია მასზე ყურადღების გამახვილება.

სკოლებთან ბიბლიოთეკების დაარსების საკითხი საზოგადოების გამგეობაში შეიტანა ამ საზოგადოების ერთ-ერთმა დამაარსებელმა და სულის ჩამდგმელმა ნ. ცხვედაძემ 1882 წლის 22 იანვარსათაურით „წესი სახალხო სკოლების ბიბლიოთეკაზედ“.

მოგვეყავს მთლიანად ეს წესდება:

<sup>1</sup> გაზ. «ივერია», 1891, № 25.

„1. სახალხო სკოლებთან ბიბლიოთეკების დაფუძნებას აქვს მნიშვნელოვანი მისცეს ღონისძიება, როგორც მასწავლებლებს, ისე მოსწავლეებს და სოფლის წერა-კითხვის ყველა მცოდნეს ისარგებლონ ამ ბიბლიოთეკებით და საჭირო მათთვის გამოსადეგი წიგნებით, ადვილად იშოვნონ სოფლად და ამ სახით ავარჯიშონ თავიანთი ჭკუა-გონება და ახალ-ახალი ცოდნა შეიძინონ.

2. თანახმად სახალხო სკოლების ბიბლიოთეკების მიზნისა, აქ მოიპოვებიან იმგვარი წიგნები, რომლებიც გამოსადეგი არიან მეურნეობის მიმყოლებისათვის, ამასთანავე ბიბლიოთეკაში იქნება ყველა საჭირო და შესანიშნავი წიგნი: ლიტერატურული, ისტორიული, გეოგრაფიული და სხვანი.

3. ბიბლიოთეკები შეადგენენ სოფლის სკოლების კუთვნილებას; ამისათვის ცხადია მასწავლებლებსა და სოფლისაგან არჩეულ მზრუნველს უნდა ეჭიროთ ყურადღება და ისინი არიან პასუხისმგებელნი ბიბლიოთეკების შესახებ. ბიბლიოთეკების მართვა კი ეკუთვნით მასწავლებლებს.

ესენი ვალდებული არიან: ა) წიგნები იქონიონ რიგზე, ბ) ჩაწერონ ნომრებით წიგნები სკოლის კატალოგში, გ) მსურველს ბარათით მისცენ წიგნები და ეცადონ, რამდენადაც შესაძლებელია, საბედნიერო დღეებში სკოლის რომელიმე ოთახი საკითხავ ოთახად მომართონ და მოიწვიონ ყველა მსურველი წიგნებისა და გაზეთების წასაკითხავად.

4. როდესაც მასწავლებელი გადადის სხვა ადგილზე, ის ვალდებულია სრულად ჩააბაროს ბიბლიოთეკა თავის მოადგილეს მზრუნველების თანდასწრებით და შემოწმებით. თუ ვინცობაა ბიბლიოთეკაში წიგნები აკლია, ეს წიგნები უნდა აღინიშნოს კატალოგში და ახალმა მასწავლებელმა მზრუნველების ხელმოწერილი ბარათით აცნობოს წერა-კითხვის მმართველობას განკარგულების განსახილველად.

თითოეულ სოფლის ბიბლიოთეკას ექნება ორნაირი ზონრით შეკრული და წერა-კითხვის მმართველობისაგან შემოწმებული წიგნი: ერთი კატალოგისათვის, მეორე ჩასაწერად, რომლებიც ბიბლიოთეკებიდან გამოიტანენ წასაკითხავად წიგნებს, აგრეთვე იმ პირებს ანუ მოწაფეებს, რომლებსაც უფასოდ დაუბრუნდებათ წერა-კითხვის მმართველობისაგან გაგზავნილი სასწავლო საგნები და ნივთები. კატალოგს უნდა ჰქონდეს სამი განყოფილება: ა) სალიტერატურო, ბ) სამეურნეო და გ) სხვა სამეცნიერო განყოფილება. ამასთანავე საკუთარი განყოფილება უნდა ჰქონდეს უფასოდ დასარიგებელ სას-

წავლო ნივთებსა. თითოეული წიგნი უნდა ჩაიწეროს კატალოგში ვრცელი სათაურით. აგრეთვე ნაჩვენები უნდა იყოს თუ ვისგან, ან რომელი საზოგადოებისაგან არის წიგნი შემოწირული.

5. თქმა არ უნდა, რომ სოფლის ბიბლიოთეკების ბედი დამოკიდებულია მასწავლებელზედ და სკოლის მზრუნველებზედ, რომ თუ ესენი ბეჯითად და კეთილსინდისიერად მოჰკიდებენ ხელს ბიბლიოთეკების საქმეს, მაშინ სახალხო სკოლების ბიბლიოთეკები ძლიერ დაეხმარებიან ხალხის გონებით განათლებას და წარმატებას. მხოლოდ და მხოლოდ საჭიროა, რომ ბიბლიოთეკებისათვის ყოველმა სკოლამ იქონიოს შესაფერი შკაფი, ანუ ყუთი, რომლის მოპოვება რომელიმე სახით მასწავლებლისა და მზრუნველის საქმეა<sup>2</sup>.

შედგენილ წესდებას თან ერთვის ლიტერატურის ბიბლიოგრაფია, რომელიც, მათი აზრით, აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენდა ახლადდაარსებული ბიბლიოთეკის დაკომპლექტებისათვის. ბიბლიოგრაფიაში 55 დასახელების წიგნია ჩამოთვლილი, რომელიც შეცნირებათა მრავალ დარგს მოიცავს. ქართველი მწერლების: შ. რუსთაველის, ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის, დ. გურამიშვილის, ა. ყაზბეგის, ნ. ბარათაშვილის ნაწარმოებებთან ერთად სიაში რუსი და უცხოელი კლასიკოსების ნაწარმოებებიცაა ჩამოთვლილი.

გამგეობის 28 იანვრის სხდომამ საჭიროდ სცნო ეს წესები ნაწილობრივი ცვლილებების შემდეგ დასამტკიცებლად საერთო კრებისათვის წარედგინა. წესდების მიხედვით საზოგადოება სკოლებთან ორგვარ ბიბლიოთეკას აარსებდა — სტაციონარულს და მოძრავს, ბიბლიოთეკის პატრონობა და პასუხისმგებლობა მასწავლებელს ეკისრებოდა. საზოგადოების გამგეობა ვალდებული იყო ბიბლიოთეკა მოემარაგებინა სახელმძღვანელოებით და სასკოლო-საკანცელარიო ნივთებით. საზოგადოების მიერ გაგზავნილი წიგნები სკოლის კუთვნილი იყო 10 წლის განმავლობაში. დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ სკოლის ბიბლიოთეკის მზრუნველს შეეძლო მოეთხოვა განმეორებითი ეგზემპლარები. ინსტრუქციის ძალით ბიბლიოთეკის მზრუნველი ვალდებული იყო საზოგადოების მთავარ გამგეობაში წარედგინა ბიბლიოთეკის ანგარიში ყოველი წლის 1 აპრილისათვის.

ინსტრუქციის მიხედვით დიდი ყურადღება ექცეოდა ბიბლიოთეკის ფონდის მოვლა-პატრონობას. თუ მკითხველი წიგნს დაკარ-

<sup>2</sup> საქ. სსრ ცსა, ფ. 481, საქ. № 59, ფურც. 3.

გავდა, იგი ვალდებული იყო სამაგიერო წიგნი ბიბლიოთეკის მზრუნველისათვის ჩაებარებინა.

საზოგადოების გამგეობის 1882 წლის 6 ივნისის საერთო კრებამ „წესი სახალხო სკოლების ბიბლიოთეკისა“ უმნიშვნელო ცვლილებების შეტანის შემდეგ ერთხმად დაამტკიცა და სახელმძღვანელო დოკუმენტად მისცა საზოგადოების სკოლებს შემდგომი მუშაობისათვის.

აღნიშნული ბიბლიოთეკის წესის შემუშავებაში ნ. ცხვედაძესთან ერთად მონაწილეობას იღებდა ი. გოგებაშვილი. ი. გოგებაშვილი, როგორც დიდი პედაგოგი და საბავშვო მწერალი, დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა სკოლის ბიბლიოთეკას მოზარდი თაობის აღზრდის საქმეში. თვითონ იგი თბილისის სასულიერო სემინარიაში მასწავლებლად ყოფნის დროს შეთავსებით უძღვებოდა სემინარიის ბიბლიოთეკას ორი წლის განმავლობაში და კარგად იცოდა ბიბლიოთეკის როლი და მნიშვნელობა.

საზოგადოების დაარსებიდან ერთი წლის შემდეგ გამგეობამ დაიწყო ზრუნვა სახალხო სკოლების ქსელის გაფართოებისათვის.

საზოგადოების მიერ გახსნილი სკოლებიდან ერთ-ერთი მნიშვნელოვანი იყო ბათუმის სკოლა, სადაც მოღვაწეობდნენ ცნობილი პედაგოგები ა. ნანეიშვილი, მ. ნათაძე და სხვ.

იმდროინდელი ქართველი საზოგადო მოღვაწეები დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ბათუმის ქართულ სკოლას. 1881 წლის 23 მარტს სკოლის საზეიმო გახსნაზე მონაწილეობა მიიღო ი. ჭავჭავაძემ. ი. გოგებაშვილი მოგვიანებით წერდა: „ერთი უპირველესი საქმე, რომელსაც წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება შეუდგა ამ ათი წლის წინათ, ეს იყო სახალხო სკოლის დაარსება ბათუმში. განზრახვა, რომელმაც გამოიწვია ამ სკოლის დაფუძნება, მდგომარეობდა იმაში, რომ ახლადშემოერთებული მაჰმადიანთა შვილები მიეზიდნა, პირველდაწყებითი განათლება მიეცა მათთვის. მათი შუამავლობით შემდეგში გაევრცელებინა აჭარა-ქობულეთში ქართული წიგნის ცოდნა და ამ გზით განეახლებინა კავშირი ღვიძლ ძმათა შორის“<sup>3</sup>.

საყურადღებოა ბათუმის ქართულ სკოლასთან ბიბლიოთეკის დაფუძნება, რომელსაც საზოგადოების გამგეობა მზრუნველობას არ აკლებდა როგორც სახელმძღვანელოებით, ასევე კლასგარეშე და სხვა დამხმარე ლიტერატურით.

<sup>3</sup> ი. გოგებაშვილი, თხზულებანი, ტ. 2, თბ., 1954, გვ. 260.



მოსწავლეთა მომსახურება ბიბლიოთეკებით დაბალ იდგა. სკოლებს არ ჰქონდათ საკუთარი ბიბლიოთეკები. როგორც 1910 წლის ანკეტური მონაცემები ცხადყოფენ, ბათუმის სკოლებში მოსწავლეთა მომსახურება გაცილებით მაღლა იდგა, ვიდრე ქუთაისისა და სოხუმის სკოლებში.

ბათუმის 15 სკოლიდან 11 სკოლას ჰქონდა ბიბლიოთეკა. ბიბლიოთეკებით მოსახლეობის მომსახურების რადიუსი 3,7 კმ-ს შეადგენდა.

სასკოლო ბიბლიოთეკები მეფის მთავრობისა და ადგილობრივი ხელისუფლების კონტროლს ექვემდებარებოდა. მეფის ხელისუფალნი ბიბლიოთეკის ფონდში თუ რევოლუციური ხასიათის ლიტერატურას აღმოაჩენდნენ, ბიბლიოთეკას დახურვა, ხოლო მის მზრუნველს გადასახლება არ ასცდებოდა. 1894 წელს კავკასიის სასწავლო ოლქის უფროსის ბრძანებულება დაეგზავნა ყველა უწყების სკოლების ხელმძღვანელებს. ბრძანებულებას თან ერთვოდა კატალოგი, სადაც 165 დასახელების წიგნი იყო ჩამოთვლილი. ოლქის მზრუნველა სკოლების ხელმძღვანელებს ავალებდა მკაცრი კონტროლი დაეწესებინათ მათდამი დაქვემდებარებული სკოლების ბიბლიოთეკებისადმი, წიგნის ფონდიდან ამოეღოთ კ. მარქსის, ფ. ენგელსის, პისარევისა და დობროლიუბოვის შრომები. მეფის ხელისუფალნი უკრძალავდნენ მოსწავლეებს რევოლუციური ხასიათის ლიტერატურის კითხვას.

ბათუმში არსებული ბიბლიოთეკებიდან ყველაზე სანიმუშო იყო ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ბათუმის სკოლის ბიბლიოთეკა, მისი წიგნადი ფონდი 1200-მდე ბიბლიოგრაფიულ ერთეულს შეადგენდა. ფონდი მოიცავდა როგორც მხატვრულ, ისტორიულ, ასევე სოფლის მეურნეობის ამსახველ ლიტერატურასაც. ბიბლიოთეკა მომსახურებობას უწევდა როგორც სკოლის მოსწავლეებს, ასევე ადგილობრივ მცხოვრებლებსაც. საინტერესო სურათს იძლევა წიგნების გაცემის ამსახველი დღიური 1912 წლის თვეების მიხედვით: იანვარი — 836, თებერვალი — 890, მარტი — 878, აპრილი — 912, მაისი — 997, ივნისი — 0, აგვისტო — 0, სექტემბერი — 474, ოქტომბერი — 519, ნოემბერი — 530, დეკემბერი — 540<sup>4</sup>.

ყველაზე მეტი წიგნის გაცემას ბიბლიოთეკა ზამთრის თვეებში აწარმოებდა. საზოგადოების გამგეობა ბიბლიოთეკას ყოველ-

<sup>4</sup> С. Богомолявская. Ученические библиотеки, Тб., 1913.

მხრივ ხელს უწყობდა; უგზავნიდა საკმაო რაოდენობით ლიტერატურას, მატერიალურადაც ეხმარებოდა. ი. გოგებაშვილმა სკოლის ბიბლიოთეკას უფასოდ გაუგზავნა „დედაენისა“ და „ბუნების კარის“ რამდენიმე ეგზემპლარი. სკოლის ბიბლიოთეკას საზოგადოების გამგეობა უწერდა როგორც ქართულ, ასევე რუსულ ჟურნალ-გაზეთებს. ბიბლიოთეკისათვის განკუთვნილი წიგნების შექმნაზე წელიწადში იხარჯებოდა 150—200 მანეთი, რაც მნიშვნელოვანი თანხა იყო იმ დროისათვის.

საზოგადოების გამგეობამ თავის ერთ-ერთ სხდომაზე სპეციალურად განიხილა ბიბლიოთეკების საკითხი. ბათუმის სკოლის მასწავლებელი მ. ნათაძე საუკეთესო ბიბლიოთეკის შექმნისათვის 10 თუმნით დააჯილდოვა.

ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც ბიბლიოთეკას გააჩნდა, ეს იყო ქართველი მწერლების თხზულებათა გამოცემები. საზოგადოების გამგეობა თავისი ახალი გამოცემის ყოველ ეგზემპლარს უგზავნიდა ამ ბიბლიოთეკას.

გარდა ბათუმის სკოლის ბიბლიოთეკისა, საზოგადოების გამგეობამ დააარსა ბიბლიოთეკები ბაქოს ქართულ სკოლასთან, ასევე ყარსში, კავკავში და სხვ., რომლებსაც ყოველწლიურად ეხმარებოდა.

საზოგადოების გამგეობა მზრუნველობას არ აკლებდა ქართველ სტუდენტებსაც, რომლებიც რუსეთისა თუ საზღვარგარეთის ქვეყნებში სწავლობდნენ, ეხმარებოდა მათ როგორც სტიპენდიით, ისე სახელმძღვანელოებითა და მხატვრული ლიტერატურით.

პეტერბურგის, მოსკოვის, ენევის, პარიზის, ლონდონის უმაღლეს სასწავლებლებში, სადაც ქართველი ახალგაზრდები სწავლობდნენ, წიგნების გაგზავნის შედეგად დაარსდა ქართული ბიბლიოთეკები. ასეთ ბიბლიოთეკათა რიცხვს მიეკუთვნება ენევის ქართველ სტუდენტთა ბიბლიოთეკაც.

ენევის უნივერსიტეტში 60-მდე ქართველი სტუდენტი სწავლობდა. საჭირო იყო მათ საკუთარი ბიბლიოთეკა ჰქონოდათ. ქართველი საზოგადოების მოწინავე ადამიანებმა გადაწყვიტეს მათთვის შეექმნათ ბიბლიოთეკა, რომელიც უმთავრესად ქართული წიგნებისაგან იქნებოდა შემდგარი. ბიბლიოთეკა-წიგნსაცავი დააარსა პ. ზუბალაშვილმა<sup>5</sup> 1906 წლის თებერვალში. მან თვითონ იჭირავა ბინა

<sup>5</sup> პ. ზუბალაშვილი — მამა სტეფანე ზუბალაშვილისა (1860—1904) «ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების» საპატიო წევრი იყო და დიდი სამსახური გაუწია ქართულ საზოგადო საქმეებს. განსვენებულს დარჩა



და მოსამსახურე, იყიდა ბიბლიოთეკისათვის ინვენტარი, წიგნები გამოუწერა ქურნალ-გაზეთები და ფულითაც (500 ფრანკი) დაემარა. ბიბლიოთეკის მზრუნველობა კი ჩააბარა ქართველ სტუდენტებს.

1906 წლის განმავლობაში ბიბლიოთეკას გადაეცა პ. ზუბალაშვილისაგან 287 ფრანკი. გაზეთების გამოსაწერად კი 100 ფრანკი. საწევრო გადასახადებიდან — 120 ფრანკი. მიუხედავად ამისა, ბიბლიოთეკის ხელმძღვანელებმა ვერ შეძლეს ბიბლიოთეკის მყარ ნიადაგზე დაყენება, რის გამოც ბიბლიოთეკის სამზრუნველო კომიტეტმა თხოვნით მიმართა საზოგადოების გამგეობას დახმარებოდა ბიბლიოთეკას როგორც ქურნალ-გაზეთების გამოწერით, ასევე ქართული წიგნების გაგზავნით და ეშუამდგომლა პ. ზუბალაშვილთან, რათა იგი ბიბლიოთეკას კვლავ დახმარებოდა ფულით. საზოგადოების გამგეობამ ბიბლიოთეკას გამოუწერა ქართული გაზეთები „ისარი“, „წყარო“, „მიწა“, „მნათობი“, „ცისკარი“ და სხვა. ბიბლიოთეკის ფონდი დასაწყისში 150 წიგნისაგან შედგებოდა. საზოგადოების გამგეობამ ბიბლიოთეკას გაუგზავნა ქართველი მწერლების ი. ჭავჭავაძის, ალ. ყაზბეგის, ა. წერეთლისა და სხვების თხზულებანი. ბიბლიოთეკის ფონდი რევოლუციური ხასიათის ნაწარმოებებსაც შეიცავდა. ბიბლიოთეკას გამოწერილი ჰქონდა რუსული გაზეთი „ისკრა“. პ. ზუბალაშვილი ბიბლიოთეკას დაეხმარა 1500 ფრანკით და 1908 წელს ბიბლიოთეკა კიდევ უფრო გამდიდრდა. ბიბლიოთეკას ჰქონდა სამკითხველო დარბაზიც, რომელიც ბიბლიოთეკისაგან განცალკევებული იყო.

ბიბლიოთეკას ჰქონდა თავისი წესდებაც, სადაც აღნიშნული იყო, რომ ბიბლიოთეკის უპირველეს ამოცანას შეადგენდა მიეწოდებინა ქართულ-რუსული და ევროპული ლიტერატურა ყენევაში მყოფი ქართველებისათვის და ხელი შეეწყობათ მათი გონებრივი პროგრესის გაფართოებისათვის. ბიბლიოთეკაში სამკითხველო დარბაზი წიგნების გაცემას აწარმოებდა სახლში 15 დღის ვადით, პერიოდისას — 3 დღით. გაზეთების სახლში გაცემა აკრძალული იყო<sup>6</sup>.

სამი ძმა ლევანი, პეტრე და იაკობი: თავისი ძმის სტეფანეს სახსოვრად შემოსწირეს «წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას» 10 ათასი მანეთი, თავდაზნაურობის სკოლას 50 ათასი მანეთი, დრამატულ საზოგადოებას 5 ათასი მან., თბილისის თვითმმართველობას 200 ათასი მან. და აგრეთვე ბევრ დაწესებულებას («საქ. კალენდარი», 1905, გვ. 565).

<sup>6</sup> საქ. სსრ ცსა, ფონდი, 481, საქ. № 25. ფ. 53.





1908 წელს ბიბლიოთეკის სამზრუნველო კომიტეტმა<sup>7</sup> კრებებში ნიშნა კრება ჩაატარა ბიბლიოთეკის მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით. კრებაზე ძირითადად ბიბლიოთეკის დაკომპლექტების, წრის წევრთა, საწევრო ანაზღაურებისა და სხვა საკითხები იქნა განხილული. სამზრუნველო კომიტეტის მუშაობამ კეთილი ნაყოფი გამოიღო. ბიბლიოთეკა შეივსო ახალი გამოცემებით და პერიოდიკით. როგორც ბიბლიოთეკის წესდებიდან ირკვევა, მისი ლიკვიდაციის შემდეგ ბიბლიოთეკის ინვენტარი და წიგნობრივი ფონდი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას უნდა გადმოსცემოდა თბილისში, მაგრამ თუ რა ბედი ეწია ამ ბიბლიოთეკას, ამის შესახებ საარქივო მასალებში არაფერი ჩანს. აღნიშნულმა ბიბლიოთეკამ დიდად შეუწყო ხელი ქენევის ქართველ სტუდენტთა გონებრივი დონის ამაღლებას.

გარდა აღნიშნული ბიბლიოთეკისა, საზოგადოების გამგეობა დიდ დახმარებას უწევდა ვარშავის უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტთა მიერ დაარსებულ ბიბლიოთეკასაც<sup>8</sup>. აღნიშნულ ბიბლიოთეკას საზოგადოების გამგეობა ყოველ წელს უგზავნიდა სხვადასხვა ხასიათის 19—20 დასახელების წიგნს.

თვით ქართველი მწერლები და საზოგადო მოღვაწენი, რომლებიც დიდ როლს ანიჭებდნენ წიგნს მოსახლეობის გათვითცნობიერების საქმეში, ხშირად წერდნენ საზოგადოების გამგეობის მდივანს — გაეგზავნა თავისი გამოცემების თითო ეგზემპლარი. „საქართველოში ან სხვაგან სადმე სამკითხველო ან ბიბლიოთეკა თუ გაიხსნება, თითო ეგზემპლარი ყოველი ჩემი წიგნისა უფასოდ გაუგზავნეთ, მხოლოდ გაგზავნის ხარჯს თუ იკისრებენო<sup>9</sup>, — წერდა ივ. მაჩაბელი საზოგადოების მდივანს დ. კარიჭაშვილს. 1894 წელს საზოგადოების გამგეობა დიდ დახმარებას უწევდა არა მარტო თავის სკოლებს, არამედ სხვა უწყების სკოლებსაც. მაგალითად, გულეკარის სკოლის მასწავლებელი დ. ფირცხალავა წერდა: „აგერ ოთხი წელიწადია, რაც არსებობს გულეკარში სკოლა, რომლის წყალობით გაიცნო უმრავლესობამ სწავლის გემო, მოდიან, მთხოვენ, მოგვეცით რამე კარგი საკითხავი წიგნები. რაც მოიპოვება ჩვენს პატარა ბიბლიოთეკაში მივეცი ყველა... მთხოვეს მოწერა თქვენზედ, იმ იმე-

<sup>7</sup> იგივე ფონდი, საქ. № 279, ფ. 13.  
<sup>8</sup> საქ. სსრ ცსა, ფ. 481, ფურც. 2.  
<sup>9</sup> საქ. სსრ ცსა, საქ. № 114, ფურც. 15.

დით, რომ გამოგზავნით რამდენიმე ეგზემპლარს ქართულის ნებისას ბიბლიოთეკაში<sup>9</sup>. მართლაც აღნიშნულ სასწავლებელს 80 დასახელების ქართული წიგნი გაეგზავნა.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სასწავლო ბიბლიოთეკები მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯი იყო მოსწავლეთა და მასწავლებელთა შორის ცოდნის გავრცელების საქმეში. მაგრამ სასკოლო ბიბლიოთეკებმა ვერ უზრუნველყო მოსახლეობაში წიგნების მასიურად გავრცელება, საზოგადოების გამგეობამ წიგნების პროპაგანდის ასეთ ეფექტურ საშუალებად მიიჩნია იაფფასიანი ბიბლიოთეკის გახსნა.

### ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების იაფფასიანი სახალხო ბიბლიოთეკა- სამკითხველოები

სასკოლო ბიბლიოთეკები მომსახურეობას უწევდნენ სკოლის მოსწავლეებს, ინტელიგენციასა და მოსახლეობის მცირე ნაწილს. საზოგადოების მიზანი იყო ქალაქისა და სოფლის მოსახლეობაში წიგნის საშუალებით მისი იდეური დონე ამაღლებინა და ხელი შეეწყო ქართული კულტურის წინსვლისათვის. ამ მიზანს ემსახურებოდა იაფფასიანი სახალხო ბიბლიოთეკების ქსელის შექმნა.

ვიდრე იაფფასიანი ბიბლიოთეკების გახსნას შეევეებოდეთ, რაშიც საზოგადოების გამგეობას დიდი ღვაწლი მიუძღვის, რამდენიმე სიტყვით უნდა აღვნიშნოთ წინაპირობები, რომელიც წინ უძღოდა სახალხო ბიბლიოთეკების გახსნას.

1884 წლის „დროებითი წესებით“ საჯარო ბიბლიოთეკის გახსნისათვის აუცილებელი იყო ნებართვის აღება ზემდგომი ორგანოებიდან, ბიბლიოთეკის საქმიანობაზე პასუხისმგებელი პირის დასახელება. ბიბლიოთეკის გამგეს ამტკიცებდა გუბერნატორი, შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლება ჰქონდა არაკეთილსაიმედო ბიბლიოთეკარი დაეთხოვა, ან დაეხურა ბიბლიოთეკა.

სახალხო ბიბლიოთეკების გახსნას ხელს უწყობდა განათლების სამინისტროს მიერ გამოცემული 1890 წლის 15 მაისის<sup>1</sup> დადგენილება „უფასო სახალხო სამკითხველოებისა და მათზე ზედამხედველობის წესების შესახებ“.

<sup>1</sup> საქ. სსრ. ცსა, ფ. 481. № 320, ფურც. 3—8.

აღნიშნული დადგენილებით ბიბლიოთეკა-სამკითხველოებს თავიანთ ფონდში უნდა ჰქონოდათ ის წიგნები, რომელიც დაშვებული იყო განათლების სამინისტროსთან არსებული სამეცნიერო საბჭოსა და სასწავლო ოლქის სამზრუნველო საბჭოს მიერ.

მეფის მთავრობა და ადგილობრივი მოხელეები ხელს უშლიდნენ ბიბლიოთეკებს, ეროვნულ ენაზე მოსახლეობაში წიგნის საშუალებით შეეტანათ სინათლის სხივი, რაც საუკეთესოდ აქვს აღწერილი პროფ. ტ. ხუნდაძეს<sup>2</sup>.

იმდროინდელი ქართული ქურონალები და გაზეთები თავიანთ ფურცლებზე სათანადო ადგილს უთმობდნენ ბიბლიოთეკების გახსნას რუსეთის გუბერნიებში და განსაკუთრებით ხაზს უსვამდნენ მოსახლეობის მხარდაჭერას ამ კეთილშობილურ საქმეში<sup>3</sup>.

სახალხო ბიბლიოთეკების გახსნით საზოგადოების გამგეობა ითვალისწინებდა ორ გარემოებას: ერთი, ბიბლიოთეკების გახსნა ხელს შეუწყობდა მოსახლეობაში წიგნის ცოდნის პროპაგანდას და მეორე, ის უამრავი ხელნაწერი და ნაბეჭდი წიგნები და მატერიალური კულტურის ფასეულობანი, რომელიც მოსახლეობაში იყო გაფანტული, თავმოყრილი იქნებოდა სახალხო ბიბლიოთეკებში და ამით გაკეთდებოდა დიდი ეროვნული საქმე, რასაც ქართული კულტურის წინსვლისათვის დიდი მნიშვნელობა ექნებოდა. საარქივო მასალები და პერიოდული პრესის ფურცლებზე მოთავსებული უამრავი კორესპონდენციები ნათელი დადასტურებაა იმისა, თუ რა აღტაცებით გამოეხმაურა ქართველი საზოგადოება ამ კეთილშობილური საქმის წამოწყებას, რაც სათანადოდ აღვნიშნეთ წიგნსაცავის განხალვის დროს. თუ პირველ ხანებში გამგეობის წევრები წინააღმდეგნი იყვნენ სახალხო ბიბლიოთეკებისათვის სათანადო თანხის გადიდებისა, შემდგომში თვითონ რწმუნდებოდნენ ბიბლიოთეკების მნიშვნელობაზე ხალხში ცოდნის გავრცელებისათვის<sup>4</sup>.

საზოგადოების გამგეობამ გააკეთა ეროვნული მნიშვნელობის საქმე, გახსნა სახალხო ბიბლიოთეკები როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ, რომელთა რიცხვმა 200-მდე მიაღწია. ბიბლიოთეკების გახსნას ხელს უწყობდნენ როგორც გამგეობის წევრები, ისე ქართველი საზოგადო მოღვაწეები, მწერლები და კულტუ-

<sup>2</sup> ტ. ხუნდაძე, ცარიზმის პოლიტიკა ბიბლიოთეკების მიმართ საქართველოში, — «ბიბლიოგრაფიის მოამბე», № 4, 5, გვ. 283.

<sup>3</sup> გაზ. «ივერია», 1891, № 25.

<sup>4</sup> საქ. სსრ ცსა, ფონდი 481, საქ. № 279, ფ. 11.

რის მოღვაწენი, ისინი თავიანთი წიგნების რამდენიმე ეგზემპლარს თვითონ უგზავნიდნენ ასეთ ბიბლიოთეკებს. მაგალითის ნათელსაყოფად შეიძლება დავასახელოთ ი. გოგებაშვილი, აკ. წერეთელი, ი. ჭავჭავაძე, ივ. მაჩაბელი, ზ. ჭიჭინაძე და სხვ.

საზოგადოების გამგეობის წინაშე სახალხო ბიბლიოთეკების დაარსების საკითხი ქართველ ქალთა წრის ხელმძღვანელმა და ჟურნალ „ჯეჯილის“ რედაქტორმა ანასტასია თუმანიშვილ-წერეთელმა დააყენა 1892 წლის 25 თებერვალს<sup>5</sup>. გამგეობის სხდომამ მიიღო დადგენილება მთავრობის წინაშე აღეძრა შუამდგომლობა ნებართვის აღებისა. ამავე სხდომამ გამოჰყო კომისია ი. გოგებაშვილის, ან. წერეთლისა და გ. იოსელიანის შემადგენლობით, რომელსაც დაევალა — რა ადგილებში, რა სახით, ვისი საშუალებით, რა ლიტერატურა იქნებოდა საჭირო ასეთი ტიპის ბიბლიოთეკების გახსნისათვის. კომისიამ ამავე წლის 3 მარტს გამგეობას წარუდგინა თავისი მოსაზრებანი, „აზრი კომისიისა სახალხო ბიბლიოთეკების გამართვის შესახებ“.

კომისია თავის მოხსენებაში აღნიშნავდა, რომ „საზოგადოება სხვადასხვა ხელის შემშლელი პირობების გამო მარტო სკოლების გახსნით ქართველ ხალხში წერა-კითხვის გავრცელებას ვერ მიღწევდა. საჭირო იყო საზოგადოება იმთავითვე შედგომოდა ბიბლიოთეკების ფართო ქსელის შექმნას. კომისიის აზრით ბიბლიოთეკა უნდა დაარსებულიყო საქართველოს ყველა მჭიდროდ დასახლებულ კუთხეში, დაბებსა და სოფლებში. იმ სოფლებში, სადაც წერა-კითხვის მცოდნე ხალხია, ისინი თვითონ იკისრებდნენ ბიბლიოთეკისათვის თავდაპირველად საჭირო ინვენტარის მოპოვებას, ბიბლიოთეკის ფონდის დაცვასა და გამგეობის წინაშე პასუხისმგებლობას. მათი აზრით, სოფლის ბიბლიოთეკის გამგე ვალდებული იყო გამგეობაში წელიწადში ორჯერ წარედგინა ანგარიში ბიბლიოთეკის მუშაობის შესახებ. წესების მიხედვით ბიბლიოთეკა უფასო უნდა ყოფილიყო. წიგნის დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევაში მკითხველი ვალდებული იყო სამაგიერო წიგნი ან წიგნის აღდგენითი ღირებულება აენახლაურებინა. კატალოგების შედგენა, მკითხველების მომსახურება ბიბლიოთეკის გამგის მოვალეობას შეადგენდა. კომისია დახმარებისათვის სთხოვდა თბილისისა და ქუთაისის სათავადაზნაურო ბანკის ხელმძღვანელებს და ასევე თვით გამგეობას, წიგნების, ინვენტარი-სა და ფულადი თანხებით დახმარებას.

<sup>5</sup> საქ. სსრ ცსა, ფონდი 481, საქ. № 198, ფურ. 179.

აღნიშნული წესდება მალე ქართული პრესის ფურცლებზე გამოქვეყნდა და იგი საფუძვლად დაედო შემდეგში სოფლად ბიბლიოთეკების გახსნას.

ა) თბილისის პირველი იაფფასიანი ბიბლიოთეკა

სკოლებთან ბიბლიოთეკების გახსნამ მოსახლეობის მოთხოვნა წიგნზე ვერ დააკმაყოფილა. ხალხის მისწრაფება თვითგანათლებისადმი იზრდებოდა. მათი დაკმაყოფილება კი ბიბლიოთეკების გახსნით იქნებოდა შესაძლებელი, საიდანაც მოსახლეობას საშუალება ექნებოდა უფასოდ ესარგებლა წიგნებითა და ჟურნალ-გაზეთებით. ქართული პერიოდული პრესა თავის ფურცლებზე სათანადოდ აშუქებდა ბიბლიოთეკების როლსა და მნიშვნელობას მოსახლეობის თვითგანვითარებისათვის, რამაც შემდეგში ნიადაგი მოამზადა ბიბლიოთეკების ქსელის გაფართოებისათვის.

თბილისში არსებული საჯარო ბიბლიოთეკა და კაიდანოვას ბიბლიოთეკა, ასევე კერძო პირების ხელში არსებული ბიბლიოთეკებო ხალხისათვის მიუწვდომელი იყო. მათი ფონდი უმთავრესად რუსული წიგნებისაგან შედგებოდა. რუსული ენის უცოდინარობა მოსახლეობას აიძულებდა არ ესარგებლა ამ ბიბლიოთეკებით. ადგილობრივი მმართველობა ყოველნაირად ხელს უშლიდა ბიბლიოთეკებს თავიანთ ფონდში ქართული წიგნები შეეტანათ. ანასტასია თუმანიშვილ-წერეთელმა საზოგადოების გამგეობას მოახსენა 1889 წლის 28 მარტს, რომ გამგეობას თბილისელ მკითხველთათვის შეერჩია ქართული წიგნები და გადაეცა ო. კაიდანოვას ბიბლიოთეკისათვის, რომ მის ბიბლიოთეკაში ქართული წიგნებისა და პერიოდიკის განყოფილება შექმნილიყო, მაგრამ გამგეობას ეს საქმე არ განუხორციელებია.

საზოგადოების გამგეობა თვითონ ამზადებდა ნიადაგს, როდესაც კომისია შექმნა, რათა თავისი სახელით გაეხსნა ბიბლიოთეკა თბილისელი მოსახლეობისათვის. სულ მოკლე ხანში, 1892 წლის 20 მაისს, გამგეობა თბილისის გუბერნატორს სთხოვს — გასცეს მოწმობა სახალხო ბიბლიოთეკისა გამგე-პასუხისმგებელი პირის ან. წერეთლის სახელზედ. გუბერნატორმა გასცა მოწმობა №284 ბიბლიოთეკის გახსნისა. ამავე წლის 31 მაისს ქართველ ქალთა წრის მიერ შეგროვილი 124 ც. წიგნისა და რამდენიმე ჟურნალის ბაზაზე თბილისში გაიხსნა ბიბლიოთეკა წ. კ. გამავრცელებელი საზოგადოების სახელით.

ქარვასლაში ბიბლიოთეკის გახსნას მოწონებით შეხვდა ქალაქის პროგრესულად მოაზროვნე საზოგადოება და ღარიბი მოსახლეობა. გაზეთი „კვალი“ მიესალმებოდა ბიბლიოთეკის გახსნას, ხაზს უსვამდა ხალხის თანაგრძნობას აღნიშნული ბიბლიოთეკისადმი, რომლის წიგნადი ფონდი სწრაფად იზრდებოდა. „ამისთანა სამკითხველოს ყოველთვის უნდა ჰქონდეს თანხა და მხარდაჭერაც“<sup>6</sup>, წერდა გაზეთი. მართლაც წლის ბოლოსათვის ბიბლიოთეკას 1000-მდე წიგნი გააჩნდა, 240 მკითხველზე 1300-მდე წიგნი გადასცა, ხოლო დარბაზით 2135 მკითხველს გაუწია მომსახურება.

ეს იყო პირველი იაფფასიანი სახალხო ბიბლიოთეკა თბილისში, რომელიც წ.-კ. საზოგადოების სახელთანაა დაკავშირებული. აღნიშნულმა ბიბლიოთეკამ გახსნის პირველი დღიდანვე მკითხველთა საკმაო რაოდენობა მიიზიდა, განსაკუთრებით კი მოსწავლენი და ხელოსნები. „მკითხველთა უმრავლესობას მოსწავლენი, ვაჭრები და მოსამსახურენი შეადგენენ. იკითხება უმთავრესად მხატვრული თხზულებანი, ძალიან ცოტა ისტორიული ხასიათისა და სხვა დანარჩენს არც კი თხოულობენო“<sup>7</sup>. წერდა თავის ანგარიშში ბიბლიოთეკის გამგე.

ბიბლიოთეკის გახსნიდან ან. წერეთლის მიერ ბიბლიოთეკარად მოწვეულ იქნა ელენე ანტონოვსკაია, ხოლო 1898 წლიდან ბიბლიოთეკარად მის დახურვამდე მუშაობდა ნადეჟდა დეკანოზიშვილი (პირველი წავიდა ავადმყოფობის გამო).

1895 წელს საზოგადოების მდივნად მოწვეულ იქნა დ. კარიჭაშვილი, რომელსაც დაევალა წიგნსაცავისა და კანცელარიის საქმის ხელმძღვანელობა. დ. კარიჭაშვილს, რომელიც კარგად ფლობდა ბიბლიოთეკარის პროფესიას და რომელმაც ბევრი რამ გააკეთა ქართული კულტურული და მატერიალური ფასეულობის შეგროვება-დაცვის საქმეში, რაზედაც ზემოთ აღვნიშნეთ, დაევალა ბიბლიოთეკების მეთვალყურეობა. მის მიერ შემოღებულ იქნა ერთიანი ანგარიშის დღიური, რითაც ბიბლიოთეკის გამგეები ვალდებულნი იყვნენ ყოველი წლის აპრილის ბოლოს წარედგინათ ანგარიში ბიბლიოთეკების მუშაობის შესახებ საზოგადოების მთავარ გამგეობაში.

ბიბლიოთეკის სამხრუნველო კომიტეტი დიდ ყურადღებას აქცევდა როგორც ფონდების დაცვას, ასევე მკითხველთა რაოდენობის ზრდას, რომლის რაოდენობაზე დამოკიდებული იყო თვით ბიბლი-

<sup>6</sup> „კვალი“, 1893, № 12.

<sup>7</sup> საქ. სსრ ცსა, ფონდი 481, საქ. № 438, ფ. 58.

ოთეკის არსებობა. ბიბლიოთეკა მოთავსებული იყო დაქირავებულ შენობაში, რომლის ქირა წელიწადში 360 მანეთს აღწევდა. ბიბლიოთეკის გამგეს არ შეეძლო აღნიშნული თანხის გადახდა და სთხოვდა მთავარ გამგეობას ეშუამდგომლა სათავადაზნაურო ბანკის წინაშე და გამოენახა ბიბლიოთეკისათვის ბინა უფასოდ.

ბიბლიოთეკისთვის სათანადო თანხების გადიდების მიზნით ან. წერეთელი სხვადასხვა ღონისძიებებს ატარებდა. ასეთი ღონისძიებებიდან აღსანიშნავია საღამოების ჩატარება, კონცერტების გამართვა, ფასიანი ლექციების წაკითხვა, რომელიც საზოგადოების მთავარი გამგეობის წევრთა მონაწილეობით ტარდებოდა. ამ ჩატარებული ღონისძიებებიდან შემოსავალი ბიბლიოთეკის გაფართოვებას ხმარდებოდა.

მკითხველებთან მუშაობის გაუმჯობესების მიზნით, ან. წერეთელმა სცადა პრაქტიკაში დაენერგა მკითხველთა აღრიცხვის ახალი ფორმა „ვინ რა წაკითხა“. აღრიცხვის ეს ფორმა გამოწვეული იყო ბიბლიოთეკის ფონდების უკეთ დაკომპლექტების მიზნით და მკითხველთა მომსახურების გაუმჯობესებით. ამ წესით ვიგებთ, რომ ბიბლიოთეკას 1895 წელს ჰყოლია 49 მკითხველი ხელისმომწერი, ხოლო დარბაზი 461 მკითხველს მომსახურებია.

შემდეგ წლებში, როგორც საარქივო მასალები ცხადყოფენ, ასეთი აღრიცხვა ბიბლიოთეკას აღარ ჩაუტარებია, რადგან ჩვენი მოსაზრებით, ეს იქნებოდა ერთ-ერთი უტყუარი საბუთი უანდარმერიისა და პოლიციისათვის მკითხველთა კატეგორიის სქესისა და ეროვნების დადგენისა, მათი ვინაობის დადგენისა.

1896 წელს ბიბლიოთეკას 395 ბიბლიოგრაფიული ერთეული ემატება და მისი ფონდი 1500 ერთეულს აღწევს. დარბაზით მოსარგებლე მკითხველთა რაოდენობა 4500 იყო.

1898 წელს ახალი ბიბლიოთეკარის ნ. დეკანოზიშვილის მიერ შემოღებულ იქნა დარბაზით და აბონემენტით მოსარგებლე მკითხველთა აღრიცხვა. აღრიცხვის ფორმაში სამი გრაფაა მოცემული: ყოველდღიური დარბაზის მკითხველის, ყოველთვიური აბონემენტის მკითხველისა და მთლიანი გაცემულ წიგნთა რაოდენობა. ეს ფორმა ხელს უწყობდა ბიბლიოთეკის დაკომპლექტებისა და აღრიცხვის საქმეს და მკითხველთა შორის მუშაობის გაუმჯობესებას.

ანასტასია წერეთელმა დიდი მუშაობა გასწია ბიბლიოთეკისათვის ახალი ბინის გამონახვის მიზნით. 1899 წელს საზოგადოების გამგეობას მოახსენა, რომ მას ეზრუნა ბიბლიოთეკის ბინისათვის.



საზოგადოების გამგეობის სხდომამ ამავე წლის აპრილის თვეში გამოიტანა დადგენილება — „პირველი ბიბლიოთეკა გადატანილ იქნეს საზოგადოების კანცელარიისა და წიგნსაცავის გვერდით. ზედმეტ ხარჯებს, რასაც უყეთესი ბინა მოითხოვს, ჩხდის საზოგადოება“. საზოგადოების გამგეობის საპასუხოდ ან. წერეთელი წერდა: „გთხოვთ, მოახდინოთ განკარგულება ბიბლიოთეკის ახლავე გადმოსატანად“<sup>8</sup>. ბიბლიოთეკა გამგეობის განკარგულებით გადატანილ იქნა საზოგადოების კანცელარიისა და წიგნის მალაზიის გვერდით ერთ მოზრდილ ნათელ ოთახში და ისე დაამთავრა მუშაობა, რომ შემდეგში დახურვამდე იმ ადგილას დარჩა.

ახალ ბინაში ბიბლიოთეკის გადატანამ საგრძნობლად გააუმჯობესა მკითხველთა მომსახურება. წინა წელთან შედარებით 853 წიგნით მეტი იქნა გაცემული, სამაგიეროდ დარბაზით მომსახურე მკითხველთა რიცხვი 5280-დან 2426-მდე დავიდა.

ძალიან ძუნწი ცნობები მოგვეპოვება იმის დასადგენად თუ ვინ იყვნენ ბიბლიოთეკის ხელის მომწერი მკითხველები, რადგან ასეთი აღრიცხვის წარმოება ბიბლიოთეკებმა ვერ შეძლეს, ანდა შეგნებულად იგი აღრიცხვიდან ამოიღეს. მაგრამ ჩვენ მიერ მიკვლეულ იქნა 1900 წლის იანვარ-თებერვლის ბიბლიოთეკის შემოსავალ-გასავლის ანგარიში, რომელიც ბიბლიოთეკის შემოსავალთან ერთად ნაჩვენებია იმ პირთა გვარები და სახელები, რომლებიც ბიბლიოთეკის ხელის მომწერებად ითვლებოდნენ. ხელისმომწერნი სოციალური შემადგენლობისა და ეროვნების მიხედვით მეტად ჭრელია. ყველაზე საყურადღებო, რაც თვალში მოგხვდება ის არის, რომ სიამში ქართველ ინტელიგენციასთან ერთად ბიბლიოთეკის ხელისმომწერნი ყოფილან მუშა რევოლუციონერები და ბოლშევიკური პარტიის თვალსაჩინო წარმომადგენლები. ქართველი ინტელიგენციის წარმომადგენლების ნინო ნაკაშიძის, ზ. მაჭავარიანის, მ. დემურიას, პ. ივანოვის, ნ. მაღალაშვილისა და მრავალ სხვათა გვერდით ვხვდებით გამოჩენილ რევოლუციონერთა გვარებს, როგორიცაა: ნ. თოდუა, გ. ოქროშვილი, ალ. ვართანოვი, ზაქ. ახმეტელაშვილი, ალ. ჯაფარიძე, სოსო ჯულაშვილი და მრავალი სხვა, რომლებიც ბოლშევიკ მარქსისტთა წრეში იყვნენ ჩაბმულნი, ნაწილი კი რევოლუციონერ მუშებს თანაუგრძნობდა. აღსანიშნავია ისიც, რომ საწევრო გადასახადი რევოლუციონერ მუშებს სხვაზე მეტი აქვთ შეტანილი, მა-

<sup>8</sup> საქ. სსრ ცსა, ფონდი 481, საქ. № 349, ფურც. 4.



გალითად, სოსო ჯულაშვილს თებერვლის თვეში 60 კაპ. აქვს შეტანილი, ნ. თოდუას — 40 კაპ. და ასე შემდეგ<sup>9</sup>.

1902 წელს ბიბლიოთეკის ფონდს 120 ქართული და 70 რუსული წიგნი ემატება, რომლის რაოდენობა 2600 ბიბლიოგრაფიულ ერთეულამდე აღის, სახლში 2189 ცალი წიგნი იქნა გაცემული და დარბაზით 3422-ჯერ გაუწია მომსახურება მოსულ მკითხველს.

1900-იანი წლების რევოლუციურმა აღმავლობამ კრიზისულ მდგომარეობაში ჩააგდო ქართველთა შორის წ.-კ. გამავრცელებელი საზოგადოება. ხშირია შემთხვევები, როცა გამგეობა უარს ეუბნება დახმარებაზე მათდამი დაქვემდებარებულ სკოლებს და ბიბლიოთეკებს. იგი თხოვნით მიმართავს სხვადასხვა ორგანიზაციებს დახმარებისათვის. 1902 წლისათვის საზოგადოებას ისე გაუჭირდა დახმარების აღმოჩენა, რომ საზოგადოების მიერ გამოყოფილმა სარევიზიო კომისიამ მოითხოვა სახალხო ბიბლიოთეკისათვის კუთვნილ დახმარების დროებით შეწყვეტა, მაგრამ გამგეობამ უარყო სარევიზიო კომისიის წინადადება და ძველი თანხა დახმარების შესახებ ისევ ძალაში დატოვა.

1903 წელს ბიბლიოთეკას წიგნებისა და პერიოდიკის 225 ბიბლიოგრაფიული ერთეული მიემატა და 1904 წელს მისმა ფონდმა 2825 ეგზემპლარს მიაღწია, რომელიც დარგების მიხედვით შემდეგნაირადაა განაწილებული.

- |  |     |
|--|-----|
| 1. სასულიერო შინაარსის წიგნები (ღვთისმეტყველება) . . . . . | 130 |
| 2. მოთხრობები, ლექსები, პიესები (მხატვრული) . . . . .      | 736 |
| 3. ისტორიული შინაარსის წიგნები . . . . .                   | 197 |
| 4. ბუნებისმეტყველება . . . . .                             | 221 |
| 5. კრიტიკა, გეოგრაფია და ბიბლიოგრაფია . . . . .            | 119 |
| 6. საყმაწვილო . . . . .                                    | 171 |
| 7. დანარჩენი დარგის წიგნები პერიოდიკასთან ერთად . . . . .  | 735 |

1902—03 წლის რევოლუციურმა მოძრაობამ ბიბლიოთეკების მუშაობაზე იმოქმედა. ყველგან იმართება რევოლუციური კრებები და მანიფესტაციები. ბევრი მათგანი თავშეყრისა და კრებების მოსაწყობადაა გადაქცეული. რევოლუციურ მოძრაობას ვერც ბიბლიოთეკა-სამკითხველოები გადაურჩა, მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამ ბიბლიოთეკის მკითხველები მუშა-რევოლუციონერებიც იყვნენ.

ქალაქის სხვა დაწესებულებებთან ერთად ბიბლიოთეკების რე-

<sup>9</sup> საქ. სსრ ცსა, ფონდი 481, საქ. № 641, ფურც. 17—21.



ვოლუციური საქმიანობა შეუმჩნეველი არ რჩება ჟანდარმერიასა და საქმეში მთავრობას განსაკუთრებულ ერთგულებას უჩენს სტამბების, წიგნის მალაზიებისა და ბიბლიოთეკების ინსპექტორი სოლოვიოვი. დაწესებულია მეთვალყურეობა თბილისის ყველა ბიბლიოთეკაზე. რამდენჯერმე იქნა შემოწმებული და გაჩხრეკილი საზოგადოების ბიბლიოთეკების წიგნობრივი ფონდები.

1890 წლის განათლების სამინისტროს გამოცემული წესებით „უფასო სახალხო ბიბლიოთეკების შესახებ“ ბიბლიოთეკების თვალყურის დევნება შინაგან საქმეთა სამინისტროს ევალებოდა. წესდება უკრძალავდა ბიბლიოთეკებს თავიანთ ფონდში ჰქონოდათ რევოლუციური ხასიათის წიგნები, მიუხედავად ამისა ბიბლიოთეკები ახერხებდნენ რევოლუციური და კონსპირაციული წიგნების პროპაგანდას. წესების ძალით ახლად გახსნილ და გასახსნელ ბიბლიოთეკებს ეკრძალებოდათ ფონდში ისეთი ლიტერატურის ქონა, რომელიც განათლების სამინისტროსა და სასწავლო კომიტეტების მიერ არ იყო დამტკიცებული.

ვიდრე ბიბლიოთეკა გაიხსნებოდა, გუბერნატორი ამტკიცებდა ბიბლიოთეკის პასუხისმგებელ პირს, რომელიც ვალდებული იყო მთავრობაში წარედგინა სია იმ წიგნებისა და პერიოდული გამოცემებისა, რომლის ბაზაზე იხსნებოდა ბიბლიოთეკა. საცენზურო კომიტეტი განიხილავდა ამ საკითხს და შემდეგ იხსნებოდა ბიბლიოთეკა. თუ ბიბლიოთეკაში აღმოჩნდებოდა აკრძალული ლიტერატურა, მთავრობის ბრძანებით ბიბლიოთეკა იხურებოდა. ეს კანონი ჩაგვრის ნამდვილი სურათი იყო, რომლის ძალითაც იმპერიის განაპირა მხარეების ნაციონალური წიგნსაცავებიდან იღვენებოდა დედაენაზე დაწერილი ლიტერატურა.

1904 წელს საზოგადოების გამგეობის სხდომამ გვერდი აუარა ბიბლიოთეკებიდან ქართული წიგნების ამოღებისა და უფასო სახალხო ბიბლიოთეკად გუბერნატორის გადაწყვეტილებას თბილისის მეორე ბიბლიოთეკის გადაკეთების შესახებ და მიიღო გადაწყვეტილება რუსული წიგნების, რომლებიც მოწონებული არ არიან უფასო სამკითხველოებისათვის, ამოღების შესახებ<sup>10</sup>. ამავე წლის მარტის სხდომაზე საზოგადოების მდივანმა ს. ფირცხალავამ გამოთქვა მოსაზრება არსებული ბიბლიოთეკების საჯარო ბიბლიოთეკებად გადაკეთებისა და გადაკეთებულ საჯარო ბიბლიოთეკებში კითხვის ფასის 30—50 კაპიკად განსაზღვრის შესახებ.

<sup>10</sup> საქ. სსრ ცსა, ფონდი 481, საქ. № 849, ფ. 18.

გამგეობამ გამოიტანა დადგენილება — ამ საკითხზე მოღვაწეობის კება გაემართა გუბერნატორთან, მაგრამ ივნისის თვეში გამგეობაში გამოცხადდა ბეჭდვითი სიტყვის ინსპექტორი სოლოვიოვი და ს. ფირცხალავას გადასცა თბილისის პირველი, მეორე და მესამე ბიბლიოთეკების უფასო ბიბლიოთეკებად გადაკეთების მოწმობები, რომლის ძალით ბიბლიოთეკებს არ შეეძლოთ ქართული წიგნები და პერიოდული გამოცემები ჰქონოდათ თავის ფონდში. უფასო ბიბლიოთეკებად გადაკეთების ვადად ორი თვე იქნა მიცემული. ამ საკითხზე გამართულა კამათი ინსპექტორსა და ს. ფირცხალავას შორის. ინსპექტორს თავისი სიტყვა ასე დაუსრულებია: „საზოგადოებას შეუძლია იშუამდგომლოს განათლების სამინისტროს წინაშე ქართული წიგნებისა და ჟურნალების ნებართვის შესახებო“ და წასულა. აღნიშნული მდგომარეობა მოხსენდა გამგეობას. მდგომარეობიდან გამოსვლის მიზნით გამგეობამ გადაწყვიტა ი. ჭავჭავაძისა და ნ. ცხვედაძის გაგზავნა გუბერნატორთან და ი. ჭავჭავაძეს ასეთი შინაარსის წერილი გაუგზავნა: „დიდად პატივცემულო ილია, გამგეობამ მოისმინა განკარგულება ადმინისტრაციისა თბილისის ბიბლიოთეკებიდან ქართული წიგნებისა და გაზეთების გამორიცხვის შესახებ და დაადგინა: გთხოვთ, თქვენ და ნ. ცხვედაძეს, რათა წაბრძანდეთ გუბერნატორთან და პირადად მოელაპარაკოთ საქმის გარემოებაზე-ო“<sup>11</sup>. საქმე დადებითად გადაწყდა, გუბერნატორთან ამ ორი ავტორიტეტული პირის მისვლით საზოგადოებასა და ადმინისტრაციას შორის ამ საკითხზე დავა შეწყდა და ბიბლიოთეკებს ასცდა უფასო ბიბლიოთეკებად გადაკეთება.

ცუდი მაჩვენებლებით დაამთავრა ბიბლიოთეკამ 1905 წელი. ამ წელს მხოლოდ 66 ცალი წიგნი იქნა შეძენილი. ხელისმომწერი 121 მკითხველი ჰყავდა, ხოლო დარბაზით 2603 მკითხველს გაუწია მომსახურება. ფინანსური ხელმოკლეობის შედეგად საზოგადოების ბევრმა სკოლამ და ბიბლიოთეკამ შეწყვიტა მუშაობა. განსაკუთრებით ცუდ მდგომარეობაში ჩავარდა ბიბლიოთეკა 1906 წელს. „სამკითხველო გაჭირვებულ მდგომარეობაშია, ეს ორი თვეა და საკუთრივ ჩემი ხარჯით ვინახავო“, წერდა გამგეობას ან. წერეთელი და სთხოვდა დახმარებას.

1907 წელს ბიბლიოთეკარად ნ. დეკანოზიშვილის ნაცვლად მოწვეულ იქნა ანა კაპანაძე. წლიური ანგარიში არც ამ წელს უწარმოებია ბიბლიოთეკას.

<sup>11</sup> საქ. სსრ ცსა, ფონდი 481, საქ. № 849, ფ. 57.

1909 წელს ფინანსური ხელმოკლეობის გამო გამგეობამ შესძლო ბიბლიოთეკისათვის გამოეწერა რუსული პერიოდიკა, შეეძინა წიგნები და ერთდროულად გადაეხადა ბინის ქირა 180 მანეთი. „უმორჩილესად ვთხოვ გამგეობას ყურადღება მიაქციოს პირველი სამკითხველოს უკიდურეს მდგომარეობას, ყოველწლივ გამგეობა უწერდა ამ სამკითხველოს რუსულ ჟურნალ-გაზეთებს და ამით შემწეობას აძლევდა. ახლა საჭიროდ აღარ დაუნახავს გამგეობას რუსული ჟურნალ-გაზეთების გამოწერა და ამით იძულებულს მხდის, დაეკეტოს სამკითხველო. საზოგადოება საჭიროებს აუცილებლად პროგრესული გაზეთების კითხვას“<sup>12</sup>, წერდა ანასტასია თუმანიშვილი-წერეთელი. მიუხედავად ასეთი თხოვნისა ანასტასიას უარი ეთქვა პერიოდიკის გამოწერაზე.

ამავე სხდომამ ბიბლიოთეკების შესამოწმებლად გამოიყო კომისია; პირველი ბიბლიოთეკის შემოწმება დაევალა ა. მდივანს, მეორესი — პ. სურგულაძეს, მესამესი — ლ. ბოცვაძეს. პ. სურგულაძის მოხსენებიდან ირკვევა ბიბლიოთეკის გაჭირვებული მდგომარეობა და ბინის უქონლობა. გამგეობის 2 ივლისის სხდომამ მდგომარეობიდან გამოსავალი ვერ ნახა და ბიბლიოთეკის დახურვა საჭიროდ სცნო.

როგორც შემდეგი მასალებიდან ირკვევა, ბიბლიოთეკის მთლიანი ფონდი ინვენტარით ვერის სკოლის ერთ-ერთ ოთახში შეინახეს. 1910 წელს საზოგადოების გამგეობამ ურჩია ან. წერეთელს ბიბლიოთეკის შენახვა კვლავ ქალთა წრეს ეკისრა. ანასტასია გამგეობის წინადადებას მიიღებდა იმ შემთხვევაში თუ გამგეობა ბიბლიოთეკარს ჯამაგირს გადაუხდიდა და პერიოდიკას გამოუწერდა. გამგეობამ უარი შეუთვალა ზემოთ მოხსენებულ პირობებზე და ურჩია ბიბლიოთეკის მთელი ქონება, ინვენტარი და წიგნები ნაძალადევის ბიბლიოთეკის გამგის ტ. ხმიდაშვილისათვის ჩაეხარებინა. შემდეგი მასალებიდან არ ჩანს თუ რა ბედი ეწია ამ ბიბლიოთეკას.

ასეთია ამ ბიბლიოთეკის მოკლე ისტორია. მიუხედავად ბინის ხშირი გამოცვლისა ბიბლიოთეკამ მაინც გარკვეული წვლილი შეიტანა მოსახლეობის გათვითცნობიერებისა და ლიტერატურის პროპაგანდის საქმეში.

<sup>12</sup> საქ. სსრ ცსა, ფონდი 481, საქ. № 2005, ფ. 14.



პირველი ბიბლიოთეკის გახსნამ დიდი ავტორიტეტი დაიმსახურა მოსახლეობის ფართო მასებში. მათ შესაძლებლობა მიეცათ ესარგებლათ წიგნებით და აემალლებინათ თვითგანვითარების დონე.

მაგრამ თბილისის ისეთი ადგილების, როგორც იყო „ჩუღურეთი“, „ნაძალადევი“, „ვერა“ და „ავლაბარი“, მოსახლეობა ბიბლიოთეკით მომსახურების გარეშე იყო დარჩენილი, რომლებსაც არ ჰქონდათ შესაძლებლობა გონებრივი ცოდნის ამალლებისა. ეს ადგილები მჭიდროდ იყო დასახლებული მუშა ხალხით. საზოგადოების გამგეობამ საჭიროდ ჩათვალა ბიბლიოთეკის გახსნა. საქმის მოთავედ კვლავ ანასტასია თუმანიშვილი-წერეთელი გვევლინება, რომელმაც წინასწარ შეისწავლა მოსახლეობის მოთხოვნები, შეარჩია ადგილები და შემდეგ დააყენა საკითხი ბიბლიოთეკის გახსნისა გამგეობის წინაშე. მეორე ბიბლიოთეკის გახსნის ადგილად მის მიერ შერჩეულ იქნა კუკია. აქაურ მცხოვრებ ხალხს წინასწარ შეუძენიათ „400“-ზე მეტი ქართული წიგნი, უყიდიათ ინვენტარი, რომელიც ბიბლიოთეკის მოსაწყობად იქნებოდა საჭირო და შემდეგ მიუძმართავთ ან. წერეთლისათვის, რათა ეშუამდგომლა გამგეობის წინაშე შეგროვილი წიგნებითა და ინვენტარის ბაზაზე გაეხსნა მათთვის ბიბლიოთეკა-სამკითხველო“<sup>13</sup>.

ბიბლიოთეკის გახსნის საკითხი გამგეობის წინაშე ანასტასიამ 1894 წლის 20 იანვარს დააყენა. გამგეობამ გამოიტანა დადგენილება — მეორე სახალხო ბიბლიოთეკა დაფუძნდეს კუკიაზე, ეთხოვოს ნებართვა გუბერნატორს<sup>14</sup>. ამავე წლის 4 თებერვალს გამგეობამ თბილისის გუბერნატორს კოჩუბეის ქუჩის ახლოს, სემიონოვსკის შესახვევ № 2-ში, ქართველიშვილის სახლში მეორე იაფფასიანი ბიბლიოთეკის გახსნის ნებართვა და პასუხისმგებელ პირად ან. წერეთლის დამტკიცება სთხოვა.

გუბერნატორისადმი წარდგენილ მოხსენებაში კითხვის საფასური განსაზღვრული იყო 30—50 კაპიკით, მაგრამ საქმე უმოკმედოდ იყო მთელი ოთხი თვის განმავლობაში. ანასტასიამ მეორედ მოახსენა გამგეობას საქმის ვითარება. გამგეობის მეორედ თხოვნის შედეგად გუბერნატორმა ბიბლიოთეკის გახსნის მოწმობა 24 ივლისს გასცა. ან. წერეთელი, მოახსენებდა რა გამგეობას საქმის ვითარებას,

<sup>13</sup> საქ. სსრ ცსა, ფონდი 481, საქ. № 739, ფ. 1.

<sup>14</sup> საქ. სსრ ცსა, ფონდი 481, საქ. № 349, ფ. 40.

სთხოვდა, „რომ ნებართვა ბიბლიოთეკის გახსნისა კუკიაში ხელისა  
ხალხისათვის უკვე მოგვივიდა და ამ ცოტა ხანში უნდა გავხსნათ,  
რომ დღესასწაულ უქმე დღეებზე მზად იყოს, ამიტომ ვთხოვ მმარ-  
თველობას ყველა ცალი ქართული წიგნებისა, რომელიც კი მოიპო-  
ვება მისი წიგნის მაღაზიაში და თვითური შემწეობა აღმოუჩინოს:  
სამ თვეს სამ-სამი თუმანი, სანამ თანხას უშოვიდეთ ბიბლიოთეკასა  
და სამკითხველოს, სანამ გამოირკვეოდეს შემოსავალ-გასავალი, მერე  
კი ჩემის აზრით, თვეში 2 თუმანი შეინახავს ამ ბიბლიოთეკას“<sup>15</sup>.

მოსახლეობას რომ გავგო მეორე ბიბლიოთეკის არსებობის ად-  
გილი, ან. წერეთელმა გაზეთ „ივერიაში“ გამოაქვეყნა სტატია სა-  
თაურით „თბილისის ღარიბი ქართველობის საყურადღებოდ“, სადაც  
იგი იუწყებდა მკითხველებს, რომ თბილისის ღარიბ მოსახლეობას  
წიგნების საყიდლად არ ჰყოფნის ფული, აქედან გამომდინარე, ასე-  
ვე არა აქვს საშუალება წიგნების კითხვისა. გარდა ამისა სტატიაში  
იგი იუწყებოდა მეორე ბიბლიოთეკის გახსნის ადგილს და თარიღს.  
„წიგნების კითხვა სამკითხველოში და შინ საკითხავად შეუძლია  
ყველას ქალსა თუ კაცს, დიდსა თუ პატარას, მოსწავლესა თუ არა  
მოსწავლეს, ღარიბებს თვითური ფასის ნახევარი გამოერთმევათო“<sup>16</sup>.

ბიბლიოთეკა 1894 წლის 4 დეკემბერს კოჩუბეის ქ. № 12-ში  
საზეიმოდ გაიხსნა. ბიბლიოთეკის გახსნაზე სიტყვა წარმოთქვა ე.  
კარბელაშვილმა, რომელმაც აღნიშნა ბიბლიოთეკის მნიშვნელობა  
ადგილობრივი მცხოვრებლებისათვის და ან. წერეთლის დიდი ამაგი  
ამ ბიბლიოთეკის დაფუძვნების საქმეში. განსაკუთრებით ხაზი გაუს-  
ვა, რომ ახლად დაარსებულ „სამკითხველოს კვლავ ებარტყოს და  
ჩვენი ქართველობა ამ ბიბლიოთეკის აღორძინებას გულითადად მო-  
ეკიდებაო“<sup>17</sup>.

ბიბლიოთეკარის თანამდებობაზე ან. წერეთლის მიერ მოწვეულ  
იქნა ე. დარჩიაშვილი. აღნიშნული ბინა ბიბლიოთეკისათვის  
ნესტიანი გამოდგა. 1895 წელს გუბერნატორის ნებართვით ბიბლი-  
ოთეკა გადატანილ იქნა ვალავენების ქუჩა № 1-ში მჭედლიძის სახ-  
ლში (საბჭოს ქუჩა). პირველი წელი ბიბლიოთეკამ დაბალი მაჩვენ-  
ებლებით დაამთავრა. ხოლო ორი წლის შემდეგ ბიბლიოთეკის  
გამგისა და ადგილობრივი მოსახლეობის მხარდაჭერით მისმა ფონ-

<sup>15</sup> იგივე ფონდი, საქ. № 359, ფ. 7.

<sup>16</sup> გაზ. „ივერია“, 1894, № 258.

<sup>17</sup> იქვე.



დმა 87ც ბიბლიოგრაფიულ ერთულს მიაღწია. ხელისმომწესებელი რიცხვი კი 428 კაცს შეადგენდა.

1897 წელს ბიბლიოთეკას შემოსწირეს 13 ცალი წიგნი — ჟურნალ „მოამბის“ რედაქციამ, 2 ცალი წიგნი — ი. მაჭავარიანმა, 3 ცალი წიგნი — ანასტასია წერეთელმა, ჟურნალ „ჯეჯილის“ 1896—97 წლების სრული ნომრები, დიდი ფორმატის „ვეფხისტყაოსანი“, საბინინის „საქართველოს სამოთხე“ და მრავალი სხვა.

1897 წლიდან ბიბლიოთეკა კვლავ ადგილს იცვლის. იგი გადატანილ იქნა ვარდის მოედანზე ბოგატიროვის სახლში № 12-ში<sup>18</sup>, მაგრამ გუბერნატორისაგან უარის მიღების გამო ოლღას ქუჩა № 19-ში ისაკაძის სახლში მოათავსეს. ბინის გამოცვლის ხშირმა გადანაცვლებამ ბიბლიოთეკის მუშაობის მაჩვენებლებზე უარყოფითად იმოქმედა.

1898 წელს ბიბლიოთეკას აქვს ოვალური თეკი წარწერით: „მეორე ქართული სახალხო სამკითხველო იაფფასიანი“, რითაც ბიბლიოთეკის გამგე წიგნებს და ჟურნალ-გაზეთებს ამუშავებდა და ხელს უწყობდა ბიბლიოთეკის ფონდის დაცვას. ამავე წელს ბიბლიოთეკას შეემატა 292 ცალი წიგნი და მისმა ფონდმა წლის ბოლოსათვის 1260 ერთეულს მიაღწია. წლის განმავლობაში 194 მუდმივ მკითხველზე 1990 ცალი წიგნი გასცა და 4200 მკითხველს გაუწია მომსახურება წიგნებითა და პერიოდიკით<sup>19</sup>.

1899 წელს ბიბლიოთეკას მიემატა 110 ბიბლიოგრაფიული ერთეული, ხოლო მკითხველთა დაკარგვისა და გაცვეთისაგან ფონდიდან 173 წიგნი გამოირიცხა.

1900 წლიდან ბიბლიოთეკის მუშაობაში გარკვეული ცვლილებები შეიმჩნევა როგორც მკითხველთა მომსახურებით, ასევე ორგანიზაციული საკითხების ამაღლებითაც. ამ წლიდან ბიბლიოთეკა მომსახურებას უწევს მოსწავლეებსაც, მხოლოდ მშობლების თავდებით. გამგეობის მითითებით ბიბლიოთეკის გამგის მიერ შემოღებულ იქნა დღიური დარბაზში დამსწრეთათვის. მკითხველი, რომელიც წიგნს ან გაზეთს წაიკითხავდა, დღიურში იწერებოდა მისი გვარი, სახელი და რა წიგნი წაიკითხა. გაიზარდა ბიბლიოთეკისადმი მოსახლეობის მხარდაჭერა და თანაგრძნობა, კერძოდ, 1902 წელს ბიბლიოთეკას საზოგადოების გამგეობისაგან შემოუვიდა 180 მანეთი, ქა-

<sup>18</sup> საქ. სსრ ცსა, ფ. 481, საქ. № 518, ფ. 96.

<sup>19</sup> იგივე ფონდი, საქ. № 582, ფ. 18.

ლაქის მმართველობისაგან 100 მანეთი, ხელის მომწერთა და მკვლელებისაგან 200 მანეთი.

1902 წლიდან ბიბლიოთეკარად ანასტასიას მიერ მოწვეულ იქნა ნატალია პიპიაშვილი, გაუმჯობესდა ბიბლიოთეკარის ხელფასი 12-დან 20 მანეთამდე, რამაც ბიბლიოთეკის მუშაობაზე გავლენა იქონია.

ამავე წლებში ბიბლიოთეკის ფონდში შეიმჩნევა არალეგალური და რევოლუციური ლიტერატურის არსებობაც. ბიბლიოთეკის მკითხველებად უმთავრესად დაბალი ფენის წარმომადგენლები გვევლინებიან, რაზედაც მიუთითებს ბიბლიოთეკის მკითხველთა აღრიცხვის დღიურში ჩაწერილი ფსევდონიმები „თავისუფალი“, „უბედური“, „ქართველი“, „საეჭვო“ და სხვა. ეს ფსევდონიმები გახდა მიზეზი იმისა, რომ ჟანდარმერიამ ბიბლიოთეკაში არაკეთილსაიმედო პირები შენიშნა და მას შემდეგ გუბერნატორმა მოითხოვა ბიბლიოთეკა უფასო სახალხო ბიბლიოთეკის წესებს დამორჩილებოდა. წინააღმდეგ შემთხვევაში ბიბლიოთეკას დახურვა ემუქრებოდა. საარქივო მასალებიდან ცნობილია, თუ როგორი დაჟინებით მოითხოვდა ჟანდარმერია ამ ბიბლიოთეკის დახურვას, მაგრამ გუბერნატორთან ი. ჭავჭავაძის მისვლით ბიბლიოთეკას ასცდა სამუდამო დახურვა.

1904 წელს ბიბლიოთეკა გაჭირვებულ მდგომარეობაშია. განსაკუთრებით შეიმჩნევა პერიოდიკის უქონლობა. ორად ორი გაზეთი მკითხველთა მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს. ამავე პერიოდში ბიბლიოთეკები დაუთვალეირებია გამგეობის წევრს ივ. რატიშვილს. თავის მოხსენებაში გამგეობისადმი იგი აღნიშნავს ბიბლიოთეკების ცუდ მდგომარეობას, განსაკუთრებით პერიოდიკის, „ვერის წიგნსაცავის მეთვალყურე ქალმა (იგულისხმება ან. წერეთელი) გადმომცა სამკითხველოს გაჭირვებული მდგომარეობა. ეს მე თვითონაც შევამჩნიეო,“ წერდა იგი გამგეობას. გამგეობამ ბიბლიოთეკას ორორი ეგზამპლარი ქართული გაზეთი გამოუწერა<sup>20</sup>.

1905 წლის რევოლუციის აღმავლობამ ბიბლიოთეკის მუშაობაზეც გავლენა მოახდინა. შემცირდა ხელმომწერთა რიცხვი, იკლო წიგნების სახლში გაცემამ. ბიბლიოთეკის ფონდს მხოლოდ 96 დასახელების წიგნი შეემატა. 1905 წელს ბიბლიოთეკამ ვერ მიიღო სათანადო დახმარება. იგი იძულებული შეიქმნა დროებით მუშაობა შეეწყვიტა. ამის გამო ან. წერეთელი გამგეობას წერდა: „თუ რო-

<sup>20</sup> საქ. სსრ ცსა, ფონდი 481, საქ. № 923, ფურც. 1.





მელიმე წრე ისურვებს გახსნას ვერაზე სამკითხველო, გამგეობის მას ის წიგნები, რომელიც დაგვრჩა ვერის ბიბლიოთეკის დაკეტვის შემდეგ“. გამგეობა არ დაეთანხმა ან. წერეთლის აზრს და საკითხი გადაუწყვეტელი დატოვა. ბიბლიოთეკას 1909 წლამდე არ უმუშავნია.

შემდეგში მიიღო რა მხედველობაში მოსახლეობის ფართო მასების მოთხოვნები ბიბლიოთეკის განახლების შესახებ, ან წერეთელმა კვლავ დასვა საკითხი გამგეობაში ბიბლიოთეკის გახსნის შესახებ. „ორი წელიწადია რაც ვერის სამკითხველო დაკეტილია უსახსრობის გამო, მოთხოვნილება დიდია, მეტადრე იქითა მხარეს (ლაპარაკია ვერის, კუკიისა და საბურთალოს შესახებ — თ. ჩ.) ბევრი სკოლებია და თხოულობენ სამკითხველოს გახსნას, წიგნები და მოწყობილობა შენახული გვაქვს და ახლა განვიზრახე მისი ხელახლა გახსნა“<sup>21</sup>. თვეში დახმარებად 15 მანეთს ითხოვდა.

ან. წერეთლის ზრუნვის მეოხებით ბიბლიოთეკისათვის ახალი ბინა იქნა გამოჩახული წყნეთის ქუჩაზე მირზოევის სახლში თვეში 12 მანეთად. გამგეობამ მეტი ყურადღება მიაქცია ბიბლიოთეკის მუშაობას, მისცა დამატებითი თანხა, გაუგზავნა წიგნები, გამოუწერა ჟურნალ-გაზეთები როგორც რუსულ, ასევე ქართულ ენებზე. განსაკუთრებით გაიზარდა მოსწავლე-მკითხველთა რიცხვი.

1910 წელს საზოგადოების მიერ გამოყოფილმა კომისიამ შეამოწმა მათდამი დაქვემდებარებული სკოლები და ბიბლიოთეკები. მეორე ვერის ბიბლიოთეკა შეუთმობებია პ. სურგულაძეს. შემოწმების შედეგებს მოახსენებდა რა გამგეობას, იგი აღნიშნავდა: „სამკითხველო კარგ ადგილას არის, მკითხველიც ბლომად ჰყავს. წიგნები გააქვს 150—200 კაცს, უმეტესობას მოწაფენი შეადგენს. ასეთი გარემოება გვაძალეებს, რომ განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთ მოწაფეთათვის საჭირო წიგნებს, საზოგადოდ ბიბლიოთეკა ხელმოკლეა, ბევრი წიგნი დაუკაზმავი და დაფლეთილია. ამასთან არ მოიპოვება ბევრი ქართველი მწერლის გამოჩენილი ნაწარმოებები. ეს ყველაფერი კი ბიბლიოთეკის ღირსებას ამცირებს, ამიტომ საჭიროა მეტი ყურადღება, რომ ბიბლიოთეკა შესაფერის საფეხურზე დადგეს“.

გამგეობამ 173 წიგნი გაუგზავნა ბიბლიოთეკას, გამოუწერა პერიოდული გამოცემანი — „ჩვენი საქმე“, „დროება“, „ფასკუნჯი“, „ალმანახი“, „ნაკადული“, „ჯეჯილი“ და სხვა. შემოწმების დღისა-

<sup>21</sup> საქ. სსრ ცსა, ფონდი 481, საქ. № 1011, ფ. 37.



თვის სახლში ხელისმომწერთა რიცხვი 194 კაცს შეადგენდა. მკრთველ მოსწავლეთა კონტიგენტს შეადგენდა ქართული გიმნაზიის, სამრევლო სკოლის, პირველი და მეორე გიმნაზიის, სამოქალაქო და ეპარქიალური სასწავლებლების, სემინარიის, ხელსაქმისა და განათლების სკოლის მოსწავლეები. შემოწმების შედეგად ბიბლიოთეკაში აღმოჩნდა 2511 ბიბლიოგრაფიული ერთეული, რომელთა აღწერილობანი და თვით ფონდი თაროებსა და სისტემატური კატალოგისათ განყოფილებაში იყო განლაგებული.

1. ღვთის მეტყველება — 100 ერთეული.
2. სიტყვაკაზმული მწერლობა — 513.
3. საყმაწვილო — 105.
4. დრამატული — 57.
5. ისტორია-გეოგრაფია — 95.
6. გეოგრაფიები — 97.
7. სამეცნიერო და სამეურნეო — 127.
8. კრიტიკა და პუბლიცისტიკა და ბიბლიოგრაფია — 94.
9. სახელმძღვანელოები — 32.
10. პერიოდიკა (უცხოური) — 535.

გარდა ამისა, ინვენტარში გაუტარებელი ყოფილა 530 ცალი როგორც წიგნი, ასევე ჟურნალი. როგორც მასალებიდან ირკვევა, ან. წერეთელმა 1909 წელს ბიბლიოთეკის მეორედ გახსნისას მკითხველს წარუდგინა დამუშავებული და სისტემატურ კატალოგში გატარებული წიგნობრივი ფონდი, რითაც ბიბლიოთეკის მუშაობა კიდევ უფრო მყარი და მოხერხებული აღმოჩნდა წინა წლებთან შედარებით.

ბიბლიოთეკების ქსელის ზრდასთან ერთად, რასაც გამგეობამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია, 1910-იანი წლებიდან ბიბლიოთეკის მუშაობაში იყო ხარვეზები და ნაკლოვანებანი. არ არსებობდა ერთიანი განსაზღვრული ინსტრუქცია, შინაგანაწესი. საჭირო იყო მკითხველებთან ახალი ფორმებისა და მოქმედების გამონახვა, რომ ბიბლიოთეკის მზრუნველებს სწორად წარემართათ მუშაობა.

1909 წლიდან საზოგადოების გამგეობასთან შეიქმნა კომისია, რომელსაც დაევალა საბიბლიოთეკო საქმეების ხელმძღვანელობა. კომისიას სათავეში ედგა დ. კარიჭაშვილი. მან შეიმუშავა ბიბლიოთეკების წესდება, ასევე ერთიანი სააღრიცხვო ფორმები და სისტემატური კატალოგის ნიმუშები. მოგვყავს მთლიანად ეს წესდება უცვლელად.

წესდება ქართველთა შორის წ. კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ბიბლიოთეკისა.

1. ბიბლიოთეკა-სამკითხველოს აარსებს წ. კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, რომ უფასოდ მიაწოდოს ადგილობრივ მცხოვრებლებს წიგნები და ჟურნალ-გაზეთები სახლში წასაღებად ან თვითონ სამკითხველოში წასაკითხად.

2. ბიბლიოთეკა-სამკითხველოს შეუძლია იქონიოს ყოველგვარი წიგნი, ჟურნალი თუ გაზეთი, რომელიც აკრძალული არაა კანონის მიერ.

შენიშვნა: ბიბლიოთეკა ყოველ წელს შევსებული უნდა იქნეს წიგნებითა და ჟურნალ-გაზეთებით.

3. ბიბლიოთეკის ღონისძიებას შეადგენს: ა) შემწეობა წ. კ. საზ-ის მთავარი გამგეობისაგან; ბ) დამხმარე წევრის გადასახადი; გ) შემოწირულება კერძო პირისა ან საზოგადო დაწესებულებისა. დ) ბიბლიოთეკის სასარგებლოდ გამართული წარმოდგენის, ან საღამოს შემოსავალი და სხვ.

4. ბიბლიოთეკის საქმეებს განაგებს გამგეობა, რომლის წევრთა რიცხვი არ უნდა იყოს სამზე ნაკლები. გამგეობა ირჩევს თავმჯდომარეს, ხაზინადარს და მდივანს. ბიბლიოთეკის გამგე მთავრობის წინაშე პასუხისმგებელ პირად ითვლება.

ბიბლიოთეკის გამგეობას ირჩევს სამი წლის ვადით ბიბლიოთეკის დამხმარე წრე ან წ. კ. საზოგადოების გამგეობა ან ისეთი დამხმარე წევრები, რომელთაც გადადებული აქვთ ბიბლიოთეკის სასარგებლოდ ერთი თუმანი მაინც ან რომლებიც ყოველწლიურად იხდიან არანაკლებ ერთი მანეთისა.

5. გამგეობა შეიკრიბება თვეში ერთხელ მაინც თავმჯდომარის მოწვევით და თვალყურს ადევნებს, რომ ბიბლიოთეკის საქმეები წარმოებდეს წესიერად, იცავს ბიბლიოთეკის ქონებას და ცდილობს საშუალებების მოპოვებას ბიბლიოთეკების გასაუმჯობესებლად. შეამოწმებს დავთრებს, შეადგენს ყოველწლიურ ანგარიშს წ. კ. საზოგადოებაში წარსადგენად.

შენიშვნა: ბიბლიოთეკაში ცალკე დავთარი უნდა იყოს მკითხველთათვის, რომელშიც ჩასწერენ თუ რომელი წიგნის ან ჟურნალის შეძენა მიაჩნია საჭიროდ, ან თუ რაიმე ნაკლოვანება შენიშნეს ბიბლიოთეკაში. ან შენიშვნებს განიხილავს გამგეობა და თუ საჭიროდ ცნო, მიიღებს შესაფერ ზომებს.

6. ბიბლიოთეკის საქმეების პირდაპირ მწარმოებლად გამგეობა ირჩევს ბიბლიოთეკარს ან თავის წევრთა შორის ან გარეშე პირთაგან. უკანასკნელ შემთხვევაში ბიბლიოთეკარი საქმეებს აწარმოებს გამგეობის პასუხისმგებლობით და ზედამხედველობის ქვეშ.

7. ბიბლიოთეკარი მისცემს მსურველს წიგნებსა და ჟურნალ-გაზეთებს, დაეხმარება მათ რჩევით და განმარტებით, იცავს წესიერებას, ადგენს ბიბლიოთეკის ანგარიშს გამგეობაში წარსადგენად და აგრეთვე წიგნებისა და გაზეთების სიას, რომლის შექმნა საჭიროა და აწარმოებს ბიბლიოთეკის დავთრებს.

8. ბიბლიოთეკას აქვს ა) საკვიტანციო წიგნი ბ) ინვენტარის წიგნი, გ) შემოსავალ-გასავალის წიგნი, დ) ქრონოლოგიური კატალოგი, ე) სისტემატური კატალოგი, ვ) ხელისმომწერთა და მკითხველთა წიგნი. საკვიტანციო წიგნიდან კვიტანცია უნდა მიეცეს ვინც რასმეს შემოსწირავს ან გადაიხდის ბიბლიოთეკის სასარგებლოდ. შემოსავალ-გასავალის წიგნში იწერება ყოველგვარი შემოსული ფული და ყოველგვარი ხარჯი. ქრონოლოგიურ კატალოგში ჩაიწერება ყოველი შემოწირული ან ნაყიდი წიგნი და ჟურნალი იმის მიხედვით თუ როდის შემოწირულია ან შეძენილი სყიდვით, შემოსვლის კვალობაზე. სისტემატურ კატალოგში უნდა ჩაიწეროს წიგნები დარგებად და ანბანზე განლაგებული. ქრონოლოგიურ კატალოგში სავსებით უნდა აღინიშნოს წიგნის სახელწოდება, ავტორის გვარი და სახელი, რომელ ქალაქშია დაბეჭდილი წიგნი, რომელ წელს, რამდენ გვერდიანია და რა ღირს. მკითხველთა და ხელისმომწერთა წიგნში აღინიშნება ყველა ვინც სახლში წაიღებს წიგნს თუ გაზეთს, ან სამკითხველოში წაიკითხავს. პირველ შემთხვევაში იწერება სახელი და გვარი წიგნების წამლებისა, მისი სქესი და რა წიგნი წაიღო, როდის წაიღო და როდის დააბრუნა. მეორე შემთხვევაში ინიშნება ვინაობა იმისა, ვინც ამა და ამ დღეს სამკითხველოში კითხულობდა წიგნსა თუ გაზეთს.

შენიშვნა: საკვიტანციო წიგნი და შემოსავალ-გასავალის წიგნი კვირაში ერთხელ უნდა შეამოწმოს გამგემ თუ ბიბლიოთეკარი სხვა პირია.

9. ბიბლიოთეკით სარგებლობა ყველას უფასოდ შეუძლია განურჩევლად სქესისა და სარწმუნოებისა.

10. ბიბლიოთეკიდან ძველი წიგნების და ჟურნალის წაღება შეიძლება ორი კვირის ვადით, ხოლო ახალისა — ერთი კვირის შემდეგ სამი დღის ვადით. ამ ვადის გაგრძელება შეიძლება თუ სხვა არავინაა იმავე წიგნის მსურველი. ერთ ხელის მომწერს შეუძლია

მხოლოდ ერთი წიგნისა და ერთი ჟურნალის წაღება.

არ შეიძლება ბიბლიოთეკიდან გატანა მეტად ძვირფასი წიგნისა, ახალი კალენდრისა, ჟურნალისა და გაზეთისა, სამი უკანასკნელი ნომრისა.

11. თუ ვინმემ გააფუჭა წიგნი, უნდა გადაიხადოს მისი ფასი.

12. ბიბლიოთეკა-სამკითხველო ღიაა ყოველდღე განსაზღვრულ დროს, რომლის საათებს დანიშნავს გამგეობა. ბიბლიოთეკა სრულიად დაკეტილია აღდგომის ორ დღეს, 24—26 დეკემბერს, ახალ წელიწადს 14 იანვარს, ვნების კვირის ორ უკანასკნელ დღეს და ყოველ კვირაში ერთ საქმის დღეს, რომელსაც ადგილობრივი პირობების მიხედვით აარჩევს გამგეობა.

გამგეობას შეუძლია დაბეჭდოს გაზეთებში მოწოდება და სთხოვოს საზოგადოებას დახმარება წიგნებითა და ჟურნალ-გაზეთებით<sup>22</sup>.

რაც შეეხება სისტემატურ კატალოგს, იგი აგებული იყო შემდეგნაირად: 1. სასულიერო წიგნები, 2. კაზმული მწერლობა (მოთხრობები, ლექსები, პიესები), 3. ისტორიულ-ბიოგრაფიული, 4. გეოგრაფიულ-ეთნოგრაფიული, 5. ბუნებისმეტყველება და მედიცინა, 6. სოფლის მეურნეობა, 7. საზოგადოებრივი წიგნები (სოციოლოგია, პუბლიცისტიკა, კრიტიკა, პოლიტიკური ეკონომია), 8. ჟურნალ-გაზეთები, 9. საბავშვო წიგნები.

აღნიშნული წესდება საზოგადოების გამგეობამ 1910 წლის 14 იანვარს დაამტკიცა და სტამბურად დაბეჭდა. დაბეჭდილი ფორმები წესდებასთან ერთად დაეგზავნათ ბიბლიოთეკებს შემდეგი შინაარსით: „ამასთან გეახლებათ წესდება თქვენდამი რწმუნებული ბიბლიოთეკისათვის, უმორჩილესად გთხოვთ, დღეიდან იხელმძღვანელოთ ამ წესდებით და ყოველი საქმე ბიბლიოთეკაში აწარმოოთ და მოაწყოთ წესდების ძალით“. სიახლე, რასაც წესდება შეიცავდა, ეს იყო წიგნებითა და ჟურნალ-გაზეთებით უფასოდ სარგებლობა მოსახლეობის მიერ. ეს იყო ახალი პერიოდი ბიბლიოთეკების მუშაობაში; რაც მიუთითებს საზოგადოების ფინანსურ სიძლიერეზე და მის მოლონიერებაზე წინა წლებთან შედარებით

რეაქციის გაძლიერებასთან დაკავშირებით, მეფის ოხრანკამ დევნა დაუწყო მუშათა კლასის საუკეთესო ადამიანებს, მან მეთვალყურეობის ქვეშ აიყვანა სხვა დაწესებულებებთან ერთად სკოლები, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები. ასეთი ბედი ეწია ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების

<sup>22</sup> საქ. სსრ ცსა, ფონდი 481, საქ. № 1495, ფ. 1—4.

ბიბლიოთეკებსაც. 1911 წელს სხვა ბიბლიოთეკებთან ერთად ვერძემ მეორე ბიბლიოთეკა ორჯერ იქნა გაჩხრეკილი სტამბების, წიგნის მალაზიებისა და ბიბლიოთეკების ინსპექტორების მიერ. ბიბლიოთეკების გაჩხრეკის მიზეზი იყო ო. კაიდანოვას, მეტეხის ციხისა და ხაშურის (ძნელადის) ბიბლიოთეკებში მარქსის, ვ. ი. ლენინის და კაუტსკის რევოლუციური ლიტერატურის აღმოჩენა<sup>23</sup>. ვერის ბიბლიოთეკაშიც აღმოჩენილ იქნა ინსპექტორის მიერ რევოლუციური ხასიათის 13 დასახელების ლიტერატურა, მათ შორის კ. კაუტსკის, ლენინისა და სხვა რევოლუციონერთა წიგნები, რაც იმის მაჩვენებელია, რომ ბიბლიოთეკას კავშირი ჰქონდა სოციალ-დემოკრატთა წრეებთან.

1912 წელს ბიბლიოთეკას შეემატა პირველი ბიბლიოთეკის ფონდიდან 684 ქართული და 42 რუსული წიგნი, რამაც კიდევ უფრო გაამდიდრა მისი ფონდი.

1915 წელს ბიბლიოთეკამ უკანასკნელად გამოიცვალა ადგილი, იგი გადატანილ იქნა ისაკაძის სახლიდან წყნეთის ქუჩის № 2-ში მერკვილაძის სახლში. ამავე წელს ბიბლიოთეკის გამგე თხოვნით მიმართავს გამგეობას 137 დასახელების წიგნით დახმარებას, მაგრამ უარს იღებს, რადგან პირველმა იმპერიალისტურმა ომმა დიდად იმოქმედა საზოგადოების ფინანსურ მდგომარეობაზე. გარდა ამისა ძალიან გაძვირდა ქალაქი და გამგეობას არ ჰქონდა საშუალება წიგნების ბეჭდვისა და გამოცემისა კვლავინდებურად.

1909 წელს საზოგადოებას უფლება მიეცა გაეხსნა განყოფილებები. განყოფილებების შექმნა მნიშვნელოვნად აუმჯობესებდა ადგილებზე საქმის უკეთ წარმართვას.

განყოფილებების შექმნამ მოითხოვა მთავარი გამგეობის რეორგანიზაცია, გამგეობასთან ჩამოყალიბდა 5 სექცია, ნაცვლად სამისა: სამუზეუმო, სასკოლო, საგამომცემლო, საბიბლიოთეკო და სამეურნეო სექციები. გაფართოვდა სექციების მუშაობის სფერო და უფლებანი. საბიბლიოთეკო სექციაში შეყვანილ იყვნენ პეტრე გელიშვილი, ილ. ნაკაშიძე, ივანე გომართელი, ივანე მაჭავარიანი, სექციის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა შ. არაგვისპირელი<sup>24</sup>.

საბიბლიოთეკო სექციამ დიდი მუშაობა ჩაატარა. 1914 წელს 13 სხდომაზე 48 საკითხი განიხილა: კერძოდ, წიგნებითა და ჟურ-

<sup>23</sup> საქ. სსრ ცსა, ფონდი 17, საქ. 9199, ფ. 2—14.

<sup>24</sup> საქ. სსრ ცსა, ფონდი 481, საქ. № 1132, ფ. 110.

ნალ-გაზეთებით დახმარება ბიბლიოთეკებისადმი, ახალი ბიბლიოთეკების გახსნა, ბიბლიოთეკების შემოწმება-ინსპექტირება, მეთოდური მუშაობა, კატალოგების შედგენა და მრავალი სხვ.

ბიბლიოთეკებისადმი დახმარების მიზნით საბიბლიოთეკო სექციამ გამგეობის წევრები მიამაგრა ბიბლიოთეკებზე. დიდუბისა და ნაძალადევის ბიბლიოთეკის მეთვალყურედ გამოყოფილ იქნა ზ. საყვარელიძე და ა. ჯაფარიძე, წმინდა ნინოს უბნის ბიბლიოთეკაზე — შ. არაგვისპირელი, ხოლო ავლაბრისაზე — ვ. კახიძე.

დიდი ღვაწლი მიუძღვის საბიბლიოთეკო სექციას ბიბლიოთეკების გახსნისა და წიგნების გავრცელების საქმეში. განსაკუთრებით იმ ადგილებში, სადაც ქართულ ენასა და კულტურას საფრთხე ემუქრებოდა. სექციის მეოხებით გაიხსნა ბიბლიოთეკები როგორც ქართლში (ცხინვალში), ისე გურიასა და სამეგრელოში. ამით საბიბლიოთეკო სექციამ გააკეთა დიდი ეროვნული საქმე, რითაც დაეხმარა მოსახლეობას ქართული კულტურის შენარჩუნების საქმეში.

მენშევიკების ბატონობის პერიოდში საქართველო გაჩანაგდა, ფულის კურსი დაეცა. ქვეყანაში ფინანსური მდგომარეობა უკიდურესობამდე იყო მისული, რამაც გავლენა იქონია თვით საზოგადოების მდგომარეობაზეც.

მიუხედავად ანასტასია წერეთლისა და გამგეობის ზრუნვისა ბიბლიოთეკის ფინანსური კრიზისული მდგომარეობიდან გამოყვანა ძნელი შეიქმნა.

მენშევიკების ბატონობის პერიოდში თბილისში არსდება სხვადასხვა კომიტეტები, საზოგადოებანი, „გამართობნი“, რომლებიც განმანათლებლების სახელწოდებითაა ცნობილი. ვერაზეც არსებობს კულტურული საზოგადოება „ვერის გამართობი საზოგადოების“ სახელწოდებით, რომელსაც ხელმძღვანელობს გ. ბერეჟიანი. საზოგადოება თხოვნით მიმართავს მთავარ გამგეობას გადასცეს ვერის ბიბლიოთეკა მის განკარგულებაში. საზოგადოების მთავარი გამგეობის 1920 წლის 9 მარტის სხდომამ შემდეგი დადგენილება გამოიტანა: „წ. კ. მთავარი გამგეობა თანახმაა გადმოგცეთ ბიბლიოთეკა იმ პირობით, თუ იგი დარჩება იმავე უბანში, ხოლო თქვენი მოქმედების შეწყვეტის შემთხვევაში ისევ წ. კითხვის გამგეობას დარჩება. საზოგადოების გამგეობამ ბიბლიოთეკის ჩასაბარებლად გამოჰყო ვ. ბურჯანაძე. მიღება-ჩაბარების აქტში 3209 ბიბლიოგრაფიული ერთეულია, მათ შორის 1522 წიგნი, 1687 ჟურნალი, 3 თარო, ორი მაგიდა, 13 სკამი და ა. შ. სულ 30920 მანეთის ოდენობით“<sup>1</sup>.

აღნიშნული საზოგადოების ხელში ბიბლიოთეკამ მხოლოდ ერ-

თი წელი იარსება, ისიც დილის საათებში იყო ღია. საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ამ ბიბლიოთეკის ფონდი საქართველოს სსრ მთავრობის განკარგულებით სახალხო უნივერსიტეტის ფონდს გადაეცა.

1921 წლის 29 მარტის განათლების სახალხო კომისიის ბრძანებით უნივერსიტეტის ბინაზე იქნა გადატანილი და მალე იგი უნივერსიტეტის რექტორის მომართვის საფუძველზე უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ფონდს შეუერთდა. უნივერსიტეტს გადაეცა ასევე კატალოგში გაუტარებელი 197 ც. წიგნი და 887 ც. სპეციალური დანიშნულების ეჟურნალი.

ასეთია მოკლედ ამ ბიბლიოთეკის ისტორია, რომელიც მნიშვნელოვან წიგნსაცავად ითვლებოდა თბილისში.

#### ბ) თბილისის მესამე ბიბლიოთეკა-სამკითხველო

მესამე ბიბლიოთეკა-სამკითხველო, რომლის გახსნა გამგეობამ განიზრახა, იყო „ნაძალადევის“ ბიბლიოთეკა. მეტად საინტერესო ისტორია აქვს ამ ბიბლიოთეკას.

ნაძალადევი ბიბლიოთეკის გახსნა დაემთხვა მუშათა რევოლუციურ მოძრაობას, რომელმაც განსაკუთრებით თავი იჩინა 900-იანი წლების დასაწყისიდან. ნაძალადევი, თბილისის ეს მნიშვნელოვანი სამრეწველო რაიონი, მუშათა კლასის რევოლუციური მოძრაობის დასაწყისიდანვე წარმოადგენდა ცარიზმთან ბრძოლის ცენტრს. ამიტომ მეფის ოზრანკა მუდმივად გაძლიერებულ თვალყურს ადევნებდა მას, აგზავნიდა სპეციალურ აგენტებს და მუშათა თაოსნობას დაუნდობლად ახშობდა. იგი ეწინააღმდეგებოდა ამ რაიონში წერაკითხვის გამავრცელებელი და სხვა საზოგადოებათა მიერ ღონისძიებების ჩატარებას. მიუხადავად იმისა, რომ ეს უბანი სწრაფად იზრდებოდა, 900-იან წლებამდე აქ არც ერთი კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულება არ არსებობდა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ „წიგს“ ერთადერთ სკოლას, გრ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიას და მუშების მიერ შედგენილ დრამატულ წრეს, რომელიც იშვიათად მართავდა წარმოდგენებს.

ამ პერიოდში ნაძალადევის მუშებს შორის მუშაობდა ცნობილი საზოგადო მოღვაწე და მწერალი ქალი მარიამ დემურია, რომელიც ახლო ურთიერთობაში იმყოფებოდა სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციასა და მის ხელმძღვანელებთან. სწორედ მ. დემურიას თაოს-





ნობას მიეწერება ამ უბანში პირველი ბიბლიოთეკა-სამკითხველთა დაარსება წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ხაზით.

საქართველოს ცენტრალურ ისტორიულ არქივში დაცული მასალებიდან ირკვევა, რომ 1900 წლის 5 დეკემბერს, იმ დღეებში როდესაც თბილისში რკინიგზის მუშათა გაფიცვა მიმდინარეობდა, მ. დემურიას წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობაში ასეთი შინაარსის განცხადება შეუტანია: „რადგან ნაძალადევში დიდი მოთხოვნილებაა ბიბლიოთეკისა, ვთხოვთ, იკისროთ და გაუხსნათ იქ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სახელზე: ექვსას კომლზედ მეტი გადმოსახლებული სხვადასხვა სოფლიდან ქართველნი ცხოვრობენ. მაგის გარდა დიდა [ძალი] მუშა ხალხი: რაჭველი, მეგრელი, გურული და სხვა ცხოვრობს იმ ალაგას, სადაც ოთახი მაქვს დათვალიერებული. ერთი ოთახი ოთხ მანეთად არის და ორიც ერთ თუმნად, ზედ მოედანზედ, ორივენი შუაგულში, ბიბლიოთეკარიც 12 მანეთად მყავს ნაშოვნი. თუ შესაძლებელია და წერ-კითხვის საზოგადოებას ღონისძიება მოეპოვება, ვთხოვ, დააჩქაროს ეს საქმე. გამგეობას მე ვკისრულობ ჩემ თავზედ“<sup>25</sup>.

გამგეობას ექ. თაყაიშვილის თავმჯდომარეობით განუხილავს მ. დემურიას ეს განცხადება 1900 წლის დეკემბრის თვეში. სხდომის ოქმში ჩაწერილია: „მიენდოს გამგეობის წევრებს ბ-ნ დ. კარიჭაშვილს, ვლ. ლორთქიფანიძეს და აგრეთვე მდივანს გამოიკვლიონ ყოველგვარი პირობები და გარემოებანი ნაძალადევში სამკითხველოს დაარსებისათვის და თავიანთი აზრი წარმოუდგინონ გამგეობას“<sup>26</sup>.

აღნიშნულ პირებს ადგილზე შეუსწავლიათ საკითხი და 18 დეკემბერს ვ. ლორთქიფანიძე მოახსენებს გამგეობას, რომ ნაძალადევში ბიბლიოთეკას დასჭირდება 22 მანეთი და წიგნები, რაც შეეხება გამგეობას, კისრულობს თვით დემურიას. 20 დეკემბერს გამგეობას მიუცია დადგენილება „გაეგზავნოს ბ-ნ გუბერნატორს თხოვნა შემოღებული წესით მესამე სახალხო სამკითხველოს დაარსებისა ტფილისში და გამგედ დაინიშნოს ქ-ნი დემურია“<sup>27</sup>. ამ დადგენილების საფუძველზე გამგეობას 1901 წლის 7 იანვარს გუბერნატორისათვის წარუდგენია ოფიციალური მიმართვა: „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას აქვს პატივი უმორჩილე-

<sup>25</sup> საქართველოს სსრ ცსა, ფ. 481, საქ. 737, ფ. 1.

<sup>26</sup> იქვე, საქ. № 769, ფ. 160.

<sup>27</sup> იქვე, საქ. № 769, ფ. 167.



სად სთხოვოს თქვენს მაღალ კეთილშობილებას, საზოგადოების წესდების მეორე პარაგრაფის მეოთხე მუხლის საფუძველზე ნება დართოთ გახსნას ქ. თბილისში, ნაძალადევში, ბიბლიოთეკა სახალხო კითხვისათვის, გადასახადით თვეში 30 კაპ., პირველი თანრიგი 20 კაპ., მეორითა 5 კაპ. ბიბლიოთეკაში ყოველი შესვლისას, ამასთანავე გამგეობა დასძენს, რომ ბიბლიოთეკის გამგედ და პასუხისმგებელ პირად იქნება ქ-ნი მარიამ ივანეს ასული დემურია. თავმჯდომარის მაგიერ — ნ. ცხვედაძე<sup>28</sup>.

მიუხედავად იმისა, რომ ეს თხოვნა არ ეწინააღმდეგებოდა საზოგადოების წესდებას, მისი გადაწყვეტა დიდხანს გაჭიანურდა, რადგან გუბერნატორს არ სურდა მუშათა უბანში ბიბლიოთეკის დაარსება, ისიც მუშათა მღელვარების ზრდის პერიოდში. აღნიშნული საქმისათვის ხელი რომ შეეშალა, გუბერნატორმა შუამდგომლობა დასკვნისათვის მხოლოდ 27 იანვარს გადაუგზავნა კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველს. ამავე დროს საიდუმლო შეკითხვა გაუგზავნა თბილისის საგუბერნიო ქანდარმთა უფროსს — მარიამ დემურიას პოლიტიკური ვინაობის შესამოწმებლად. გუბერნატორის იმედები არ გამართლდა, რადგან ქანდარმერიას არაფერი აღმოაჩნდა მ. დემურიას წინააღმდეგ. 5 თებერვალს მზრუნველმაც აცნობა, რომ იგი წინააღმდეგი არ არის ნაძალადევში ბიბლიოთეკის გახსნისა, „თუ დაცული იქნება ყველა სავალდებულო წესი ზედამხედველობის განხორციელებით“<sup>29</sup>. საქმე დიდხანს უმოძრაოდ იყო, მაგრამ საზოგადოების მდივნის პ. მირიანაშვილის ხშირი ვიზიტებით გაბეზრებულმა გუბერნატორმა 1901 წლის 24 თებერვალს გამგეობის შუამდგომლობა ახლა პოლიცემისტერს გადაუგზავნა დასკვნისათვის, იმ იმედით, რომ ამ გზით მაინც მიაღწევდა საქმის ჩაშლას. პოლიცემისტერს დაევალა საიდუმლოდ შეეკრიბა მასალები მ. დემურიას შესახებ. ერთდროულად ქანდარმერიას წინადადება მიეცა გულდასმით შეემოწმებინა მ. დემურიას პოლიტიკური ვინაობა, მაგრამ მან ვერაფერი ვერ გამოიხატა ახალი და თავისი პირვანდელი პასუხი სიტყვისიტყვით გაიმეორა. „ნაძალადევში ბიბლიოთეკის გახსნაზე მე პრინციპულად არაფერი მაქვს საწინააღმდეგო, მაგრამ ვინაიდან გამგეობის მიერ ნავარაუდევია სამკითხველო არ შეესაბამება კანონით გათვალისწინებულ სამკითხველოთა არც ერთ ტიპს, ამიტომაც შეუძლებლად მიმაჩნია ნება დაგართოთ თქვენს მიერ ნავარაუდევია სამ-

<sup>28</sup> საქ. სსრ ცსა, ფ. 481, საქ. 737, ფ. 3.

<sup>29</sup> იქვე, ფონ. 17, საქ. № 1441, ფ. 16.



კითხველოს გახსნაზე. თუ გამგეობა სამკითხველოს გახსნის, 175-ე მუხლის, მისდამი დართული ცენზურისა და ბეჭდვითი სიტყვის, წერეთელ უფასო სახალხო სამკითხველოთა შესახებ წესდების საფუძველზე, მაშინ ჩემი მხრით არაფერი მექნება საწინააღმდეგო ამ სახის სამკითხველოს გახსნაზე“<sup>30</sup>.

მაგრამ გუბერნატორი მოტყუვდა. საზოგადოების გამგეობა არ შეუშინდა გუბერნატორის წინადადებას და გადაწყვიტა საზოგადოების ხარჯზე აღნიშნული დაწესებულების გახსნა. ი. ჭავჭავაძეს მაშინ მიმართავენ ხოლმე, როდესაც საჭირო იყო „მძიმე არტილერიის ჩარევა“. და აი, 1901 წლის 21 აპრილს გამგეობამ უკვე ილია ჭავჭავაძის ხელმოწერით გუბერნატორს შემდეგი პასუხი გაუგზავნა: „თქვენი 10 აპრილის № 2059 წინადადების შესაბამისად საზოგადოების გამგეობას აქვს პატივი უმორჩილესად გთხოვთ ნება მისცეთ მას მოაწყოს თბილისში „ნაძალადევი“ სამკითხველო, რომელიც გათვალისწინებულია 75-ე მუხლით და მისდამი შენიშვნით ცენზურისა და ბეჭდვითი სიტყვის შესახებ წესდებით (გამოცემული 1890 წელს) მარიამ ივანეს ასული დემურისას პასუხისმგებლობით. საზოგადოების თავმჯდომარე ი. ჭავჭავაძე“<sup>31</sup>.

ი. ჭავჭავაძის წერილი გუბერნატორს მაშინ გაეგზავნა, როდესაც თბილისის მუშებმა ცარიზმის წინააღმდეგ საპირველმართის დემონსტრაცია მოაწყვეს. ასეთ პირობებში გუბერნატორს თბილისის პოლიცემისტერისათვის ახალი მითითება მიუტცია, გამოერკვია, შეიძლებოდა თუ არა გამგეობის მიერ შერჩეულ შენობაში ბიბლიოთეკა-სამკითხველოს გახსნა.

ამ დავალების შესრულება პოლიცემისტერს დაუვალეგია უბნის ბოქაულისათვის, ბოქაულს თავის თანაშემწისა, სტამბისა და წიგნით ვაჭრობის პალატის ინსპექტორისათვის, რომელთაც მხოლოდ 20 მაისს შეუდგენიათ აქტი იმის შესახებ, რომ შენობა იმყოფება ნაძალადევი ივანა სარქისოვის სახლში, რომელიც მდებარეობს წყალსადენის ქუჩაზე № 151 (ახლა მაგისტრალის ქ. № 17) და შედგება სამი ოთახისაგან. აქტს დართული აქვს ინსპექტორის „განსაკუთრებული აზრი“, რომლითაც ეს შენობა უვარგისად არის მიჩნეული. პოლიცემისტერს ეს საბუთები გუბერნატორისათვის მხოლოდ 30 მაისს გაუგზავნია.

<sup>30</sup> საქ. სსრ ცსა, ფონდი 17, საქ. №1441, ფურ. 15.

<sup>31</sup> იქვე, ფურ. 20.

ასე ჭიანურდებოდა ნაძალადევში ბიბლიოთეკის გახსნის თხი, რაც უკმაყოფილებას იწვევდა მუშებსა და თვით მ. დემურისა შორისაც.

გუბერნატორმა უკვე ვერაფერი გააწყო და იძულებული გამხდარა 1901 წლის 5 ივნისს გამგეობისათვის ნებართვის მოწმობის ტექსტი შეედგინა.

ნებართვის მიღებისთანავე გამგეობამ ნაძალადევში ბიბლიოთეკის გახსნა 24 ივნისისათვის დანიშნა. მშრომელები და ადგილობრივი მოსახლეობა დიდი სიხარულით მოელოდნენ ბიბლიოთეკის გახსნას. მაგრამ მას აქაც გამოუჩნდა საშიში მტერი „ოხრანკის“ სახით, რომელსაც შეუტყვია, რომ გადაწყდა ნაძალადევში ბიბლიოთეკის გახსნა და 22 ივნისს გუბერნატორისათვის საიდუმლოდ მიუწერია შემდეგი წერილი: „ჩემს მიერ მიღებულ ცნობებით, ახლო მომავალში გათვალისწინებულია ნაძალადევში ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების იაფფასიანი ბიბლიოთეკის გახსნა. ვითვალისწინებთ რა იმას, რომ ნაძალადევი იმყოფება ქალაქის განაპირას და იგი უმთავრესად მუშებით არის დასახლებული, ამიტომ მეტად ძნელი იქნება მეთვალყურეობა ბიბლიოთეკისადმი, რომელშიც ყოველთვის შეუძლიათ შევიდნენ პოლიტიკურად არასაიმედო პირები, მე სასურველად მიმაჩნია, რომ საშუალება არ მივცეთ სხვადასხვა აგიტატორებს ისარგებლონ ამ ბიბლიოთეკით მუშათა შორის პროპაგანდისათვის, — აღნიშნული ბიბლიოთეკა გადავიტანოთ ქალაქის უფრო ცენტრალურ ნაწილში, მაგალითად კუკიაზე, რომელიც რკინიგზის სახელოსნოებს ეკვრის და სადაც ბევრი ფაბრიკა და ქარხანაა, მოსახლეობის მნიშვნელოვან პროცენტს შეადგენენ მუშები და დიდუბის მსგავსად, ისეთი უბანია, რომელშიც მხოლოდ მუშები და ხელოსნები ცხოვრობენ“<sup>32</sup>.

დანიშნულ დროს 1901 წლის 24 ივნისს ნაძალადევში ბიბლიოთეკა საზეიმო ვითარებაში გაიხსნა. გაზეთი „ივერია“ მკითხველებს აუწყებდა: „კვირას, 24 ივნისს ნაძალადევის უბანში აკურთხეს ახლადდარსებული წიგნსაცავი სამკითხველო. კურთხევას დაესწრნენ ნაძალადევის მცხოვრებნი დიდძალი მუშა ხალხი, მთავარმართებლის საბჭოს წევრი ბ-ნი სულთან კრიმ-გირეი, ზოგიერთი ქართველი მწერალი და ქართველი ჟურნალ-გაზეთების წარმომადგენლები“<sup>33</sup>.

<sup>32</sup> საქ. სსრ ცსა, ფონ. 7, საქ. 318, ფურც. 244.

<sup>33</sup> გაზ. «ივერია», 1901, № 37.

როგორც კორესპონდენციიდან ჩანს, ბიბლიოთეკის გახსნას მელი ქართველი მწერალი დაესწრო, გაზეთი არ ასახელებს, მაგრამ როგორც შემდგომი მასალებიდან ირკვევა, გახსნას დასწრებია ო. ჭავჭავაძე. ილია ეტლით მისულა, მისალმებია დამსწრე ხალხს, ბიბლიოთეკის საზეიმო გახსნის შემდეგ ილიას ოქროს თუმნისანი შეუწირავს ბიბლიოთეკისათვის, ეტლში ჩამჯდარა და წასულა. ბიბლიოთეკისათვის ფული შეუწირავთ იქ დამსწრე მუშებსაც<sup>34</sup>.

არქივში დაცულია გუბერნატორის კარნახით მისი კანცელარიის მიერ შედგენილი პასუხი, სადაც არის გუბერნატორის მიერ ამოწილი ადგილები და მის ნაცვლად ახალი ტექსტია ჩართული. ამის შემდეგ გაუგზავნია ენდარმერიის უფროსისათვის. „მოწყალეო ხელმწიფევ ევგენი პავლეს ძევ, როგორც პოლიციის საშუალებით ჩემს მიერ შეკრებილი ცნობებით ირკვევა, ქართველ მოსახლეობაში წერა-კითხვის გამავრცელებელი თბილისის საზოგადოების სამკითხველო უკვე დაახლოებით ორი დღეა რაც გახსნილია. 3 ივლისს პოლიცემისტერისაგან მიღებული ცნობით ირკვევა, რომ იგი 24 ივნისს გახსნილა. ამიტომ მეძნელება მოვითხოვო ახლახანს და სრულიად კანონიერ საფუძველზე გახსნილი სამკითხველო სხვა ადგილას გადაიტანონ. ამასთანავე ნე წინადადება მივეცი პოლიციას გულდასმით უთვალთვალოს, რაც სამკითხველოში მოხდება და აგიტატორთა ცდების შემთხვევაში გამოიყენონ სამკითხველო შენობა ნაძალადევი მოსახლე მუშათა შორის პროპაგანდისათვის — მე სათანადო ზომებს მივიღებ სამკითხველოს დახურვისათვის ანდა ქალაქის უფრო ხშირად დასახლებულ ნაწილში მისი გადატანისათვის, იმედია თქვენც თქვენის მხრივ უარს არ იტყვით, მაცნობოთ ხოლმე თქვენს მიერ შენიშნული არასწორი მოქმედებანი ბიბლიოთეკაში თუ ასეთებს ადგილი ექნება“<sup>35</sup>.

მიუხედავად მეფის „ოხრანკის“ ასეთი მეთვალყურეობისა ბიბლიოთეკა-სამკითხველოსადმი, მ. დემურიასა და მოწინავე რევოლუციონერთა მხარდაჭერით ბიბლიოთეკას ფართოდ გაუშლია მუშაობა. როგორც ბიბლიოთეკის გამგის ანგარიშიდან ჩანს, გახსნისათვის ბიბლიოთეკას ჰქონია 665 ქართული და 434 რუსული წიგნი. 1901 წლის ბოლოსათვის 827 ც. წიგნი შეუძენია, ხელისმომწერი ჰყოლია 210 კაცი, აქედან მამაკაცები 207 ყოფილა, ქალები

<sup>34</sup> ეურნ. «თეატრი და ცხოვრება», 1924, № 15.

<sup>35</sup> საქ. სსრ ცსა, ფონდი 7, საქ. 318, ფურც. 267.



კი 3. მათ შორის 173 მუშა, დანარჩენი გლეხები, უფრო უმეტესად კითხულობდნენ ისტორიულს და ბელეტრისტულ თხზულებებს.

წიგნსაცავს ამავე წლისათვის მოსდიოდა შემდეგი ჟურნალ-გაზეთები: „მოამბე“, „ივერია“, „ცნობის ფურცელი“, „კვალი“. რუსულიდან — «Кавказ», «Тифлисский листок», «Новое обозрение». «Аргон», «Кавказское сельское хоз-во», «Мир божий». ბიბლიოთეკაში შესულა სულ 3213 კაცი, ყველაზე მეტი მკითხველი ბიბლიოთეკას ჰყოლია სექტემბრის თვეში.

წიგნსაცავს შესვლია ხელისმომწერთაგან 61 მან., შემოწირულებანი ფულით 304 მან., საწვევრო ფული 220 მან. და 50 კაპ., სხვადასხვა გასართობებისაგან 315 მან. სულ 993 მან.

გასავალი ჰქონია ბინის ქირა 60 მან., ხელფასი გამგეს 120 მან., წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთების შეძენაზე დაუხარჯავს 100 მან., სხვადასხვა წერილმანი ხარჯი 27 მან. სულ 318 მან. ბიბლიოთეკის დაარსებაზე დახარჯულა 397 მან<sup>36</sup>. ასეთია ბიბლიოთეკის არსებობის პირველი წლის წიგნადი ფონდისა და მკითხველთა რაოდენობის ცნობები.

მკითხველთა რაოდენობა მომდევნო წლებში კიდევ უფრო გაზრდილა. ამასთან ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ მათი ინტერესი უფრო გაფართოებულა განსაკუთრებით პოლიტიკური, ეკონომიკური და ისტორიული ხასიათის ლიტერატურისადმი, რაც ცხადია მუშათა რევოლუციური აღმავლობით უნდა აიხსნას, აგრეთვე მუშათა შორის ადგილობრივი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების მუშაობის გაძლიერებით.

ნაძალადევის ბიბლიოთეკა მოკლე ხანში გადაიქცა ნამდვილი რევოლუციური პროპაგანდის უმნიშვნელოვანეს კერად. როგორც ძველი რევოლუციონერის ლუბა ლელაშვილის მოგონებებიდან ჩანს და როგორც ამას ადასტურებს პროფ. ა. კოჭლავაშვილი, ბიბლიოთეკას დიდი როლი უთამაშანია მუშებსა და გლეხებს შორის რევოლუციური ჟურნალ-გაზეთებითა და წიგნებით მომარაგების საქმეში. ბიბლიოთეკა ქართველ რევოლუციონერთა თავშეყრის ადგილს წარმოადგენდა. „ამ ბიბლიოთეკაში რამდენჯერმე ვნახე ახალგაზრდა სტალინი, რომელიც მოდიოდა ხოლმე მოწინავე მუშებთან შესახვედრად და მათ მოკლე საუბარს ჩაუტარებდა. სტალინი ბიბლიოთეკიდან წიგნს გამოიწერდა და ამ ნებადართული წიგნებით გამოდიოდა

<sup>36</sup> საქ. სსრ ცსა, ფ. 481, საქ. № 713, ფურც. 25.

გარეთ, რათა ქანდარმერიის მიერ მიჩნეულ აგენტს ეჭვი არ მასზე. ასევე იქცეოდნენ თათბირის დანარჩენი მონაწილენიც... ბიბლიოთეკის სარდაფს ვიყენებდით იარაღისა და აკრძალული ლიტერატურის დასამალავად. აქ ვანაწილებდით რაიონებისათვის და ქარხნებისათვის გათვალისწინებულ წიგნებსა და ფურცლებს, რომელსაც ფარულად ვაბარებდით ამისათვის გამოგზავნილ სპეციალურ სანდო პირებს. ერთი სიტყვით, ეს ბიბლიოთეკა ჩვენმა რევოლუციონერებმა ისეთ დაწესებულებად აქციეს, რომლის საშუალებით მუშებს ცარიზმის წინააღმდეგ რაზმავდნენ... ჩვენ თვითონ ვხედავდით, რომ ქანდარმერია მუდმივად თვალყურს ადევნებდა ჩვენს ბიბლიოთეკას და ცდილობდა ხელთ ეგდო ჩვენი ამხანაგები, მაგრამ ქანდარმერიამ მიზანს ვერ მიაღწია<sup>37</sup>.

ბიბლიოთეკის მიერ მუშებს შორის გაწეული რევოლუციური აგიტაციის შესახებ იცოდა როგორც გუბერნატორმა, ასევე მეფის მთავრობის აგენტებმაც, რასაც ადასტურებს არქივში მოკვლეული საბუთი. 1901 წლის 23 ოქტომბერს ქანდარმთა სამმართველოს უფროსს გუბერნატორისათვის გაუგზავნია ინფორმაცია, რომელსაც აწერია „ფრიად საიდუმლოდ საკუთარ ხელში“. „ამა წლის 22 ივნისის თარიღით ჩემს მიერ გამოგზავნილი კონფიდენციალური № 2493 წერილის დამატებით პატივი მაქვს თქვენს აღმატებულებას ვაუწყო, რომ ნაძალადეგში გახსნილი იაფფასიანი ბიბლიოთეკა წარმოადგენს სოციალ-დემოკრატიულ ლეგალურ ბიბლიოთეკას მუშებისათვის და იგი დაარსებულია უმთავრესად რკინიგზელ მუშა დემოკრატებს შორის ფარულად შეკრებილი თანხებით და ამ ბიბლიოთეკის ირგვლივ ჩემს მიერ ამჟამად მიღებულია კიდევ შემდეგი ცნობები: ბიბლიოთეკისათვის როგორც ფულის, ისე წიგნების შეგროვებაში მთავარი როლი ეკუთვნის მეანე მარიამ დემურიას, რომელიც ბიბლიოთეკას განაგებს. იგი მოხერხებული და დაეინებული ქალია. დემურიამ შესძლო ამ საქმეში ჩაება სხვადასხვა ბანაკის პირები, მათ შორის თავადი ილია ჭავჭავაძე და ლევან ფურცელაძე (ძველი პარტიის ნაციონალისტები), რომლებიც, მიიჩნევდნენ რა ბიბლიოთეკას „ეროვნულად“, მის გახსნაზეც გამოცხადდნენ იმ ანგარიშით, რომ სათანადო სიტყვა წარმოეთქვათ: ნაციონალისტებისა და მით უფრო არისტოკრატიული პარტიის (წარმომადგენელთა) გამოჩენამ იმდენად ააღელვა დამსწრე მუშა და ინტელიგენტი სოციალ-დემოკრატები,

<sup>37</sup> «სკოლა და ცხოვრება», 1970, № 12, გვ. 54.



რომ დემურამ ურჩია მათ, მოსალოდნელი უსიმოვნების თავიდან ასაცილებლად საჩქაროდ დაბრუნებულიყვნენ, მათაც დაუყოვნებლივ დაუჯერეს და უკანა კარიდან წავიდნენ“<sup>38</sup>.

ეს საბუთი მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ნაძალადევის ბიბლიოთეკა ნამდვილად წარმოადგენდა ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ლეგალურ საშუალებას. ბიბლიოთეკას დიდ დახმარებას უწევდნენ მუშებო როგორც ფულით, ასევე წიგნების შეწირვით, მაგრამ გაპირებულ მუშებს არ შეეძლოთ სრულიად უზრუნველყოთ ბიბლიოთეკა სახსრებით. ამიტომ 1901 წელს მ. დემურამ სთხოვა საზოგადოების გამგეობას აღნიშნული ბიბლიოთეკისათვის გამოეყო ყოველთვიური დახმარება, გამგეობამ დააკმაყოფილა ეს შუამდგომლობა და წლიურად დაუნიშნა 180 მან. ბიბლიოთეკას გადასცა ბუთიკაშვილისა და ბაქრაძის მიერ შემოწირული წიგნების ნაწილი და აგრეთვე გამოეყო საკუთარ გამოცემათა სავალდებულო ეგზემპლარები. მიუხედავად ამისა ბიბლიოთეკა შემდეგშიც სახსრების სივიწროვეს განიცდიდა და მკითხველთა ყოველგვარ მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებდა.

1902 წელს რევოლუციური მოძრაობის აღმავლობასთან დაკავშირებით ბიბლიოთეკის კავშირი რევოლუციონერებთან კიდევ უფრო გაძლიერდა. კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის მიერ ბიბლიოთეკის მეთვალყურედ გამოიყო თბილისის მეორე საქალაქო სასწავლებლის ინსპექტორი სემიონოვი<sup>39</sup>.

უანდარმერიამ იცოდა, რომ ბიბლიოთეკა იყო რევოლუციური ლიტერატურის გავრცელების ინიციატორი და ამიტომ ცდილობდა ამ საქმის მოთავეები დაეჭირა. ამ მიზნით თებერვლის თვეში ბიბლიოთეკა ორჯერ მოულოდნელად გაჩხრიკეს, მაგრამ ვერაფერი აღმოუჩინეს. უანდარმერიამ ისიც იცოდა, რომ ბიბლიოთეკა რევოლუციონერთა კრებებისა და სხდომების გამართვის ადგილს წარმოადგენდა, ამიტომ პოლიციის დეპარტამენტს ბიბლიოთეკის „არაკეთილსინდისიერი“ მოქმედება შეატყობინა და მიუთითებდა, „მივიღე რამხედველობაში, რომ აღნიშნულ წიგნსაცავს სოციალ-დემოკრატიული წრე ხშირად იყენებდა სხდომებისათვის, წიგნსაცავი დალუქული იქნეს მის დეტალურ დათვალიერებამდე“<sup>40</sup>. ფონდი მართლაც

<sup>38</sup> საქ. სსრ ცსა, ფონდი 34 საქ. 1242.

<sup>39</sup> პარტიული არქივი, ფ. 8, საქ. 49, ფ. 239.

<sup>40</sup> გ ო რ გ ი ძ ე მ., თვითმპყრობელობა და რევოლუცია, წიგნი 1, გვ. 241.



ორჯერ გაჩხრიკეს შაბათს და კვირას და კვლავ დალუქეს, „დღეს-ორშაბათს კვლავ მეორედ გაჩხრიკეს... ახსნეს ბეჭედი და ბიბლიოთეკა წარმოებს“ — ატყობინებდა დემურია ი. ჭავჭავაძეს<sup>41</sup>. ჟანდარმერიამ მიუხედავად მრავალი ღონისძიების გატარებისა, ბიბლიოთეკისაგან მუშების ჩამოშორება მაინც ვერ შეძლო და შემდეგ ასეთ ზერხს მიმართა: გუბერნატორთან შეთანხმებით გადაწყვიტა სხვა ბიბლიოთეკებთან ერთად ნაძალადევის ბიბლიოთეკიდანაც ამოეღო ქართული წიგნები. ქართული წიგნების ამოღება ბიბლიოთეკის დასურვას უდრიდა.

1902 წელს ბიბლიოთეკის ფონდს 200 ცალი წიგნი შეემატა, დარბაზი კი 5021-ჯერ მოსულ მკითხველს მოემსახურა, სახლში აბონემენტით 3267 ცალი წიგნი გასცა. უფრო უკეთესი შედეგებით აღინიშნა 1903 წელი ბიბლიოთეკის მუშაობაში. 6616 მკითხველიდან 4100 მუშა და ხელოსანი ყოფილა. მუშები ძირითადად კითხულობდნენ პოლიტიკურ, ისტორიულ და საბუნებისმეტყველო წიგნებს. ამ დროს ბიბლიოთეკარად მ. დემურიასთან ერთად ტ. ყიფიანი მოშაობდა.

1904 წელს გუბერნატორი კვლავ სვამს საკითხს ნაძალადევის ბიბლიოთეკიდან ქართული წიგნებისა და პერიოდიკის ამოღების თაობაზე. შექმნილი მდგომარეობა მოითხოვდა გადამჭრელი ზომების მიღებას. საქმე იქამდე მივიდა, რომ საჭირო შეიქნა ი. ჭავჭავაძისა და ნ. ცხვედაძის მისვლა გუბერნატორთან<sup>42</sup>.

ამ ორი დიდი ავტორიტეტული პიროვნების მისვლამ გუბერნატორთან ის ნაყოფი გამოიღო, რომ ქართული წიგნების ხმარებიდან ამოღება დროებით შეჩერდა. ილიას მეორედ მისვლით გამგეობამ მიაღწია იმას, რომ თითოეულ ბიბლიოთეკას განათლების სამინისტროში უნდა წარედგინა ბიბლიოთეკაში დაცული ქართული წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთების სიები და შემოწმების შემდეგ ისევ დაეტოვებინათ ბიბლიოთეკაში, წინააღმდეგ შემთხვევაში ჟანდარმერიის სამმართველო ბიბლიოთეკის დასურვით იმუქრებოდა.

დასურვას გადარჩენილმა ნაძალადევის ბიბლიოთეკამ რევოლუციური მოძრაობის დღეებში მოსახლეობის ფართო მხარდაჭერა და სიყვარული დაიმსახურა. იმატა ლიტერატურის პროპაგანდამ წინა წლებთან შედარებით, განსაკუთრებით გაძლიერდა მოთხოვნი-

<sup>41</sup> საქ. სსრ ცსა, ფ. 481, საქ. 816, ფურც. 11.-  
<sup>42</sup> იქვე, საქ. № 808, ფურც. 22.

ლებანი პოლიტიკურ, სოციოლოგიურ და საბუნებისმეტყველო ტერატურაზე.

ბიბლიოთეკამ რეაქციის პერიოდშიც იმუშავა, თუმცა წინა წლებთან შედარებით ნაკლები მაჩვენებლებით. სახელდობრ, წლის განმავლობაში 238 მუდმივ მკითხველზე 3738 წიგნი გასცა, ხოლო დარბაზში 23022-ჯერ მოსულმა მკითხველმა ისარგებლა.

1909 წელს ჩატარდა წიგნობრივი ფონდის აღწერა-შემოწმება, რის გამოც 1369 ც. რუსული და ქართული წიგნები ჩამოიწერა. ამავე დროს იმატა სახლში წიგნების გაცემამ — მან 6110 ერთეულს მი-აღწია. საინტერესოა დარბაზით მოსარგებლე მკითხველთა ეროვნუ-ლი შემადგენლობაც: 17823-ჯერ მოსარგებლე მკითხველებიდან ქართველმა ისარგებლა 11310-ჯერ, რუსმა — 5218-ჯერ, სომეხმა — 1302-ჯერ, 600-ჯერ — თათარმა, 311-ჯერ — ებრაელმა, 68-ჯერ — ოსმა, ამდენივეჯერ — ბერძენმა. საერთოდ ნაძალადევის ბიბლიო-თეკის მუშაობა წ. კ. გ. საზოგადოების სხვა ბიბლიოთეკებთან შე-დარებით მაღალი მაჩვენებლებით გამოირჩეოდა წიგნობრივი ფონ-დის შემადგენლობით და მკითხველებთან მუშაობის მომსახურე-ბით, რასაც ადასტურებს საზოგადოების გამგეობის წევრის ლუარ-საბ ბოცვაძის მოხსენება, რომელსაც დაუთვალეიერებია საზოგადო-ების ბიბლიოთეკები 1909 წ. „საზოგადოდ ნაძალადევის ბიბლიო-თეკა-სამკითხველო კარგ შთაბეჭდილებას ახდენს და ჩვენი საზოგა-დობაც მოვალე უნდა იყოს ხელი შეუწყოს ამ საქმეს“<sup>43</sup>.

1910 წელს გარდაიცვალა ბიბლიოთეკის მზრუნველი და გამგე-ხელმძღვანელი მ. დემურია, რომლის ადგილზე, გუბერნატორის მი-ერ, ბიბლიოთეკარად ტერეზა ხშიადაშვილი დაინიშნა.

ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებასა და მოწი-ნავე ინტელიგენციასთან ერთად ცხარე ცრემლით დაიტირა განსვენ-ებულის ცხედარი ნაძალადევის მთელმა მოსახლეობამ. რკინიგზის სახელოსნოებისა და დებოს მუშთა სახელით გამოსათხოვარი სიტყ-ვა მუშა რევოლუციონერმა დ. ლორთქიფანიძემ შემდეგნაირად და-ამთავრა: „ჩვენ ვერ შეგპირდებით მარმარილოს ძეგლის აგებას დაო მარიამ, მაგრამ ძეგლად ჩვენგან მიიღე ის, რომ მუშები ხელისშემ-წყობნი იქნებიან იმ განმანათლებელი საქმისა, რომლისთვისაც ილ-წვოდი შენს სიცოცხლეში, მუშებმა იციან სასარგებლო საქმის და-ფასება“<sup>44</sup>.

<sup>43</sup> საქ. სსრ ცსა, ფ 481, საქ. № 3037, ფურც. 13.

<sup>44</sup> გაზ. «მომავალი», 1911, № 122.

1912—1913 წლებში მიუხედავად ფინანსური ხელმოკლეობისა ბიბლიოთეკა მაინც განაგრძობდა მუშაობას. ყოველწლიურად საშუალოდ 400 მკითხველს ემსახურებოდა და სახლში იცემოდა 500-მდე წიგნი, ხოლო დარბაზით 16 ათასამდე მკითხველს უწევდა მომსახურებას.

ძალიან ძუნწი ცნობები მოიპოვება ბიბლიოთეკის მუშაობის მაჩვენებელზე 1917 წელს. მხოლოდ ცნობილია, რომ ბიბლიოთეკის ხელმძღვანელობამ ქალაქის მმართველობას ხუდადოვისა და პარაკოვსკის ქუჩებსა და რეზერვუარის ბაღს შორის მდებარე მიწის ნაკვეთზე 500 საყენი მიწა სთხოვა ბიბლიოთეკის საკუთარი შენობის ასაგებად. ქალაქის მმართველობამ ნაძალადეველთა თხოვნა დააკმაყოფილა და ხსენებული ნაკვეთი სადგომის ასაგებად გამოჰყო<sup>45</sup>, მაგრამ მენშევიკების ბატონობის პერიოდში ეს საქმე არ განხორციელებულა.

1916 წელს ბიბლიოთეკას განაგებდა ნინო ქრისტეფორეს ასული ქორიძე. ბიბლიოთეკამ იმუშავა 1918 წელსაც. 1919 წელს ბიბლიოთეკა ფინანსური უსახსრობის გამო გამოუვალ მდგომარეობაშია. ეს ის პერიოდია, როცა თვით საზოგადოების პოზიციებიც შერყეულია, ბიბლიოთეკებსა და სკოლებს მფარველობას ვეღარ უწევს და ცდილობს ისინი ქალაქის მმართველობებს, ერობებს გადასცეს. ამ დროს გამგეობაში შემოდის თბილისის ორგანიზაციის რაიონული კომიტეტის „ნაძალადევის“ თავმჯდომარის გ. სადალაშვილის მოწერილობა, სადაც აღნიშნულია, რომ ხსენებული ბიბლიოთეკა, რომელმაც უსახსრობის გამო შეწყვიტა არსებობა, გადაცემოდა ნაძალადევის მუშათა კლუბთან არსებულ სამკითხველოს.

ქ.შ. წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ ეს მოწერილობა 1919 წლის 9 ივლისის სხდომაზე განიხილა და მუშათა კლუბის სასარგებლოდ გადაწყვიტა.

გარდა აღნიშნული ბიბლიოთეკისა, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სხვა ბიბლიოთეკებსაც დიდი როლი მიუძღვის რევოლუციური ლიტერატურის გავრცელების საქმეში, ასეთები იყვნენ ყვარლის, ყვირილის, გურიასა და სხვა ადგილებში გახსნილი ბიბლიოთეკები, რომლებიც არაერთხელ იქნა განადგურებული მეფის ოხრანკის მიერ. მათზე დაწვრილებით შეჩერება არ გვიხერ-

<sup>45</sup> საქ. სსრ ცსა, ფ. 192, საქ. № 26.

<sup>46</sup> თბილისის ა. ს. პუშკინის სახ. სახელმწიფო პედინსტიტუტის შრომები, ტ. 22, გვ. 143.

ხდება თემის მოცულობის შეზღუდვის გამო, მაგრამ ერთი კი ცხადია, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ბიბლიოთეკებმა და მათ შორის ნაძალადევის ბიბლიოთეკამ ბრწყინვალე ფურცელი ჩაწერა რევოლუციური მუშათა მოძრაობის ისტორიაში, როგორც არალეგალური ლიტერატურის გავრცელების, ისე რევოლუციონერ-ხელმძღვანელი მოღვაწეების გამოწრთობის საქმეში.

დ) ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი  
საზოგადოების კუთხის ბიბლიოთეკა-სამკითხველო

ქუთაისში ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების რწმუნებულები მუშაობას შეუდგნენ 1888 წლიდან. მათ მოვალეობას შეადგენდა საწევრო გადასახადების შეგროვება, წრის წევრთა რაოდენობის გაზრდა, წიგნების გავრცელება, სკოლებისა და სამკითხველოების გახსნა. მათი საქმიანობა განსაკუთრებით გამოცოცხლებას იწყებს 90-იანი წლებიდან.

ქუთაისში მოსახლეობის გათვითცნობიერებისა და მათში ცოდნის ამაღლების საქმეში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საზოგადოების მიერ ბიბლიოთეკა-სამკითხველოს დაარსებას. 1896 წელს ქუთაისში პირველად იაფფასიანი ბიბლიოთეკა-სამკითხველოს დაარსების იდეა წარმოიშვა ქალთა წრეში, რომელშიც გაერთიანებული იყვნენ ანასტასია დიმიტრის ასული ბაქრაძე, ეკატერინე იაკობის ასული ნიკოლაძე და ოლიმპია ლუკას ასული ქოქრაშვილი. მათ კარგად ესმოდათ ბიბლიოთეკის როლი მოსახლეობის გათვითცნობიერების საქმეში. მათი უშუალო ინიციატივითა და ხელმძღვანელობით ქუთაისში 1896 წლის 5 თებერვალს მოწვეულ იქნა კრება, სადაც აირჩიეს ქალაქის ღარიბი და ხელმოკლე მოსახლეობისათვის წიგნსაცავის დამაარსებელი კომიტეტი. კომიტეტმა წერილით მიმართა საზოგადოების მთავარ გამგეობას გაეხსნა ქუთაისში იაფფასიანი ბიბლიოთეკა-სამკითხველო. საზოგადოების გამგეობამ მათი თხოვნა 5 მარტის სხდომაზე განიხილა. წერილში იგი აცნობებდა სამზრუნველო კომიტეტს, თუ რით შეეძლო დახმარებოდა გამგე-კომიტეტი ბიბლიოთეკის დაარსებას, თანხის რა რაოდენობით. გარდა ამისა, იგი თხოვდა შეერჩია პასუხისმგებელი პირი საზოგადოებისა და გამგეობის წინაშე.

ამავე წლის 2 აპრილს გამგეობის სხდომაზე განხილულ იქნა სამზრუნველო კომიტეტის წერილი, საიდანაც ირკვევა, რომ კომიტეტს ბიბლიოთეკის პირველი დაარსებისათვის ხელთ ჰქონდა 163

მანეთი და წიგნების საკმაო რაოდენობა. წლიურ გასავალზე<sup>47</sup> ნაჩვენები იყო 820 მან. მათ შორის: 100 მანეთი წიგნებისა და პერიოდის შესაძენად, 120 მან. ბინის ქირა, 180 მან. ბიბლიოთეკარის ჯამაგირი, 120 მან. სხვადასხვა წერილმანი ხარჯისათვის. წლიურ შემოსავალში 350 მანეთი იყო გათვალისწინებული. მათ შორის: ბიბლიოთეკის სასარგებლოდ გამართული კონცერტიდან — 100 მან., ხელისმომწერთა საწევრო შემოსავალიდან — 150 მან., კითხვის საფასურიდან — 100 მან. ბიბლიოთეკა-სამკითხველოს გამგედ კი ანასტასია დიმიტრის ასული ბაქრაძე იყო დასახელებული. გამგეობამ თავის მხრივ ბიბლიოთეკას დახმარება დაუნიშნა წელიწადში 100 მან. მომდევნო წერილში გამგე-კომიტეტი საზოგადოების გამგეობას სთხოვდა საქმის დაჩქარებას, კომიტეტიდან ა. ბაქრაძის წასვლას და მის მაგივრად პასუხისმგებელ პირად ელენე ჯინოშვილის დამტკიცებას.

საზოგადოების მთავარმა გამგეობამ ქუთაისის გუბერნატორის წინაშე დასვა საკითხი ქუთაისში ბიბლიოთეკა-სამკითხველოს დაარსებისათვის. ივლისში, თვით ე. ჯინოშვილის ენერგიული მუშაობის შედეგად, ქუთაისის გუბერნატორმა გასცა მოწმობა ბიბლიოთეკის დაარსებაზე. 1896 წლის 29 დეკემბერს ქუთაისში ჭილაძის სახლში ქალაქის ინტელიგენციის თანდასწრებით ბიბლიოთეკა ზეიმით იქნა გახსნილი, რომელსაც ეწოდა გაბრიელ ეპისკოპოსის სახელი.

გაზეთი „კვალი“ აუწყებდა მკითხველებს, რომ „უფასო წიგნსაცავი და სამკითხველო, დაარსებული გაბრიელ ეპისკოპოსის სახსოვრად, დიდად სასარგებლო აღმოჩნდა მდაბიო ხალხისათვის და განსაკუთრებით ნოქრებისათვის, დიდი თუ პატარა ხალხით მიისწრაფვის მისკენ როგორც კი დროს იშოვის“<sup>47</sup>. მართლაც, ბიბლიოთეკამ გახსნისთანავე მკითხველთა დიდი მასა მიიზიდა და მოსახლეობის საყვარელ ადგილად იქცა, ამიტომ იყო, რომ იგივე გაზეთის მკითხველი განაწყენებული იყო ბიბლიოთეკის ადრე დაკეტვით, განსაკუთრებით დასვენების დღეებში. „კვირას ვაჭრობა არის გაჩაღებული საღამომდე, წიგნსაცავი კი 8 საათზე იკეტება და საჭირო იქნება ამ საქმეს ყურადღება მიაქცევიონ“<sup>48</sup>.

საზოგადოების გამგეობის იმედები გამართლდა. ბიბლიოთეკამ მოკლე დროში მკითხველთა დიდი სიყვარული დაიმსახურა და საზოგადოების თვითგანათლების ცენტრად იქცა. ბიბლიოთეკის პოპულარობა იმანაც განაპირობა, რომ იგი ფაქტიურად უფასოდ უწევ-

<sup>47</sup> „კვალი“, 1897, № 11, გვ. 221.

<sup>48</sup> იგივე, გვ. 222.

და მომსახურებას მკითხველებს, თუ არ მივიღებთ მხედველობაში იმას, რომ მკითხველი თვეში ტოვებდა 5 კაპიკს, ხოლო საწინდრად წელიწადში 50 კაპ. იყო დღეები, როცა ბიბლიოთეკაში ხალხმრავლობის გამო იგი არსებული ფონდითა და ჟურნალ-გაზეთებით ვერ აკმაყოფილებდა მკითხველთა მოთხოვნილებას და ხალხი განაწყენებული იყო. „კვალში“ მოთავსებული კორესპონდენციის ავტორი რჩევას აძლევდა ბიბლიოთეკის გამგე-კომიტეტს — მოემატებინა წიგნის საფასური და შეემციკრებინა წიგნით სახლში სარგებლობის ვადა.

1897 წ. ბიბლიოთეკის უხვი შემოწირულობის წელი იყო როგორც ფულადი სახსრებით, ასევე წიგნების მხრივ. მაგალითად, მ. ვოლსკიმ ბიბლიოთეკას შემოსწირა 72 მან., ე. ნიკოლაძემ — 44 მან., ი. ოცხელმა — 2 მან. წიგნები შეუწირავეთ მწერლებსა და საზოგადო მოღვაწეებს, როგორცაა აკ. წერეთელი, ეკ. გაბაშვილი, დ. კლდიაშვილი, ს. ხუნდაძე, გ. მათაშვილი-ზდანოვიჩი და სხვ.

პერიოდული გამოცემიდან ბიბლიოთეკა იღებდა შემდეგ ჟურნალებსა და გაზეთებს: „მოამბეს“, „კვალს“, „ჯეჯილს“, „კრებულს“, „ივერიას“, „ცნობის ფურცელს“, „მეურნეს“, „მწყემსს“. რუსულენაზე — „ნივას“, „ვესტნიკ ინოსტრანნოი ლიტერატურის“, „კავკაზს“, „ნოვოე ობოზრენიეს“, „რუსსკაია ვედომოსტს“ და სხვ.

ბიბლიოთეკას დიდი დახმარება აღმოუჩინა ბაქოს ქართველობამ 150 მანეთით. თვით ე. ჯინოშვილი დიდ ორგანიზატორულ მუშაობას ეწეოდა, რომ ბიბლიოთეკა მკვიდრ ნიადაგზე მდგარიყო. მისი ხელმძღვანელობით გამართული საღამოდან ბიბლიოთეკას 545 მან. შემოუვიდა. გარდა აღნიშნულისა ბიბლიოთეკას დაეხმარნენ ქუთაისელი ნოქრები, რომლებმაც შემოსწირეს 45 მან.

ბიბლიოთეკის ფონდი მდიდრდება და მისი რაოდენობა 1899 წლისათვის 2200 ბიბლიოგრაფიულ ერთეულს აღწევს. ბიბლიოთეკას თავისი ანგარიშიც კი დაუბეჭდავს და მთავარ გამგეობაში წარუდგენია. ანგარიშში წიგნები ასეთნაირადაა განაწილებული: მხატვრული 755, ისტორია 370, საბავშვო ლიტ-რა 325, ფილოსოფიური 107, სასულიერო 72, ჟურნალები 636<sup>49</sup>. იმავე წელს ბიბლიოთეკამ წიგნების შეძენაზე 137 მან. დახარჯა, გარდა საზოგადოების მიერ გამოგზავნილი 100 მანეთისა. მოკლე დროის განმავლობაში მისმა შემოსავალმა 1356 მანეთს მიაღწია. ყველაფერი ეს ქუთაისის ინტელიგენციის კულტურისა და შეგნებულობის მაღალ დონეზე მეტყველებს.

<sup>49</sup> საქ. სსრ ცენტ. ინსტ. არქივი, საქ. № 594, ფ. 9—11, ფონდი 481.

სამი წლის გამოცდილებამ დაგვარწმუნა, — წერდა ე. ჯინოშვილი 1899 წელს, რომ „წიგნთსაცავი მკითხველებს ვერ აკმაყოფილებს“. ბიბლიოთეკისათვის სახსრების გაძლიერების მიზნით ე. ჯინოშვილი ცდილობს „ქართული ჟურნალის“ დაარსებას, რომლის შემოსავალი ბიბლიოთეკას უნდა მოხმარებოდა, მაგრამ ეს საქმე სხვადასხვა მიზეზის გამო ვერ განახორციელა.

ბიბლიოთეკას თანაუგრძნობენ და მხარში უდგანან ა. წერეთელი, ნ. ლოლობერიძე, პეტრე წულუკიძე, ილია ბახტაძე, ს.წერეთელი და სხვ., ასევე საზოგადოებრივი ორგანიზაციები. მაგალითად, შავი ქვის მწარმოებელთა საზოგადოებამ ბიბლიოთეკას 500 მანეთი უანდერძა საჩუქრად, ქუთაისის საურთიერთო ნდობის კრებამ — 50 მან. ბიბლიოთეკის ფონდის გაძლიერების მიზნით ე. ჯინოშვილი მიმართავდა სხვადასხვა ღონისძიებებს. ასეთი ღონისძიებებიდან აღსანიშნავია კონცერტის გამართვა, რომლიდანაც ბიბლიოთეკას 345 მანეთი შემოუვიდა და მისი ბიუჯეტი კიდევ უფრო გაძლიერდა. 1901 წლისათვის მისმა შემოსავალმა 2300 მანეთს მიაღწია<sup>50</sup>.

გარკვეული ნაბიჯები გადადგა ბიბლიოთეკამ მკითხველთა უკეთ მომსახურების მიზნით. იმავე წელს ბიბლიოთეკის 240 მუდმივ მკითხველზე 7171 წიგნი იქნა გაცემული, ხოლო დარბაზში მომსვლელთა რაოდენობამ 11645 კაცს მიაღწია. ამავე წლიდან ბიბლიოთეკა თავისი შემოსავლიდან თანხის გარკვეულ რაოდენობას აგროვებდა, რათა საკუთარი შენობა აეგო. ბიბლიოთეკის ფონდს 851 წიგნი მიემატა და 1902 წლისათვის უკვე 3400 ბიბლიოგრაფიულ ერთეულს მიაღწია.

1901 წელს ქუთაისელ ქალთა წრისა და მოწინავე ინტელიგენციის წარმომადგენლების გაერთიანებით ქუთაისში ჩამოყალიბდა სახალხო თეატრის საორგანიზაციო კომიტეტი, რომელმაც თხოვნით მიმართა ბიბლიოთეკის სამზრუნველო კომიტეტს, ორი დაწესებულების შეერთების შესახებ. ატყობინებდა რა თეატრის კომიტეტის საკითხის ასე დასმას, ე. ჯინოშვილი სთხოვდა მთავარ გამგეობას ეცნობებინა მისთვის გადაწყვეტილება და გაეთავისუფლებინა იგი ბიბლიოთეკის გამგისა და კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობისაგან.

თეატრის კომიტეტის გადაწყვეტილება იმაში გამოიხატებოდა, რომ ერთიანი ძალით გამოენახათ ადგილი, აეშენებინათ თეატრის შენობა, სადაც ბიბლიოთეკაც მოთავსდებოდა. გამგეობამ განიხილა

<sup>50</sup> საქ. სსრ ისტ. არქივი, ფ. 481, საქ. № 711 ფ. 21—22.

ე. ჯინოშვილის განცხადება და ბიბლიოთეკისა და თეატრის შეერთება შეუძლებლად ჩათვალია.

1903—1904 წლებში ბიბლიოთეკას 726 მუდმივი მკითხველი ჰყავდა, მკითხველებზე 15260 წიგნი გასცა, ხოლო სამკითხველო დარბაზმა 18408-ჯერ მოსულ მკითხველს გაუწია მომსახურება. ბიბლიოთეკის ფონდმა წათასამდე მიიღწია და იგი 3 ოთახში იქნა მოთავსებული. ბიბლიოთეკის ნაყოფიერ მუშაობაზე მეტყველების ფაქტიც, რომ ამ დროიდან ე. ჯინოშვილი მკითხველთა ყოველგვარ მოთხოვნებს მარტო თვითონ ვერ აკმაყოფილებს და ბიბლიოთეკარად იწვევს ენერგიულ მუშაკს ი. დარახველიძეს.

1905 წლის რევოლუციის ქარიშხლიანი ამბები ბიბლიოთეკის მუშაობასაც დაეტყო. იგი მუშაობით გადატვირთულია, სადაც მუდმივად ხალხმრავლობაა, ახალგაზრდობაა, ისინი პრეტენზიებს გამოთქვამენ ბიბლიოთეკის მისამართით, განსაკუთრებით პერიოდიკის სიმცირის გამო. ამ წლისათვის ბიბლიოთეკიდან გაცემული ლიტერატურა სახლში შემდეგნაირ სურათს იძლევა:

1. სასულიერო შინაარსისა გაცემულია 200, მხატვრული ლიტერა 8856, ისტორიული ხასიათისა 2534, პოლიტიკური ეკონომია და ბუნებისმეტყველება 1356, საბავშვო 9053, დანარჩენი 167. ყველა ეს ციფრი ნათელ წარმოდგენას გვაძლევს ბიბლიოთეკის დადებით მუშაობაზე. იყო შემთხვევები, როცა სამზრუნველო კომიტეტი ბიბლიოთეკას სპეციალურად კეტავდა, რათა აეშორებინა ის საფრთხე, რასაც ადგილობრივი ხელისუფლება იჩენდა კულტურული კერებისადმი, თუ კი მასში რევოლუციურად განწყობილ ელემენტებს შეამჩნევდა, ალიხანოვის დამსჯელი რაზმის მოქმედების დროს ბიბლიოთეკა სასწრაფოდ დაკეტეს და მისი ფონდი, რომლის რაოდენობა 6087 ერთეულს აღემატებოდა, შეუქმნევდნენ ადგილას გადაიტანეს. ზოგიერთ მკითხველს ხელზე ჰქონდა წიგნები და დაბრუნება ვერც მოასწრო, რასაც გამგეობისადმი წარდგენილი ანგარიშიდან ვგებულობთ: „წიგნების ანგარიში შეიძლება არ შეთანხმდეს კატალოგთან — წერდა ე. ჯინოშვილი, — რადგან არეულობის დროს სიჩქარით გადავიტანეთ დაფარულ ადგილას და არ ვიცით დააბრუნებენ თუ არა ან რამდენი ან რა წიგნები დაბრუნდება“<sup>51</sup>.

1906 წელი ბიბლიოთეკისათვის უმოქმედობის წელი იყო, რადგან ვითარებას თან დაერთო ხელმოკლეობა, რასაც თვითონ საზოგადოება განიცდიდა. ამ პერიოდში ბევრმა სკოლამ და ბიბლიოთე-

<sup>51</sup> საქ. სსრ ისტ. არქივი, ფ. 481, საქ. 956, ფ. 7.



კამ, რომლებიც საზოგადოების სახელით მოქმედებდნენ, შეწყვიტა ან დაიხურა. მთავარმა გამგეობამ დახმარება შეუწყვიტა ბიბლიოთეკას და ფაქტიურად იგი იმ ადგილზე დარჩა, სადაც გადატანილი იყო.

მდგომარეობიდან გამოსვლის მიზნით მთავარი გამგეობა მიმართავდა როგორც საზოგადოების გამგეობის წევრებს, ასევე სხვადასხვა ორგანიზაციებს, რომ დახმარებოდნენ გამგეობას, „უკანასკნელი წლების კრიზისმა უკიდურეს მდგომარეობაში ჩააგდო წერა-კითხვის საზოგადოება, დღეს მას თითქმის არავითარი საშუალება არ მოეპოვება, რომ უბატონოს თავის სკოლებსა და სამკითხველოებს. არ შემოდის არც ფული და არც შემოწირულობა, ხოლო მომავალში მოელის გაკოტრება და მოქმედების შეჩერება“. წერდა ნ. ცხვედაძე 1906 წლის ანგარიშში და მართლაც საზოგადოების მთავარ გამგეობას არ შეეძლო დახმარება გაეწია მათდამი დაქვემდებარებული სკოლებისა და ბიბლიოთეკებისათვის.

მდგომარეობიდან გამოსვლის მიზნით მთავარმა გამგეობამ ნაწილობრივი ცვლილებები შეიტანა საზოგადოების წესდებაში. 1907 წელს მიღებული ახალი წესდებით საზოგადოებას უფლება მიეცა გაეხსნა განყოფილებები საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. განყოფილების შექმნამ და ადგილებზე დახმარებამ გარკვეული შედეგი გამოიღო, რის გამოც ბევრი სკოლა და ბიბლიოთეკა კვლავ აღდგენილ იქნა.

1909 წელს შეიქმნა ქუთაისის განყოფილება. მასში მოღვაწეობდნენ გ. ზდანოვიჩი, ი. ოცხელი, ი. ფანცხავა, ი. ბაქრაძე, ს. ხუნდაძე და სხვები. ქუთაისის განყოფილების შექმნა მნიშვნელოვანი მოვლენა იყო. იგი აერთიანებდა ქუთაისის გუბერნიის, რაჭისა და ლეჩხუმის მაზრებს. ქუთაისის განყოფილებამ ბევრი რამ გააკეთა თავის მოქმედ ტერიტორიებზე. გახსნა სკოლები და ბიბლიოთეკები. 1913 წელს შეიძინა საკუთარი სტამბა, რომელშიც 126 დასახელების წიგნი დაიბეჭდა. 1911 წელს ქუთაისის განყოფილებამ გახსნა ბიბლიოთეკები სიმონეთში, ს. ბურსებში, ხრესილში, სვირში, სუფსაში, ქვიტირში, მუხიანში და სხვ., ხოლო 1913 წელს გახსნა დამატებითი ბიბლიოთეკა წყალტუბოში და სოფ. გუბში. წლის ბოლოს მის განკარგულებაში იყო 18 ბიბლიოთეკა-სამკითხველო, რომელსაც თავისი ხარჯებით 301 დასახელების კურნალ-გაზეთს უწერდა. აქედან ორ ბიბლიოთეკას — მუხიანისას და ს. მაღლაკისას საკუთარი შენობები აუშენა. ბიბლიოთეკებისა და სკოლების შემოწმების მიზნით

გამგეობას გამოყოფილი ჰყავდა მზრუნველი პირები მთავარი გეობიდან. ამ წლებში საზოგადოების ბიბლიოთეკები და სკოლები დაათვალიერა გ. ბურჭულაძემ. მოხსენებაში იგი აღნიშნავს: „დღეს ბიბლიოთეკების საქმე გაცილებით უკეთ არის, ვიდრე ეს იყო წინა წლებში. გამგეობის განყოფილებამ ნივთიერად უფრო გააძლიერა და უფრო შეძლებს ბიბლიოთეკების გამრავლებას, უკეთესი მოწყობით, ჟურნალ-გაზეთების მიწოდებით და სხვ“. მართლაც განყოფილებების შექმნამ უფრო ოპერატიული და მოქნილი გახადა მათი მუშაობა და ბიბლიოთეკებისა და სკოლების მუშაობა უფრო გამოცოცხლდა.

განყოფილებების შექმნამ გამოიწვია ხალხის მასების ზრუნვა ბიბლიოთეკა-სამკითხველოებისა და სკოლების შექმნისათვის. გაზეთი „ივერია“ წერდა: „სამკითხველოები დიდ სარგებლობას მოიტანენ ხალხში, ძლიერ დაეხმარებიან მის გონებრივ გამოფხიზლებას და განვითარებას“<sup>52</sup>. მართლაც, 1910-იანი წლებიდან საზოგადოების მთავარმა გამგეობამ საქართველოს მრავალ ადგილას გახსნა ბიბლიოთეკა-სამკითხველოები და ამით დიდი სარგებლობა მოუტანა ადგილობრივ მოსახლეობას ცოდნის გავრცელების მიზნით.

ქუთაისის ბიბლიოთეკის სამზრუნველო კომიტეტმა ყურადღება მიაქცია საკუთარი ბინის აშენებას ბიბლიოთეკისათვის, რისთვისაც გზადაგზა ავროვებდა თანხებს. ე. ჯინოშვილმა ქალაქის მმართველობასაც მიმართა, რათა ბიბლიოთეკის შენობისათვის ადგილი დაეთმო და ასევე ნაწილობრივი დახმარებაც აღმოეჩინა. ქალაქის მმართველობამ გამოუყო ადგილი ბინის ასაშენებლად. ყოველივე ეს საკითხი ე. ჯინოშვილმა მთავარ გამგეობას მოახსენა და სთხოვა ბიბლიოთეკის გახსნაც შენობის დამთავრებამდე გადაედო. გამგეობის სხდომამ ე. ჯინოშვილის წინადადებას მხარი დაუჭირა.

დაიწყო მოსამზადებელი მუშაობა საკუთარი შენობის ასაგებად. თანხის გაზრდის მიზნით დაიწყო ხელმოწერა, ჟანდარმერიამ კი მოინდომა ბიბლიოთეკის ლიკვიდაცია. ამ მიზნით ე. ჯინოშვილი 1907 წელს ორჯერ იქნა დაკითხული ჟანდარმერიის მიერ. მათ აინტერესებდათ რატომ დაიხურა ბიბლიოთეკა და რა მიზეზით. ბიბლიოთეკის დახურვა გაფორმებული იყო, მაგრამ ჯინოშვილმა თავისი გააკეთა და ბიბლიოთეკას ასცდა სამუდამო დახურვა. „მხოლოდ დიდის თხოვნით დავიყოლიე, ნება მოეცათ, მე თვითონ დამეხურა, რომ შემ-

<sup>52</sup> გაზ. «ივერია», 1893, № 92.



დღეში აღარ დამჭირებოდა გახსნის ნებართვის ხელშეკრულებაო“, წერდა ე. ჯინოშვილი გამგეობას. ბაქოს ქართველობამ შენობის აგებისათვის გაიღო 500 მანეთი, მაგრამ კომიტეტმა იგი ვერ გამოიყენა.

ბიბლიოთეკის შენობის აგება 1913 წელს დაიწყო. ფუნდამენტი ჩაიყარა და ის იყო შენობის კედლების მშენებლობას უნდა შედგომოდნენ, რომ I მსოფლიო ომიც დაიწყო. ამას თან დაერთო ე. ჯინოშვილის ავადმყოფობაც. შემდგომში, როგორც საარქივო მასალებიდან ირკვევა, 1918 წელს ე. ჯინოშვილი მთავარ გამგეობას განთავისუფლებას სთხოვს. ბიბლიოთეკა მოთავსებული იყო თბილისის ქუჩაზე მცხოვრებ ვ. ლორთქიფანიძის სახლის ერთ ოთახში, რომლის გასაღები ანა კონსტანტინეს ასულ ანანიაშვილს ჰქონდა ჩაბარებული. ხელშეკრულება დადებული და გაფორმებული ყოფილა ჯინოშვილის ქალსა და მშენებელ სამსონ ბერიკაშვილს შორის. ეკლარის ქვის შექენაზე, საამშენებლო ობიექტის შემოღობვაზე და დარაჯის ქირაზე დახარჯულა სულ 2038 მანეთი<sup>53</sup>. შემდგომი მასალებიდან არა ჩანს თუ რა ბედი ეწვია ამ საუკეთესო წიგნსაცავს. ბუნებრივია, რომ მისი ფონდი ქალაქის თვითმმართველობას გადაეცემოდა და თვით ბიბლიოთეკაც ქალაქის ბიბლიოთეკის ფონდს შეუერთდებოდა, რომელიც უკვე არსებობდა.

ამრიგად, ქუთაისის ბიბლიოთეკის გახსნა მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ქალაქის კულტურულ ცხოვრებაში. მიუხედავად თავისი ხანმოკლე არსებობისა, მან მნიშვნელოვანი სამსახური გაუწია მოსახლეობას ცოდნის ამაღლების საქმეში, სამზრუნველო კომიტეტისა და მოსახლეობის ფართო მასების მხარდაჭერით ბიბლიოთეკის ფონდი საუკეთესო წიგნთსაცავად ითვლებოდა ქუთაისში.

#### ე) სოფ. უდის ბიბლიოთეკა-სამკითხველო

შემდეგი ადგილი, სადაც განზრახული იყო ბიბლიოთეკის გახსნა, იყო ს. უდე. უდე წარმოადგენდა ერთ-ერთ დიდ დასახლებულ და უძველესი კულტურული ტრადიციების მქონე სოფელს, რომელიც რამდენიმე ხნის განმავლობაში თათართა ბატონობის ქვეშ იმყოფებოდა. თათართა ბატონობამ დიდი გავლენა იქონია აქ მცხოვრები ხალხის კულტურულ გადაგვარებაზე. ბიბლიოთეკის გახსნა

<sup>53</sup> საქ. სსრ ისტ. არქივი, 3481, ს. 1792, ფ. 1—4.

ხელს შეუწყობდა მოსახლეობაში მწიგნობრობის გავრცელებასა და წერა-კითხვის შესწავლას.

მე-19 საუკუნის 80-იანი წლებიდან ს. უდე ყველაზე მკიდროდ იყო დასახლებული, სადაც 800-მდე ადამიანი ცხოვრობდა, აქედან ნახევარზე მეტმა ქართული ენა არ იცოდა. ამ სოფლის მოსახლერედ მდებარეობდა ორი სოფელი — ვალე და არალი. აქედან ერთში 1320 კაცი ცხოვრობდა, მეორეში — 530. უდეში ბიბლიოთეკის გახსნით ამ სოფლების მცხოვრებლებს შეეძლოთ ესარგებლათ წიგნებითა და ჟურნალ-გაზეთებით. ს. უდეში ბიბლიოთეკის გახსნას ხელი შეუწყო ახალციხის ბიბლიოთეკის არსებობამ, რომელიც მოსახლეობის საყვარელი ადგილი იყო. ახალციხის ბიბლიოთეკით სარგებლობდნენ უდის მომავალი ბიბლიოთეკის დამაარსებელი პავლე, ივანე და მიხეილ მერაბიშვილები, პეტრე და გრიგოლ ალოშოვები.

1897 წლის 28 თებერვალს ივ. მერაბიშვილისა და გიორგი ზაალიშვილის ინიციატივით მოწვეულ იქნა ბიბლიოთეკა-სამკითხველოს თანამგრძნობ პირთა კრება, სადაც არჩეულ იქნა ბიბლიოთეკის სამზრუნველო კომიტეტი მღვდელ სიმონ ბალახოვის (გამგე პასუხისმგებელი პირი), გრიგოლ ალოშოვის (სამზრუნველო კომიტეტის თავ-რე), პეტრე ალოშოვისა და ივანე მერაბიშვილის (ხაზინადარი) შემადგენლობით. კრების მიერ შედგენილი განაჩენის მიხედვით სამზრუნველო კომიტეტი პირდებოდა სამკითხველოს ბინით, ბიბლიოთეკარს ჯამაგირით, გათბობა-განათების უზრუნველყოფას, ხოლო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მთავარ გამგეობას ბიბლიოთეკისათვის უნდა გამოეწერა ქართული პერიოდული პრესა და რუსული გაზეთი „კავკაზი“. ბიბლიოთეკის გახსნა განზრახული ჰქონდათ ივ. მერაბიშვილის სახლში 1897 წლის 1 მაისისათვის<sup>54</sup>.

საზოგადოების მთავარი გამგეობა კმაყოფილებით შეხვდა სამზრუნველო კომიტეტის გადაწყვეტილებას და ამავე წლის 17 მარტს ს. უდეში წინასწარ ივ. მერაბიშვილის სახელზე 25 სხვადასხვა დასახელების წიგნი გაგზავნა; იქვე მიუთითებდა, რომ შეეცვალოთ ბიბლიოთეკის პასუხისმგებელი საერო პირით (ს. ბალახოვი სასულიერო პირი იყო). დებულების თანახმად სასულიერო პიროვნება არ შეიძლებოდა ყოფილიყო ბიბლიოთეკის პასუხისმგებელი პირი. ბიბლიოთეკის გამგე-პასუხისმგებელ პირად შერჩეულ იქნა იაკობ

<sup>54</sup> საქ. სსრ ისტ. არქივი, ფ. 481, საქ. 535, ფ. 3.

პავლეს ძე მერაბიშვილი. 1 ივნისს გუბერნატორთან აღიძრა საქმე ბიბლიოთეკის გახსნის გამო ს. უდუში. ერთ თვეში გუბერნატორმა გასცა ბიბლიოთეკის გახსნის ნებართვის წერილი.

1897 წლის 1 ივნისს ივ. მერაბიშვილის სახლში წ.-კითხვის საზოგადოების სახელით გაიხსნა ბიბლიოთეკა 190 ც. ქართული და 5 რუსული წიგნის ბაზაზე. ბიბლიოთეკას გახსნისთანავე გამოუჩნდა თანამგრძნობი პირები და წლის ბოლომდე ბიბლიოთეკის ფონდი 300-მდე ბიბლიოგრაფიულ ერთეულს ითვლიდა. 1898 წელს 60 მკითხველზე ბიბლიოთეკას სახლში 309 ც. წიგნი და 246 ჟურნალ-გაზეთი გაუცია, ხოლო დარბაზით მოსარგებლე 84 მკითხველს 1020-ჯერ გაუწია მომსახურება. გარდა ადგილობრივი მცხოვრებლებისა ამ ბიბლიოთეკის ჟურნალებითა და წიგნებით უსარგებლიათ არალი-სა და ვალეს მცხოვრებლებს.

ბიბლიოთეკამ მოკლე დროის განმავლობაში მკითხველთა გარკვეული ნაწილი მიიზიდა, მაგრამ პირველ ხანებში საამისოდ საკმაო ფონდი არ გააჩნდა, რომ მკითხველთა მოთხოვნები მთლიანად დაექმაყოფილებინა. „რაც ჩვენ გვაქვს სამკითხველოში 332 ც. წიგნი ყველა ორჯერ-სამჯერ აქვთ წაკითხული ხალხს“, — წერდა გამგეობისადმი გამოგზავნილ წერილში ივ. მერაბიშვილი და იქვე ჩამოთვლილია იმ წიგნების სია, რომელსაც უფრო კითხულობდა ხალხი.

წიგნების სიმცირის გამო ბიბლიოთეკა თავის მუშაობაში მიმართავდა წიგნის კოლექტიურ კითხვას. წიგნი წინასწარ იყო შერჩეული. ერთი კითხულობდა და დანარჩენები უსმენდნენ. კოლექტიური კითხვა თავის შედეგს აღწევდა ზამთრის თვეებში, როცა გლეხკაცობა სხვადასხვა სამუშაოსაგან თავისუფალი იყო და ბიბლიოთეკის ხშირი სტუმარი იყო. „აქ წესად არის — გლეხები შეიკრიბებიან საღამოობით საზამთრო ოთახში და იქ კითხულობენ საზოგადოდ წიგნებსა და ჟურნალ-გაზეთებს, მსმენელთა რიცხვი შედეგა მხოლოდ გლეხებისაგან და დღიურად აღწევს 30—40-მდის, რადგან საჭირო არის ამ დროს ოდნავ წესრიგი იქნეს დამყარებული, ამიტომ ეს მკითხველებმა გაანაწილეს ამგვარად: ჟურნალ-გაზეთებისა და სამეურნეო წიგნის კითხვა იკისრა სიმონ ჭილაშვილმა, ისტორია და კაზმული წიგნებისა — ივ. მერაბიშვილმა“<sup>55</sup>. წერდა ბიბლიოთეკის ანგარიშში ივ. მერაბიშვილი. კოლექტიურ კითხვას ყოველთვის სამზრუნველო კომიტეტის წევრები წარმართავდნენ. ეს

<sup>55</sup> საქ. სსრ ისტ. არქივი, ფ. 481, საქ. № 595 ფ. 9.

აღმზრდელობითი ღონისძიება დიდ გავლენას იწვევდა გლახაკობის აღმწველ და გარკვეულ შედეგს აღწევდა.

ს. უდემში ბიბლიოთეკის გახსნამ განსაკუთრებული გავლენა იქონია ახალგაზრდობის იდეურად ჩამოყალიბებაზე. გამგეობისადმი გაგზავნილ წერილში ს. უდის ახალგაზრდობა წერდა: „სოფელ უდის ახალგაზრდობა არასოდეს არ დაივიწყებს იმ სიკეთეს, რომელიც წერა-კითხვის საზოგადოებამ მოგვანიჭა ჩვენ საწყალ ერს და გავგვიხსნა სამკითხველო-წიგნსაცავი 1 ივლისს 1897 წელს“. ბიბლიოთეკის გახსნის შემდეგ სოფლის ბევრი ახალგაზრდა მიეჩვია სკოლაში სიარულს და შეიყვარა წიგნი.

1898 წელს ბიბლიოთეკის ფონდმა 410 ც. წიგნს მიაღწია. 114 მკითხველზე 2784 ც. წიგნია გაცემული, ხოლო პერიოდიკიდან „ივერია“ წაუკითხავს 789 კაცს, „ცნობის ფურცელი“ — 257-ს, „კავკაზი“ — 427-ს, „მომამბე“ — 342 კაცს და სხვ.

1900 წელს გადაირჩიეს ბიბლიოთეკის სამზრუნველო კომიტეტი. თავმჯომარედ არჩეულ იქნა ს. ფილაშვილი, ბიბლიოთეკის პასუხისმგებელ პირად — ივ. მერაბიშვილი.

სამზრუნველო კომიტეტის წესდებით წიგნის გადასახადი შეადგენდა თვეში 20 კაპ., წელიწადში — 2 მან., დარბაზით სარგებლობა კი უფასო იყო.

საზოგადოებისაგან ბიბლიოთეკას გამოწერილი ჰქონდა „მოგზაური“, „კვალი“, „ივერია“, „ცნობის ფურცელი“, „ჯეჯილი“, „მომამბე“, „კავკაზი“ და სხვა.

1902 წლიდან კოლექტიური კითხვა წერა-კითხვის უცოდინარებთან ტარდება, რომელსაც კვლავ სამზრუნველო კომიტეტის წევრები აწარმოებდნენ.

1905 წელს ბიბლიოთეკას არცერთი წიგნი არ შეუძენია. იგი ფინანსურად ღარიბი იყო და არც მთავარი გამგეობისაგან მიუღია დახმარება. უსახსრობის გამო დახურვა ელოდა, მაგრამ გამგის უნარისა და მონდომების შედეგად კვლავ განაგრძობდა მუშაობას. 1905 წლის რევოლუციის დროს ბიბლიოთეკის მუშაობა შეფერხდა, შემციირდა წიგნების გატანა სახლში და ასევე ადგილებზე. „შემოსავალი კაპიცი არ გვქონდა, ყველა მოთხოვნა დააკმაყოფილა ივანე პავლეს ძე მერაბიშვილმა“, — წერდა სამზრუნველო კომიტეტი.

1906 წელს ხიფათის თავიდან აცილების მიზნით ბიბლიოთეკა დაიხურა. წიგნები სახლში ეძლეოდათ მხოლოდ სანდო მკითხველებს. 1907 წელსაც ბიბლიოთეკას ისევ ივ. მერაბიშვილი ინახავს, მას მხოლოდ 2 დასახელების ჟურნალ-გაზეთი მოსდიოდა.

1909 წელს ბიბლიოთეკის ფონდი 700-მდე ბიბლიოგრაფიულ ერთეულს შეადგენდა. რევოლუციის დამარცხების შემდეგ კიდევ უფრო გაძლიერდა ხალხის მასების მიდრეკილება კითხვისადმი, განსაკუთრებით პოლიტიკური ხასიათის წიგნებისადმი. ბიბლიოთეკას თავის ფონდში საზოგადოებრივ-პოლიტიკური ხასიათის წიგნები გააჩნდა. ასეთი იყო მაგალითად: „ბასტილიის აღება“, მ. კონკოლის „კომუნა 1871 წ.“, „პარიზელი მუშების აჯანყების მოკლე ისტორია“, „1906 წ.“, „სახელმწიფოს ხელში ჩაგდება და სოციალისტური რევოლუცია“, „ამხანაგო ნუ გვალატობ“<sup>56</sup>, თარგმანი პ. ჭიჭინაძისა და სხვ. ყოველივე ზემოაღნიშნული წიგნების დასახელება მიუთითებს ხალხის მასების გამოფხიზლებასა და გათვითცნობიერებაზე.

როგორც საარქივო მასალებიდან ირკვევა, ამ პერიოდისათვის ბიბლიოთეკას განზრახული აქვს საკუთარი შენობის აგება. შენობის გეგმა შეუდგენიათ. ბიბლიოთეკას ისევ გამგე ინახავს. „მე-11 წელიწადია დაარსებიდან სამკითხველოს ყველა ხარჯს მე ვკისრულობ, როგორც მმართველი და აგრეთვე დამაარსებელი“, წერდა ივ. მერაბიშვილი და სთხოვდა მთავარ გამგეობას დახმარებას. 1909 წელს საზოგადოების მთავარმა გამგეობამ ბიბლიოთეკას 76 დასახელების წიგნი გაუგზავნა. 1910 წელს ბიბლიოთეკას აღარ უმუშავნია, 1912 წელი კი ნაყოფიერი იყო ბიბლიოთეკის მუშაობაში, ამ წელს სახლში 915 ც. წიგნი გაიცა, ხოლო დარბაზით 976 მოსულ მკითხველს გაუწია მომსახურება. ამავე წელს ბიბლიოთეკა ივანეს სახლიდან მისი დის (სოფიოს) სახლში იქნა გადატანილი. 1913 წელს ბიბლიოთეკა დაიხურა.

1913 წელს ანალციხეში ჩამოყალიბდა საზოგადოების ფილიალი (განყოფილება). ფილიალმა წინადადება მისცა ბიბლიოთეკის სამზრუნველო კომიტეტს მას დამორჩილებოდა, მაგრამ სამზრუნველო კომიტეტმა უარი უთხრა და ისევ მთავარი გამგეობა აირჩია. მაშინ ფილიალის წინადადებით შემოწმებულ იქნა უდის ბიბლიოთეკა. 1916 წელს ბიბლიოთეკას ახალციხის განყოფილება უდგება სათავეში, იგი განახლებას იწყებს. 1919 წელს ბიბლიოთეკა მთლიანად განადგურებულ იქნა სერველ ბეგის ბანდებისაგან. აღნიშნული მდგომარეობა ვინმე ი. ბოლქვაძისაგან მოხსენდა გამგეობას და მოსახლეობის სახელით იგივე პირი სთხოვდა გამგეობას აღედგინა ბიბლიოთეკა. გამგეობამ განიხილა ი. ბოლქვაძის წერილი და მიიღო დადგენილება აღდგენის შესახებ, მაგრამ დადგენილება დადგენი-

<sup>56</sup> საქართველოს სსრ ცენტრ. ისტ. არქივი, ფ. 481, ს. № 1024, ფ. 1—2.

ლებად დარჩა და ბიბლიოთეკამ ველარ განაახლა მუშაობა. მომდევნო წლებში ბიბლიოთეკის გახსნა ახალციხეში და ასევე ს. უდემის საბჭოთა ხელისუფლების ზრუნვის საგანი შეიქმნა.

ს. უდის ბიბლიოთეკის მუშაობამ გამგეობა დაარწმუნა, რომ სოფლის მოსახლეობის გათვითცნობიერების საქმეს ხელს შეუწყობდა სოფლად ბიბლიოთეკების გახსნა. ამ ბიბლიოთეკამ, მიუხედავად თავისი არსებობის მოკლე ისტორიისა, გარკვეული ფურცელი ჩაწერა მოსახლეობის განათლების საქმეში.

### ვ) ახალციხის ბიბლიოთეკა-სამკითხველო

საქართველოს სოფლებში ბიბლიოთეკების დაარსება საზოგადოების გამგეობას განზრახული ჰქონია, რადგან „სწავლა-განათლების ხალხში შეტანა მარტო სკოლების საშუალებით ვერ განხორციელდებოდა“. ბიბლიოთეკების გახსნა სოფლად მნიშვნელოვანი საშუალება იქნებოდა წიგნის გავრცელებისათვის.

1895 წელს გამგეობის სახელზე შემოვიდა ქ. ახალციხის ინტელიგენციის წერილი ახალციხის ძველ ნაწილში, რაბათში, ბიბლიოთეკის დაარსების შესახებ. ბიბლიოთეკის გახსნაში დიდი როლი დ. კარიჭაშვილს მიუძღვის. სანამ იგი ახალციხელთა თხოვნას მიიღებდა, თვით შეხვედრია იმავე წლის მარტში ახალციხის ბლალოჩინ ლეონიდ ხახუტაშვილს და მისი საშუალებით დაუკავშირდა იგი ახალციხის ქართველ ინტელიგენციას, რომლის წარმომადგენელი იყო საზოგადოების გამგეობის წევრი გ. ბურჭულაძე (იმჟამად ახალციხის საქალაქო სკოლის მასწავლებელი), მათი უშუალო საუბარი შეეხებოდა ახალციხეში ბიბლიოთეკის გახსნას. „ამ პირთა მოწმობით, — აღნიშნავს დავითი გამგეობისადმი წარდგენილ მოხსენებაში, — ახალციხეში ყოფილა დიდი მოთხოვნილება კითხვისა, რომლის დაკმაყოფილებას ხელს უშლის ქართული წიგნის უქონლობა. ამიტომ შესძლებიათ წიგნების შოვნა როგორც შინ წასაღებად, ისე იქვე წასაკითხად... ახალციხის შეგნებული საზოგადოება ბიბლიოთეკას უშოვნის სადგურს (ბინას — თ. ჩ.), მსახურსა და გამგეს, ასე რომ საზოგადოებას ექნება ხარჯი მხოლოდ წიგნებისა და ჟურნალების შეძენაზე“<sup>57</sup>.

გამგეობამ 18 აპრილს განიხილა დ. კარიჭაშვილის 28 მარტს წარდგენილი მოხსენება და ასევე 7 და 9 აპრილის წერილები ახალ-

<sup>57</sup> საქ. სსრ ცსა, ფონ. 481, საქ. № 475, ფურ. 1.



ციხის ინტელიგენციისა. 7 აპრილის წერილიდან ირკვევა, დღეს ლ. ბახუტაშვილს და გ. ბურჭულაძეს მოუწვევიათ ახალციხის ქართველი ინტელიგენციის კრება ბიბლიოთეკის დაარსების შესახებ და გადაუწყვეტიათ შემდეგი:

1. ეთხოვოს წ-გ. საზოგადოების გამგეობას ახალციხის ძველ ნაწილში რაბათში გახსნას წიგნსაცავ-სამკითხველო. 2. წიგნსაცავ-სამკითხველოს საქმის რიგიანად წარმართვისათვის ამორჩეულ იქნას სამზრუნველო კომიტეტი კონსტანცა სვიმონის ასულ მემფისაშვილის, ქ. ი. გვარამაძის, გ. ი. ბურჭულაძის, ე. თ. ათაბაგიშვილისა და ვ. ბ. ბეზირგანიშვილის შემადგენლობით. მთავრობის წინაშე პასუხისმგებელ პირად კ. მემფისაშვილი იქნა დასახელებული. 9 აპრილს შედგა სამზრუნველო კომიტეტის პირველი ოფიციალური სხდომა, რომელმაც აირჩია ბიბლიოთეკა-სამკითხველოს სამზრუნველო კომიტეტის გამგეობა. სამზრუნველო კომიტეტის თავმჯდომარედ და პასუხისმგებელ პირად არჩეულ იქნა ახალციხის ქართველ ქალთა წრის ხელმძღვანელი და მასწავლებელი კონსტანცა მემფისაშვილი, მის თანაშემწედ და მდივან-ხაზინადარად — გრ. ბურჭულაძე. სხდომამ ბიბლიოთეკის გახსნა გადაწყვიტა აბასთუმნის ქუჩაზე იოვანე ნათლისმცემლის კათოლიკეთა ეკლესიის პირველ სართულზე. დამტკიცებულ იქნა ბიბლიოთეკის ხარჯთაღრიცხვა, რომელიც სამი ნაწილისაგან შედგებოდა: 1. შემოსავალი, 2. გასავალი და 3. ბიბლიოთეკის თავდაპირველი მოსაწყობი ინვენტარი. შემოსავალში დაგეგმილი იყო მკითხველებიდან მოსალოდნელი შემოსავალი (სახლში წიგნებით სარგებლობიდან) — 132 მან., გასავალში, ბინის ქირის — 40 მან. წელიწადში, ბიბლიოთეკარის — 120 მან. წელიწადში, პერიოდიკისა და წიგნების შესაძენად — 117 მან. ბიბლიოთეკარის დახმარების ხელფასი წელიწადში 24 მან. და 40 მან. წერილმანი ხარჯისათვის, სულ 341 მანეთის ოდენობით. ინვენტარიდან ჩამოთვლილია: თაროები, გრძელი მაგიდა სამკითხველო დარბაზისათვის, 12 ვენური სკამი, მაგიდა ბიბლიოთეკის გამგისათვის და მსახურისათვის. ქართველი კლასიკოსი მწერლების სურათები. აგრეთვე წიგნები როგორც ქართულ ენაზე, ასევე რუსი კლასიკოსების ნაწარმოებები.

28 აპრილს გამგეობამ, ი. ჭავჭავაძის თავმჯდომარეობით, კვლავ განიხილა ახალციხის ბიბლიოთეკის საქმე და მიიღო დადგენილება ბიბლიოთეკის გახსნისა და მთავრობაში საქმის აღძვრის და გამგე-პასუხისმგებელ პირად კ. მემფისაშვილის დანიშვნის შესახებ. თბილისის გუბერნატორის კანცელარიამ გამგეობის შუამდგომლობა

უყოყმანოდ მიიღო და კ. მემფისაშვილი ბიბლიოთეკის გამგე-  
ხისმგებელ პირად დაამტკიცა და რაბათში ნათლისმცემლის ეკლესი-  
ის ახლომდებარე სტეფანე პალუხჩევის სახლში ბიბლიოთეკა-სამ-  
კითხველოს გახსნის ნებართვის მოწმობა გასცა. ბიბლიოთეკა 1895  
წლის 27 აგვისტოს ქალაქის ინტელიგენციის და საქალაქო მმართვე-  
ლობის წარმომადგენლობის თანდასწრებით ზეიმით გაიხსნა. პირ-  
ველ ხანებში ბიბლიოთეკის ფონდი 600-მდე წიგნს შეიცავდა. ბიბ-  
ლიოთეკის გახსნიდან 4 თვის განმავლობაში 151 მკითხველ-ხელის-  
მომწერზე 796 ც. წიგნი იქნა სახლში გაცემული, ხოლო სამკითხ-  
ველო დარბაზით კი 2253-ჯერ მოსულმა მკითხველმა ისარგებლა.  
თუ როგორი იყო კითხვისადმი ინტერესი, ამის ნათელსაყოფად შე-  
იძლება მოვიყვანოთ კ. მემფისაშვილის წერილი გამგეობისადმი  
გაგზავნილი. „არ არის ისეთი მკითხველი, რომელსაც სულ გადა-  
კითხული არ ჰქონდეს რაც წიგნებია სამკითხველოში და ზეციურ  
მანანასავით ელოდება ახალ წიგნს, ხშირად გაიგონებთ ასეთ ფრა-  
ზებს: როდის უნდა გამოგზავნონ კიდევ წიგნები, ნუთუ ამის მეტი  
წიგნი არ მოიპოვება ქართულ ენაზე“ და სხვ<sup>58</sup>.

ბიბლიოთეკის დაარსებიდან საანგარიშო წლის ბოლომდე ბიბ-  
ლიოთეკას შემწეობა აღმოუჩინეს წიგნებითა და ფულადი სახსრე-  
ბით შემდეგმა პირებმა: მღვდელმა ს. ჭუჭულაშვილმა 40 ქართული  
წიგნი, სტ. ყურაშვილმა 20 ც. წიგნი, ნ. ასათიანმა 100-ზე მეტი ქარ-  
თული და რუსული წიგნი, ი. ასათიანმა 24 ც. რუსული წიგნი, ე.  
ყაზბეგმა 3 მან., ფიზულა ათაბაგიშვილმა 3 მან. და რამდენიმე ქარ-  
თული წიგნი, გ. ბურჭულაძემ „იმედის“, „მოამბისა“ და „ივერიის“  
1879—82 წლის კომპლექტები<sup>59</sup>. 1897 წელს ბიბლიოთეკის ფონდს  
236 წიგნი ემატება.

1898 წელი ბიბლიოთეკამ მაღალი მაჩვენებლებით წარმართა  
მუშაობა. ამ წელს ბიბლიოთეკას სხვადასხვა პირებმა შემოსწირეს  
57 მან., ხოლო წიგნები 120 ცალამდე. ბიბლიოთეკარ ივანე მღვდრი-  
შვილის მიერ ქუთაისსა და ახალციხეში 53 მანეთი იქნა მოგროვილი,  
ეს თანხა ბიბლიოთეკის საჭიროებას მოხმარდა. საზოგადოების გამ-  
გეობამ კი 81 მანეთის წიგნები გაუგზავნა და წლის ბოლოსათვის  
მისმა ფონდმა 1100 ცალს გადააჭარბა, ხოლო სამკითხველო დარბა-  
ზით 4867-ჯერ მოსულ მკითხველს გაეწია მომსახურება.

<sup>58</sup> საქ. სსრ ცსა, ფონ. 481, საქ. № 490 . 4—9.

<sup>59</sup> დასახელებული ფონდი, საქ. № 517, ფ. 1—2.



ბიბლიოთეკის მუშაობის მაღალი მაჩვენებლებისათვის დოების გამგეობამ კ. მემფისაშვილს მადლობა გამოუცხადა და დამატებით წიგნების რამდენიმე ეგზემპლარი გაუგზავნა, ამავე დროს გამოუწერა გაზეთი „ნივა“. ყველაზე მეტი მოთხოვნილება იყო ილიას, აკაკის, ა. ყაზბეგისა და ე. ნინოშვილის ნაწარმოებებზე.

ქართულმა პერიოდულმა პრესამ თავის ფურცლებზე გააშუქა ახალციხის ბიბლიოთეკის მუშაობის დაწვრილებითი ანგარიში და განსაკუთრებით აღნიშნა წიგნსაცავის სამზრუნველო კომიტეტის ზრუნვა, „რომელიც ძალიან ერთგულად იღწვის წიგნსაცავის წარმატებისათვის... სამაგალითოდ განაგებს წიგნსაცავის საქმეს“<sup>60</sup>.

1898 წლის დეკემბერში მოხდა ბიბლიოთეკის გასული წლის ანგარიშის განხილვა და მკითხველთა კრების გადაწყვეტილებით სამზრუნველო კომიტეტის შემადგენლობა 10 კაცამდე იქნა გადიდებული, ძველ წევრებს დაემატა მღვდ. ქრისტესია ივანეს ძე გვარამაძე, სოლომონ ვახტანგის ძე მაჩაბელი, ივანე დიმიტრის ძე აფხაზი. 1899 წელს იმატა სახლში გაცემულ წიგნთა რაოდენობამ. წლის განმავლობაში მოსარგებლე 176 მუდმივ მკითხველზე 4524 წიგნი და პერიოდიკის კომპლექტი იქნა გაცემული. შინაარსის მიხედვით ყველაზე მეტი საბავშვო წიგნია გაცემული (1529), დაახლოებით ამდენივე — მხატვრული, 158 ისტორიული შინაარსისა, ამავე წელს ბიბლიოთეკის მიერ გამოწერილი ჟურნალ-გაზეთების რაოდენობა 11 დასახელებამდე ავიდა და მკითხველების გაზრდილ მოთხოვნებს აკმაყოფილებდა.

1900 წელს ბიბლიოთეკამ შემოწირულების სახით ფულადი თანხებისა და წიგნების საკმაო რაოდენობა მიიღო. ამავე წელს ბიბლიოთეკის სალაროს შეემატა 428 მან.; სალამოს შემოსავლიდან, საზოგადოებიდან დახმარება — 78 მან; ამდენივე — მკითხველთა მიერ წაკითხული წიგნების საფასურიდან, სულ 740 მან. დაიხარჯა 240 მან.: ფონდის შევსებაზე — 13 მან., წიგნების ყდაში ჩასმაზე — 20 მან., დანარჩენი — სხვა ხარჯებზე. წლის განმავლობაში ბიბლიოთეკაში შეწირვითა და შეძენით შემოვიდა 90 ქართული და 120 რუსული წიგნი. მისმა ფონდმა 460-ს მიაღწია.

მკითხველებთან მუშაობის გაუმჯობესებასთან ერთად სამზრუნველო კომიტეტი 1901 წლიდან პარალელურად ზრუნავს ბიბლიოთეკის შენობის ასაგები თანხის შეგროვებაზე. ადგილობრივმა მკვიდრმა გ. ნიკოლაევმა ბიბლიოთეკას შესწირა შენობის ასაგები

<sup>60</sup> გაზ. «ივერია», 1897, № 84.

ადგილი უსასყიდლოდ. შემოწირული ადგილის სიმცირის გამო ბურჟუაზიის თხოვნით საჭირო გახდა საზოგადოების გამგეობას საქმე აღედგრა ახალციხის ქალაქის მმართველობაში ნიკოლაძისა და მეფურნე ზედგენიძის სახლებს შორის ქალაქის კუთვნილი ადგილის (13 კვ. საყენი) ბიბლიოთეკის შენობის ასაგებად დათმობის შესახებ. ქალაქის მმართველობამ შუამდგომლობა დააკმაყოფილა იმ პირობით, თუ ბიბლიოთეკის სამზრუნველო კომიტეტი მას წარუდგენდა შენობის გეგმას. შენობის აგების ნებართვა კომიტეტს ბევრი არ დაუყოვნებია და იმავე წლის შემოდგომაზე თბილისის გუბერნატორს წარუდგინა ადგილობრივი მცხოვრები, პროფესიით კონდუქტორ კრავცოვის მიერ შედგენილი გეგმა<sup>61</sup>. გუბერნატორის კანცელარიის მიერ წარდგენილი გეგმა მომდევნო წელს იქნა დამტკიცებული. გეგმა-პროექტი ბიბლიოთეკის შენობის არქივში ვერ მივაკვლიეთ. მისი პოვნა ბევრ საინტერესო მასალას მოგვცემდა თვით შენობის სურათის ნათელსაყოფად.

1903 წელს სხვა ბიბლიოთეკებთან ერთად ახალციხის ბიბლიოთეკაც მთავრობის მიერ კონტროლზე იქნა აყვანილი. გუბერნატორის განკარგულებით ბიბლიოთეკა 28 მარტიდან დაემორჩილა 1890 წლის 15 მაისის შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ დამტკიცებულ უფასო ბიბლიოთეკების წესებს. ბიბლიოთეკის წესდებისა და წიგნობრივი ფონდის სიის გუბერნატორთან წარდგენა ახალციხის მაზრის უფროსს დაევალა, ხოლო კავკასიის ოლქის სასწავლო მზრუნველის შუამდგომლობით გუბერნატორის მიერ ბიბლიოთეკაზე კონტროლი და მეთვალყურეობა ახალციხის სამოქალაქო სასწავლებლის ინსპექტორს ქიქოძეს დაევალა<sup>62</sup>. ბიბლიოთეკა ქალაქის პოლიციის მიერ იქნა გაჩხრევილი. თვითონვე მათ შეუდგენიათ გუბერნატორთან წარსადგენი წიგნების სია. სია თვითონვე გადაწერეს კატალოგიდან. წაიღეს ცნობები ბიბლიოთეკის დაარსებისა და დამაარსებელთა შესახებ. მოუთხოვიათ წესდება, რომელიც ბიბლიოთეკას არ ჰქონია და იგი სასწრაფოდ ბიბლიოთეკის ერთ-ერთ მზრუნველს ალ. თ. ყიფშიძეს შეუდგენია. წესდების ძალით ბიბლიოთეკა დაარსებულია ახალციხის მოსახლეობისათვის, რომლებსაც შეუძლიათ მცირეოდენი საფასურის გაღებით ისარგებლონ წიგნებით და პერიოდიკით როგორც სახლში, ისე დარბაზში ქართულ და რუსულ ენებზე. წესდების მიხედვით ბიბლიოთეკას უნდა ჰქონდეს ფონდის

<sup>61</sup> დასახელებული ფონდი, საქ. № 712, ფ. 3—4.  
<sup>62</sup> ფონდი 171, საქ. № 4600, ფ. 100.

საინვენტარო წიგნი, სადაც აღნიშნული უნდა იყოს წიგნის ავტორი, გამოცემის წელი და ფასი. გარდა ამისა ბიბლიოთეკას უნდა ჰქონოდა ბიბლიოთეკის წიგნით სახლში მოსარგებლე აბონემენტთა ზუსტი სია, სახლში გაცემული წიგნებისა და პერიოდიკის აღრიცხვის დღიური, სამკითხველო დარბაზით მოსარგებლე მკითხველთა დღიური, წიგნების გაცემის ვადად ორი კვირა იყო მიჩნეული, ჟურნალისა — ერთი კვირა, გაზეთისა კი 3 დღე. წიგნის დაკარგვის შემთხვევაში მკითხველი აანაზღაურებდა წიგნის ფაქტიურ ღირებულებას, ყოველი გადაცილებული დღისათვის ჯარიმად კაპიკი იყო დაწესებული. ბიბლიოთეკა სამკითხველო საქმის დღეებში მკითხველთათვის ღია იყო დილის 9 საათიდან საღამოს 9 საათამდე, სადღესასწაულო დღეებში კი 12 საათიდან 9 საათამდე. ბავშვებისათვის ბიბლიოთეკაში მკითხველთა დარბაზით სარგებლობა აკრძალული იყო, ხოლო სახლში მათზე წიგნი გაიცემოდა სასწავლებლის ინსპექტორის ნებართვის წარდგენის შემდეგ. ყველაფერი ეს ისე იყო წესდებაში გათვალისწინებული, როგორც ამას მთავრობა მოითხოვდა. სინამდვილეში ბიბლიოთეკა სულ სხვა პრინციპით მუშაობდა. ამის საილუსტრაციოდ საკმარისია აღინიშნოს, რომ სამკითხველო დარბაზით მოსარგებლე მკითხველთა რაოდენობის 50—60 %-ს მოსწავლეები შეადგენდნენ. გუბერნატორის მიერ გადათვალისწინებული ბიბლიოთეკის ფონდის სია და დამტკიცებული წესდება საზოგადოების გამგეობას გადაეგზავნა ახალციხელთათვის დასაბრუნებლად. ჩვენთვის საინტერესოა გუბერნატორისადმი წარდგენილი სია, რომელიც წარმოდგენას გვაძლევს ფონდის შემადგენლობაზე და მკითხველთა მიერ წაკითხულ წიგნებზე. რუსულ ენაზე დასახელებულია 218 სახელწოდების 233 ეგზემპლარი, მათ შორის პუშკინის ათტომეულის 1897 წლის გამოცემა, ლ. ტოლსტოის 1—14 ტომი, დოსტოევსკის, გოგოლის თხზულებათა 1—5 ტომი, ტურგენევისა და სხვა რუსი მწერლების წიგნები. ქართულ წიგნთა სიაში 1001 დასახელების 1115 ც. წიგნია ჩამოთვლილი. აქვეა ქართული პერიოდიკის 30-მდე კომპლექტი, თითქმის სრულადაა ილიას, აკაკის ვაჟას, ა. ყაზბეგის თხზულებანი. ისტორიის დარგიდან: ვახუშტი ბატონიშვილის, დ. ბაქრაძის, მ. ჯანაშვილის, ე. თაყაიშვილის, დ. კარიჭაშვილისა და სხვა ავტორთა შრომები საქართველოს ისტორიის შესახებ. „სამედიცინო დარგიდან“, „კარაბადინი“, „ავადმყოფობის მოვლა“ და სხვ. განსაკუთრებული სისრულით არის წარმოდგენილი პოლიტიკური ლიტერატურის განყოფილება, რომელთა შორის აღსანიშნავია წიგნები: კ. კაუცკის

„ჩვენი დროის ეროვნება“ — თარგმ. დ. კალანდარიშვილისა, ი. მგებელიანი  
ბას „სად არის შველა ეკონომიური“, თარგ. ვ. მასხულიასი, „გიორ-  
გი ვაშინგტონი — ამერიკის განმათავისუფლებელი“ თარგ. ნ. ბარ-  
ნაბაშვილისა, „შრომა და კაპიტალი“, თარგმანი ვ-ისა, „ფილოსოფო-  
სი სოკრათი“ თარგმანი მ. შარაშიძისა, „არისტოტელე — განსჯანი  
არისტოტელესი“, თარგმანი თეიმურაზ ბატონიშვილისა“, ალ. ხახა-  
ნაშვილის „ბატონყმობა საქართველოში რუსეთთან შეერთებამდის“  
და სხვა მრავალი.

როგორც ვხედავთ, აღნიშნული ლიტერატურის მეტი ნაწილი  
აკრძალული იყო ცენზურის მიერ, რომელიც გუბერნატორის კან-  
ცელარიამ დაუშვა. ჩვენი აზრით, სიის ქართული ნაწილის გადამ-  
სინჯველებმა ქართული არ იცოდნენ, ანდა ქართველმა, თუ ამის გა-  
სინჯვა ქართველს დაავალეს, იგი არ გამოააშკარავა შეგნებულად.  
ასე რომ არ მომხდარიყო, მაშინ ბიბლიოთეკის გამგეს კ. მემფისა-  
შვილს რატომ უნდა დაევალებოდა სიის ქართული ნაწილის რუსულად  
გადაწერა და 10 დღეში ხელახლად ბიბლიოთეკის ოფიციალურ ზე-  
დამხედველისათვის წარდგენა. თუ გუბერნატორს ასეთი წიგნების  
სია წარედგინებოდა, მაშინ ბიბლიოთეკას დახურვა არ ასცდებოდა. ეს  
მდგომარეობა ბიბლიოთეკას თავიდან ააცილა გუბერნატორის მიერ  
სიის გამგეობისადმი გადაგზავნამ. გამგეობამ იმთავითვე მიიღო  
ზომები, ამ საქმეში განსაკუთრებული როლი საზ-ის მდივანმა ს.  
ფირცხალავამ ითამაშა. როგორც 1903 წლის ახალციხიდან ა. ყიფ-  
შიძის გამოგზავნილი წერილიდან ირკვევა, ს. ფირცხალავას ა. ყიფ-  
შიძისათვის ფარული წერილი გაუგზავნია შექმნილი მდგომარეობისა  
და კერძოდ ქართული წიგნების გადარჩენის ღონისძიებათა შესა-  
ხებ. ს. ფირცხალავას მიერ გაგზავნილი წერილი არქივის მასალებში  
არა ჩანს, ის კი ნათელ წარმოდგენას მოგვცემდა, ს. ფირცხალავას  
რევოლუციური შეხედულებების გასარკვევად.

1904 წელი ბიბლიოთეკის მუშაობაში არაფრით არ განსხვავდე-  
ბა წინა წლებისაგან. ფონდს მხოლოდ 12 ცალი წიგნი ემატება. დარ-  
ბაზით 4343-ჯერ მოსულ მკითხველს გაუწია მომსახურება. 163 აბო-  
ნემენტის მკითხველზე 3541 ც. წიგნია გაცემული. გრძელდებოდა  
ბიბლიოთეკის შენობის ასაგები თანხის კვლავ შეგროვება და 1905  
წლისათვის ბანკში შეტანილი იყო 691 მანეთი პროცენტის დარიცხ-  
ვით.

1905 წელს ბიბლიოთეკა რამდენიმეჯერ დაიკეტა, რამაც თა-  
ვის მხრივ გავლენა იქონია მისი მუშაობის მაჩვენებლებზე. გან-



საკუთრებით იკლო სახლში წიგნების გაცემამ, ასევე დარბაზის მსვლელობა ხალხის რიცხვმაც.

1907 წელს კ. მემფისაშვილი დროებით ჩამოშორდა ბიბლიოთეკას, მის ნაცვლად საზოგადოების გამგეობის შუამდგომლობით გუბერნატორის მიერ დამტკიცებულ იქნა მღვდელი ბენიამინ კანდელაკი<sup>63</sup>. კ. მემფისაშვილის საბიბლიოთეკო საქმეზე ჩამოშორებამ უარყოფითი გავლენა მოახდინა ბიბლიოთეკის მუშაობის მაჩვენებლებზე, როგორც შემდგომი მასალებიდან ირკვევა, 1908—10 წლებში ბიბლიოთეკა 10—12 პერიოდული გამოცემიდან 4—6 დასახელების ჟურნალ-გაზეთს იღებს. ამავე წლებში ბიბლიოთეკის ფონდს არც ერთი ცალი წიგნი არ მიმატებია.

ბოლო ხანებში ბიბლიოთეკის გამგეობამ თხოვნით მიმართა საზოგადოების გამგეობას დახმარებაზე წიგნებისა და ფულადი თანხით, მაგრამ უარი მიიღო. ბიბლიოთეკა თითქმის დახურულია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ორიოდ ჟურნალ-გაზეთით მკითხველთა მომსახურებას. შექმნილი მდგომარეობით შეშინებული კანდელაკი გამგეობას განთავისუფლებას თხოვდა. არჩევანი ახალციხის მაზრის უფროსზე — ივანე ყარალაშვილზე შეჩერდა, რომელიც იმხანად ახალი დანიშნული იყო აღნიშნულ თანამდებობაზე. ის სამზრუნველო კომიტეტისა და ბიბლიოთეკის პასუხისმგებელ პირად დანიშნეს. „ვაუწყებთ საზოგადოების გამგეობას, რომ მე თანახმა ვარ ახალციხის ბიბლიოთეკის გამგედ ვიყუე“,<sup>64</sup> წერდა ი. ყარალაშვილი გამგეობას, მაგრამ გუბერნატორმა იგი ბიბლიოთეკის გამგედ არ დამტკიცა.

ბიბლიოთეკის მუშაობის გაგრძელებას დიდი ღვაწლი დასდო ბიბლიოთეკის მდივან-ხაზინადარმა — როზა ალელიშვილმა. მისი მეცადინეობით ბიბლიოთეკის გამგეობა მისმა ნათესავემა და ქალაქის მმართველობის ხმოსანმა ვერა დაფქვიაშვილმა იკისრა, რომელიც დამტკიცებულ იქნა 1911 წელს გუბერნატორისაგან. მისი დახმარებით საზოგადოების გამგეობამ წლიური დახმარება 80 მანეთი დაუნიშნა და ბიბლიოთეკას დახურვა ააციდინა.

1913 წლიდან ბიბლიოთეკის გამგედ კვლავ კ. მემფისაშვილი იწყებს მუშაობას. ბიბლიოთეკა გადატანილია საარევის სახლში, რომელსაც სამი ოთახი უჭირავს. სამკითხველო დარბაზად ცალკე ოთახი აქვს დათმობილი, ამან დარბაზით მკითხველთა მომსახურე-

<sup>63</sup> საქ. სსრ ცსა, ფ. 481. საქ. № 1025, ფურც. 1—3.

<sup>64</sup> აღნიშნული ფონდი, საქ. № 1025, ფურც. 9.

მა გააუმჯობესა და წელიწადში 6095-ჯერ მოსულ მკითხველს გასწავლია წია მომსახურება.

1913 წელს ახალციხეში დაარსდა ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების განყოფილება-ფილიალი გიორგი დიმიტრის ძე ხახუტაშვილის (თავმჯდომარე), ვ. გარდავაძის და პავლე მეტრეველის შემადგენლობით. 1914 წლიდან ბიბლიოთეკა განყოფილების გამგებლობაში გადავიდა.

ამავე წელს დაიწყო 1 მსოფლიო ომი. ომის საშიშროებამ ახალციხემდისაც მიაღწია. მოსახლეობა ტოვებდა ქალაქს, მათ შორის ქალაქი დატოვა როზა ალელიშვილი, — ბიბლიოთეკის მდივან-ხაზინადარმა, რომელმაც თან წაიღო საბუთები და ფულადი დოკუმენტები, სამუშაო დღიურები და დავთრები კი ერთად შეკრული საიმედო ადგილზე იქნა დატოვებული<sup>65</sup>.

1914 წლის ოქტომბრის თვეში სახალხო თეატრთან ერთად ახალციხის ბიბლიოთეკა-სამკითხველოს ინვენტარი და წიგნობრივი ფონდი თითქმის მთლიანად დაიწვა. „ქ. შ. წერა-კითხვის საზოგადოების ახალციხის განყოფილებამ — წერდა დ. ხახუტაშვილი მთავარ გამგეობას, სხდომაზე, რომელიც შედგა ა/წლის 12 ღვინობისთვის, — იქონია მსჯელობა ქართული თეატრისა და საზოგადოების წიგნსაცავის გადაწვის შესახებ და დაადგინა წიგნსაცავის აღდგენას მიაქციოს ყურადღება“<sup>66</sup>. ბიბლიოთეკის წიგნობრივი ფონდი თანდათან მდიდრდებოდა და მისი ფონდი აღდგენილ იქნა. 1917 წელს საზოგადოების გამგეობის განკარგულებით ბიბლიოთეკა დაუთვალიერებია დ. კარიჭაშვილს, მისი მოხსენებიდან ირკვევა, რომ ბიბლიოთეკას ჰქონია 976 ქართული და რუსული წიგნი, რომელიც ანბანურ კატალოგში ჰქონია გატარებული. ბიბლიოთეკას საინვენტარო წიგნიც ჰქონია. 1919 წელს ბიბლიოთეკის გამგეობამ დახმარების სახით მისცა 300 მანეთი<sup>67</sup>.

1920 წელს ბიბლიოთეკა-სამკითხველო მსგავსად სხვა ბიბლიოთეკებისა საქალაქო ერობას გადაეცა. 1930 წლამდე იგი ისევ ძველ ნაწილში, რაბათში იმყოფებოდა, შემდგომ წლებში კი იგი ქალაქის ძირითად ნაწილში იქნა გადმოტანილი და საფუძვლად დაედო ჯერ ქალაქის, შემდეგ სარაიონო ბიბლიოთეკას.

ასეთია ამ ბიბლიოთეკის მოკლე ისტორია. თავისი არსებობის

<sup>65</sup> დასახელებული ფონდი, საქ. № 1284, ფ. 1—5.

<sup>66</sup> დასახელებული ფონდი, საქ. № 1284, ფ. 1—5.

<sup>67</sup> იქვე, საქ. 1861, ფ. 24.



მანძილზე ბიბლიოთეკამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ციხის მოსახლეობის გათვითცნობიერების საქმეში. მოსახლეობისა, რომელიც რამდენიმე ხნის განმავლობაში თათართა უღლის ქვეშ იმყოფებოდა, ხელი შეუწყო ქართული კულტურის ამალგებას ამ მხარეში.

### ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საგამომცემლო მოღვაწეობა

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მოღვაწეობის სფერო მარტო სკოლებისა და ბიბლიოთეკების დაარსების რიცხვით არ შემოიფარგლება. საზოგადოების დიდ დამსახურებად უნდა ჩაითვალოს აგრეთვე წიგნების შედგენა, თარგმნა, ბეჭდვა და გამოცემა.

იმ დროს, როცა საზოგადოებას მოუხდა მოღვაწეობის დაწყება, საშინელი რეაქცია იყო გამეფებული საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. ცენზურა განსაკუთრებულ ზომებს მიმართავდა კულტურის სფეროში, კრძალავდა წიგნებისა და პერიოდული გამოცემების გამოშვებას ეროვნულ ენაზე.

განსაკუთრებით ცუდ პირობებში უხდებოდათ მუშაობა სტამბის მუშაკებს. იმდროინდელი პრესის ფურცლებზე გამოშვებულ სტატიებში სტამბის მუშების აუტანელი მდგომარეობა აღწერილი, სტამბის მებატონენი თავიანთი მოგების მიზნით ბეჭდავენ არა სახელმძღვანელო და საკითხავ წიგნებს, რომლებიც ხალხის მასების გათვითცნობიერებისაკენ იქნებოდა მიმართული, არამედ საბუღვარო ხასიათის უშინაარსო წიგნებს.

ასეთ პირობებში საჭირო იყო ისეთი წიგნების გამოშვება, რომლებიც ცხოვრებისეულ მოვლენებთან იქნებოდა დაკავშირებული, ხალხის მასებისათვის მისაწვდომ ენაზე იქნებოდა დაწერილი, ხელს შეუწყობდა ეროვნული კულტურის გამოღვიძება-გაფურჩქვნის საქმეს. საზოგადოების გამგეობამ მიზნად დაისახა ნაწილობრივ მაინც შეეცხო ეს ხარვეზი და ყურადღება მიაქცია წიგნების, განსაკუთრებით სახელმძღვანელოების გამოცემის საქმეს.

საზოგადოების დაარსებიდან ერთი წლის შემდეგ გამგეობამ გაზეთ „დროებაში“ გამოაცხადა ოთხი სახის პრემია საუკეთესო სა-

<sup>1</sup> «კვალი», 1897, № 17.



ხელმძღვანელების შემდგენათვის სასოფლო სკოლებში გამოცემულ ნებლად: არითმეტიკის, პირველდაწყებითი გეოგრაფიის, საქართველოს ისტორიისა და ბუნებისმეტყველების დარგში. სახელმძღვანელო წიგნების განსახილველად საზოგადოებამ შექმნა კომისია, რომელშიც შევიდნენ: ივ. მაჩაბელი, გ. უთურგაური, ი. გოგებაშვილი და დ. ყიფიანი, სახელმძღვანელოების ენის განხილვა მიანდო ი. ჭავჭავაძეს, დ. ყიფიანსა და რ. ერისთავს<sup>2</sup>.

პრესაში გამოქვეყნებიდან რამდენიმე თვის შემდეგ საზოგადოების მმართველობას წარედგინა სხვადასხვა პირებისაგან შედგენილი ხელნაწერი წიგნები, რომლებიც დაწყებითი სკოლებისათვის იყო გათვალისწინებული. ხელნაწერთა ავტორები მოითხოვდნენ მათი შრომების დაფასება-განხილვას გამგეობის მიერ.

მრავალთა შორის ყურადღებას აპყრობს გამგეობაში წარდგენილი ხელნაწერი სათაურით „შემოკლებული საქართველოს ისტორია“. აღნიშნული შრომა საზოგადოების გამგეობამ განხილვისათვის მიანდო ი. გოგებაშვილსა და დ. ბაქრაძეს. წარმოდგენილ რეცენზიაში ავტორები განიხილავენ ნაშრომს ობიექტური თვალსაზრისით და მიუთითებდნენ შრომის ძირითად ნაკლოვანებებზე. განსაკუთრებით ხაზს უსვამენ სახელმძღვანელოს შედგენის დროს პროგრამის დიდ მნიშვნელობას. „პროგრამა ისე უნდა იყოს შედგენილი, რომ თვით პროგრამავე უჩვენებდეს ავტორს რა ნაწილში რა საგანზედ უნდა შესდგეს ის, რა ხასიათი მისცეს თითოეულ საგანს, პროგრამაში ნაჩვენები უნდა იყოს ის წყაროები, საიდანაც შემუშავებულ უნდა იქნეს ესა და ეს საგანი. ჩემის აზრით, — აღნიშნავს ავტორი — თვით საზოგადოების კომიტეტმა უნდა შეადგინოს ასეთი პროგრამა და სახელმძღვანელოდ მისცეს როგორც სახელმძღვანელო ისტორიის ავტორს, ასევე სხვათა ჩვენი ისტორიის შემუშავებულს“<sup>3</sup>.

ამგვარად, საზოგადოების გამგეობამ პროგრამის შედგენა საქართველოს ისტორიის დარგში თვით დ. ბაქრაძეს დაავალა. აღნიშნული რეცენზია შემდეგში დიდად დაეხმარა სახელმძღვანელოების ავტორებს თავიანთი შრომების დახვეწა-ჩამოყალიბებაში.

1885 წლის 5 ნოემბრის გამგეობის სხდომაზე ა. ჭყონიამ კვლავ გაიმეორა სახელმძღვანელოების შედგენის აუცილებლობა. „თუ ორიგინალური სახელმძღვანელოების შედგენა მოუხერხებელაა, გამოვარ-

<sup>2</sup> საქ. სსრ ცსა, ფონდი 481, საქ. № 2, ფურც. 27.

<sup>3</sup> საქ. სსრ ცსა, ფონდი 481, საქ. № 36, ფურც. 7.

ჩიოთ სხვა ენებზე საუკეთესო სახელმძღვანელოები, ვათარგმნებ და გამგეობის წევრებს ან სხვა პირებს და ამ შრომის საჭიროებისათვის დაინიშნოს სასყიდელი“. გამგეობამ წიგნების ბეჭდვის შესახებ შექმნა კომისია, რომელშიც შევიდნენ აკ. წერეთელი, გ. იოსელიანი და ალექსი მირიანაშვილი<sup>4</sup>, ხოლო ერთი წლის შემდეგ თვით გამგეობაში შეიქმნა საგამომცემლო კომისია დამტკიცებული ინსტრუქციით. ინსტრუქციის მეორე მუხლში ვკითხულობთ: „კომისიამ უნდა აირჩიოს გამოსაცემად და ხალხში გასაერცვლებლად იმისთანა წიგნები, რომლებიც გამოდგებიან „სკოლებისათვის სახელმძღვანელოდ და სახალხო საკითხავად“<sup>5</sup>.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობა დიდ ყურადღებას აქცევდა ი. გოგებაშვილის მიერ შედგენილი სახელმძღვანელოების დროულად ბეჭდვასა და გამოცემას. რადგან იაკობ გოგებაშვილის სახელმძღვანელოებს ვეხები, უნდა აღვნიშნოთ მისი უკვდავი „დედაენა“. როცა ი. გოგებაშვილის „ქართული ანბანი და პირველსაკითხავი“ წიგნი გამოვიდა, იმ დროისათვის უკვე არსებობდა ათამდე სხვადასხვა საანბანო წიგნი: პლ. იოსელიანის, ივ. კერესელიძის, დ. ფურცელაძის, ს. მდივანოვის, პ. უმიკაშვილის, ვ. თულაშვილისა და სხვ. ეს სახელმძღვანელოები შედგენილი იყო ასოთშეერთების, ანბანური მეთოდით, რაც უდიდეს სიძნელეს ქმნიდა მშობლიური ენის შესწავლაში. ი. გოგებაშვილის „დედაენამ“, რომელიც 1876 წელს გამოიცა და აგებული იყო ანალიზურ-სინთეზური მეთოდით, სწავლა გახადა ადვილი, საფუძვლიანი და მიმზიდველი. შეიძლება ითქვას, რომ მისმა „დედაენამ“ ნამდვილი რევოლუცია მოახდინა მშობლიური ენის შესწავლის საქმეში.

იაკობის „დედაენის“ მაღალ ხარისხზე ლაპარაკობს ისიც, რომ 100 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც გამოიცა მისი ჯერ „ქართული ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი (1865) და შემდეგ „დედაენა“ და ამ სახელმძღვანელოების ძირითადი პრინციპები ახლაც ძალაშია. „დედაენის“ მიხედვითაა შედგენილი დღევანდელი საანბანო სახელმძღვანელო, რომელიც წარმატებით ემსახურება ქართველი მოზარდი თაობის მიერ მშობლიური ენის შესწავლას<sup>6</sup>.

<sup>4</sup> საქ. სსრ ცსა, ფონდი 481, საქ. № 66, ფურ. 65.

<sup>5</sup> საქ. სსრ ცსა, ფონდი 481, საქ. № 123, ფურ. 17.

<sup>6</sup> ი. გოგებაშვილი, საუბიბლიო კრებული, თბ., 1960, გვ. 10.

ი. გოგებაშვილის მიერ შედგენილი სახელმძღვანელოები <sup>1</sup> აღსანიშნავია აგრეთვე „დედაენა“, II ნაწ., „ბუნების კარი“ და სხვადასხვა დროს გამოცემული წიგნები და სახელმძღვანელოები „კუნწულა“ და „აკიდო“.

ი. გოგებაშვილმა ფასდაუდებელი სამსახური გაუწია ქართველ ხალხს იმითაც, რომ მან ილ. ჭავჭავაძესთან ერთად სწორად განსაზღვრა ქართველი ხალხის მიერ რუსული ენის შესწავლის დიდი მნიშვნელობა და თვითონ შეადგინა რუსული ენის სახელმძღვანელოები „რუსკოე სლოვო“ I და II ნაწ. (1887). ამ წიგნებმა ფართო პედაგოგიური საზოგადოებრიობის მაღალი შეფასება დაიმსახურეს, ოფიციალური პრესაც კი იძულებული გახდა იაკობის სახელმძღვანელოები არსებულთა შორის საუკეთესო ქმნილებად ჩაეთვალია.

შემდეგში სახელმძღვანელოთა შორის აღსანიშნავია „ბუნების კარი“ — ეს ნამდვილი ენციკლოპედიაა, რომელიც შეიცავს მასალებს ბუნებიდან, გეოგრაფიიდან და ისტორიიდან და ა. შ.

საზოგადოების გამგეობამ ი. გოგებაშვილის სახელმძღვანელოები დროთა ვითარების შესაბამისად შეასწორა. ასე იქნა ცვლილებები შეტანილი ავტორთა შეთანხმებით ანბანისა და პირველსაკითხავ წიგნში 1889—94, 1900 და 1912 წლებში.

აღნიშნული გამოცემები „დედაენა“ ნაწ. I საზოგადოებამ 1925 წლამდე 45-ჯერ გამოსცა, „დედაენა“ II ნაწ. 1920 წლამდე 36-ჯერ, „ბუნების კარი“ 27-ჯერ და სხვ<sup>7</sup>.

გარდა აღნიშნული სახელმძღვანელოებისა საზოგადოებამ გამოსცა შემდეგი სახელმძღვანელოები: რ. ჯაჯანაშვილის „კრებული არითმეტიკულის ამოცანების და მაგალითებისა, მოსამზადებელი კურსი“, 1903 წ. ს. იაშვილის „ფიზიკური გეოგრაფია“, 1906 წ. ივ. გომართელის „ასტრონომია“, 1914 წ. ე. ხრამელაშვილის „არითმეტიკის ამოცანათა და რიცხვთა მაგალითების კრებული“ I ნაწ.; 1914 წ. ს. იაშვილის „მოკლე სახელმძღვანელო ბუნების მეტყველებისა“ I ნაწ. 1915 წ. ნ. კალანდაძის „სახალხო ასტრონომია“ I ნაწ.; 1916 წ. ი. ავალიშვილის „არითმეტიკის სახელმძღვანელო“, I ნაწ.; 1920 წ. დ. უზნაძის „ძველი ისტორია“ და სხვ. აღნიშნული სახელმძღვანელოების გამოცემამ ერთგვარად ხელი შეუწყო მოსწავლე ახალგაზრდობის აღზრდის საქმეს და მნიშვნელოვნად წინ გადადგმული

<sup>7</sup> საქ. სსრ ცსა, ფონდი 481, საქ. № 198, ფურ. 172.

ნაბიჯი იყო იმ დროისათვის ეროვნული კულტურის განვითარების საქმეში.

საზოგადოების გამგეობა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ხალხისათვის გასაგები ენით დაწერილი იაფფასიანი წიგნების გამოშვებას.

1892 წელს ივ. მაჩაბელმა საზოგადოების სხდომაზე წამოაყენა წინადადება, რომ გამგეობას დაებეჭდა პატარა ფორმატის წიგნები „არა უდიდეს 40—50 გვერდისა, როგორც ბავშვებისათვის, ისე მღაბიო ხალხისათვის საკითხავად. ამ წიგნებში უნდა მოექცეს როგორც ორიგინალური, ისე ნათარგმნი მოთხრობანი“<sup>8</sup>, ავტორთა წახალისების მიზნით იგი წინადადებას იძლეოდა გამგეობას ჯილდო დაენიშნა 20-დან 50 მანეთამდე. ამ განცხადების გამოქვეყნებიდან რამდენიმე ხნის შემდეგ საზოგადოების გამგეობაში შემოსვლა იწყეს სხვადასხვა ავტორთა შრომებმა. საზოგადოების გამგეობასთან შექმნილმა კომისიამ პრემიები მიანიჭა გ. წერეთლის „რუხ მგელს“, რ. ერისთავს — კრებულისათვის „იგავ-არაკები“, ხოლო იუსტ. აბულაძის შრომას — „ვეფხისტყაოსანი და კრიტიკული ტექსტის რამდენიმე ნიმუში“ — საპრემიო კომიტეტმა ასეთი შეფასება მისცა: „ი. აბულაძის თხზულებაში იმდენად დასკვნა არ არის ღირშესანიშნავი, რამდენადაც კვლევა-ძიების მეთოდი. ამ მეთოდის მიხედვით ავტორს კრიტიკულად შეუხსწავლია ტექსტი და იგი ღირსია პრემიის დანიშვნისა“<sup>9</sup>.

ქართველ მწერალთა, ლიტერატორთა წასახალისებლად საზოგადოების გამგეობამ შექმნა სალიტერატურო ფონდი, ხოლო საუკეთესო ნაწარმოებთა ავტორებს პრემიები ეძლეოდათ. საზოგადოების გამგეობასთან შექმნილმა საპრემიო კომისიამ შეიმუშავა პროექტი პრემიების გაცემისა საუკეთესო ნაწარმოებთათვის. ასეთი პრემიები გაიცემოდა მ. გურიელისა და გრ. დადიანის მიერ დატოვებული თანხიდან.

გრ. დადიანის პრემია 400 მანეთს ითვალისწინებდა. იგი მიეცემოდა იმ პირს, ვინც დაწერდა საუკეთესო თხზულებას: 1) საქართველოს წარსულის შესახებ, 2) ქართული ენის შესახებ, 3) ქართული ძველი ან ახალი მწერლობის შესახებ.

პროექტი 23 მუხლისაგან შედგება. რადგან იგი თავისი შინაარ-

<sup>8</sup> საქ. სსრ ცსა, ფონდი 481, საქ. № 198, ფურც. 172.

<sup>9</sup> საქ. სსრ ცსა, ფონდი 481, საქ. № 1378, ფურც. 24.

სით ინტერესმოკლებული არაა, ამიტომ მოვიყვანთ რამდენიმე მუხლს.

მუხლი 2. თხზულებას საქართველოს წარსულის ცხოვრების შესახებ შეიძლება საგნად ჰქონდეს 1) პოლიტიკური ისტორია საქართველოს მთელი წარსულის ცხოვრებისა, ანუ რომელიმე მისი ეპოქის, 2) სოციალ-ეკონომიკური ისტორია სრული ან რომელსავე ეპოქის, 3) საეკლესიო და საზოგადოდ სარწმუნოების ისტორია როგორც სრული, ისე რომელიმე ეპოქისა, 4) სამხედრო ისტორია, 5) იურისპრუდენცია, 6) მითოლოგია.

მუხლი 3. თხზულებას ქართული ენის შესახებ შეიძლება საგნად ჰქონდეს 1) ისტორიული გრამატიკა ქართული ენისა: ეთიმოლოგია ან სინტაქსი, 2) შედარებითი გამოკვლევა ქართული ენის შტოებისა, 3) გამოკვლევა ქართული ენისა შედარებით უცხო ენებთან, 4) ქართული ენის შედარებითი ლექსიკონი, 5) ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, 6) უცხო ენებთან მონათესავე ქართული სიტყვების ლექსიკონი, 7) უცხო ენათაგან შემოსული სიტყვების ლექსიკონი.

მუხლი 4. თხზულებას ქართული მწერლობის შესახებ შეიძლება საგნად ჰქონდეს 1) ქართული მწერლობის სრული ან რომელსავე ეპოქის ისტორია, 2) ერთ-ერთი მწერლობის დარგის სრული ან რომელსავე ეპოქის ისტორია, 3) ერთ-ერთის ან რამდენიმე მწერლის ნაწარმოებთა სრული და ყოველმხრივი შესწავლა და გამოკვლევა, 4) დამოკიდებულება ქართული მწერლობისა უცხო მწერლობაზე და უკანასკნელის გავლენა პირველზე. 5) სახალხო სიტყვიერების გამოკვლევა<sup>10</sup>.

როგორც ვხედავთ, პროექტის მიზანი იყო — რაც შეიძლება მეტი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ჩაება კვლევით მუშაობაში და ამით ხელი შეეწყო ქართული მწერლობისა და ლიტერატურის შემდგომი აღორძინებისათვის.

პროექტის მიღების შემდეგ საზოგადოების გამგეობა თხოვნით მიმართავს როგორც მეცნიერებს, ისე მწერლებს, წარმოადგინონ თავიანთი თხზულება თუ მეცნიერული გამოკვლევა საპრემიოდ. საზოგადოების გამგეობამ წერილით მიმართა 1915 წ. დიდ ქართველ მეცნიერს ივ. ჭავჭავაძეს პეტერბურგში, რათა თავისი შრომა ქართველი ერის ისტორიის ორივე ტომი პრემიის საკონკურსოთა სიაში წარმოედგინა. დიდმა მეცნიერმა უარი განაცხადა და გამგეობის

<sup>10</sup> საქ სსრ ცსა, ფონდი 481, საქ. № 834, ფ. 1.

თავმჯდომარეს გ. ყაზბეგს ასეთი შინაარსის წერილი გამოუგზავნა:

„დიდად გმადლობთ თქვენც, წ.-კ. საზოგადოების გამგეობის სხვა წევრებსაც იმ წერილისათვის, რომლითაც თქვენ კეთილი ინებეთ და წინადადებას მაძლევთ ჩემი ქართველი ერის ისტორია (ორივე ტომი) საპრემიოდ წარმოდგენილ თხზულებათა სიაში მოვათავსო. მაგრამ ჩემდა სამწუხაროდ ამ თქვენი სურვილის აღსრულება არ შემიძლია პრინციპიალური მოსაზრების გამო. პრემიები ყველგან და ჩვენშიაც, რასაკვირველია, იმიტომ არის დაწესებული, რომ ახალგაზრდა მკვლევარნი ან წაახალისონ ან ქონებრივი დახმარება გაუწიონ შრომის დასაბეჭდად და სამეცნიერო მუშაობის გასაგრძობად. მე ჩემს და საბედისწეროდ, ისედაც შეძლებისდაგვარად ვმუშაობ და ჩემთვის არც რაიმე წახალისებაა საჭირო და არც ქონებრივი დახმარება: უნივერსიტეტის დოცენტობა, თუმცა, მე დიდსა არაა, მაგრამ მაინც სახსარს მაძლევს. ამისთანა პირობებში ზნეობრივად შეუძლებლად მიმაჩნია სხვებს, რომლებსაც დახმარება და წახალისება სჭირიათ, შევეცილო. მე კარგად ვიცი, რომ საზღვარგარეთ და რუსეთშიც, და სხვა შესატყვის დაწესებულებებში ჩემზე უფრო ქონებრივად უზრუნველყოფილ მეცნიერს წარუდგენია ხოლმე თავიანთი თხზულებანი. მაგრამ მე ყოველთვის ასე ვფიქრობდი და ასე მგონია, რომ აქ საქებარი არაფერია და მათს მაგალითს მე ვერ წავაბაძე. აი, ის მოსაზრება, რომელიც მაძულებს ჩემი უკანასკნელი თხზულება საპრემიოდ არ წარმოვადგინო<sup>11</sup>.

წერილიდან ნათლად ირკვევა მეცნიერის დიდი ჰუმანურობა, იგი მოუწოდებს ახალგაზრდა მეცნიერებს მონაწილეობა მიეღოთ კონკურსში.

საზოგადოების გამგეობა ყოველთვის ეხმარებოდა ქართველ მწერლებს როგორც ნაწარმოების განხილვა-დაფასებაში, ასევე მათი შრომების დაბეჭდვაში. არქივში დაცული მასალებიდან ირკვევა ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის, ი. გოგებაშვილის, ვაჟა-ფშაველას შეხედულებები დამწყები მწერლების მიმართ. მათ შეხედულებებში და წარმოდგენილ ნაწარმოებზე დაწერილ რეცენზიებში გამოთქმულია დიდი ზრუნვა ახალგაზრდა მწერლებისადმი. საზოგადოება ყოველმხრივ ხელს უწყობდა ასეთ მწერლებს როგორც მატერიალურად, ასევე მორალურად.

როგორც წიგნსაცავის განხილვის დროს აღვნიშნეთ, საზოგადოების გამგეობა დიდ ყურადღებას აქცევდა ხელნაწერი არქეოლო-

<sup>11</sup> საქ. სსრ ცსა. ფონდი 481. საქ. № 1378.

გიური და ნუმისმატიკური კოლექციების შეგროვებას, მაგრამ ნაკლებ ყურადღებას აქცევდა იგი ხალხური სიტყვიერებისა და ხალხური მუსიკის ნიმუშების შეკრება-დამუშავებისა და გამოცემის საქმეს, რადგან კარგად ესმოდა ხალხში გაბნეული ამ მარგალიტების მნიშვნელობა ქართული მწერლობისა და კულტურის აღორძინებისათვის. ამ მხრივ საყურადღებოა საზოგადოების მიერ შემუშავებული „პროგრამა ხალხის სიტყვიერების ნაწარმოებების შეკრებისათვის“ (თბ., 1882 წ.). მასში ჩაწერილია: „წერა-კითხვის საზოგადოებამ განიზრახა შეკრიბოს და დაბეჭდოს ქართული სახალხო ლექსები, ზღაპრები, ანდაზები და სხვ.“ ხალხური სიტყვიერების შეგროვების საკითხი საზოგადოების ერთ-ერთ გადაუდებელ ამოცანად დანახა. საზოგადოების გამგეობის სხდომაზე, 1911 წ. როდესაც საკითხი ქართულ-რუსული ლექსიკონის შედგენას შეეხებოდა, აზრთა სხვადასხვაობა წარმოიშვა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა შედგენილიყო და რა პრინციპებით ეს ლექსიკონი. ავ. წერეთელმა, რომელიც სხდომას ესწრებოდა, განაცხადა: „ქართული ენა ინახება მღაბით ხალხში, რომელიც ჩვენ არ ვიცით, კაბინეტში მოგონილ სიტყვებს ყოველთვის სჯობს ის ბუნებრივი სიტყვები, რაც ხალხში მოიძებნებოდა, ამიტომ საჭიროა ხალხური ზეპირსიტყვაობის შეკრება, რომელიც აგვაცილებს თავიდან კაბინეტში მოგონილ უხერხულ სიტყვებს. ზეპირი სიტყვაობის შედგენა იქნება პირველი ნაბიჯი ლექსიკონის შედგენისაკენ“<sup>12</sup>.

ხალხური სიტყვიერების შეკრება-დამუშავებას შეეხებოდა ს. ფირცხალავას წერილი, წარდგენილი საზოგადოებისადმი 1901 წელს. ამ წერილში ავტორი ამ მიმართულებით სათანადო ყურადღების გამახვილებას სთხოვდა საზოგადოებას. ს. ფირცხალავას წერილის გამო საზოგადოებამ აირჩია კომისია თვით ავტორისა და ფ. გოგიჩაიშვილის შემადგენლობით. კომისიამ თავის შემადგენლობაში მოიწვია სპეციალური პირი შ. ბილანიშვილი, რომელიც ვალდებული იყო ჩაეწერა ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშები.

ამავე საკითხს ეხება მ. ბალანიშვილის წერილი, სადაც იგი აყენებს საკითხს, რომ მ. ჩხიკვაძემ და ი. კარგარეთელმა ყურადღება მიაქციონ ქართული სიმღერების შეკრებას, რომ ისინი მარტო ქართულ სიმღერებს გადაიღებდნენ ნოტებზე ისე როგორც ხალხი მღერის არა „ცვლილებებით“<sup>13</sup>. საზოგადოების ზრუნვის მეოხებით გამოიცა ისეთი წიგნები, როგორიცაა: ი. კარგარეთელის „ქართული

<sup>12</sup> «მნათობი», 1960, № 10.



სახალხო სიმღერები გადაღებული ნოტებზე (1889 წელს),  
ყიშვილის ქართული ერთხმოვანი სიმღერები (1905 წ.), ზ. ფალია-  
შვილის ქართული რომანსი სახალხო ჰანგზე (1904 წ.), აკ. წერეთ-  
ლის „იგავ-არაკები კრილოვისა“ (1906 წ.) და სხვ. აღნიშნული  
წიგნების გამოცემამ დიდად შეუწყო ხელი შემდეგში ქართული  
სიტყვიერების გამოკვლევის საქმეს.

1900-იანი წლების რევოლუციურმა მოძრაობამ დიდი გავლენა  
მოახდინა საზოგადოების ფინანსურ მდგომარეობაზე. მას ისე გაუ-  
ჭირდა, რომ 1902 წელს ძლივს მოახერხა რამდენიმე დასახელების  
წიგნის გამოცემა.

1907 წელს ი. ჭავჭავაძის მკვლელობასთან დაკავშირებით მის  
უკვდავსაყოფად საზოგადოებამ გამოსცა მისი ნაწარმოებები ცალკე  
წიგნებად — „განდევილი“, „გლახის ნამბობი“, „ოთარაანთ ქერი-  
ვი“, აგრეთვე „აი ისტორია“ და კრიტიკული წერილების პატარა  
კრებული. აღსანიშნავია აგრეთვე ილია ჭავჭავაძის ორტომეულის  
გამოცემა თავისი ინიციატივითა და ხარჯით 1915 წელს მ. გედევა-  
ნიშვილის მიერ. წიგნი გამოცემულ იქნა კარგ ქალაქებში, ილუსტრა-  
ციებითა და ავტორის სურათით. მიუხედავად იმისა, რომ მ. გედევა-  
ნიშვილი პროფესიით ექიმი იყო, მან კარგად გაართვა თავი წიგნის  
გამოცემას, რომელიც საუკეთესო გამოცემად ითვლება.

საზოგადოების გამოცემებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი  
უჭირავს თარგმნილ ლიტერატურას. 1882 წლის საზოგადოების კრე-  
ბის დადგენილებით დიდი ყურადღება ექცეოდა მთარგმნელობით  
მუშაობას. თარგმნა დავალებული ჰქონდა როგორც გამგეობის წევ-  
რებს, ასევე მოწვეულ პირებსაც. თარგმნის გაუმჯობესების საკითხ-  
ებს გამგეობამ რამდენიმე სხდომაზე კი მიუძღვნა, სადაც გადაწყვი-  
ტეს ჰონორარის საკითხი თარგმნილი ლიტერატურისათვის: პირვე-  
ლი კატეგორიის თარგმნისათვის მთარგმნელს თაბახზე ეძლეოდა  
450 მან.,<sup>13</sup> ხოლო მეორეს — 350 მანეთი. თარგმნიდნენ როგორც რუ-  
სულ, ასევე საზღვარგარეთელი კლასიკოსების ნაწარმოებებს. მთარ-  
გმნელობითი მუშაობის გაუმჯობესების საქმეში დიდი როლი მიუძღ-  
ვის ი. ჭავჭავაძეს, ივ. მაჩაბელს, აკ. წერეთელს, ვაჟა-ფშაველას,  
ი. გოგებაშვილსა და სხვ.

გამგეობის წევრები მკაცრ კონტროლს უწევდნენ თარგმნილ  
ლიტერატურას, მოითხოვდნენ სრულყოფილ თარგმანებს, როდესაც

<sup>13</sup> საქ. სსრ ცსა, ფონდი 481, საქ. № 497, ფ. 4—5.

<sup>14</sup> საქ. სსრ ცსა, ფონდი 481, საქ. № 965, ფ. 2.



ი. ჭავჭავაძეს მიანდევს ვაჟა-ფშაველას მიერ თარგმნილი „ორლიანელი ქალი“, მან თავისი აზრი ასე გამოხატა და მიმართა გამგეობის წევრებს: „თარგმანი „ორლიანელი ქალისა“ მე არ მომეწონა, უმორჩილესად გთხოვთ გამგეობას მარტო ჩემს აზრს არ დასჯერდეთ და სხვა ვინმემ გასინჯოს თარგმანი. ვაჟა-ფშაველა ჩემს თვალში იმდენად პატივსაცემი მწერალია, რომ მისი ნაწარმოებების დასაფასებლად საკმაო არ არის მარტო ერთი კაცის აზრი და შთაბეჭდილება“<sup>14</sup>. მოვიყვანთ რამდენიმე თარგმნილი ლიტერატურის ნიმუშს. გ. შარაშიძე — „პაერი და სითბო“ თარგმნილი რუსულიდან, 1918 წ., კოსონოგოვი — კონცენტრირებული სახელმძღვანელო ფიზიკისა საშუალო სასწავლებლებისათვის, 1918 წ., გ. ნათაძე — „ინგლისის მოკლე ისტორია“, 1919, კუდრიავსკი დ. — „როგორ ცხოვრობდნენ ძველად ადამიანები“, 1920, თარგმანი ი. კვიციანიძისა, პუშკინი ა. — თხზულებანი თარგმანი გ. ყიფშიძისა 1899 წ და სხვ.

თარგმნილი ლიტერატურა მაღალ დონეზე იყო შესრულებული და საკმაო ადგილი ეჭირა საზოგადოების გამოცემებს შორის. შეიძლება ითქვას, რომ მთარგმნელობითი მუშაობა საზოგადოების მიერ ერთ-ერთი წინ გადადგმული ნაბიჯი იყო.

წიგნების გამოცემას ხელს უშლიდა სტამბის უქონლობა, რასაც საზოგადოების გამგეობა განიცდიდა. იყო ცდები შეეძინათ საკუთარი სტამბა. ამ საკითხზე საგურამოში ილიას სახლში გაიმართა თათბირი, რომელსაც საზოგადოების გამგეობის წევრები ესწრებოდნენ. თათბირმა დაადგინა, რაც შეიძლება მალე შეეძინათ სტამბა; გადაწყვიტეს, ამ მიზნით, სათანადო თანხებიც გამოეყოთ. მეორე ცდას წარმოადგენდა მ. ქართველიშვილის მიერ გამოცემული „ვეფხისტყაოსანის“ და „ვახუშტის“ საქართველოს ისტორიის ერთი 210 ეგზემპლარი და მეორე 2056 ეგზ. წიგნების გადაცემა გამგეობისათვის. აღნიშნული წიგნების გაყიდვის შედეგად დაგროვებული თანხა სტამბის შექმნას უნდა მოხმარებოდა „ახლა ჩემი სურვილია, — წერდა გ. ქართველიშვილი გამგეობას, — ეს წიგნები საზოგადოებას შევწირო და იმ ფულით სტამბა გაიმართოს და ჩემი თვალთ ვნახო ვიდრე ცოცხალი ვარო“. მაგრამ სტამბის შექმნა სხვადასხვა მიზეზების გამო არ მოხერხდა. რაც შეეხება ქუთაისის განყოფილებას, მან 1913 წელს შეიძინა საკუთარი სტამბა, სადაც ოფიციალური მონაცემების მიხედვით 1920 წლამდე 120 დასახელების წიგნი დაბეჭდა<sup>15</sup> წიგნები უმთავრესად ადგილობრივი მასწავლებლებისა იბეჭდებოდა. დაბეჭდილი წიგნები დასავლეთ საქართველოში გრცელ-

<sup>14</sup> საქ. სსრ ცსა, ფონდი 481, საქ. № 663, ფ. 32.



დებოდა, მაგრამ ხალხის გაზრდილ მოთხოვნებს მაინც ვერ აკმაყოფილებდა.

საზოგადოების გამგეობა დიდი ყურადღებით ეკიდებოდა ლექსიკონების შედგენასა და გამოცემას. გამგეობაში არაერთხელ დასმულა საკითხი ლექსიკონების შედგენისა და გამოცემისათვის, რომლის უქონლობა ხელს უშლიდა ბევრ მეცნიერსა და მკვლევარს სათანადო დონეზე წარმართა მეცნიერული მუშაობა. იმ დროისათვის არსებული ლექსიკონები სულხან-საბა ორბელიანისა და გ. ჩუბინაშვილისა მკვლევართა და ქართველ მწერართა გაზრდილ მოთხოვნებს ვეღარ აკმაყოფილებდა. ამ მხრივ განსაკუთრებით დიდი მოთხოვნა იყო ზოოლოგიურ-ბოტანიკური ლექსიკონზე. საზოგადოების გამგეობის წევრი ს. ხუნდაძე თავის მოხსენებაში 1911 წელს დიდ ადგილს უთმობდა ლექსიკონის შედგენის აუცილებლობას. ეს საქმე რომ დაეჩქარებინა, იგი გამგეობას შემდეგი ღონისძიებების გატარებას უსახავდა: 1) საქართველოს სხვადასხვა კუთხეში უნდა დაიგზავნოს ერთსა და იმავე დროს რამდენიმე კაცი ხალხის ზეპირსიტყვიერებისა და ტერმინების შესაკრებად. ეს საქმე ყველაზე უფრო ადვილი მოსახერხებელია ზაფხულობით, როდესაც მოსწავლეები თავისუფალი არიან. იმათ წინდაწინვე ხელში ექნებათ შემუშავებული გეგმა-პროგრამა სახალხო სიტყვიერების შესაკრებად. აი ამ სახით შეკრებილი მასალა წარედგინება წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობას. 2) ამავე დროს რამდენიმე კაცისაგან შემდგარ კომისიას უნდა მიენდოს შეგროვილი მასალების განხილვა და იქიდან საჭირო ცნობების ამოკრება და ლექსიკონის შედგენა. საზოგადოებამ ამ მიზნით ს. ზუბალაშვილის შემოწირული თანხა 30 ათასი მანეთიც კი გადადო, შეადგინა კომისია, რომლის ხელმძღვანელობა დ. კარიჭაშვილს დაავალა. კომისიას 1916 წლისათვის უნდა შეედგინა რუსულ-ქართული ლექსიკონი, ქართულ-ფრანგულ-რუსული ლექსიკონი 1917 წლისათვის, ხოლო 1918 წლისათვის ფრანგულ-ქართული ლექსიკონი, მაგრამ ისტორიული პირობების გართულების გამო ეს საქმე დაუსრულებელი დარჩა. ამავე საკითხს შეეხებოდა მ. ჯანაშვილის მიერ შედგენილი ლექსიკონის გამოცემა, რომელიც სამ ტომად იყო გათვალისწინებული<sup>16</sup>. შედგენილ იქნა ხარჯთაღრიცხვა, ხელისმომწერთა საყურადღებოდ განცხადებაც კი გამოქვეყნდა გაზეთში, მაგრამ ქალაქის უქონლობის გამო ეს საქმე შეჩერდა და ფული უკანვე დაუბრუნდა ხელის მომწერებს.

<sup>16</sup> საქ. სსრ ცსა, ფონდი 481, საქ. № 2112, ფ. 5.

საზოგადოების გამგეობა დიდ ყურადღებას აქცევდა მველი ქართული მწერლების ძეგლების გამოცემას. ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს ა. ხახანაშვილის ქართული მწერლობის ისტორია და რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“. შ. რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ რამდენიმეჯერ გამოსცა გამგეობამ. „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემებს შორის ყურადღებას იპყრობს გ. ქართველიშვილისეული მ. ზიჩის ნახატებით დასურათებული „ვეფხისტყაოსანი“. 1888 წ. 15 მაისს ილიას „ივერია“ ქართველ ხალხს აცნობებდა, რომ დასურათებული „ვეფხისტყაოსანი“, ძვირფას ყდაში გაფორმებული გ. ქართველიშვილის მიერ, იყიდება წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წიგნის საწყობში. წიგნში ზიჩისაგან დახატული 27 სურათია, წიგნისათვის შეკვეთილი მრავალი ჩუქურთმა და მხატვრული ასომთავრული ამოჭრილია პეტერბურგში. წიგნი დიდი ფორმატისაა და ღირს 15 მანეთით.

შვიდი წლის მანძილზე თბილისის საზოგადოებრიობა განსაკუთრებული ყურადღებით ადევნებდა თვალს „ვეფხისტყაოსნის“ დამდგენი კომისიის საქმიანობას, რომელშიც შედიოდნენ გამოჩენილი ქართველი მოღვაწენი ი. ჭავჭავაძე, აკ. წერეთელი, გრ. ორბელიანი, რ. ერისთავი, ი. მაჩაბელი, პ. უმიკაშვილი, ი. გოგებაშვილი.

„ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრატორი მიხეილ ზიჩი დაიბადა უნგრეთში 1827 წელს. 1880 წელს ზიჩი ჩამოდის რუსეთში და განზრახული აქვს ლერმონტოვის ნაწარმოებების დასურათება. მხატვარი ლერმონტოვის კვალს კავკასიაში მოჰყავს. საქართველოში იგი ეცნობა „ვეფხისტყაოსანს“ და მოხიბლული რჩება უკვდავი ქმნილებით.

მ. ზიჩს „ვეფხისტყაოსნის“ დასურათებაზე ფიქრი 1881 წელს დაუწყია, ხოლო 1882 წლისათვის მაყურებლებმა ნახეს ზიჩის მიერ პლასტიკურად გააზრებული „ვეფხისტყაოსნის“ კომპოზიციები. „ზიჩი როგორც თბილისში, ისე ქუთაისში ცდილობს „ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით სასურსათო კომპოზიციათა ნატურაში დანახვას და მისი შინაარსის სათანადო და შესატყვისი გააზრებით იგი ქმნის მომავალ ილუსტრაციათა კომპოზიციებს და ცოცხალი სურათების სახეს. მ. ზიჩს ახლო ურთიერთობა ჰქონდა მოწინავე ქართველ ადამიანებთან. მხატვრისათვის საგამოცემო კომისიას ათი სურათი დაუკვეთია, მაგრამ მხატვრის სიყვარული ჩვენი ურის კულტურისადმი იმდენად უსაზღვრო ყოფილა, რომ პოემის გაცნობის შემდეგ 34 სურათი დაუმზადებია. სურათები მან უსასყიდლოდ გადასცა ქართველ ხალხს და თანაც თავისი თხოვნა გამოაყოლა: „გთხოვთ მოექცეთ ჩემს სურათებს ისე, როგორც ქართველები

უმანკო ქალს მოექცევიან ხოლმე სათუთად და ნაზად“, დ. მანუჩარიძე  
ქართველიშვილისეული გამოცემა გამოვიდა, მასში 26 ზიჩისეული  
კომპოზიცია იქნა შეტანილი. გარდა აღნიშნული ძველი ქართული  
მწერლობის ძეგლებისა, საზოგადოებამ გამოსცა ვ. ბარნოვის წერი-  
ლები ქართულ მწერლობაზე „წმინდა ნინოს ცხოვრება“ ექ. თაყაი-  
შვილისა, ს. კაკაბაძის — გიორგი სააკაძე 1915 წელი. „ქართლის  
ცხოვრება“ მარიამ დედოფლის ვარიანტი, გამოცემული 1906 წელს  
და სხვ.

საზოგადოების გამგეობამ სამედიცინო ლიტერატურის რამდენიმე წიგნიც გამოსცა. 1916 წელს საგამომცემლო სექციამ განიზრახა შეედგინა „სახალხო ბიბლიოთეკა“, სადაც მოთავსდებოდა სამედიცინო ხასიათის ნაწარმოებები სხვადასხვა დაავადების საწინააღმდეგოდ. ამ მიზნით საგამომცემლო კომისიასთან შეიქმნა სამედიცინო სექცია, რომელმაც ქართველ ექიმთა კრება მოაწვია. კრებაზე გადაწყვეტილი იქნა მედიცინის რომელი დარგიდან რა თემები შეერჩიათ და გამოეცათ ცალკე წიგნებად, ხალხისათვის გასაგები ენით. სექციის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ვ. მუსხელიშვილი, მდივნად — ექიმი წინამძღვრიშვილი. კომისიამ შეარჩია და რამდენიმე წიგნი გამოსცა: 1. წინამძღვრიშვილი გ. — „გადამდები სნეულებანი და მათთან ბრძოლა“, 1917 წ., 2. ელიოზიშვილი კ. — „ქლქი და მისი წამლობა“, 1920 წ., გვარჯალაძე ა. — „სიცოცხლე და სიკვდილი“, გოკიელი გ. — „ხოლერა“, მოკლე დარიგება, 1916 წ.; აღნიშნული წიგნების გამოცემა ერთგვარად ხელს უწყობდა მოსახლეობაში სამედიცინო ხასიათის ლიტერატურის პროპაგანდას.

1909 წლიდან საზოგადოებას უფლება მიეცა გაეხსნა განყოფილებები. განყოფილებების შექმნამ საზოგადოების მოღვაწეობის სფერო კიდევ უფრო გააფართოვა. ამ მიზნით მოხდა საზოგადოების რეორგანიზაცია. გამგეობასთან შეიქმნა სამუზეუმო, საბიბლიოთეკო, სასკოლო, სამეურნეო და საგამომცემლო სექციები. საგამომცემლო სექციის თავმჯდომარედ დაინიშნა თ. კიკვაძე. საგამომცემლო სექციასთან ჩამოყალიბდა ისტორიკოსთა კომისია, რომელშიც შევიდნენ გ. ნათაძე, ე. თაყაიშვილი, ი. ჯავახიშვილი, პ. ინგოროყვა და გ. ყაზბეგი. კომისიის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ი. ჯავახიშვილი. კომისიამ გამოსცა როგორც ორიგინალური, ასევე თარგმნილი ისტორიული ნაწარმოებები.

წიგნების გავრცელებასა და პროპაგანდას ემსახურებოდა აგენტების ინსტიტუტის (წიგნდატარების) შექმნა, რომლისთვისაც სპეციალური ინსტრუქციაც კი იქნა შედგენილი. აგენტურა ადგი-



ლებზე საქმის უკეთ წარმართვის მიზნით შეიქმნა. ისინი ეხმარებოდნენ გამგეობას სკოლების, ბიბლიოთეკების გახსნაში, ცდილობდნენ ადგილობრივ მოსახლეობას შორის სახსრების გამოწახვას, წიგნის დატარებას და სხვ.

ქართული წიგნისა და ქართული კულტურის პროპაგანდას ემსახურებოდა საზოგადოების მიერ ჩატარებული ღონისძიება ქართული სტამბის დაარსების 200 წლისთავთან დაკავშირებით (1909 წ.) ამ თარიღის სათანადო ღონეზე ჩატარების მიზნით შეიქმნა საიუბილეო კომისია, რომელშიც შევიდნენ დ. კარიჭაშვილი, ს. ფირცხალავა და გ. ლასხიშვილი. იუბილეს დღეებში წაკითხულ იქნა ლექციები, როგორც ქართველი მწერლების, ისე მეცნიერების მიერ ქართული სტამბის წიგნების ბეჭდვისა, ქართული მწერლობის განვითარებისა და სხვა საკითხებზე, ხოლო საზოგადოების მიერ მოწყობილმა იმ წიგნების გამოფენამ, რომლებიც 200 წლის განმავლობაში გამოვიდა, მნახველებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

საზოგადოების გამგეობა ცდილობდა ქართული კულტურა საზღვარგარეთის ქვეყნებისათვის გაეცნო. 1914 წელს საზოგადოების გამგეობამ ლაიფციგის ბაზრობაზე გაგზავნა რამდენიმე დასახელების ქართული წიგნი. მათ შორის მ. ქართველიშვილის „ვეფხისტყაოსანი“.

ქშწკგს-ს მიერ გამოცემული წიგნების პროპაგანდის საქმეში დიდ როლს ასრულებენ წიგნის მაღაზიები. წიგნის მაღაზიები გამგეობას გახსნილი ჰქონდა თბილისში გოლოვინის პროსპექტზე, ცენტრალურ ადგილას, სადაც იყიდებოდა როგორც საზოგადოების გამოცემები, ისე ქართველ მწერალთა ნაწარმოებები, რომლის შემოსავალი გარკვეულ მოგებას აძლევდა გამგეობას. გარდა თბილისისა, საზოგადოებას გახსნილი ჰქონდა წიგნის მაღაზიები ქუთაისში, თელავში, სიღნაღში, ახალციხეში, დუშეთში და სხვ.

და ბოლოს არ შეიძლება არ აღინიშნოს საზოგადოების ზრუნვა საბავშვო ლიტერატურის განვითარების საქმეში. საბავშვო ლიტერატურა ყველა ეპოქის მწერალთა და მეცნიერთა ყურადღების საგანს წარმოადგენდა, რადგან იგი დიდ გავლენას ახდენს მოზარდ თაობაზე. არ შეიძლებოდა ეს საკითხი საზოგადოებას უყურადღებოდ დაეტოვებინა. საგამომცემლო სექციის მუშაობა ყოველთვის მიმართული იყო იქეთ, რომ ნორჩი თაობა ახალი ნაწარმოებებით გაეხარებინა. სექციამ სპეციალური სხდომები მიუძღვნა საბავშვო ლიტერატურის შერჩევას, შექმნასა და გამოცემას, ხოლო ი. ვართაგამ 1920 წელს თავის მოხსენებაში აღნიშნა საბავშვო ლიტერატურა



რის შედარებითი ჩამორჩენა ცხოვრებასთან და მოუწოდა როგორც საგამომცემლო სექციას, ასევე საბავშვო ჟურნალებს მეტი ყურადღება მიექციათ საბავშვო ლიტერატურის განვითარებისათვის და თავის ფურცლებზე ხშირად გაეშუქებინათ საყმაწვილო ლიტერატურის აქტუალური საკითხები.

ქართული საბავშვო ლიტერატურის განვითარებაში იგი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა შიო მღვიმელს და წინადადებას აძლევდა საზოგადოებას გამოეცა როგორც მისი ნაწარმოებები, ასევე სხვა მწერლებისა, კერძოდ ვაჟა-ფშაველას, ბაჩანას, ცქვიტის, ე. გაბაშვილის, ა. წერეთლის, ნ. ლომოურის და სხვ. შ. მღვიმელის ნაწარმოებები საზოგადოებამ 3 ტომად გამოსცა.

1920 წელს საზოგადოებამ გამოსცა 54 დასახელების წიგნი. სულ კი საზოგადოებამ თავისი არსებობის მანძილზე (1879—1927) 250-ზე მეტი დასახელების წიგნი გამოსცა (თარგმანები, სახელმძღვანელოები, კრიტიკული ხასიათის, მხატვრული, პოლიტიკური და სხვ.).

საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ საქართველოში წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების უფლებები თანდათან შეიკვეცა. ეს ბუნებრივიც იყო, რადგან საგამომცემლო საქმე სახელმწიფოს ზრუნვის საგანი შეიქმნა, და ბოლოს 1927 წელს საზოგადოებამ იურიდიულად შეწყვიტა არსებობა. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ დიდი როლი შეასრულა ქართველი ხალხის ისტორიაში. კიტა აბაშიძემ საზოგადოების მოღვაწეობას ასეთი შეფასება მისცა: „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება ჩვენი ეროვნული სიმდიდრეა, შექმნილი ჩვენი საუკეთესო საზოგადო და ნაციონალურ მოღვაწეთა მზრუნველობით და შრომით, იგი წარმოადგენს ჩვენი ეროვნული აღორძინებისა და თვითცნობიერების ცოცხალ მონუმენტს, იგი არის ჩვენი იმედი და ნუგეში“<sup>17</sup>.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ, რომელმაც მოღვაწეობა დაიწყო 1879 წლის მაისიდან, შემოიკრიბა და დარაზმა ქვეყნის მოწინავე ძალები და ნახევარი საუკუნის მანძილზე უანგარო სამსახური გასწია ხალხში ცოდნა-განათლების გავრცელების, ეროვნული იდეების გამოღვიძებისა და

<sup>17</sup> იხ. „სახალხო გაზეთი“, 1911 № 283. კიტა აბაშიძის სტატია „წერა-კითხვის საზოგადოება ქართულ სამეცნიერო აკადემიად უნდა გადაკეთდეს“.

მოწინავე პროგრესული იდეების დანერგვის საქმეში. მან ხელი შეუწყო ეროვნული კადრების გამოზრდას.

დიდი ღვაწლი მიუძღვის საზოგადოებას აფხაზეთსა და საინგილოში ქართული წიგნის გავრცელების, ქართული სკოლებისა და ბიბლიოთეკების დაარსების საქმეში. იმ დროს როდესაც ქართულ ენასა და კულტურას სდევნიდნენ, საზოგადოების გამგეობა ყოველნაირად ხელს უწყობდა და ზრუნავდა ქართული კულტურის განვითარებისათვის აღნიშნულ მხარეში, იცავდა მას სხვადასხვა თავდასხმებისაგან.

1979 წელს შესრულდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსების 100 წლისთავი. საბჭოთა ქვეყანა მადლიერების გრძნობით იგონებს იმ ადამიანებს, საზოგადოების იმ სულიერი და მატერიალური კულტურის კერებს, რომლებმაც უდიდესი როლი შეასრულეს ეროვნული კულტურის განვითარების საქმეში.

## БИБЛИОТЕЧНАЯ И ИЗДАТЕЛЬСКАЯ ДЕЯТЕЛЬНОСТЬ «ОБЩЕСТВА ПО РАСПРОСТРАНЕНИЮ ГРАМОТНОСТИ СРЕДИ ГРУЗИНСКОГО НАСЕЛЕНИЯ»

### Резюме

Идея учреждения «Общества по распространению грамотности среди грузин» относится к 60-м годам прошлого столетия, в частности к периоду «отмены крепостного права в Грузии». С 1864 года грузинская общественность считала, что эта реформа принесет желаемый успех в том случае, если крестьянство будет освобождено от темноты и невежества» (Я. Гогобашвили). «Общество» было учреждено в 1879 году на основе уставов аналогичных обществ Петербурга, Москвы и Харькова. Оно сыграло огромную роль как в возрождении и развитии грузинской национальной культуры, так и в деле просвещения трудящихся Грузии. Вдохновителем и руководителем этого добровольного «Общества» было его Правление. Оно объединяло передовую грузинскую интеллигенцию и группу грузинских писателей и общественных деятелей, среди которых в разное время были Д. Кипиани, И. Чавчавадзе, А. Церетели, Р. Эристави, Я. Гогобашвили, Н. Цхведадзе, И. Мачабели, В. Гогоберидзе, В. Тулашвили, К. Мамацашвили, Э. Такайшвили, Д. Каричашвили, Г. Каз-



беги, Л. Боцвадзе, И. Мансвешашвили, Н. Мтварелишвили, и многие другие.

Целью «Общества» являлось распространение грамотности и просвещения среди грузин. Непросветительная деятельность «Общества» с самого начала приобрела широкие масштабы и коснулась почти всех сфер культурной деятельности. В условиях царской России «Общество по распространению грамотности среди грузин» являлось центром культуры и просвещения, единственным по-настоящему народным, истинно демократическим штабом, пользующимся всеобщей поддержкой, любовью, уважением и авторитетом. В сферу интересов «Общества» входило учреждение школ и материальное обеспечение их методико-педагогической помощью, а также материально-методическое обеспечение ранее основанных казначейских школ; учреждение народных университетов; выявление и издание художественной и научно-популярной литературы, древних и новых грузинских литературно-исторических памятников, учреждение книгохранилищ, музеев и хранилищ уникальных рукописей и ценных памятников материальной культуры; учреждение школьных и народных библиотек; обеспечение стипендиями талантливых студентов и т. д.

Материальной базой существования «Общества» служили членские взносы, единовременные и периодические пожертвования, доходы издательства, кредиты, полученные от дворянских банков, движимое и недвижимое имущество, полученное по наследству от известных помещиков, предпринимателей, купцов и писателей, продажа историко-художественных произведений и учебников.

Основное место в деятельности «Общества по распространению грамотности среди грузин» занимал вопрос о расширении сети народных школ и оказании им помощи как материальной, так и в виде методико-педагогического руководства. Вместе с этим «Общество» оказывало помощь ранее существующим государственным школам, а также школам, основанным другими обществами. Помощь оказывалась деньгами, книгами и школьной мебелью. Особенно большое внимание уделялось грузинским школам, основанным за пределами Грузии (в Нальчике, Владикавказе, Баку и других местах).

За время своего существования, с 1879 года в Грузии и за ее пределами «Обществом» были открыты 32 школы. Согласно уставу обучение в этих школах проводилось на родном языке. Архивные материалы свидетельствуют, что

как в городах, так и в селах мерам по открытию школ всегда препятствовали местные органы власти.

По предложению Я. Гогебашвили первая грузинская школа была открыта в торжественной обстановке в октябре 1880 года в Тбилиси. Но связи с отсутствием средств эта школа просуществовала всего год. Это событие вызвало пробуждение грузинской общественности и на имя Правления «Общества» поступило множество просьб, связанных с открытием школ. Конечно, «Общество» не имело возможности удовлетворить все просьбы сразу. В ответ на эти заявления им были разработаны соответствующие условия, при удовлетворении которых создавалась реальная возможность открытия школ в той или иной деревне. «Общество» считало возможным открывать школы в том случае, если «сельчане могли на открытие школы выделить 30—40 рублей. В подобных случаях «Общество» помогло следующим образом: 1. На строительство школьного здания выделялось 150 рублей. 2. Изготавливалась школьная мебель на свои средства. 3. Школа обеспечивалась надежными педагогами. 4. Ежегодно в школу посылались учебники на 30 рублей, а также обеспечивалось постоянное управление деятельностью школы» (ЦАГ, ф. 481, д. № 10, л. 4).

По этому принципу в Кутаиси была открыта подготовительная школа (в феврале 1880 года), которая впоследствии была переделана в прогимназию, а затем в дворянскую гимназию, предназначенную для детей всех сословий: Батумская грузинская школа (23 марта 1881 года), Цинарехская (2 января 1882 года), Диди Тонетская (1883 г.), Хелтубанская (1884 г.), Кадамшкая (1904 г.), Бакинская (1909 г.), Сагурамская (1909 г.), Сухумская (1909 г.), Атенская (1912 г.), Варинская (1912 г.) и много других школ (всего 32).

«Обществу по распространению грамотности» не удалось широко развернуть просветительную работу в связи с недостатками в средствах, о чем свидетельствуют их отчеты, публиковавшиеся Правлением ежегодно.

В военные годы (1914—1915) «Общество» вынуждено было прекратить открытие новых школ и заботилось лишь о сохранении уже существующих, основанных за 38-летний период своей деятельности. «Общество» периодически устраивало курсы переподготовки преподавателей, заботилось о создании учебных планов, проектов и совершенствовании учебников и т. д.

В 1919 году «Общество» передало местному самоуправлению 16 школ, в первоначальном положении осталась

Владикавказская школа. Бакинская школа была на содержании местного грузинского национального совета, некоторые школы были переделаны в гимназии, Батумская школа была переделана в высшую начальную школу и т. д.

После установления Советской власти работы по открытию школ были изъяты из компетенции «Общества» и оно было переделано в «Грузинское общество по изданию и распространению книг». Соответственно с этим был переделан и устав, а в 1927 году «Общество» прекратило свое существование.

«Общество» занималось плодотворной издательской деятельностью. Составление книг, переводы и издание их поручалось как членам Правления, так и приглашенным лицам. На составление наилучших учебников были учреждены четыре премии. Особенно большое значение придавалось изданию и распространению таких учебников Я. Гогешашили (последователя великого русского педагога-классика К. Ушинского), как «Дэда зна», «Бунебис кари» и «Русское слово».

Значительное внимание уделялось Правлением «Общества» изданию художественной, детской, музыкальной и медицинской литературы, особое место занимала переводная литература.

В распространении литературы значительную работу вели книжные магазины, основанные «Обществом».

Одно из ведущих мест в деятельности «Общества» занимала работа по сбору, обработке и изучению археологических памятников. Собирались старинные рукописи и уникальные книги. В результате этой работы были основаны музей-книгохранилища. Правление «Общества» не щадило сил и средств для того, чтобы собрать в Грузии книги и рукописи, находящиеся в России и других государствах. В результате энергичной деятельности «Общества» были привезены в Грузию личные библиотеки Н. Дадиани, Д. Чубинишвили, В. Петриашвили и А. Хаханашвили. Изучены были рукописи, находящиеся в Иерусалимском Крестовом монастыре. По материалам музеев-книгохранилищ была написана не одна научная работа, получившая мировое признание.

Большое значение имело открытие библиотек как очагов просвещения. В первую очередь надо отметить школьные библиотеки, укомплектованные за счет учебников и художественной литературы. Эти библиотеки прививали ученикам навыки самостоятельной работы над книгой, способствовали углублению знаний учащейся молодежи.



Особо надо отметить заботливость, проявленную «Обществом» в отношении студентов, обучающихся в высших учебных заведениях России и за границей. «Общество» посылало им учебники и периодику, в результате чего при многих из них были основаны грузинские библиотеки.

Очагами пропаганды книг являлись народные библиотеки-читальни, ведущие большую просветительную и воспитательную работу. Особенно значительной была миссия сельских библиотек, которые представлялись истинными очагами распространения знаний среди населения.

Библиотеки распространяли партийную и нелегальную литературу, способствовали упрочнению связей рабочих и крестьян с видными революционерами. В этом отношении особо надо отметить работу Нахаловской библиотеки, которую М. Демурия превратила в место деятельности видных революционеров и пропагандистов.

Велика заслуга библиотек Анаги, Шилды, Насакирала и Кварели в деле распространения нелегальной литературы. Эти библиотеки подвергались неоднократному нашествию полиции, некоторые из них были полностью уничтожены.

Изучение архивных материалов и тогдашней прессы показало, что «Обществом» было открыто до двухсот подобных библиотек как в Грузии, так и за ее пределами.

Итак, деятельность «Общества по распространению грамотности среди грузин» была необычайно многогранной, глубокосодержательной и успешной. Несмотря на то, что оно всегда было стеснено в материальном отношении, патристическая деятельность «Общества», проводимая с целью возрождения грузинской национальной культуры, оставила определенный след. Широкие масштабы науки, литературы и культуры Грузии зиждятся на основе созданной беззаветным трудом «Общества по распространению грамотности среди грузин» и его преданных родителей.

---

შესავალი	3
საზოგადოების ბიბლიოთეკა-წიგნსაცავი	8
წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ბიბლიოთეკის წესდება	10
ზრუნვა წიგნსაცავ-მუზეუმის საკუთარი ბინისათვის	48
სასკოლო ბიბლიოთეკები	57
ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების იაფფასიანი სახალხო ბიბლიოთეკა-სამკითხველოები	65
ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საგამომცემლო მოღვაწეობა	120
Библиотечная и издательская деятельность «Общества по распространению грамотности среди грузинского населения», Резюме	136

ТЕНГИЗ ФОМИЧ ЧХИТУНИДЗЕ

БИБЛИОТЕЧНАЯ И ИЗДАТЕЛЬСКАЯ ДЕЯТЕЛЬНОСТЬ  
«ОБЩЕСТВА ПО РАСПРОСТРАНЕНИЮ ГРАМОТНОСТИ  
СРЕДИ ГРУЗИНСКОГО НАСЕЛЕНИЯ»

(на грузинском языке)

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის  
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

\*

რეცენზენტები: ისტორიის მეცნ. კანდიდატი ს. როდონია  
ისტორიის მეცნ. კანდიდატი ა. ლორია

ИБ 868

რედაქტორი ნ. გურგენიძე  
გამომცემლობის რედაქტორი ი. განიჩილაძე  
ტექნიკური ც. ქამუშაძე  
კორექტორი ზ. ომარაშვილი

გადაეცა წარმოებას 30.4.1980; ხელმოწერილა დასაბეჭდად 22.12.1980;  
ქალაქის ზომა 60×90<sup>1</sup>/<sub>16</sub>; ქალაქი № 1; ნაბეჭდი თაბახი 8,8;  
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 7,3;  
უე 01284; ტირაჟი 1000; შეკვეთა №1617;

ფასი 90 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19  
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19  
Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

510/2